საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.geworld.net

# საქართველო და მსოფლიო

№46 (137)

21 - 27 დეკემბერი, 2011

ფასი 1 ლარი

info@geworld.net

## პრეზიდენტო სააკაშვილო, ნუ მოკლავთ პრესას!

9

# ვანო მერაბიშვილი «პოლიტიკურ პოლიციას» ქმნის

7



## HAPPY BIRTHDAY, DEAR MISHA

2

## სააკაშვილის ბლექჯეკი

3



6

ირაკლი ალასანია:

## ჩვენ ყველა ძალასთან ვითანამშრომლებთ, მათ შორის, სააკაშვილთანაც...

გასაგებია, რომ ირაკლი ალასანია დღეს მოწადინებულია, ამერიკელ პარტნიორებს დაუმტკიცოს, რომ ის თავის პოლიტიკურ მოკავშირეებთან ერთად სააკაშვილზე უფრო პროამერიკულია, თუმცა ამომრჩევლის დარწმუნებას იმაში, რომ ორივე მიზანი სავსებით ხელმისაწვდომია, პასუხისმგებლობით აღსავსე ნაბიჯს, ალბათ, მაინც ვერ ვუწოდებთ

4







# ან მწვადი, ან შამფური...

11

## პატიმარი კახა ბარათაშვილი ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს

## როგორ აღმოჩნდა ივანიშვილის ნაჩუქარი «ციცინათელა» სომხების ხელში

11

# გიგი უგულავა და «რამკიანი ცოლები»

დედაქალაქის მერისა და კანონიერი ქურდების ყოფილი ცოლების ტანდემი სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში საუკეთესო წინაპირობა სულაც არ არის და ნათლად მეტყველებს, რომ სახელისუფლო ეშელონებში როგორც მორალის, ასევე ჟანრისა და კადრების მწვავე კრიზისია.

8







# თავისუფალი პრესის წინააღმდეგ

13

## სახელმწიფოა გაფანტული სკლეროზით დაავადებულები გაწირა

16

ალექსანდრე მეტრეველი:

## ვგრძნობდი, რომ კრახით დამთავრდებოდა ყველაფერი

**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ბოლოს და ბოლოს სააკაშვილს დაბადების დღე აქვს და, ალბათ, დასაშვებია, ეს 24 საათი იმ რეალობაში გაატაროს, რომელშიც სურს, ვირტუალური იქნება ის, პარალელური თუ პერპენდიკულარული. მითუმეტეს, მის გამოსვლებში ბოლო დროს სულ უფრო მკაფიოდ იგრძნობა ერთობ ტრაგიკული ქვეტექსტი: სხვები ვერ ხედავენ იმას, რასაც ის ხედავს, და არ აღიქვამენ სამყაროს ისე, როგორც ის აღიქვამს.**

# HAPPY BIRTHDAY, DEAR MISHA



**დღეს მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღეა; მას 44 წელი შეუსრულდა. ასეთ დროს მიღებულია, ადამიანს რაღაც უსურვო, თუმცა ბოლო დროს მილიონობით ადამიანი მას იმდენს და ისეთი ინტენსიურობით უსურვებს (დეტალებში ჩაღრმავება ნამდვილად არ ღირს), რომ ჩვენი მოკრძალებული სურვილები ამ მრავალხმიან გუგუნში შეიძლება დაიკარგოს და ადრესატამდე არ მივიდეს.**

მითუმეტეს, რომ სააკაშვილმა ჯერ კიდევ 6 წლის წინ, 2005 წლის 28 დეკემბერს, განაცხადა: „ქართულ გაზეთებს თითქმის არ ვკითხულობ“. არადა, მისი საახლობლო წრიდან გამოსული ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ, კითხულობს, თანაც ისეთი მონდომებით, როგორითაც სესილ ვოლანჟი ვიკონტ დე ვალმონის წერილებს კითხულობდა (ო, ეს საბედისწერო წერილი №84!), თუმცა იუბილარს ამჯერად სიტყვაზე ვენდოთ და ჩავთვალოთ, რომ ქართულ ბეჭდურ მედიას საერთოდ არ ეკარება.

თუმცა ვინაიდან უცხოური პრესა მასზე და მის რეჟიმზე ბოლო დროს პრაქტიკულად იმავეს წერს, რასაც ქართული, ფიგურანტი ფრიად არაორდინალურ დასკვნებამდე მიდის. **„გაზეთებს ყოველდღე ვკითხულობ, პრესას თვალი თვითმფრინავშიც გადავავლე და მინდა გითხრათ, რომ არავინ აღიქვამს ვითარებას ისე, როგორც ეს რეალურადაა, თუმცა ვიცი, რომ თქვენ უმრავლესობას ეს ესმის,“** — განაცხადა სააკაშვილმა 15 დეკემბერს ვარშავაში.

**კაცმა რომ თქვას, ძველად ფრაზისთვის „არავინ აღიქვამს ვითარებას ისე, როგორც ეს რეალურადაა“ პაციენტებს შესაბამისი სამკურნალო დაწესებულებიდან გარეთ არ უშვებდნენ, რადგან პრეტენზია ექსკლუზიურობაზე რეალობის ადეკვატური აღქმის ამბავში უაღრესად საგანგაშო სიგნალი არის.**

იმ დღეს სააკაშვილი გაზეთებით არ შემოფარგლულა და არასამთავრობო სექტორსაც გადასწვდა: „გარეშე პირისთვის, შესაძლოა, ყოველივე ეს ხანდახან რთულად აღსაქმელი იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაკვირვებას ცოტა ცნობისმოყვარე არასამთავრობო ორგანიზაცია აწარმოებს“, თუმცა ნუ დავწვრილმანდებით; **ბოლოს და ბოლოს სააკაშვილს დაბადების დღე აქვს და, ალბათ, დასაშვებია, ეს 24 საათი იმ რეალობაში გაატაროს, რომელშიც სურს, ვირტუალური იქნება ის, პარალელური თუ პერპენდიკულარული. მითუმეტეს, მის გამოსვლებში ბოლო დროს სულ უფრო მკაფიოდ იგრძნობა ერთობ ტრაგიკული ქვეტექსტი: სხვები ვერ ხედავენ იმას, რასაც ის ხედავს, და არ აღიქვამენ სამყაროს ისე, როგორც ის აღიქვამს.**

თუმცა ცისფერი მთების, ანუ ტიან-შანის მისადგომებთან სააკაშვილმა, როგორც ჩანს, იპოვა აუდიტორია, რომელმაც მისი სტანდარტები ასე თუ ისე დააკმაყოფილა: **„თუკი, მაგალითად, ყირგიზეთიდან აკვირდები მოვლენებს, მაშინ ყველაფერს სწორად იგებ“, „ჩავდივარ ყირგიზეთში და ირკვევა, რომ ზედმიწევნით კარგად იციან ჩვენი რეფორმების შესახებ; იციან, თუ რას მიაღწია ჩემმა ქვეყანამ, იციან იმაზე მეტი, ვიდრე ევროპაში. რატომ? იმიტომ, რომ ზოგჯერ ევროპელებს არ სურთ, იცოდნენ მეტი“.** სხვათა შორის, ვიქტორ პელევინის შესანიშნავ წიგნში „ჩთათევ მ პუყირით“ იყო ასეთი ცნება „შიდა მონღოლეთი“, რომელიც გეოგრაფიულ კოორდინატებზე როდი მიანიშნებდა. რომანის ერთ-ერთი გმირი მას ასე აღწერდა: „არ შეიძლება იმის თქმა, რომ ის გეოგრაფიული თვალსაზრისით სადღაც მდებარეობს. შიდა მონღოლეთს ასე იმიტომ კი არ უწოდებენ, რომ ის მონღოლეთის შიგნითაა. ის იმის შიგნითაა, ვინც სიცარიელეს ხედავს, თუმცა სიტყვა „შიგნით“ აქ სრულიად გამოუსადეგარია. სინამდვილეში ეს არანაირი მონღოლეთი არ არის, უბრალოდ, ასე ამბობენ. ყველაზე სულელური იქნებოდა იმის აღწერა, თუ რა არის ეს. თუნდაც ერთხელ მენდეთ სიტყვაზე; იქ აღმოჩენას არაფერი სჯობს“.

**ვარშავაში წარმოთქმული სიტყვის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი „შიდა ყირგიზეთი“ იპოვა ან კიდევ „შინაგანი ყირგიზეთი“, თუმცა ტერმინს ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა არ აქვს. ეს, ალბათ, დაახლოებით იგივეა, რაც პელევინის გმირებისთვის „შიდა მონღოლეთი“. ევროპელებს ასეთი რაღაცების მართლაც ნაკლებად ესმით, პრაგმატული და გულღრძო ხალხია რა; არ სურთ მეტი იცოდნენ.**

შეგვიძლია კონკრეტული მაგალითიც განვიხილოთ: სააკაშვილის შემდეგი ფრაზების მოსმენისას — „მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, სიღარიბის დონე 52 პროცენტი იყო, ახლა ეს მაჩვენებელი 17 პროცენტზე ნაკლებია“, „ჩვენ ვართ ევროპის ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა, მაშინ, როდესაც რამდენიმე წლის წინათ ეს ყველაზე სახიფათო ქვეყანა იყო“, ევროპელს შეიძლება გაახსენდეს, რომ ავტორიტეტული კომპანია „Mercer“-ის მიერ ახლახან (29 ნოემბერს) გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, ცხოვრების ხარისხის თვალსაზრისით, „ყველაზე დაბალი რეიტინგის მქონე ქალაქი არის თბილისი“ (214-ე ადგილი), ხოლო პირადი უსაფრთხოების თვალსაზრისით ყველაზე დაბალი რეიტინგი ისევ თბილისს აქვს (215-ე ადგილი). არ არიან მზად ეს ევროპელები, სიტყვაზე გენდონ, თვალები დახუჭონ და შინაგანი მონღოლეთის, ყირგიზეთის თუ საქართველოს უკიდეგანო წარმოსახვით სივრცეებზე ცხენები გააჭენონ. არადა, იყო დრო, როდესაც ევროპელებს ეს შეეძლოთ; კაცობრიობას ის ეპიზოდი რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანის სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ვარშავული ბენეფისის რაღაც მომენტში მომეჩვენა, რომ სააკაშვილი თვითკრიტიკით დაკავდა: **„არაფერია იმაზე მყიფე, ვიდრე დიქტატურა და ინფორმაციის გაკონტროლების მცდელობა. დიქტატურები ეფუძნება ავტორიტარულ სისტემას, რომელსაც ჰყავს გარკვეული კულტი, უმეტესწილად ეს გარკვეული პირი ან პარტიაა. მაშინ, როდესაც ინფორმაცია და ინტერნეტი ყველასათვის არის ხელმისაწვდომი, მოვლენები მსგავსი სისტემებისთვის, შეიძლება ძალიან სწრაფად და ძალიან ცუდად განვითარდეს. როგორ იქცევიან დიქტატორები? ისინი ცდილობენ, აჩვენონ საზოგადოებას, როგორი ძლიერები, დაუნდობლები არიან და ფიზიკური მონაცემების დემონსტრირებას ახდენენ. თუმცა ეს უმოკლესი გზაა იმისთვის, რომ ვითარება მათთვის ცუდისკენ შეიცვალოს“.** საინტერესოა, არის თუ არა ამ აბზაცში თუნდაც ერთი სიტყვა, რომელიც ქართულ რეალობას არ აღწერს? „ინფორმაციის გაკონტროლების მცდელობა“ სახეზეა, „გარკვეული კულტი“ სახეზეა, ძლიერებისა და დაუნდობლობის გადაბმული დემონსტრირებაც სახეზეა და, რაც ყველაზე სასაცილოა, ამ სატირალი გარემოებების ფონზე, ადგილი ჰქონდა ფიზიკური მონაცემების დემონსტრირების მცდელობასაც (ბათუმის პლაჟზე), თუმცა, ხსენებული მონაცემების ზოგადი მოკრძალებულობის გამო, ფიგურანტს ამ უიღბლო მცდელობის გამეორება, საბედნიეროდ, არ უცდია.

შემდეგ კი გაირკვა, რომ შესავალი გამოვტოვე, როდესაც სააკაშვილმა ბრძანა: „დღეს ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, თუ რა ხდება ტუნისში, ჩრდილოეთ აფრიკის სხვა კუთხეებში; ვსაუბრობთ იმაზე, რაც 2011 წლის დეკემბერში მოსკოვის ქუჩებში ხდება“. გამორიცხული არაა, რომ აქ საქმე ერთ ფსიქოლოგიურ ნიუანსთან გვაქვს. „არაბულ გაზაფხულზე“ საუბრისას მსოფლიოს პოლიტიკოსების აბსოლუტური უმრავლესობა, როდესაც ქვეყნების სრულ ჩამონათვალს არ მიუყვება, ამბობს: „ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებში“, რადგან ნილოსის ნაპირებზე განვითარებული მოვლენები პროცესების ყველაზე მრავალფეროვან და რელიეფურ ილუსტრაციას წარმოადგენდა. სააკაშვილმა კი ტუნისი ახსენა. შესაძლოა, მის მიღმა საკუთარი მომავლის ერთ-ერთ სავარაუდო სცენართან დაკავშირებული ქვეცნობიერი მოტივი იდგა: ტუნისის პრეზიდენტმა ბენ ალიმ ხომ ქვეყნიდან მშვიდობიანად გააღწია, ეგვიპტელი ჰოსნი მუბარაქი კი შინა პატიმრობაში იმყოფება; მას ასამართლებენ, თუმცა ჩავთვალოთ, რომ მსგავსი ინსინუაციებისთვის საფუძველი არ არსებობს და ყურადღება სხვა გარემოებას მივაქციოთ: სააკაშვილმა მოსკოვის მოვლენები არაბულ სამყაროში განვითრებულ პროცესებთან ერთ კონტექსტში ახსენა და დიქტატურაზე მსჯელობისას ირიბად მიანიშნებდა, რომ რუსეთზე საუბრობს. მაგრამ პირველად მის გამოსვლაში მთავარ სამიზნედ არა იმდენად პუტინის რუსეთი, რამდენადაც „ევრაზიის კავშირი“ იქცა, რომლის შექმნას რუსეთის პრემიერი გეგმავს.

„გადატვირთვის“ ფონზე რუსეთთან პირდაპირ კონფრონტაციაზე ორიენტირებული რიტორიკა ნაკლებად მუშაობს, ის არა მხოლოდ მოსკოვის, არამედ ვაშინგტონის გაღიზიანებას იწვევს; ამ კონტექსტში „ევრაზიის კავშირის“, როგორც „ახალი სსრკ-ს“ ხსენება თითქოსდა დამატებით შესაძლებლობებს იძლევა. **გამორიცხული არაა, რომ სააკაშვილმა ჩათვალა, რომ „ჯვაროსნული ლაშქრობა“ „ევრაზიის კავშირის“ წინააღმდეგ საკმაოდ პერსპექტიული თემაა: „თქვენ ხედავთ, რომ ევრაზიის კავშირი ფორმირდება, ეს კი საბჭოთა კავშირის აღდგენის მცდელობაა“. „რეალობა კი ის არის, რომ, ვინც რა უნდა თქვას, ევრაზიის კავშირს მომავალი არ აქვს. ევროკავშირი ერთადერთი ალტერნატივაა ყველა ჩვენგანისთვის ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისთვის“. „თუ გავაკეთებთ არჩევანს ევროპასა და ევრაზიის კავშირს შორის, ჩვენთვის არ არსებობს ალტერნატივა გარდა ევროპისა“.**

საინტერესოა, არის თუ არა აქ თავისუფალი სივრცე, სადაც სააკაშვილს, თუნდაც პროპაგანდისტული თვალსაზრისით, შესაძლებლობა მიეცემა, ახალი ფუნქცია იტვირთოს და „ევრაზიის კავშირთან“ მთავარი მებრძოლის მანტია მოირგოს. ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის — კეტრინ ეშტონის ინტერვიუს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც გასულ კვირას „Коммерсант“-ში გამოქვეყნდა, ეს სივრცე საკმაოდ შეზღუდულია. **„პრინციპში, ჩვენ არანაირ წინააღმდეგობას არ ვხედავთ. უფრო მჭიდრო თანამშრომლობა რეგიონის ქვეყნებსა და რუსეთს შორის არ გამორიცხავს უფრო მჭიდრო ურთიერთობებს მათსა და ევროკავშირს შორის. უფრო მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაციის იდეა სივრცეზე ლისაბონიდან ვლადივოსტოკამდე, რომელსაც საფუძვლად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპები უდევს, გარკვეული დროის განმავლობაში განიხილება და გათვალისწინებულია ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობებში,“** — თქვა ეშტონმა „ევრაზიის კავშირზე“ საუბრისას. ამ განცხადების სულისკვეთების გათვალისწინებით, ნაკლებად სავარაუდოა, „ევრაზიის კავშირის“ საწინააღმდეგო ან ევროკავშირთან მის დაპირისპირებაზე ორიენტირებულმა რიტორიკამ ბრიუსელსა და სხვა ევროპულ დედაქალაქებში დადებითი გამოხმაურება ჰპოვოს. მითუმეტეს, რომ დღეს საქართველოს და რეგიონის სხვა ქვეყნებს „ევრაზიის კავშირში“ არავინ ეპატიჟება და არავინ ექაჩება.

**თუმცა დღეს სააკაშვილის დაბადების დღეა და, ალბათ, უნდა ვაცალოთ, თავი თეთრ ცხენზე ამხედრებულ რაინდად წარმოიდგინოს, რომელიც ევრაზიის სტეპებში ქიმერის ტიპის ურჩხულებს ებრძვის. მეტიც, შეგვიძლია რაიმე ვაჩუქოთ კიდეც. მამაკაცებს ხშირად ჰალსტუხებს ჩუქნიან, თუმცა სააკაშვილის რეზიდენციაში ჰასტუხის მიტანა დაახლოებით იგივე იქნებოდა, რაც ჩამოხრჩობილის სახლში თოკზე საუბარი, ამიტომ, ალბათ, აჯობებს, სათამაშო დათუნია ვაჩუქოთ, რათა დაეჭიდოს და ძირს დაანარცხოს ხოლმე.**

პირადად მე სააკაშვილს დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ. კლასიკოსები რომ იტყოდნენ, მან დიდხანს, ძალიან დიდხანს უნდა იცოცხლოს, რათა გადადგომის შემდეგ საკუთარი თვალით ნახოს, თუ როგორი ქვეყნის აშენება შეუძლიათ მარაზმატული რეჟიმისგან გათავისუფლებულ ქართველებს. ისიც მინდა, რომ ასე 2045-ში სოხუმში, სკვერში სკამზე ჩამომჯდარი ტანმაღალი, მორიდებული და ზრდილობიანი პენსიონერი ვიხილო, რომელიც შვილთაშვილებთან თამაშით იქნება გართული. უფრო ბედნიერი ფინალის მოფიქრება ამ სევდიანი ისტორიისთვის მე, სიმართლე გითხრათ, არ შემიძლია.



**კაცმა რომ თქვას, ძველად ფრაზისთვის «არავინ აღიქვამს ვითარებას ისე, როგორც ეს რეალურადაა» პაციენტებს შესაბამისი სამკურნალო დაწესებულებიდან გარეთ არ უშვებდნენ, რადგან პრეტენზია ექსკლუზიურობაზე რეალობის ადეკვატური აღქმის ამბავში უაღრესად საგანგაშო სიგნალი არის**

**საააკაშვილი დროს ვერ მიჰყვება. მისთვის ნახევარი საუკუნის წინ გარდაცვლილი სტალინი დღესაც ცოცხალია, ამიტომაც გაუსწორდა მის ძეგლს. თუმცა რა არის 50 წელი 9 საუკუნესთან შედარებით! სააკაშვილმა ხომ დავით აღმაშენებლის ძეგლსაც „მოუგო“ და მის ნაცვლად ვარდების (ისევ ყვავილების!) მოედანზე გიგანტური ველოსიპედი დადგა!**



ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააკაშვილის ბლეკჯეკი

**21 დეკემბერი.
წლის ყველაზე გრძელი ღამე.
მაიას კალენდრით, ნოსტრადამუსისა და ვანგას წინასწარმეტყველებით, 2012 წლის 21 დეკემბერი აღსასრულის დღეა.
პლანეტა ნიბირუ დედამიწას უახლოვდება.
1991 წლის 21 დეკემბერი – ალმა ატაში დსთ-ს დაფუძნება და თბილისში სამხედრო გადატრიალების დასაწყისი.
ვიდრე მთელი მსოფლიო საყოველთაო კატასტროფას ან განახლებულ — მერწყულის ერას ელის 2012 წელს, საქართველო საპარლამენტო არჩევნებისა (ჩვენთან ხომ ყველა არჩევნები ისტორიულია!) და „ქართული ოცნების“ ასრულების მოლოდინშია.**



1600 წელს სამყაროს უსასრულობის განმჭვრეტი ჯორდანო ბრუნო, როგორც ერეტიკოსი, რომში, ყვავილების მოედანზე დაწვეს. 1889 წელს იმავე მოედანზე ბრუნოს ძეგლი დაუდგეს, მაგრამ მისი ნაშრომები 1948 წლამდე ინკვიზიციის მიერ აკრძალული რჩებოდა. 2000 წელს, სიკვდილიდან 400 წლის შემდეგაც კარდინალმა ანჯელო სოდანომ მის დაწვას „სამწუხარო ეპიზოდი“ უწოდა, ხოლო პროგრესულობით ცნობილმა პაპმა იოანე პავლე მეორემ მის რეაბილიტაციაზე უარი განაცხადა.

**1633 წლის 22 ივნისს, წლის ყველაზე გრძელ დღეს, გალილეო გალილეიმ საქვეყნოდ მოინანია და უარყო სამყაროზე საკუთარი შეხედულებები და კოცონს გადაურჩა.**

1512 წელს, ზუსტად 500 წლის წინ, ნიკოლოზ კოპერნიკმა საკუთარი ხელნაწერი ნაშრომი გაავრცელა. მისი კვლევა „ციურ სფეროთა ბრუნვის შესახებ“ (ლათ. – De Revolutionibus Orbium Coelestium – იგი არა მარტო შინაარსით, არამედ სახელწოდებითაც რევოლუციური იყო) ინკვიზიციამ აკრძალა. დღეს ყველამ იცის, რომ კოპერნიკმა გეოცენტრიზმის ეპოქა დაასრულა და დაამტკიცა, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს.

**ცოტამ თუ იცის, რომ მან სხვა კანონზომიერებაც აღმოაჩინა; მყარი კურსის მქონე ფული (მაგალითად, ოქროსი) ნელ-ნელა გაქრება მიმოქცევიდან, რადგან ადამიანები მას დანაზოგის სახით შეინახავენ, ხოლო მიმოქცევაში „იაფი“ ფული (მაგალითად, სპილენძისა) იქნება.**

**დღეს სპილენძის ნაცვლად ქაღალდის კიდევ უფრო იაფი ფულია მიმოქცევაში. ოქროს მარაგზე გაცილებით მეტი დოლარის მასა, რომელიც მთელი მსოფლიოს ეკონომიკის „წილში ზის“, მსოფლიოს კონტროლის მექანიზმად იქცა. სადამ ჰუსეინი იმას შეეწირა, რომ დოლარზე, როგორც გაცვლის ეკვივალენტზე, უარი თქვა.**

სადამი 21-ე საუკუნეში სიკვდილით დასჯილი პირველი სახელმწიფოს მეთაური გახდა. მისი საჯაროდ ჩამოხრჩობის შემდეგ ერაყის მთავრობის საერთაშორისო კოალიციურ ძალებთან თანამშრომლობის კოორდინატორად დანიშნულმა ლიფტი საბერმა, რომელმაც, სადამის წყალობით, სიკვდილმისჯილთა კამერაში 8 წელი გაატარა, თქვა: **„უმჯობესი იქნებოდა, ისევ სადამი დარჩენილიყო ხელისუფლებაში... არავინ არავის ენდობა. შეიქმნა სისტემა, რომელშიც არავინ არაფერს აკეთებს. სადამი ამ განწყობის შეცვლას მოახერხებდა. თუ გადაწყვეტილებას იღებდა, ის სრულდებოდა კიდეც. ადამიანებმა იცოდნენ, რა ეკეთებინათ. ახლა ქვეყანაში ქაოსია, არავინ არაფერს წყვეტს, რადგან პასუხისმგებლობის აღების ეშინიათ... არასოდეს მეგონა, თუ ამას ვიტყოდი, რადგან სწორედ მან მომისაჯა სიკვდილი, მაგრამ მომინდა, კვლავაც სახელმწიფოს სათავეში მდგომი სადამი მეხილა. მხოლოდ მან იცოდა, როგორ აემუშავებინა ღვთისგან დავიწყებული ეს ქვეყანა“.**

სადამმა ალ ფეისალის მონარქია დაამხო, მუამარ კადაფიმ – ემირი იდრის ას-სენუსისა. „მესამე მსოფლიო თეორიის“ ავტორმა ჯამახირია – ხალხთა მასების ძალაუფლება დააფუძნა. როცა მის გადადგომას ითხოვდნენ, კადაფიმ კითხვა დასვა: „საიდან უნდა გადავდგე“? მართლაც, ლიბიური რევოლუციის შემდეგ ხუთეული კადაფის მეთაურობით თანამდებობიდან გადადგა და პროფესიონალებს ანდო ქვეყნის მართვა. თავად კადაფი კი რევოლუციის ბელადად დარჩა. როგორ შეიძლება, „ბელადობიდან“ გადადგე?

**კადაფის გასანადგურებლად, სულ ცოტა, 7 წარუმატებელი თავდასხმა განხორციელდა. საბოლოოდ, ორი თვის წინ, 30 ოქტომბერს, იგი ამბოხებულებმა მოკლეს. 2009 წელს, გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე მან გაეროს უშიშროების საბჭოს „ტერორიზმის საბჭო“ უწოდა. კადაფიმ გაეროს წესდება დაანახა ასამბლეას და თქვა, რომ სამხედრო ძალის გამოყენება ამ წესდების თანახმად მხოლოდ გაეროს წევრი სახელმწიფოების ნებართვით არის დასაშვები, მაგრამ ამ ორგანიზაციის არსებობის მანძილზე დიდმა სახელმწიფოებმა პატარების მიმართ 64 ომი აწარმოეს, გაეროს კი არაფერი გაუკეთებია ამ ომების თავიდან ასაცილებლად. ტყუოდა?**

ტრიბუნიდან ჩამოსვლისას მან დარბაზს ეს სიტყვები ესროლა: **„თქვენ გააჩინეთ ჰიტლერი და არა ჩვენ. თქვენ დევნიდით ებრაელებს. თქვენ მოაწყვეთ ჰოლოკოსტი“!**

უგანდის პრეზიდენტმა მუსევენიმ მისი სიკვდილის შემდეგ თქვა: **„კადაფი ნაციონალისტია, პატრიოტი, რომელიც არავის ემორჩილება. ვერასოდეს გავუგებ დასავლელ ლიდერებს, რომელთაც არ უყვართ დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანები და გიჟდებიან პოლიტიკოს-თოჯინებზე. თოჯინა ხომ ყველასთვის ცუდია. 1945 წლის შემდეგ მხოლოდ იმ ქვეყნებმა გამოაღწიეს „მესამე მსოფლიოდან“ და რეალურ სახელმწიფოებად იქცნენ, რომელთა ლიდერები დამოუკიდებლად აზროვნებდნენ და არა პატრონებს ემსახურებოდნენ: სამხრეთ კორეა, ჩინეთი, სინგაპური, მალაიზია, ბრაზილია, ირანი“.**

კადაფიმდე ლიბიის მოსახლეობის 73% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მისი მმართველობის დასასრულისთვის ლიბიაში ჯანდაცვა და განათლება უფასო იყო; უცხოეთში ლიბიელის განათლების ხარჯს სახელმწიფო იხდიდა; ბინაზე გადასახადი არ არსებობდა; წყალი და ელექტროენერგია უფასო იყო; ლიტრი ბენზინი 14 ცენტი ღირდა; ბინასა და მანქანაზე კრედიტი უპროცენტო იყო; მთელ ქვეყანაში უფასო აფთიაქების ქსელი მოქმედებდა; ახალდაქორწინებულებს სახელმწიფო 64 ათას დოლარს აძლევდა ბინის შესაძენად; ბიზნესის წამოწყებისთვის ერთჯერადი დახმარება 20 ათასი დოლარი იყო; ყოველ ახალდაბადებულს სახელმწიფო 7 ათას დოლარს ჩუქნიდა; ავტომობილის შეძენისას ღირებულების ნახევარს სახელმწიფო ფარავდა, ხოლო სამხედროებისთვის — 65%-ს. **უკანასკნელი მსხვილი პროექტი, რომელიც კადაფიმ განახორციელა, სასმელი წყლის საჰარის მიწისქვეშა რეზერვუარებიდან 4 მეტრის დიამეტრის მილსადენებით გადმოგდება იყო, რომელმაც საბოლოოდ მოაგვარა ლიბიაში სასმელი წყლის პრობლემა.**

მათ, ვინც ფიქრობს, რომ დიქტატორს ვქომაგობ, შევახსენებ: ყველაფერი ისე არ არის, როგორც გლობალური მედია ჩაგვჩიჩინებს. ზოგჯერ მოვლენათა წვდომას ჩაფიქრება სჭირდება. სამყარო შავთეთრი არ არის. არც ჩვენ ვიცით ყველაფერი.

**2007 წლის 21 დეკემბერს კათოლიკოს-პატრიარქმა ბიძინა ივანიშვილს წმიდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენი გადასცა. ორი წლის შემდეგ იმავე ორდენით სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორი როლანდ ახალაია დაჯილდოვდა. აწ გარდაცვლილმა აკადემიკოსმა შოთა ნადირაშვილმა მაშინ თქვა: „თუ ადამიანი არ იმსახურებს და მას მაინც კეთილად ექცევიან, ეს არის მცდელობა, სიკეთით დაამარცხონ მასში არსებული ბოროტება“.**

2011 წლის 26 მაისის სისხლიანი დარბევის შემდეგ აღლუმზე კი მიხეილ სააკაშვილმა როლანდ ახალაია სულაც ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, **„70-იანი წლების შემდეგ კორუფციასთან, უკანონობასთან და მაფიასთან ხმალამოღებული, თავდადებული ბრძოლისთვის“!**

1970 წელს ახალაია ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობდა კოლმეურნედ, 1973 წელს – თბილისის საშენ მასალათა მომარაგება-გასაღების სამმართველოში დამხმარე მუშად, 1973-1978 წლებში თსუ-ში სწავლობდა, 1978 წლიდან ლანჩხუთის რაიონში სტაჟიორი იყო, ხოლო 1979 წელს კომპარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი გახდა. მხოლოდ 1981 წელს დაიწყო ახალაიამ სამსახური ზუგდიდის პროკურატურაში. როგორ მოასწრო მან „70-იანი წლებიდან კორუფციასთან, უკანონობასთან და მაფიასთან ხმალამოღებული, თავდადებული ბრძოლა“, ამაზე მატიანე დუმს. დღემდე ცნობილი იყო, რომ იმ დროს კორუფციას და ნათლიმამობას (მაფია არ არსებობდა და ამიტომ მარიო პიუზოს რომან „ნათლიმამას“ სახელწოდების პერიფრაზი გამოიყენებოდა) საქართველოს კომპარტიის ახალგაზრდა პირველი მდივანი – ედუარდ შევარდნაძე ებრძოდა.

**1994 წლის 21 დეკემბერს კი შევარდნაძე ხელს აწერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს „საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისთვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ“. სტალინმა ლენინის მიერ დაშვებული კონცესიები 30-იან წლებში პრაქტიკულად გააუქმა, ხოლო 60 წლის შემდეგ ჩვენ ისევ უცხო „პატრონები“ შემოვუშვით საქართველოში, რომლებიც საკუთარი მოგებისთვის ყველაფერზე მიდიან.**

21 დეკემბერი – სტალინის, მიხეილ სააკაშვილის და ირაკლი ალასანიას დაბადების დღე. რა აქვთ მათ საერთო? არაფერი, გარდა იმისა, რომ ყველა მათგანის დაკავშირება შეიძლება ედუარდ შევარდნაძესთან. სტალინის დროს მან კომკავშირული კარიერა დაიწყო, 1956 წელს, სტალინის დასაცავად გამოსული ახალგაზრდების მიტინგი იყო მისი რეალურ პოლიტიკოსად ჩამოყალიბების მომენტი; მიხეილ სააკაშვილი, პოლიტიკურ კარიერაში მისი წინამორბედის მიერ შეტანილ წვლილზე რომ არაფერი ვთქვათ, სამი ედუარდის პატრონია (შევარდნაძე, სიმამრი და შვილი, რომელიც დღესაც ვერავინ გაარკვია, შევარდნაძის სახელს ატარებს თუ ბაბუამისისას); ირაკლი ალასანია, რომლის მამაც შევარდნაძის დროს მსახურობდა უშიშროების სამსახურში, ხოლო მისი დაღუპვის შემდეგ იგი შევარდნაძის მთავრობის უშიშროების მინისტრის მოადგილე იყო.

2010 წელს სააკაშვილის ხელისუფლებამ გორში სტალინის ძეგლი აიღო. ამ ძეგლის კვარცხლბეკთან 2003 წელს, ასევე 21 დეკემბერს დაბადებული სააკაშვილი გორელებს ეფიცებოდა, რომ მათი უკეთესი მერმისისთვის უნდა მოსულიყო ხელისუფლებაში. მოვიდა კიდეც, თუმცა 5 წელიწადში სამაჩაბლოსთან ერთად კინაღამ გორიც ჩააბარა და, რაკი რუსმა ჯარისკაცებმა გივი თარგამაძის შეპირებული ფულის სანაცვლოდაც კი არ ააფეთქეს სტალინის ძეგლი, ღამით ქურდულად აიღო იგი.

**„როცა მოვკვდები, ჩემს საფლავს ბევრ ნაგავს მიაყრიან, მაგრამ დროის ქარი უმოწყალოდ გადახვეტს მას,“** – უთქვამს სტალინს.

**„დრო არასოდეს არ მოდის, იგი მიდის და ვინც მას არ გაჰყვება, დაიღუპება,“** – წერდა 30-იან წლებში რეპრესირებული მიხეილ ჯავახიშვილი.

**სააკაშვილი დროს ვერ მიჰყვება. მისთვის ნახევარი საუკუნის წინ გარდაცვლილი სტალინი დღესაც ცოცხალია, ამიტომაც გაუსწორდა მის ძეგლს. თუმცა რა არის 50 წელი 9 საუკუნესთან შედარებით! სააკაშვილმა ხომ დავით აღმაშენებლის ძეგლსაც „მოუგო“ და მის ნაცვლად ვარდების (ისევ ყვავილების!) მოედანზე გიგანტური ველოსიპედი დადგა!**

2007 წელს სალომე ზურაბიშვილმა კი იძახა, „ქაჯები არ მოდიან, ქაჯები მიდიანო“, მაგრამ მას შემდეგ ქაჯები საქართველოში მომრავლდნენ, წასვლას კი არ ჩქარობენ. ციფრების მაგიით გატაცებულმა სააკაშვილმა 21 დეკემბერიც და 23 ნოემბერიც სათავისოდ გამოიყენა. **„ქართული ოცნება“ 2011 წლის 11 დეკემბერს დაფუძნდა. ნოემბერში რომ მოხერხებულიყო, მისი თარიღი 11.11.11 იქნებოდა. ციფრები არაფერ შუაშია, მთავარია შინაარსი, თორემ სამაჩაბლოს დაბრუნება სააკაშვილმა 08.08.08-ში დააპირა!** რაც შეეხება 21-ს, ეს აზარტული თამაშია. ადრე რუსული მანერით „აჩკოს“ ეძახდნენ, ახლა ამერიკულად „ბლეკჯეკად“ მონათლეს. მარტივი თამაშია: კარტის შეძენით, რაც შეიძლება, მეტი ქულა უნდა დააგროვო, მაგრამ არაუმეტეს 21-ისა, თორემ „ჩაიწვები“. 21 დეკემბერს დაბადებული სააკაშვილი უკვე „ჩაიწვა“, მაგრამ ამის დაჯერება არ სურს.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოსკოვში არაერთგზის მიანიშნეს, რომ ჩვენი ქვეყნის მთლიანობის აღდგენის საკითხის განხილვაზე შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში წავიდნენ, თუ საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი გარანტირებულად არ გახდება. თუ რუსებს ეცოდინებათ, რომ ქართველი პარტნიორები, პროგრამის მეორე პუნქტად ნატო-ში გაწევრიანებას განიხილავენ, სასაუბროდ, უბრალოდ, არ დაჯდებიან. თუ მოტყუებას ვუპირებთ, აი ასე, პირდაპირ ეთერში გეგმების გაჟღერებით?**

გასული კვირის ყველაზე რეზონანსული განცხადებები გრიგოლ ვაშაძემ, ირაკლი ალასანიამ და ჯონ ბასმა გააკეთეს. საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა ის, რასაც ბევრი ადამიანი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ დიდხანს ელოდა. „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა თქვა ის, რასაც არავინ ელოდა, თუმცა სოციალურ ქსელებში საინტერესო დისკუსიის გამოწვევა ნამდვილად მოახერხა. რაც შეეხება აშშ-ის ელჩს, მას რევოლუციური არაფერი უთქვამს, თუმცა ვინაიდან მის ნებისმიერ ფრაზას დღევანდელ საქართველოში უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე დელფოს ორაკულის წინასწარმეტყველებებს ანტიკურ საბერძნეთში, ალბათ, მიზანშეწონილია, ყურადღება მის ნათქვამსაც მივაქციოთ. სამივე განცხადება ახლო მომავალს ეხებოდა, რაც საზოგადოებას, შესაძლოა, უფრო მეტად აინტერესებს, ვიდრე აწმყო, რომელშიც ყველაფერი, ალბათ, ისედაც ცხადი და გარკვეულია.







**გასაგებია, რომ ირაკლი ალასანია დღეს მოწადინებულია, ამერიკელ პარტნიორებს დაუმტკიცოს, რომ ის თავის პოლიტიკურ მოკავშირეებთან ერთად სააკაშვილზე უფრო პროამერიკულია, თუმცა ამომრჩევლის დარწმუნებას იმაში, რომ ორივე მიზანი სავსებით ხელმისაწვდომია, პასუხისმგებლობით აღსავსე ნაბიჯს, ალბათ, მაინც ვერ ვუწოდებთ**

# ან მწვადი, ან შამფური...

### იმედია, არ გადათქვამენ

**გრიგოლ ვაშაძე „BBC“-ის სტუდიაში ოდნავ დაუვარცხნელი თმითა და ზომიერად ექსტრავაგანტური შარფით იჯდა, თუმცა იმის გათვალისწინებით, თუ როგორ გამოიყურება ხოლმე ხელისუფლების პირველი პირი, ის სავსებით რესპექტაბელური ჯენტლმენის შთაბეჭდილებას ტოვებდა.**

ისე, ვაშაძე სტუდიაში აკვალანგითაც რომ მისულიყო, ყურადღება მაინც არა ამ ფაქტზე, არამედ მის განცხადებაზე გამახვილდებოდა, რადგან საგარეო საქმეთა მინისტრმა საკმაოდ მნიშვნელოვანი რამ თქვა: **„არავის, არც ერთ ადამიანს მსოფლიოში, ჯერ არ დაუდასტურებია პრეზიდენტის განზრახვა — პრემიერ-მინისტრი გახდეს. ხოლო როგორც მისი გუნდის წევრი, მე ახლა სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით: ეს პრეზიდენტის გეგმებში არ შედის“.**

საინტერესო კია, რამდენს იწონის ვაშაძის „სრული პასუხისმგებლობა“, მაგრამ ამ თემაზე სქოლასტიკური კამათის გამართვის ნაცვლად, ალბათ, აჯობებს იმის აღნიშვნა, რომ მინისტრის პასაჟი, დიდი ალბათობით, მიზნად იმ ნეგატიური განწყობის თუნდაც ნაწილობრივ განეიტრალებას ისახავდა, რომელიც დასავლეთში სააკაშვილის პრემიერის სავარძელში შესაძლო გადმოსკუპებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა. მსგავსი რამ ცალსახად და არაორაზროვნად პირველად ითქვა. რა იყო ეს: სააკაშვილის ხელისუფლების ადეკვატურობის დემონსტრირება თუ მისი მორიგი ტაქტიკური ხრიკი?

ერთის მხრივ, გვაქვს ვაშაძის ეს განცხადება; მეორეს მხრივ კი, ნუგზარ წიკლაურის „სააკაშვილი 2013 წლის შემდეგაც ცენტრალურ როლს შეასრულებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში“; ფორმალური თვალსაზრისით, ერთი მეორეს არ გამორიცხავს. არსებობს სხვადასხვა შუალედური ვარიანტები, რომლებიც სააკაშვილის მიერ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის დაკავებას ან სულაც, მმართველი ჯგუფის არაფორმალური ლიდერის, ერთგვარი „ქართველი დენ სიაოპინის“ როლის შესრულებას ითვალისწინებს; იმედია, დიდი ჩინელის აჩრდილი ამ უხერხული შედარების გამოყენებას მოგვიტევებს. თუმცა ნებისმიერი ასეთი ვარიანტი ამა თუ იმ ფორმით ხელისუფლებაზე „ნაციონალური მოძრაობის“ მონოპოლიის შენარჩუნებას ითვალისწინებს და ამ კონტექსტში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, პრემიერ-მინისტრი იქნება სააკაშვილი 2013 წლის შემდეგ თუ მთავარი შამანი.

პრობლემა, ალბათ, არა იმდენად თანამდებობაშია, არამედ იმ მეთოდებში, რომელთაც სააკაშვილი და მისი ჯგუფი ხელისუფლების შენარჩუნებისთვის იყენებს. იმ უპრეცედენტო ნაბიჯების მიმოხილვის შემდეგ, რომლებიც მათ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ გადადგეს, „World Politics Review“-ში შემდეგი შეფასება გაკეთდა: **„ცხადია, რომ სახელმწიფო პოლიტიკური რეპრესიების მოზღვავებული მტკიცებულებების ფონზე, საქართველოს დასავლელ ადვოკატებს თავიანთი ფუნქციების შესრულება სულ უფრო გაუჭირდებათ“.**

**აზარტში შესული სააკაშვილი, შესაძლოა, ვერ გრძნობს, რომ უკვე გადალახა ზღვარი, რომლის მიღმა მისი მხარდაჭერა დასავლელი პარტნიორებისთვის მეტად პრობლემური გახდა. იმ მშფოთვარე თუ არაფსიქოზურ ატმოსფეროში, რომელიც (გადმოცემით) დღეს ავლაბრის რეზიდენციაში სუფევს, ალბათ, მართლაც ძნელია, ვითარება ჯეროვნად შეაფასო და ეს ცვლილებები დააფიქსირო.**

**გამორიცხული არაა, რომ საქმე შემდეგ გათვლასთან გვაქვს: სააკაშვილის ჯგუფი ხელისუფლების შენარჩუნებას ყველა მეთოდის გამოყენებით შეეცდება, რომელთა შორის, უპირველესად, ალბათ, არჩევნების გაყალბება უნდა ვიგულისხმოთ. მაგრამ ამავე დროს, ადგილი ექნება გარკვეულ რევერანსებს დასავლეთის მისამართით და სააკაშვილი პრემიერ-მინისტრის სავარძელში არ ჩაჯდება; ამ პოსტს მმართველი ჯგუფის რომელიმე სხვა წარმომადგენელს ჩააბარებენ, ვინც თვითმავალი დეკორაციის როლს შეასრულებს.** ამასთან, არჩევნების მორიგი გაყალბება, დიდი ალბათობით, უპრეცედენტოდ მასშტაბურ პროტესტს გამოიწვევს და, ხელისუფლებამ მისი პირველი ტალღის ჩახშობა რომც მოახერხოს, პრობლემა ამით არ მოიხსნება და ქვეყანაში უმწვავესი პოლიტიკური კრიზისი დაიწყება. ამ სიტუაციიდან, სავარაუდოდ, ერთადერთი გამოსავალი არსებობს და მას ერთპარტიული მონოპოლიის დემონტაჟი ჰქვია, თუმცა სააკაშვილის ხელისუფლება ამისთვის, როგორც ჩანს, მზად არ არის.

ვაშაძის განცხადება თითქოსდა მიანიშნებს იმაზე, რომ ხელისუფლება მოწადინებულია დემოკრატიული ფასადის შენარჩუნებაზე იზრუნოს, მაგრამ საეჭვოა, დასავლელი პარტნიორები მხოლოდ ამით დაკმაყოფილდნენ. არა იმიტომ, რომ საქართველოში დემოკრატიის აყვავების გამო მზად არიან, თავი მოიკლან, უბრალოდ, სააკაშვილის მიერ ხელისუფლების შენარჩუნება დღევანდელი მეთოდებით შეიძლება სრულმასშტაბიანი საპროტესტო „აფეთქებით“ დაგვირგვინდეს, რაც მათ პოზიციებს საქართველოში მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის. ამასთანავე, ოდიოზური ერთპარტიული დიქტატურის მხარდაჭერა ერთობ პრობლემურია და, თუნდაც პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე, დასავლეთი (უპირველესად, — აშშ) დღევანდელი სისტემის დემონტაჟს, სავარაუდოდ, არ შეეწინააღმდეგება.

**არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, პრემიერ-მინისტრი იქნება სააკაშვილი 2013 წლის შემდეგ თუ მთავარი შამანი. პრობლემა, ალბათ, არა იმდენად თანამდებობაშია, არამედ იმ მეთოდებში, რომელთაც სააკაშვილი და მისი ჯგუფი ხელისუფლების შენარჩუნებისთვის იყენებს**

### თქვენ უსმენთ „ამერიკის ხმას“ ვაშინგტონიდან

**„თუ საარჩევნოდ იქნება აშკარა დარღვევები ან აშკარად ხელისშემშლელი ფაქტები, რაც ხელს შეუშლის არჩევნების ღიად და კონკურენტულ გარემოში ჩატარებას, ჩვენ ძალიან მკაფიო პოზიცია გვექნება,“ — განაცხადა ჯონ ბასმა შეხვედრაზე რეგიონული მედიასაშუალებების ჟურნალისტებთან** („მედიანიუსი“).

ერთი შეხედვით, ეს გასაგები, არაორაზროვანი სიგნალია როგორც ხელისუფლებისთვის, ისე საზოგადოებისთვის, თუმცა ორგზის გამეორებულმა სიტყვამ „აშკარა“ შეიძლება პროვოკაციული (და ერთობ სპეკულატიური) კითხვა წარმოშვას: **რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ დარღვევები მეტნაკლებად შენიღბული იქნება? 26 მაისის ცნობილი განცხადების შემდეგ, ნდობა ჯონ ბასის მიმართ ქართულ საზოგადოებაში მნიშვნელოვნად შეირყა და ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, ვინმემ გლობალური დასკვნები მხოლოდ ამ ერთ ფრაზაზე დაყრდნობით გააკეთოს, მითუმეტეს, რომ ბოლომდე ცხადი არ არის, რა ფორმა ექნება ამ „ძალიან მკაფიო პოზიციას“.**

ალბათ, ამ შემთხვევაში სასურველია, ყურადღება ელჩის გამოსვლის ზოგად ტონალობასაც მივაქციოთ. ერთი აშკარად კრიტიკული პასაჟი მასში ნამდვილად იყო: **„საინტერესოა, რა პრინციპით არჩევენ ნაციონალური ტელეარხები იმ თემებს, რომლებსაც აშუქებენ. ამას მივყავართ უფრო დიდ შეკითხვამდე: ვინ არიან ამ მაუწყებლების მფლობელები? ვინ განსაზღვრავს სარედაქციო პოლიტიკის ფორმირებას ამ არხებზე? თქვენ, როგორც ჟურნალისტებს, მე, როგორც სტუმარს ამ ქვეყანა-**

▶

მოკლედ

## კადაფის მკვლელობა სამხედრო დანაშაულია



**სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარი პროკურორის — ლუის მორენო-ოკამპოს განაცხადებით, „ლიბიის ყოფილი ლიდერის მუამარ კადაფის მკვლელობის გამოძიებისას სამხედრო დანაშაულის ნიშნები იკვეთება.** ამაზე ვიდეოჩანაწერები და თვითმხილველთა ჩვენებები მეტყველებს. ლიბიის ახალი ხელისუფლება დამპირდა, რომ მუამარ კადაფის და მისი ვაჟის მუთასიმის სიკვდილის გარემოებებს გამოიძიებს“, — განაცხადა ლუის მორენო-ოკამპომ. შეგახსენებთ, რომ პოლკოვნიკი კადაფი მშობლიურ ქალაქ სირტში 20 ოქტომბერს მოკლეს.

## ისლანდიამ პალესტინა აღიარა

**ისლანდიის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, პალესტინის დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღიაროს. ისლანდია პირველი ევროპული ქვეყანა გახდა, რომელიც ამ ნაბიჯს დგამს.** „ახლა მე ყველა უფლებამოსილება მაქვს, რათა ამ ქვეყნის ფორმალური აღიარების შესახებ განვაცხადო“, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა ოსსურ სკარფედისონმა. პარლამენტის გადაწყვეტილების თანახმად, რეიკიავიკმა პალესტინა 1967 წლამდე არსებულ საზღვრებში აღიარა. ამავე რეზოლუციაში დეპუტატებმა ებრაელებსა და პალესტინელებს მოუწოდეს, მშვიდობიანი დიალოგი არ შეწყვიტონ და კონფლიქტის დარეგულირების გზა ეძებონ.

**რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ დარღვევები მეტ-ნაკლებად შენიღბული იქნება? 26 მაისის ცნობილი განცხადების შემდეგ, ნდობა ჯონ ბასის მიმართ ქართულ საზოგადოებაში მნიშვნელოვნად შეირყა და ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, ვინმემ გლობალური დასკვნები მხოლოდ ამ ერთ ფრაზაზე დაყრდნობით გააკეთოს, მითუმეტეს, რომ ბოლომდე ცხადი არ არის, რა ფორმა ექნება ამ „ძალიან მკაფიო პოზიციას“.**



საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀შI, თითოეულ მოქალაქეს აინტერესებს, რომელი ახალი ამბები უნდა მიეწოდებოდეს მაყურებელს და რომელი არა. ეს პირდაპირ კავშირშია მედიასაშუალებების სანდოობის ხარისხთან და ობიექტურობასთან. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ არიან ამ კომპანიების მფლობელები“** („Media.ge).

ერთი შეხედვით, აქ ყველაფერი ცხადია; დარტყმა ძლიერი იყო, როგორც მოჰამედ ალის აპერკოტი. ის ფაქტი, რომ ე.წ. ნაცონალური არხების პრობლემა არსებობს და გადაწყვეტას საჭიროებს, ეჭვს არ იწვევს. **მაგრამ ვინაიდან საუბარი ამ თემაზე მიდგა, შეგვიძლია კიდევ ერთ მედიასაშუალებაზე ვისაუბროთ. მისი მფლობელის ვინაობა 1942 წლიდან გარკვეულია: „ამერიკის ხმა“ აშშ-ის ფედერალურ მთავრობას ეკუთვნის. იმის დაკვირვება, თუ როგორ აწვდის ის ახალ ამბებს მსმენელებს, ელჩისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება.**

**მაშ ასე, 12 დეკემბერი. „ამერიკის ხმა“ ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“ პრეზენტაციას აშუქებს: „IN HIS OPENING SPEECH, IVANISHVILI SAID THE MOVEMENT WILL CHALLENGE THE RULE OF PRO-WESTERN PRESIDENT MIKHEIL SAAKASHVILI. HE SAID THE COUNTRY'S LEADERSHIP HAS COMPLETELY EXHAUSTED...“. ბიძინა ივანიშვილს არც ამ პრეზენტაციაზე და არც არასოდეს არ უთქვამს, რომ ის ან მისი მოძრაობა „პროდასავლური პრეზიდენტის“ და მისი მმართველობის წინააღმდეგ გამოდის, ან მისთვის „გამოწვევა“ გახდება; არც ის უთქვამს, რომ რაიმე „პროდასავლურს“ უპირისპირდება. ის ამბობს, რომ უპირისპირდება სააკაშვილს და მის ხელისუფლებას, ამასთან, მათ „პროდასავლურს“ არ უწოდებს. მიუხედავად ამისა, „ამერიკის ხმის“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში, სიტუაცია წარმოდგენილია ისე, თითქოს ივანიშვილმა ბრძოლაში „პროდასავლური პრეზიდენტი“ გამოიწვია.** თანაც, ფორმალურად „ამერიკის ხმას“ ძნელად თუ შეედავები, რადგან პირველ ფრაზაში, მეორისგან განსხვავებით, ბრჭყალები არ არის, შესაბამისად, ადგილი არა ზუსტ ციტირებას, არამედ აზრის გადმოცემას აქვს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ სიტყვების „Ivanishvili said“ („ივანიშვილმა თქვა“) შემდეგ ჩასმულია სააკაშვილის დახასიათება, როგორც „pro-Western President“ („პროდასავლური პრეზიდენტის“). გათვლა, სავარაუდოდ, იმაში მდგომარეობდა, რომ ინფორმაციის მომხმარებელი მას, ვინც „პროდასავლურს“ უპირისპირდება, აღიქვამს როგორც „ანტიდასავლურს“. **საინტერესო კია, როგორ შეაფასებდა ჯონ ბასი აშშ-ის ხელისუფლების კონტროლქვეშ მყოფი მედიასაშუალების ასეთ მუშაობას.**

ძნელი სათქმელია, იცის თუ არა მარჯვენა ხელმა ვაშინგტონში, თუ რას აკეთებს მარცხენა, მაგრამ, სავარაუდოდ, არც ერთი, არც მეორე კარტებს ბოლო მომენტამდე არ გახსნიან. ალბათ, ამიტომ სასურველია, ამერიკელი პარტნიორების განცხადებებიდან გლობალური დასკვნები არ გამოვიტანოთ; ტრადიციადქცეული მკითხაობა „ვაშინგტონის მესიჯებზე“, როგორც ყავის ნალექზე, პოზიტიურ შედეგამდე, ალბათ, არ მიგვიყვანს.

## „И РЫБКУ СЪЕСТЬ, И КОСТОЧКОЙ НЕ ПОДАВИТЬСЯ“

სამი განხილული განცხადებიდან ყველაზე საინტერესო და საკამათო ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში ირაკლი ალასანიამ გააკეთა. **„საქართველო არ უნდა დადგეს არჩევანის წინაშე: ან ნატო-ს წევრობა, ან ტერიტორიული მთლიანობა,** — თქვა ალასანიამ, — **ჩვენ ასეთი არჩევანი არავის არ უნდა გავაკეთებინოთ, განსაკუთრებით, ჩვენს მოწინააღმდეგეებს, ამ შემთხვევაში — რუსეთის ფედერაციას. ჩვენ ნატო-ს წევრობა გვსურს. ეს ქართველი ხალხის გადაწყვეტილებაა და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღვადგინოთ. ჯერ უნდა აღვადგინოთ და შემდეგ გავხდებით ნატო-ს წევრები. თუკი საქმე იქამდე მივიყვანეთ, რომ დადგეს საკითხი „ან — ან“, ჩვენ წარუმატებელი პოლიტიკური ძალა ვყოფილვართ. ესაა სააკაშვილის მემკვიდრეობა. მან ასეთი რეალობის წინაშე დაგვაყენა: ან რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება, ან დამოუკიდებელი საქართველო, მაგრამ რუსეთის ბაზრისა და დაკარგული ტერიტორიების გარეშე. ჩვენ ეს უნდა შევცვალოთ“.**

მოკლედ, ზემოთ ნახსენებ რუსეთის ფედერაციაში რომ იტყვიან, ,,თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი გვთავაზობს ,,И рыбку съесть, и косточкой не подавиться“. „სააკაშვილის მემკვიდრეობასთან“ დაკავშირებული სიტუაცია ალასანიამ საკმაოდ ზუსტად აღწერა, მაგრამ საინტერესოა, თუ როგორ წარმოუდგენია მას ორივე მიზნის მიღწევა. ციტატა იმავე გადაცემიდან: **„როცა ბირთვულ სახელმწიფოსთან კონფლიქტში ხარ, შანსები, ნატო-ს წევრი გახდე, მცირეა. არავის უნდა ეს კონფლიქტი ნატო-ს შიგნით შეიტანოს. საქართველო რუსეთის გადაწყვეტილებით ვერასდროს დაიბლოკება. ერთადერთი, რაც რუსეთს საქართველოს გაწევრიანებას დააბლოკინებს, საქართველოს რეგრესია დემოკრატიაში. ასე რომ, რუსეთსაც უნდა დავუმტკიცოთ, რომ მისი აგრესიის შემდეგ ჩვენ ფეხზე დავდექით, განვითარება გავაგრძელეთ და ყველა არგუმენტი გამოვაცალოთ იმისა, რომ საქართველო არშემდგარი დემოკრატიაა. როცა შემდგარი დემოკრატია გავხდებით, ჩვენს მხარდამჭერებს მეტი არგუმენტები ექნებათ, რუსეთზე ზეწოლა ერთობლივად განვახორციელოთ, რომ ჯარები გაიყვანოს და საქართველო ნატო-ს წევრი გახდეს“** („პირველი“).

ისე, იმავე ფედერაციაში, მაშინ, როდესაც იმპერია იყო, ცხოვრობდა გენიალური მწერალი გოგოლი, რომლის ნაწარმოებში „მკვდარი სულები“ ფიგურირებდა პერსონაჟი გვარად მანილოვი; რეალობასმოწყვეტილ მეოცნებეებს ჩრდილოეთში ხშირად ასე იხსენიებენ. ალასანიას განცხადებაში, ალბათ, მაინც იყო რაღაც ისეთი, რაც მანილოვის მონოლოგებს მოგაგონებთ.

**ერთის მხრივ, პროგრესი სახეზეა: ალასანიამ, ფაქტობრივად, უარყო ძალზე სახიფათო ლოზუნგი „შევიდეთ ნატო-ში ტერიტორიების გარეშე“, რომელსაც სააკაშვილის ზოგიერთი მომხრე აფრიალებს, თუმცა ამავე დროს, მან იგივე ტაქტიკა შემოგვთავაზა, რაც დღევანდელმა ხელისუფლებამ — ზეწოლა რუსეთზე დასავლელ მხარდამჭერებთან ერთად.**

დღეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსული ჯარი დგას. კრემლი მიანიშნებს, რომ ის მზად არის, უკიდურეს ზომებს მიმართოს, მათ შორის, იომოს იმისთვის, რომ საქართველო ნატო-ს წევრი არ გახდეს. ამ კონტექსტში საქართველოს ნებისმიერი ნაბიჯი ნატო-სკენ არის ნაბიჯი ომისკენ. და უცებ რუსეთი (დარცხვენილი? შეშინებული?) დატოვებს დაკავებულ პლაცდარმებს და წავა, რათა შორიდან თვალი მიადევნოს იმას, თუ როგორ გაწევრიანდება გაერთიანებული საქართველო ნატო-ში? ამასთანავე, **მოსკოვში არაერთგზის მიანიშნეს, რომ ჩვენი ქვეყნის მთლიანობის აღდგენის საკითხის განხილვაზე შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში წავიდნენ, თუ საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი გარანტირებულად არ გახდება. თუ რუსებს ეცოდინებათ, რომ ქართველი პარტნიორები პროგრამის მეორე პუნქტად ნატო-ში გაწევრიანებას განიხილავენ, სასაუბროდ, უბრალოდ, არ დაჯდებიან. თუ მოტყუებას ვუპირებთ, აი ასე, პირდაპირ ეთერში გეგმების გაჟღერებით?**

მოსკოვს, პრინციპში, დიდად არ ანაღვლებს, როგორი დემოკრატია იქნება საქართველოში — შემდგარი, არშემდგარი თუ გადამდგარი. რეალურად, ეს არგუმენტი მისთვის მეორეხარისხოვანია, მაგრამ დავუშვათ, რომ ეს მართლაც ცენტრალური არგუმენტია და წარმოვიდგინოთ, რომ საერთო ძალისხმევით ის მოსკოვს გამოვაცალეთ. რას გააკეთებს კრემლი, თუ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხი იმ მომენტისთვის დღის წესრიგიდან მოხსნილი არ იქნება? ის, დიდი ალბათობით, შეეცდება, მოიპოვოს ახალი, დამატებითი არგუმენტი, რომელიც ნატო-ს ევროპელ წევრებს ალიანსში საქართველოს გაწევრიანებას დაბლოკინებს. ეს „ახალი არგუმენტი“ კი შეიძლება ისევ მსხვერპლისა და ახალი ტერიტორიების ფასად დაგვიჯდეს. სად მივყავართ რეალურად ამ გზას? (ცხადია, თქმული არ ნიშნავს, რომ არშემდგარ დემოკრატიად უნდა დავრჩეთ ან სააკაშვილის პოლიტიკა გავაგრძელოთ).

**16 დეკემბერს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ერიკ რუბინთან შეხვედრის შემდეგ ალასანიამ თქვა: „ვისაუბრეთ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებაზე და ვთხოვეთ ამერიკის წარმომადგენელს, რომ ამერიკამ მტკიცედ დაუჭიროს მხარი ჩიკაგოს სამიტზე, რომ საქართველოს წვლილი ნატო-ში სპეციალურად იყოს აღნიშნული და საქართველო უფრო მიუახლოვდეს ნატო-ში გაწევრიანებას“ („ინტერპრესნიუსი“). საინტერესოა, სად იგულისხმებოდა აქ „ჯერ“ გამთლიანება და მხოლოდ „შემდეგ“ გაწევრიანება?**

გასაგებია, რომ ირაკლი ალასანია დღეს მონადინებულია, ამერიკელ პარტნიორებს დაუმტკიცოს, რომ ის თავის პოლიტიკურ მოკავშირეებთან ერთად სააკაშვილზე უფრო პროამერიკულია, თუმცა ამომრჩევლის დარწმუნებას იმაში, რომ ორივე მიზანი სავსებით ხელმისაწვდომია, პასუხისმგებლობით აღსავსე ნაბიჯს, ალბათ, მაინც ვერ ვუწოდებთ. სამწუხაროა, მაგრამ სააკაშვილის გამო არჩევანი „ან — ან“ დღეს ნამდვილად დგას და საქართველოს გათავისუფლება მისგან ხელშესახებ პერსპექტივაში პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანს. რას ვამჯობინებთ: რეალობისთვის თვალის გასწორებას თუ ილუზიებში ჩაყვინთვას? ასეა თუ ისე, ირაკლი ალასანიას გამოსვლამ ბიძგი საინტერესო დისკუსიის დაწყებას მისცა, რომელიც, ალბათ, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გაგრძელდეს.

**დიმიტრი მონიავა**



**აზარტში შესული სააკაშვილი, შესაძლოა, ვერ გრძნობს, რომ უკვე გადალახა ზღვარი, რომლის მიღმა მისი მხარდაჭერა დასავლელი პარტნიორებისთვის მეტად პრობლემური გახდა. იმ მშფოთვარე თუ არაფსიქოზურ ატმოსფეროში, რომელიც (გადმოცემით) დღეს ავლაბრის რეზიდენციაში სუფევს, ალბათ, მართლაც ძნელია, ვითარება ჯეროვნად შეაფასო და ეს ცვლილებები დააფიქსირო**

**«სააკაშვილმა ასეთი რეალობის წინაშე დაგვაყენა: ან რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება, ან დამოუკიდებელი საქართველო, მაგრამ რუსეთის ბაზრისა და დაკარგული ტერიტორიების გარეშე. ჩვენ ეს უნდა შევცვალოთ»**

## აშშ-ს ვასალები სჭირდება

**რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის განცხადებით, „აშშ-ს არა პარტნიორები, არამედ ვასალები სჭირდება“.** როგორც მან გადაცემაში „საუბარი ვლადიმერ პუტინთან“ განაცხადა, „აშშ-ის ურთიერთობებს სხვა ქვეყნებთან არ შეიძლება თანამშრომლობა ეწოდოს. ის, რასაც მე ახლა ვხედავ და ის, რის შესახებაც მე მიუნჰენში ვსაუბრობდი, მოკავშირეობა არ არის. ხანდახან მეჩვენება, რომ ამერიკას არა მოკავშირეები, არამედ ვასალები სჭირდება. თუმცა, ჩვენ გვსურს და აშშ-სთან ურთიერთობებს ავაშენებთ“, — განაცხადა პრემიერმა.



## მედვედევმა ობამას კორექტულობისკენ მოუწოდა

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ამერიკელ კოლეგას ბარაკ ობამას რუსეთის არჩევნების შეფასებაში კორექტულობისკენ მოუწოდა.** სატელეფონო საუბრის დროს მედვედევმა ობამას განუცხადა, რომ „რუსეთის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით აშშ-ის ხელისუფლების ტონალობა მისთვის მიუღებელია“. „მე, რა თქმა უნდა, იძულებული ვიყავი, მისთვის მეთქვა: თქვენ შეგიძლიათ, როგორც გინდათ, ისე შეაფასოთ არჩევნები, ეს თქვენი საქმეა და ამას ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ დიდი, ძლიერი, სუვერენული ქვეყანა ვართ, თუმცა ყველა შეფასება კორექტული უნდა იყოს“, — განაცხადა მედვედევმა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვენი ხელისუფლება იქნება ის ხელისუფლება, რომელიც გააწევრიანებს საქართველოს ევროსაბჭოში, ევროატლანტიკურ სივრცეში. სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ძალიან შენელდა ეს პროცესი. ამასთან ერთად, აუცილებლად მიგვაჩნია რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, რაც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს არ აქვს საშუალება გაწევრიანდეს ნატოში."

# «რუსეთს არავინ ეკითხება საქართველოს ნატოში გაწევრიანებას!»



ირაკლი ალასანია:

# ჩვენ ყველა ძალასთან ვითანამშრომლებთ, მათ შორის, სააკაშვილთანაც...

**„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი ირაკლი ალასანია ფიქრობს, რომ დღეს ქვეყნის მოსახლეობა მზად არის ცვლილებებისთვის. თუკი არჩევნები გაყალბდება და პარლამენტში მეორე ადგილს მოიპოვებენ, არც ამით დაშავდება რაიმე, ისინი ყველა ძალასთან ითანამშრომლებენ, მათ შორის, სააკაშვილთანაც. ამასთან, ალასანიას დიდი იმედი აქვს, რომ შეძლებენ სააკაშვილის გარეშე გააგრძელონ ქვეყნის განვითარება.**

**— ბატონო ირაკლი, დაფუძნდა ბიძინა ივანიშვილის ახალი მოძრაობა „ქართული ოცნება", რომლის პოლიტიკური სუბიექტი თქვენც ხართ. სამოქმედო პროგრამა, რომელიც ივანიშვილმა გაახმოვანა, როგორ იქნება რეალიზებული: მოხდება თუ არა პოლიტიკური ოპოზიციის კოორდინაცია „ქართული ოცნების" პროგრამის ირგვლივ?**

— რაც შეეხება ოპოზიციის კოორდინაციას, მასში ჯერჯერობით სამი პოლიტიკური სუბიექტია „ქართული ოცნების" ირგვლივ. „ქართული ოცნება" ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.

**— ბიძინა ივანიშვილმა თავიდანვე განაცხადა, რომ ითანამშრომლებდა ნინო ბურჯანაძის ძალასთან. ახლა კი ეს პოლიტიკოსი ზოგიერთისთვის და მათ შორის თქვენთვისაც მიუღებელია. ნინო ბურჯანაძის შემოსვლა თქვენს პოლიტიკურ გაერთიანებაში რატომ არ გინდათ?**

— ის გზა, რაც მან აირჩია ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, ჩემთვის მიუღებელია. 26 მაისს ბურჯანაძემ კარგად იცოდა, ასეთი მცირე მასშტაბის აქციებით ხელისუფლებას რომ ვერ დაამარცხებდა, მაგრამ არ გაითვალისწინა მოსალოდნელი შედეგები, რაც ადამიანების დაღუპვით დასრულდა. **ჩემთვის მიუღებელია ბურჯანაძე რუსეთთან ურთიერთობის იმ ფორმატით, რა ფორმატითაც ის დადიოდა რუსეთში და ხელს ართმევდა რუსეთის პირველ პირებს, მაშინ, როდესაც ის არ იყო ხელისუფლებაში და არც არავითარი ბერკეტი არ ჰქონდა.**

**— „ქართული ოცნების" დაფუძნებაზე არ მოვიდა „ეროვნული ფორუმი", გუბაზ სანიკიძე თქვენს გაერთიანებაში არ იქნება?**

— ვერაფერს გეტყვით, ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი, რომ ჩვენთვის ხელისუფლების შესაცვლელად, არჩევნების გარდა, ყველა გზა მიუღებელია.

**— დარწმუნებული ხართ, რომ არჩევნებს მოიგებთ? თუ მეორე ადგილზე გავიდა თქვენი პოლიტიკური გაერთიანება და პარლამენტში ვერ მოიპოვეთ სასურველი უმრავლესობა, მაშინ როგორ შეცვლით სააკაშვილს?**

— თუ პარლამენტში უმრავლესობით ვერ შევალთ, ეს არ იქნება ტრაგედია, ჩვენ ყველა ძალასთან ვითანამშრომლებთ, მათ შორის, სააკაშვილთანაც. საერთოდ, ჩვენ უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ მომავალი პარლამენტი იყოს მრავალპარტიული და დაბალანსებული.

**— მომავალ საპარლამენტო არჩევნებში შესაძლებელია ხმები გაიყოს: თქვენ — ცალკე; ბურჯანაძე, სანიკიძე — ცალკე; იქეთ კიდევ — „ახალი მემარჯვენეები" და „ქრისტიან-დემოკრატები". დაიბნევა ამომრჩეველი და, გამომდინარე აქედან, გაგიჭირდებათ ხმათა უმრავლესობის მოპოვება.**

— არა მგონია, რომ ამომრჩევლები დავკარგოთ და, როგორც უკვე გითხარით, თუ პარლამენტში უმრავლესობით არ შევალთ, ეს არ იქნება ტრაგედია.

**— რეგიონებში შესაძლებელია ვერ მოიპოვოთ სერიოზული მხარდაჭერა, ხელისუფლებას არჩევნების მოგების მზა ბერკეტები აქვს — როგორც ადამიანური, ისე ორგანიზაციული რესურსი.**

— საარჩევნოდ ვაპირებთ რეგიონული ორგანიზაციების შექმნას. ხალხს აინტერესებს სამუშაო ადგილები და ჩვენ ვპირდებით სამუშაო ადგილების შექმნას. ასეთი პროგრამული ალტერნატიული შეთავაზებით დავდივართ კარდაკარ და დარწმუნებული ვართ, საზოგადოების მხარდაჭერას მოვიპოვებთ.

**— მაგრამ რეგიონებისთვის ობიექტური საინფორმაციო სივრცე დახურულია, ისინი ხედავენ მხოლოდ სააკაშვილის პიარ-აქციებს. ასეთ ვითარებაში რა შედეგს გამოიღებს თქვენი კარდაკარ სიარული (თავის დროზე ეს სააკაშვილმაც გააკეთა), მით უფრო, რომ თქვენ ჯერჯერობით ამ მოძრაობის ჩამოყალიბებას აპირებთ, „ნაცმოძრაობას" კი ეს ყველაფერი მზად აქვს? როგორ შეძლებთ არჩევნებამდე მობილიზებას?**

— ჩვენ ვაპირებთ არჩევნებისთვის გამოვიყენოთ რეგიონული პრესა და ტელევიზია, რათა ხალხმა სიმართლე იცოდეს, თუმცა საზოგადოებას არ სჭირდება იმაში დარწმუნება, რომ უნდა ჰქონდეს გარანტირებული პოლიტიკური უფლება, გამოხატოს თავისი პოზიცია. ცუდია, როცა მოსახლეობას ადგილობრივი თუ რეგიონული პოლიცია ემუქრება, — არ მიხვიდე ოპოზიციის შეხვედრაზე, თორემ სამუშაო ადგილს დაკარგავო. **ადამიანებს ხელისუფლების უსამართლობაში დარწმუნება აღარ სჭირდება, სასამართლო რომ უსამართლოა და სოფლის მეურნეობა დანგრეული, ამას თავადაც კარგად ხედავენ. რაღა დარწმუნება სჭირდება საზოგადოებას იმაში, რომ მოსახლეობის 80%-ისთვის ჯანდაცვა ხელმიუწვდომელია?!**

ამიტომ ჩვენ რეგიონებში უნდა ვიმუშაოთ და შედეგიც იქნება. გულხელდაკრეფილი ყოფნას არ ვაპირებთ. დღეს ბევრად უფრო შესაძლებლად მეჩვენება, რომ განვაიარაღოთ სიცრუის მანქანა, რომელიც ასე ძლიერად მუშაობს; წარმოვაჩინოთ ის პრობლემები, რომლებიც სახელმწიფოსა და ადამიანებს შორის არსებობს. იმედი მაქვს, საგამოძიებო ჟურნალისტიკა თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის, რადგანაც უამრავი პრობლემაა, რომლებიც ხალხს აწუხებს. ყოველივე ამის თაობაზე ინფორმაციის დეფიციტია, რასაც ვერც ერთი პარტია ვერ შეავსებს.

**— დღეს რომ რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს, როგორ ფიქრობთ, რეგიონებში მხარდაჭერას მოიპოვებთ?**

— მე მგონი, დღეს ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი მზად არის ცვლილებისთვის. ადამიანებს ყელში ამოუვიდათ შიშით ცხოვრება; მოსმენების ტექნიკა ისე განვითარდა, რომ ცოლ-ქმარი ტელეფონებს მალავს და ისე საუბრობს. საერთოდ, ქართულ საზოგადოებას ღირსება შეულახა სააკაშვილის პოლიციურმა რეჟიმმა. ამიტომ ქართველი ხალხი მზად არის ხელისუფლების შესაცვლელად. გამოხატავს თუ არა ის დღეს თავის განწყობას, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა აქვს დასაკარგი. **ზოგიერთ ადამიანს ყველაფერი წაართვეს და დასაკარგი არაფერი დარჩა, ამიტომ ღიად გამოხატავს საკუთარ განწყობას. თუკი ვინმეს დედა ან ძმა, ან მამა, თუნდაც ნათესავი მუშაობს სახელმწიფო სტრუქტურებში, ისინი ხმას ვერ იღებენ იმის შიშით, რომ ახლობელს სამსახურს დააკარგვინებენ. ასე სულმოკლედ იყენებს „ნაცმოძრაობა" დაშინებისა და შანტაჟის მეთოდს ადამიანების მიმართ.**

ასე რომ, მომავალ არჩევნებში ამომრჩევლის განწყობა სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული. მაგრამ ეს არ გვაძლევს ყალბი ილუზიების შექმნის უფლებას. ამიტომ ვმუშაობთ იმაზე, თუ როგორ ჩამოვაყალიბოთ სწორი ალტერნატივა, როგორ დავაყენოთ სოფლის მეურნეობა ფეხზე (არა — სიტყვით, არამედ — საქმით). როგორ შევქმნით და დავაბალანსებთ ხელისუფლებას პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის ისე, რომ ხელისუფლებაში მყოფმა მცირე ჯგუფმა არ გადაწყვიტოს ისევ ქვეყნის ბედი და მომავალი. რაც მთავარია, დავამარცხებთ მონოპოლიებს როგორც ქვეყნის მნიშვნელოვან ტელესივრცეში, ასევე მონოპოლიებს ბიზნესის სფეროში; ყველა ადამიანს, მათ შორის, უცხოელებსაც ექნებათ თანაბარკონკურენტუნარიან გარემოში ბიზნესსაქმიანობის საშუალება. დასამარდება მონოპოლია პოლიტიკაშიც. საქართველოში არც ერთ ადამიანს არ ექნება განუსაზღვრელი ძალაუფლება. ძალაუფლება და პასუხისმგებლობა განაწილდება სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას შორის და მათი ერთობლივი მონაწილეობით იმართება ქვეყანა.

**— ხელისუფლებას არჩევნების გაყალბების საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. რას მოიმოქმედებთ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში? ყოველთვის ყალბდებოდა არჩევნები და ამაზე საერთაშორისო საზოგადოება თვალს ხუჭავდა. სააკაშვილს საკმაოდ დიდი მხარდაჭერა აქვს დღესაც და ჰყავს ლობისტური ჯგუფები საზღვარგარეთ, საერთაშორისო დამკვირვებლები კი გაყალბებულ არჩევნებს, ასე ვთქვათ, ყოველთვის „აპრავებენ".**

— **სააკაშვილს საზღვარგარეთი (არც დასავლეთი და არც ამერიკა) არავითარ შემთხვევაში მხარს არ დაუჭერს. დასავლეთი მხარს დაუჭერს საქართველოში დემოკრატიულ ინსტიტუტებს, რასაც თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება სჭირდება. დასავლეთი და ამერიკა მხარს ქართველი ხალხის არჩევანს დაუჭერს.** რამდენიმე ხნის წინ ვიყავი ამერიკაში, შევხვდი საქართველოს საკითხებთან დაკავშირებით მომუშავე სენატორს, კონგრესმენებს, თეთრი სახლის წარმომადგენლებს და მათ ღიად გამოხატეს თავიანთი პოზიცია, რომ ამერიკა მხარს დაუჭერს ქართველი ხალხის არჩევანს.

**— თქვენი აზრით, ნატოს გენერალურმა მდივანმა რატომ თქვა, რომ საქართველოში არის დემოკრატია?**

— საქართველოში დემოკრატიის შექმნის პროცესი მართლაც დაიწყო 2003 წელს, ამაში ორი აზრი არ არსებობს; ყველას ჰქონდა ნდობა იმ რეფორმებისადმი, რომლებიც ქვეყანაში ტარდებოდა, მაგრამ სააკაშვილმა ამ გზიდან გადაუხვია. ჩვენ გვინდა, სააკაშვილის გარეშე გავაგრძლოთ ამ გზაზე მოძრაობა. დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე ნატოში ჩვენი გაწევრიანება შესაძლებელი იქნება, თუკი ჩამოვყალიბდებით ინსტიტუციონალურად გამართულ დემოკრატიულ ქვეყნად. ეს გახდება ასევე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ნატოში რეინტეგრაციის საფუძველი. თუ ეს არ მოხდა, მაშინ ვერც ნატოში, ვერც ცივილიზებულ ერთა სიაში ვერასოდეს ჩავეწერებით.

**— ნატოსთან დაკავშირებით გაჟღერდა თქვენი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, რომ საქართველო დაშორდა ნატოს, საქართველომ ნატოსკენ სვლა უნდა შეაჩეროს. რას ნიშნავს ეს: ნატოს ხარჯზე დავუახლოვდეთ რუსეთს?**

— არა, ეს ასე არ არის. ნაციონალურმა ტელევიზიებმა გაავრცელეს დეზინფორმაცია, რომ თითქოს ივანიშვილი და მისი გუნდი ნატოში გაწევრიანებას ეწინააღმდეგება. მე მჯერა, რომ ჩვენი ხელისუფლება იქნება ის ხელისუფლება, რომელიც გააწევრიანებს საქართველოს ევროკავშირში, ევროატლანტიკურ სივრცეში. სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ძალიან შენელდა ეს პროცესი. ამასთან ერთად, **აუცილებლად მიგვაჩნია რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, რაც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს არ აქვს საშუალება გაწევრიანდეს ნატოში.**

**— რუსეთი ხომ ეწინააღმდეგება საქართველოს ნატოში გაწევრიანებას? რუსეთთან ურთიერთობის დალაგება და პარალელურად ნატოში გაწევრიანებისკენ სწრაფვა ხომ ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია და როგორ ფიქრობთ ამ მიზნის მიღწევას?**

— რუსეთს არავინ ეკითხება საქართველოს ნატოში გაწევრიანებას. ჩვენ მხარი დავუჭირეთ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას და ეს უნდა იქცეს რუსეთზე ზეწოლის ბერკეტად. რუსეთს უნდა მოვთხოვოთ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქტები ისევ გაიდეს რუსულ ბაზარზე, ჩვენმა ბიზნესმენებმა ისე იგრძნონ თავი რუსეთში, როგორც რუსი ბიზნესმენები გრძნობენ თავს საქართველოში. **სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში რუსეთზე გაიყიდა საქართველოს ოქროს** ▶

«როდესაც საქართველო იქნება რეალურად დემოკრატიული ქვეყანა, სადაც დაცული იქნება ჩვენი უფლებები დასავლეთში, ეს იმოქმედებს რუსეთზე, რომ შეასრულოს აღებული ვალდებულება საქართველოს წინაშე და ოკუპირებული ტერიტორიიდან თავისი ჯარები გაიყვანოს»

„პოლიტიკური პოლიციის“ დეპარტამენტში 300-მდე ადამიანი იმუშავებს. ეს იქნება ყველაზე ალმატებული სამსახური შსს-ში. დეპარტამენტი დაკომპლექტდება სოდის, კუდის, კრიმინალური პოლიციის, ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლებით. დეპარტამენტში სამი განყოფილება იქნება: ანალიტიკური, რომელიც მოამზადებს მასალებს და რეკომენდაციის სახით გასცემს მოთხოვნისამებრ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე; მეორე განყოფილება იქნება ოპერაციებისა და სპეცოპერაციების დაგეგმვის; მესამეს კი ამ ყველა სიბინძურის აღსრულება დაეკისრება.

ნას-ჩეალობა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ საწარმო, თბილისის წყალმომარაგება, ენგურჰესი და ელექტრომომარაგება. მოდით, ვთქვათ სიმართლე: გვინდა, ფეხზე დადგეს სოფლის მეურნეობა? მაშინ ქართული პროდუქცია უნდა გავიდეს რუსულ ბაზარზე! როდესაც მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანდება რუსეთი, ჩვენ უნდა ვაიძულოთ ის, ქართული პროდუქცია შეუშვას რუსულ ბაზარზე.

**— როდის შევძლებთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას და სავაჭრო კავშირების აღდგენას: სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ?**

— აშკარაა, რომ სააკაშვილმა მსოფლიოში და, რა თქმა უნდა, რუსეთშიც ნდობა დაკარგა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლასა თუ დარჩენაზეა დამოკიდებული ურთიერთობის დალაგება. სააკაშვილისა და პუტინის პირადმა ფობიებმა ჩააგდო ეს ქვეყნები ასეთ დღეში. ახლა ჩვენ ამის გამოსწორება გვინდა. შევეცდებით, საქართველო იყოს ნატოს, ევროკავშირის წევრი და ასევე ნორმალური დამოკიდებულება ჰქონდეს რუსეთთან.

**— ხშირად ამბობთ, რომ უნდა დაიწყოს პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან. როგორ წარმოგიდგენიათ ეს პროცესი: რუსეთთან ერთად თუ რუსეთის გარეშე?**

— თუ სახალხო დიპლომატიურ ურთიერთობაში არ შევალთ რუსეთთან, თუკი არ გამოვიყენებთ საერთაშორისო ბერკეტებს, მაშინ, რა თქმა უნდა, რუსეთი არაფერს დათმობს, პირიქით, ჩვენ უნდა დავათმობინოთ. უპირველესად, საქართველო უნდა გავხადოთ მიმზიდველი აფხაზებისა და ოსებისთვის, დავიწყოთ პირადი ურთიერთობები აფხაზებთან და ოსებთან სახალხო დიპლომატიის გამოყენებით. გარდა ამისა, სავაჭრო ურთიერთობის აღდგენით უნდა დავარწმუნოთ აფხაზები და ოსები, რომ ჩვენთან ყოფნა უფრო უკეთესია მათთვის, ვიდრე რუსეთის ოკუპაციის ქვეშ. როდესაც საქართველო იქნება რეალურად დემოკრატიული ქვეყანა, სადაც დაცული იქნება ჩვენი უფლებები დასავლეთში, ეს იმოქმედებს რუსეთზე, რომ შეასრულოს აღებული ვალდებულება საქართველოს წინაშე და ოკუპირებული ტერიტორიიდან თავისი ჯარები გაიყვანოს. **დარწმუნებული ვართ, სავაჭრო, კულტურულ ურთიერთობებზე აფხაზები და ოსები წამოვლენ. ჩვენ მივცემთ მათ უსაფრთხოების გარანტიებს. ჩვენი ხელისუფლების პირობებში ეს მოხერხდება, სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში კი — არა.**

**— ლტოლვილების დაბრუნებაზე გქონდათ საუბარი?**

— სხვათა შორის, მე მქონდა ხანგრძლივი მოლაპარაკებები ლტოლვილების დაბრუნებაზე. ჩემი ინიციატივით შედგა დეკლარაცია 2005 წელს, სადაც ეწერა, რომ აფხაზები და ოსები აღიარებდნენ დევნილების დაბრუნების უფლებას, მაგრამ სააკაშვილმა მას ხელი არ მოაწერა.

ესაუბრა
**ეთერ ბალაძე**

# ვანო მერაბიშვილი «პოლიტიკურ პოლიციას» ქმნის

**საქართველოს მოსახლეობა, დიდი ხანია, პოლიციური რეჟიმის პირობებში ცხოვრობს. წლებია, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შს მინისტრის, ვანო მერაბიშვილის გარეშე არ იმართება ან ხშირად მერაბიშვილი თავად არის შიდა პოლიტიკის მთავარი მოთამაშე.**



„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, შს სამინისტროს უშიშროების სამინისტროც შეერწყა და მივიღეთ უწყებამონსტრი, რომლის თვალი და ყური ყველგან და ყველას სწვდება, რომელიც თავის გრძელ და ბინძურ ხელებს, რუსეთის აგენტურის ძებნააღმოჩენის საბაბით, ყველა პოლიტიკურ პარტიაში, ყველა არასამთავრობო ორგანიზაციასა და საზოგადოებრივ მოძრაობაში აფათურებს. მეტიც, შინაგან საქმეთა სამინისტრო, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და საკუთარი აგენტურის წყალობით, ლამისაა ყველა ოჯახის უჩინარი სტუმარი გახდეს. ამ ყველაფერში ჩართულნი არიან შს სამინისტროს ქვემდებარე უწყებანი — კუდი, სოდი, კრიმინალური პოლიცია, პატრული... პროცესების კონტროლში მერაბიშვილს ეხმარებიან გენერალური პროკურატურა და იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სხვა უწყებები, ფინანსური პოლიცია, შემოსავლების სამსახური, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური თუ სამოქალაქო სტრუქტურებს ამოფარებული სპეცსამსახურები.

**თუმცა შიდაპოლიტიკური პროცესების სრულად გასაკონტროლებლად ვანო მერაბიშვილმა საკუთარი და სხვა ძალების კონსოლიდირება გადაწყვიტა. შინაგან საქმეთა სამინისტროში იგეგმება ახალი დეპარტამენტის შექმნა, რომლის არც სახელი და არც ოფიციალური ფუნქცია ჯერ ცნობილი არ არის. თუმცა შსს-ს კულუარებიდან ცნობილია, რომ ეს იქნება ერთგვარი პოლიტიკური პოლიცია, რომელიც მიმართული იქნება არამარტო ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების, ელემენტარულად, ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების წინააღმდეგ.**

„პოლიტიკური პოლიციის“ დეპარტამენტში თავს მოიყრის იმ პიროვნებათა სრული დოსიე, რომლებიც ამ ხელისუფლების მიმართ ლოიალურად არ არიან განწყობილნი. ცხადია, მათ ხელში იქნება ამ ადამიანთა ქონებრივი მონაცემები, სრული საბანკო მონაცემები ყველა კომერციული ბანკიდან მათი ბანკებთან ურთიერთობის შესახებ — საბანკო ანგარიშების, კრედიტებისა და სხვა ინფორმაციის სახით; საჯარო რეესტრიდან „პოლიტიკურ პოლიციას“ გადაეცემა სრული ინფორმაცია მათი კლიენტების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, სასჯელაღსრულების სამინისტროდან თითოეული მსჯავრდებულის, პრობაციონერის სრული დოსიე და ასევე, ამომწურავი ინფორმაცია პატიმართა ოჯახის წევრების შესახებ, ცხადია, მათი პოლიტიკური სიმპათიების გათვალისწინებით. „პოლიტიკურ პოლიციას“ საკუთარი ე. წ. მოსმენების სამსახურიც ექნება.

„პოლიტიკური პოლიციის“ ხელთ იქნება ამომწურავი ინფორმაცია ყველა პოლიტიკური პარტიის წევრისა და აქტივისტის შესახებ. მხოლოდ ამ დეპარტამენტს მიუწვდება ხელი იმ ინფორმაციებსა და მასალებზე, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება პიროვნების დაშინება, დაშანტაჟება, გადაბირება, მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ბანაკში ჩანერგვა ან უფრო უარესი — კრიმინალად მისი ქცევა და შანტაჟის გზით უფრო შავ-ბნელი საქმეებისთვის გამოყენება.

**„პოლიტიკური პოლიციის“ დეპარტამენტში 300-მდე ადამიანი იმუშავებს. ეს იქნება ყველაზე ალმატებული სამსახური შსს-ში. დეპარტამენტი დაკომპლექტდება სოდის, კუდის, კრიმინალური პოლიციის, ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლებით. დეპარტამენტში სამი განყოფილება იქნება:** ანალიტიკური, რომელიც მოამზადებს მასალებს და რეკომენდაციის სახით გასცემს მოთხოვნისამებრ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე. იქ იმუშავებენ ფსიქოლოგები, ფსიქო-თერაპევტები, ფსიქიატრები და ადამიანის ბუნებისა და ხასიათის შემსწავლელი სხვა მეცნიერები, რომლებიც ხელისუფლების ცალსახა მხარდამჭერები იქნებიან. **მეორე განყოფილება იქნება ოპერაციებისა და სპეცოპერაციების დაგეგმვის განყოფილება,** რომელიც პოლიტოპონენტების ფსიქოლოგიური შანტაჟის, გატაცებისა და ცემის (შესაძლოა, მკვლელობისაც) ოპერაციებს დაგეგმავს და, პირველი განყოფილების რეკომენდაციების გათვალისწინებით, მინიმუმამდე დაიყვანს ოპერაციის ჩავარდნის რისკს ან ხარვეზიან ოპერაციებს. **მესამე განყოფილებას კი ამ ყველა სიბინძურის აღსრულება დაეკისრება** და პირობითად მას უკვე „აღმასრულებელს“ ეძახიან ჯერაც ჩამოუყალიბებელ სამსახურში.

**ვანო მერაბიშვილი ახალი დეპარტამენტისთვის უახლოესი ტექნოლოგიური ნოვაციების შეძენას აპირებს იმ ბიუჯეტიდან, რომელშიც წვლილი და წილი, სხვათა შორის, იმ ოპოზიციურ მოსახლეობასაც შეაქვს, რომელთა გასანადგურებლადაც ეს დეპარტამენტი იქმნება.**

გარდა ამ 3 მებრძოლი განყოფილებისა, დეპარტამენტს რამდენიმე ქვეგანყოფილებაც ექნება. ერთი ნაღდია: იქმნება ჰაკერთა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც ერთ საერთო სტრუქტურად გაერთიანდებიან. მართალია, ოპოზიციის წინააღმდეგ შსს დღესაც აქტიურად იყენებს ჰაკერებს, რომლებიც დიღომში განთავსებული თბილისის მთავარი სამმართველოდან ახორციელებენ შეტევებს, მაგრამ ეს სულ რამდენიმე კაცია. ამ შემთხვევაში დეპარტამენტში ჰაკერთა მთელი არმია იმუშავებს სოლიდური ხელფასებით და პოლიტიკურად აქტიური მოქალაქეების, ცხადია, პოლიტიკოსებისაც, იმ პირად მიმოწერას, საიდუმლო ფაილებს და სხვა ინფორმაციას გააკონტროლებენ, რაზეც ხელი ოფიციალურად არ მიუწვდებათ.

**„პოლიტიკური პოლიციის“ თანამშრომელთა ხელფასებსა და პრემიებზე, სამსახურებრივ ავტომობილებზე არც ღირს ლაპარაკი. „მათ ყველაფერი ექნებათ, რაც მოესურვებათ. მთავარია, საქმე აკეთონ,“ — ეს ვანო მერაბიშვილს ერთ-ერთ თათბირზე უთქვამს ვიწრო წრეში, როცა დეპარტამენტის შექმნაზე თავის ხელქვეითებთან ერთად მსჯელობდა. დიახ, „პოლიტიკური პოლიციის“ თანამშრომლებს ექნებათ ყოველთვიური ხელფასი 10-50 ათასი დოლარის ფარგლებში, რანგის, წოდებისა და თანამდებობის მიხედვით. ეს იქნება ერთადერთი სამსახური სახელმწიფო აპარატში, რომლის თანამშრომლებიც ოფიციალურად ევროპულ ხელფასებს აიღებენ და ევროსტანდარტების სამსახურებრივი კომფორტითაც იქნებიან უზრუნველყოფილნი.**

შსს მალე გამოაცხადებს ტენდერს ათობით და, შესაძლოა, მეტი სპეცავტომობილის შესაძენად. ამ ტენდერს, სავარაუდოდ, „იბერიაბიზნეს ჯგუფი“ მოიგებს, რომლის მოწილეც ვანო მერაბიშვილის მეგობარი, დეპუტატი გოჩა ენუქიძეა. შსს-ს საავტომობილო ტენდერების 80%-ს ხომ ეს კომპანია იგებს, უკვე მეოთხე წელია, მათ შორის, საპატრულო მანქანების პარკის განახლების ტენდერებსა და შსს-ს მაღალჩინოსანთა პერსონალური ავტომობილების შესაძენ ტენდერებსაც.

**ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ ჩაუდგება სათავეში ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის ახალ „პირმშოს“ — პოლიტიკურ პოლიციას. ამ დეპარტამენტის შეფად დათა ახალაია მოიაზრება, რომელსაც კონტროლს შს მინისტრის მოადგილე ამირან მესხელი გაუწევს.** რამდენად აიტანს დათა ახალაია მესხელის კონტროლ-კურატორობას, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია: მერაბიშვილის წინააღმდეგ ვერ წავა, მით უფრო, იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, მერაბიშვილის სიტყვა მისთვის კანონი იქნება მაშინაც, როცა არც ერთი აღარ იქნება თანამდებობაზე.

**ლევან ჯავახიშვილი**

## «საქართველო და მსოფლიომ» კომენტარი ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილს სთხოვა



**— ბატონო გელა, რამდენად რეალურად გეჩვენებათ შინაგან საქმეთა სამინისტროში ახალი დეპარტამენტის შექმნა, რომელიც პოლიტიკური პოლიციის ფუნქციებს იტვირთებს?**

— პრინციპში, ჩვენ პოლიტიკური ტერორისა და პოლიციურ რეჟიმში, კარგა ხანია, ვცხოვრობთ. ამათგან მე აღარაფერი მიკვირს, რა ხანია, და არც ამ დეპარტამენტის შექმნა გამიკვირდება. დაარქმევენ რაღაც ლამაზ სახელს და ჩაიდენენ უამრავ საშინელებასა და სისასტიკეს, რასაც ახლა შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა დეპარტამენტები აკეთებენ.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ დადგა დღის წესრიგში ამ დეპარტამენტის შექმნის საჭიროება მაინც და მაინც დღეს?**

— არ გამოვრიცხავ, რომ ეს უკავშირდებოდეს თავად ხელისუფლებაში პოლიტიკურ გადაჯგუფებას. ასევე ცხადია, რომ ოპოზიციის გააქტიურება, პოლიტიკაში ახალი ფიგურის, ახალი ძალის გამოჩენა ამათთვის დიდი საფრთხის მატარებელია.

**— ბიძინა ივანიშვილს გულისხმობთ?**

— ცხადია და იმ საყოველთაო იმედიანობას, რომელმაც ოპოზიციურად განწყობილი, უკვე აპათიაში მყოფი საზოგადოება მოიცვა და გამოაცოცხლა. პოლიტიკური პოლიცია თუ იმ ფორმით შექმნეს, როგორიც „გესტაპო“ იყო, ამ მომეტებული საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად დასჭირდებათ. მესამე მიზეზი ის არის, რომ, შესაძლოა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა ან უფრო მაღლა, თვლიან, რომ ის სისასტიკე და არაადამიანური მეთოდები, რომლებითაც პოლიტიკურ ოპონენტებს უსწორდებიან, საკმარისი არ არის ან უფრო დასახვეწია. ალბათ, უფრო ეფექტურად აპირებენ ოპოზიციის, ნებისმიერი ოპოზიციური აზრის გამოვლენის წინააღმდეგ ბრძოლას. ცხადია, ამათგან ეს მოსალოდნელიც იყო. ჩვენ, დიდი ხანია, ფაშისტურ რეჟიმში ვცხოვრობთ, ფაშისტურ რეჟიმს კი, თავისი „გესტაპო“ აუცილებლად სჭირდება.

**— და აგერ ქმნიან კიდეც.**

— ეს კარგს არაფერს მოუტანს ხელისუფლებას. დიდ სისულელეს აკეთებენ. ხალხის პროტესტს ამით ვერ ჩააქრობენ, პირიქით, უფრო დიდ პროტესტს მიიღებენ.

**„საქართველო და მსოფლიო“ შსს-ს პრესცენტრის უფროსს, ზურაბ გვენეტაძესა და ანალიტიკური დეპარტამენტის თავმჯდომარეს, შოთა უტიაშვილს მთელი დღის განმავლობაში ურეკავდა, მაგრამ მათთან დაკავშირება ვერ მოხერხდა.**

საქართველო და მსოფლიო
ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ დროისთვის ქალაქში ექვსასამდე ჯიხური აიღეს და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. გამომცემლებმა უკვე დაიწყეს ტირაჟების შემცირება და, სავარაუდოდ, ზოგიერთი გაზეთი, შესაძლოა, დაიხუროს კიდეც... ერთი სიტყვით, გიგი უგულავამ ქართულ ბეჭდურ მედიას ღიად შეუტია, გაირკვა ისიც, რომ ამ ბრძოლაში დედაქალაქის მერი მარტო არ არის და მას ზურგს ორი კანონიერი ქურდის ყოფილი ცოლები უმაგრებენ.**

# გიგი უგულავა და «რამკიანი ცოლები»

**ქალაქის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერს, რომელსაც თბილისში საგაზეთო ჯიხურების გაუქმება მოჰყვა, პრესის გამავრცელებლები და ჟურნალისტები ამ ეტაპზე სხვადასხვა ფორმით უპირისპირდებიან. ტენდერის შესაჩერებლად უკვე გაიმართა რამდენიმე საპროტესტო გამოსვლა, თუმცა უშედეგოდ. უგულავა უკან დახევას არ აპირებს. ქალაქის მერია აღნიშნულ საკითხზე ჟურნალისტებთან საჯარო დისკუსიაში არ შედის და მხოლოდ ტენდერის პირობებზე საუბრობს.**







# თავისუფალი პრესის წინააღმდეგ

რაც შეეხება სხვა „არასასიამოვნო" კითხვებს, ჟურნალისტები ტენდერთან დაკავშირებით რომ სვამენ, მათზე უგულავას ნაცვლად ჟურნალ „ტაბულას" რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილი ან „პრაიმ ტაიმის" რედაქტორი თაკო ფხაკაძე პასუხობენ. ისინი კი ცალსახად უპირისპირდებიან პრესის გამავრცელებლებს და ირიბად — ბეჭდური მედიის იმ ნაწილს, რომელიც ჯიხურების აღებას ეწინააღმდეგება. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, **ამ დროისთვის ქალაქში ექვსასამდე ჯიხური აიღეს და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. გამომცემლებმა უკვე დაიწყეს ტირაჟების შემცირება და, სავარაუდოდ, ზოგიერთი გაზეთი, შესაძლოა, დაიხუროს კიდეც. ერთი სიტყვით, გიგი უგულავამ ქართულ ბეჭდურ მედიას ღიად შეუტია, გაირკვა ისიც, რომ ამ ბრძოლაში დედაქალაქის მერი მარტო არ არის და მას ზურგს ორი კანონიერი ქურდის ყოფილი ცოლები უმაგრებენ.**

გაზეთი „პრაიმ ტაიმი", ისევე, როგორც ჟურნალი „ტაბულა", დიდი ხანია, საზოგადოებაში ხელისუფლების მხარდამჭერ მედიასაშუალებად მოიაზრება და ამის შესახებ არაერთი დისკუსია გამართულა ქართულ ტელეარხებზე, მაგრამ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის აღიარებას ორივე გამოცემის რედაქტორები კეთროვანივით გაურბიან. ასე, მაგალითად, თამარ ჩერგოლეიშვილი დღემდე ამტკიცებს, რომ მისი მეუღლე, საქართველოს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი „ნაცი" გიგა ბოკერია ჟურნალის საქმიანობაში არ ერევა, ხოლო ის ლიბერალური იდეოლოგია, რომელსაც „ტაბულა" უწევს აგიტაციას, მხოლოდ ჩორგოლეიშვილის ტვინში იხარშება.

არადა, საინტერესოა, როგორ ესმოდა ლიბერალიზმი ან თუნდაც ყბადაღებული „ნულოვანი ტოლერანტობა" და „ყველანი ციხეში" თამარ ჩერგოლეიშვილს მაშინ, როცა ის პირველ ქორწინებაში შავი სამყაროს ერთ-ერთ ავტორიტეთან, დიდუბელ „კოკოშასთან" იგივე კოტე კოპალეიშვილთან იმყოფებოდა(?!). დღეს ეს ადამიანი (კოკოშა) ჩიტივით თავისუფალია, რაშიც ბევრი სწორედ გიგა ბოკერიას ძალისხმევის კვალს ხედავს. შესაძლოა, ეს „კვალი" მხოლოდ კონსპიროლოგიისადმი გადამეტებული მიდრეკილებითაც იყოს გამოწვეული, მაგრამ, ფაქტია — პოლიცია ჩერგოლეიშვილის პირველი ქმრის საქმიანობით არ დაინტერესებულა, მაშინ, როცა არა თუ კანონიერ ქურდებს, არამედ კრიმინალური სამყაროს გაცილებით „წვრილფეხა" წარმომადგენლებსაც კი მერაბიშვილის უწყება მსოფლიოს ყველა წერტილში ზარზეიმით აკავებს, ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი არხები კი ამას საგანგებო სიუჟეტებს უძღვნიან.

**არის თუ არა კავშირი „კოკოშას" ერთგვარ ხელშეუხებლობასა და მისი ყოფილი მეუღლის ამჟამინდელ ქმარ გიგა ბოკერიას შორის?!** სხვას რომ თავი დავანებოთ, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის ოფიციალური მეუღლის ყოფილი ქმრის დაკავება, სულ ცოტა, მითქმა-მოთქმას და ზედმეტ ყურადღებას გამოიწვევს, რაც, შესაძლოა, პოლიციისთვის ერთგვარი „შემაკავებელი ფაქტორი იყოს?! ამ სავსებით ლოგიკურ და ლეგიტიმურ შეკითხვებზე პასუხის მისაღებად ჟურნალ „ტაბულას" რედაქტორს, კანონიერი ქურდის — „კოკოშას" ყოფილ, ამჟამად კი უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მეუღლეს, ქალბატონ თამარ ჩერგოლეიშვილს დავუკავშირდი, უფრო ზუსტად პირად ნომერზე მივწერე შეკითხვა – მფარველობს თუ არა მისი შვილის მამას და მის პირველ მეუღლეს კოტე კოპალეიშვილს გიგა ბოკერია?

პასუხი „ტაბულას" რედაქტორს არ მოუწერია, ამიტომ მას ტელეფონით დავუკავშირდი:

**— ქალბატონო თამარ, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოდან" გაწუხებთ.**

— გამარჯობათ. „საქართველო და მსოფლიოს" მე არ ვაძლევ კომენტარს...

**და უშიშროების საბჭოს მდივნის მეუღლემ ტელეფონი გათიშა. გავლენიანი ლიბერალური ჟურნალის რედაქტორს შემდგომი ზარებისთვის აღარ უპასუხია.**

როგორც ჩანს, ქალბატონ თამარს არ სურს საკუთარ წარსულზე საუბარი და ურჩევნია, მხოლოდ იმ ლიბერალურ ღირებულებებზე ისაუბროს, რომლებიც მას, სავარაუდოდ, ბოკერიასთან ქორწინების შემდეგ ჩამოუყალიბდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ლიბერალური ღირებულებები მას ხელს არ უშლის, საჯარო სივრცეში ქართული თეატრის მაესტროს, რობერტ სტურუას მიმართ, მსუბუქად რომ ვთქვათ, არასაპარლამენტო ლექსიკა გამოიყენოს და შიგადაშიგ ისეთი ფრაზები გამოურიოს, არათუ ლიბერალური ტონალობის ჟურნალის რედაქტორი, ბენღაზის პორტის საწყობის დარაჯიც რომ მოერიდებოდა პორტის მასირებული დაბომბვისას არტილერისტების მისამართით. როგორც ჩანს, ლიბელარად ჯერ საბოლოოდ ვერ ჩამოყალიბდა და ვერც დიდუბელი „კოკოშას" იდეოლოგიიდან გათავისუფლდა სრულად.

რადგან ქალბატონზე ვსაუბრობ, არაჯენტლმენურ ჟესტად რომ არ ჩამითვალოთ, **აქვე მოვიყვან რამდენიმე „შედარებით კორექტულ ცნობილ გამონათქვამს" ქალბატონი თამარის არსენალიდან: „სულ მკიდია სტურუას შემოქმედება; ბიძინა ივანიშვილი ახალი თესლი ქართულ პოლიტიკაში"... ვფიქრობ, უმჯობესია, მკითხველმა თავად დაასკვნას, ვის გავლენას უფრო განიცდის ამ სიტყვების ავტორი – უშიშროების საბჭოს ლიბერალი თავმჯდომარე გიგა ბოკერიასი თუ კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტ „კოკოშასი"...** თუმცა დასკვნის გამოსატანად „რეზონანსის" მთავარ რედაქტორთან მისი დებატებიც საკმარისია, ეკა კვესიტაძის გადაცემაში ახლახან რომ იხილა საზოგადოებამ. ამ პროცესს დებატები პირობითად შეიძლება დაერქვას, თორემ ჩერგოლეიშვილმა ნამდვილი ქურდული გარჩევა მოუწყო ლაშა ტუღუშს პირდაპირ ეთერში.

**რაც შეეხება „პრაიმ ტაიმს" და მის რედაქტორ თაკო ფხაკაძეს, რომელსაც უგულავამ ყველაზე სკანდალური გაზეთი ჩააბარა, ბოლოს თავად გაეხვა ყველაზე ხმაურიან და სამარცხვინო სკანდალში.** „პრაიმ ტაიმის" ერთგულ მკითხველს გაუკვირდება, ალბათ, ის ფაქტი, რომ ამ გაზეთის რედაქტორი არ საუბრობს თავის პირად წარსულზე მის მკითხველთან მაშინ, როცა არც ერთი ცნობილი ადამიანის წარსული არ დაუტოვებია გამოუჩხრეკავი. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, „პრაიმ ტაიმის" რედაქტორს თავის რესპონდენტებზე არანაკლებ სკანდალური ცხოვრება აქვს გამოვლილი. კონფიდენციალური წყარო გვატყობინებს, რომ **თაკო ფხაკაძეს „ექსკლუზიურად პირადი" ცხოვრება აკავშირებდა კანონიერ ქურდ დავით კაკულიასთან.** მათი ურთიერთობა ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კანონიერი ქურდის პირველი ცოლი თაკო ფხაკაძე მამამთილს, გურამ კაკულიას არ მოსდიოდა თვალში. შეგახსენებთ, დავით კაკულია შევარდნაძის დროს მძიმე დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს ორთაჭალის ციხეში და სწორედ მის სახელს უკავშირდება ე. წ. რეზბალნიცაზე პატიმრების შემოწირულობებით აშენებული ეკლესია. მოგვიანებით კაკულიამ ციხეს თავი დააღწია და მოსკოვში გააგრძელა „მოღვაწეობა", სადაც მოკლეს. ამ ფაქტს მაშინ რუსული მედიასაშუალებები აქტიურად აშუქებდნენ. რატომ არ აეწყო პირადი ცხოვრება გავლენიან ქურდთან და რატომ არ საუბრობს ამ თემაზე თაკო ფხაკაძე დღემდე, ამის გასარკვევად „პრაიმ ტაიმის" რედაქციას დავუკავშირდი.

ტელეფონს ოფისმენეჯერმა უპასუხა.

**— „საქართველო და მსოფლიოდან" გაწუხებთ, ქალბატონ თაკოსთან გვსურს ინტერვიუ?**

— რა საკითხზე?

**— მის პირად ცხოვრებაზე.**

— მითხარით და გადავცემ, ახლა თათბირი აქვს.

**— გვაინტერესებს: იმყოფებოდა თუ არა ის კანონიერ ქურდ დავით კაკულიასთან ქორწინებაში?**

— იცით, მგონი, რაღაც გეშლებათ.

**— არ მეშლება, ჰკითხეთ და, თუ სურვილი ექნება, გაგვცეს პასუხი.**

— კარგი. ჩავიწერ და გადავცემ. საათ-ნახევარში დარეკეთ.

**დათქმულ დროს კვლავ დავუკავშირდი „პრაიმ ტაიმის" რედაქციას.**

**ისევ ოფისმენეჯერმა მიპასუხა:**

— იცით, მე გადავეცი ქალბატონ თაკოს დანაბარები. თუ შეიძლება თქვენი ნომერი მომეცით, თავად დაგიკავშირდებათ და გაგცემთ პასუხს.

**რა თქმა უნდა, ტელეფონის ნომერი დავუტოვე, მაგრამ, როგორც ჩანს, თაკო ფხაკაძე ამ თემაზე სასაუბროდ მზად არ აღმოჩნდა ან, უბრალოდ, დუმილი არჩია, თუმცა, თუ გადაიფიქრებს, მზად ვარ, მოვუსმინო.**

ამ მასალის მომზადების მიზანი სულაც არ არის მაღალი თანამდებობის საჯარო პირის მეუღლის თამარ ჩერგოლეიშვილის ან სკანდალური გაზეთის რედაქტორის პირადი ცხოვრების არცთუ სასიამოვნო წარსულის მოქექვა. ეს მათი პირადი საქმეა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ, თანამედროვე ქართული კანონმდებლობით (რომლის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი და სულისჩამდგმელი იდეოლოგი ქალბატონ თამარის ამჟამინდელი მეუღლე გიგა ბოკერია გახლავთ), ორგანიზებულ დანაშაულთან და მის ავტორიტეტებთან ნებისმიერი კავშირი კანონით ისჯება. ეს პუბლიკაცია ერთადერთ მიზანს ემსახურება — საზოგადოება თვალნათლივ ხედავს, რომ დედაქალაქის მერიის სახელით ხელისუფლებამ ბეჭდურ მედიას ღია ბრძოლა გამოუცხადა. დაე, საზოგადოებამ ის ადამიანებიც დაინახოს, რომლებიც ამ დაპირისპირებაში უგულავას მხარდამხარ იბრძვიან. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა ბეგრაუნდის (როგორც ერთი აწ განსვენებული ოლიგარქი იტყოდა) მქონე ადამიანები უპირისპირდებიან თავისუფალი პრესის გავრცელებას საქართველოში. **ვფიქრობ, დედაქალაქის მერისა და კანონიერი ქურდების ყოფილი ცოლების ტანდემი სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში საუკეთესო წინაპირობა სულაც არ არის და ნათლად მეტყველებს, რომ სახელისუფლო ეშელონებში როგორც მორალის, ასევე ჟანრისა და კადრების მწვავე კრიზისია.**

და ბოლოს, **აჯობებს, ამ ორმა გამოცემამ ცოტა მეტი წეროს ქურდებზე, არამარტო რამკიანებზე, არამედ იმათზეც, ვინც ასფალტის, ფასადების შეღებვისა თუ სხვადასხვა ჯიშის „ატკატებით" ბიუჯეტი გამოხრა, ახლა კი სიტყვის თავისუფლებასაც გვპარავენ. ვფიქრობ, მათი ბეგრაუნდის გათვალისწინებით, ამ ტიპის ქურდებისა თუ ზოგადად ქურდული სამყაროს საკითხებში დედაქალაქის მერისა და ზემოხსენებული ქალბატონების ტანდემზე კომპეტენტური ადამიანი ძნელად მოიძებნება საქართველოში.**

**ირაკლი მამალაძე**

მსოფლიო

## ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი: ევრო კრიზისს გადაიტანს

**ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტ მარიო დრაგის შეფასებით, ევრო მიმდინარე კრიზისს გადაიტანს.** მას ეჭვი არ ეპარება, რომ, რისკების მიუხედავად, რომლებიც ევროზონის სტაბილურობას ემუქრება, ერთიანი ევროპული ვალუტა პოზიციებს შეინარჩუნებს. ევროკავშირის ფინანსთა მინისტრებმა სავალუტო ფონდის სპეციალურ ფონდში დამატებითი თანხების გადარიცხვის შესახებ განაცხადეს. გამოყოფილი თანხების მოცულობა 150 მილიარდ ევროს შეადგენს.

## ჩინეთის კომპარტია კომუნისტებში რელიგიის გავრცელების წინააღმდეგ გამოდის

**ჩინეთის კომპარტიის მაღალჩინოსანმა ჩჟუ ვეიციუნმა თანაპარტიელების რელიგიურობა დაგმო.** პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის განცხადებით, რელიგიურობა კომუნისტებს ხელს უშლის, მიუკერძოებლად მიუდგნენ ქვეყანაში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ჯგუფებს. ჩჟუ ვეიციუნი ხაზს უსვამს, რომ, თუ პარტიის წევრები ღიად აღიარებენ რელიგიას, ეს 80-მილიონიანი პარტიის ერთიანობას დაარღვევს, რაც პირდაპირ აისახება ჩინეთის მოქალაქეთა კეთილდღეობაზე და საბოლოოდ სეპარატისტული განწყობილებების გაჩენას შეუწყობს ხელს.

დრო გავა და ამ ადამიანებს შერცხვებათ, რომ ამდენი დამცირების ატანა უწევდათ. ჰიტლერის ნაცისტური რეჟიმის მსხვერპლთა მსგავსად, ისინიც შეეცდებიან, თავი იმართლონ, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ სხვა გზაც არსებობს, და ეს გზა თავმოყვარეობაზე და პროფესიის პატივისცემაზე გადის. გამოდის, რომ ეს მათი არჩევანია. ეს არ არის ღირსეული არჩევანი და ხელისუფლებამ სწორედ იმიტომაც უნდა აგოს პასუხი, რომ მათ ასეთი არჩევანი შესთავაზა.

ქრონიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩოქბჯენის თავისუფლება

**დადგება ის დროც, როცა სააკაშვილის ნაცრეჟიმს გაასამართლებენ და ადამიანის სხვა უფლებათა დარღვევებთან ერთად ერთ-ერთ ბრალდებად ჟურნალისტებისთვის არაადამიანური პირობების შექმნასაც წაუყენებენ. იმ დროისთვის დღევანდელი „ტელევარსკვლავები" უკვე გაფერმკრთალებულნი იქნებიან და არცთუ სიამოვნებით წარსდგებიან მოწმეებად. მათთვის ადვილი არ იქნება იმ დამამცირებელ პირობებზე საუბარი, რომელშიც ნებით უწევდათ მუშაობა. მათ რეჟიმის მსხვერპლთა სტატუსსაც მიანიჭებენ.**





სააკაშვილისთვის ადამიანის ღირსება არაფერს ნიშნავს. მისი გარემოცვისთვის, დიდი ხანია, ცნობილია, რომ პრეზიდენტისგან შეურაცხყოფა იობის მოთმინებით უნდა აიტანონ. თუმცა ეს იძულებაც არის და საკუთარი ნების გამოხატვაც. სააკაშვილი სასამართლო პროცესზე ამაყად განაცხადებს, რომ ჩინოვნიკებიც და ჟურნალისტებიც მასთან ნებით მიდიოდნენ და ხელს აძლევდათ დამამცირებელ პირობებში მუშაობა: ეს ადამიანები მზად იყვნენ, მისი ყველა ახირება უსიტყვოდ შეესრულებინათ, რადგან სანაცვლოდ გამორჩენას ელოდნენ.

**ხელისუფლების ხელის შემყურე ჟურნალისტების მიმართ ასევე აგდებული დამოკიდებულება აქვთ სხვა მაღალი თუ საშუალო რანგის მოხელეებსაც. მათთვის დავალების მიცემა უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა და აღარავის აკვირვებს სამივე სახელისუფლო ტელეარხზე ერთნაირი სიუჟეტების ნახვა ერთნაირი ტექსტებითა და პერსონაჟებით.** ამის მისაღწევად გარკვეული სამუშაოც გასწიეს და „ვარდების რევოლუციის" ჟურნალისტები სხვადასხვა პრესსამსახურებში გადაანაწილეს, რადგან მათთვის დავით ბაქრაძე „ბატონი დავითი" არ იყო და გიგი უგულავა — „ბატონი გიგი". თავის დროზე ფამილარობამ ზენიტს მიაღწია და ძალაუფლებაგამტკბარ „ნაცებს" სულაც არ ეპიტნავებოდათ იმ ადამიანებისთვის თვალის გასწორება, რომელთაც თამამად შეეძლოთ სიტყვა შეებრუნებინათ. ყველაზე ერთგულებს სახელისუფლო ვერტიკალში მოუძებნეს ადგილები ანდა ეკრანსმილმა პოსტები უბოძეს. ახლა ისინი სატელეფონო მითითებებს უსიტყვოდ იღებენ და შემდეგ რეჟიმის მსახურებისთვის მუდმივი მზადყოფნის დასამტკიცებლად ტყავიდან ძვრებიან.

**ახალგაზრდა ჟურნალისტებმა, რომელთაც რევოლუციონერი წინამორბედები ჩაანაცვლეს, მაგრამ არ იციან, რა გზა გამოიარეს ნაცმამებმა, ისე შესცქერიან მათ, როგორც კურდღელი — მახრჩობელას. მონუსხულები არიან და წინააღმდეგობის უნარი აქვთ დაკარგული. მათ ყოველ სიტყვას უკრიტიკოდ იღებენ და შეკითხვის დასმის სურვილიც არ უჩნდებათ. ამიტომაც ვხედავთ არამხოლოდ წმინდა პროფესიული თვალსაზრისით ამაზრზენ სიუჟეტებს, არამედ, რაც კიდევ უფრო დამთრგუნველია, ამ ჟურნალისტების დამამცირებელ მდგომარეობას.**

**საზოგადოებამ უკვე გამიჯნა ერთმანეთისგან ჟურნალისტები და ურნალისტები. გულახდილად ვიტყვი, ძალიან მწყინს, როცა მკვეთრ შეფასებას ვისმენ ჩემი კოლეგების მიმართ და არასოდეს მოვიწონებ მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას, რადგან ისინი სააკაშვილის ნაცრეჟიმის მსხვერპლად მიმაჩნია. მაგრამ ვერც იმას უარვყოფ, რომ ჟურნალისტი არასოდეს იკადრებს და არ დაიჩოქებს რესპონდენტის წინაშე, ურნალისტებისთვის კი ეს ჩვეულებრივ საქმედ იქცა. ამიტომაც პასუხი უნდა მოეთხოვოთ ხელისუფლების წარმომადგენლებსა და იმ ტელემამებს, ვინც ეს უძველესი პროფესია მხოლოდ პროპაგანდის საშუალებად აქცია.**

დრო გავა და ამ ადამიანებს შერცხვებათ, რომ ამდენი დამცირების ატანა უწევდათ. ჰიტლერის ნაცისტური რეჟიმის მსხვერპლთა მსგავსად, ისინიც შეეცდებიან, თავი იმართლონ, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ სხვა გზაც არსებობს, და ეს გზა თავმოყვარეობაზე და პროფესიის პატივისცემაზე გადის. მაგრამ, ეს მათი არჩევანია. ეს არ არის ღირსეული არჩევანი და ხელისუფლებამ სწორედ იმიტომაც უნდა აგოს პასუხი, რომ მათ ასეთი არჩევანი შესთავაზა.

ახლა ჟურნალისტების ძაგება მოდური გახდა და პოლიტიკაზე აღარ ლაპარაკობენ იმდენს, რამდენსაც ჟურნალისტიკის ავ-კარგზე. ესეც ამ დროის სენია და, ალბათ, ოდესმე განკურნების ჟამიც მოაწევს, მაგრამ იმ დროისთვის, შესაძლოა, ძალიან დაგვიანებული იყოს. ჟურნალისტებს, სანამ წერა-კითხვას ასწავლიან, უნდა უთხრან, რომ ღირსებასთან კომპრომისზე არ უნდა წავიდნენ, რადგან ამით მთელ ცხოვრებას გაინადგურებენ. რეჟიმებს ყოველთვის დასჭირდებათ ერთგული მსახურები, მაგრამ, თუ მაინც ამ გზას ირჩევენ, მაშინ კარგად უნდა გაისიგრძეგანონ, რომ დიდება და პატივი აუხდენელ ოცნებად გადაექცევათ. ჟურნალისტობა ამბიციური პროფესიაა და უმეტესობა ამიტომაც ირჩევს. მაგრამ ჟურნალისტობა, უპირველესად, სიმართლის მსახურება, ხალხისთვის მართალი სიტყვის თქმაა. არ არის გამორიცხული, მოგატყუონ, შეიძლება შეცდე კიდეც, მაგრამ, როცა ამ გზას დაადგები, უნდა გახსოვდეს, რომ გატკეპნილ ბილიკზე სიარული ვარსკვლავად კი არა, უფერულ თაგუნიად გადაგაქცევს. ადამიანების ნდობის მოპოვება კი ძალიან ძნელია, თუ გულწრფელი არ იქნები.

**არიან კი დღევანდელი რეჟიმის მსახური ჟურნალისტები გულწრფელები? პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ არა. მათ დღევანდელი პროცესების სიღრმეების წვდომაც არ შეუძლიათ, რადგან ყოველდღიურობამ მოსამართ თოჯინებად აქცია. ტელემამებმა მათი დამცირების ყველა ხერხი მოსინჯეს და, როცა დარწმუნდნენ, რომ კარგად „მოზილეს", ბოლოს გამოუცხადეს, კადრში მიკროფონი არ უნდა გამოჩნდესო** (ესეც პროპაგანდისთვის სჭირდებათ — სხვადასხვა არხს ერთნაირი კომენტარი უნდა ჰქონდეს და, თუკი რომელიმე ტელევიზიის ლოგოიანი მიკროფონი გამოჩნდება ეკრანზე, ცხადი გახდება, რომ პროპაგანდისტული ტრიუკი ჩავარდება). **რა უნდა ექნათ ნაცჟურნალისტებს? ჰოდა, დაიჩოქეს. დაიჩოქეს პრეზიდენტის წინაშე, დაიჩოქეს პარლამენტის თავმჯდომარის წინაშე, დაიჩოქეს პრემიერ-მინისტრის წინაშე, დაიჩოქეს თბილისის მერის წინაშე, დაიჩოქეს...**

ასე დააჩოქა „ნაცხელისუფლებამ" თავისი პროპაგანდისტები. ხალხისთვის კი ყველა ჟურნალისტია. მართალია, ხელისუფლებამ ოცნება ვერ აისრულა და ქართული ჟურნალისტიკა ვერ დააჩოქა, მაგრამ იმიტაცია ხომ შექმნა? ესეც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ყველამ მათ ფეხებთან უნდა იფორთხოს; მაშინაც, როცა „ოჯახური" ტრუსებიდან წყალი წურწურით ჩამოსდის ზღვიდან ამოსულ პრეზიდენტს და მაშინაც, როცა მორიგი ტყუილის ნაკადს გამოუშვებენ ნაცბობოლები.

**ხალხის დამცირება ყოველდღიურობის აუცილებელ ატრიბუტად აქცია სააკაშვილის ხელისუფლებამ და ცოტამ თუ იცის, რომ ამას „ნაცები" დიდი სიამოვნებით შეჰყურებენ, რადგან მათაც ხშირად უწევთ დამცირების ატანა; ისინი ამ დამცირებით გაჩენილი კომპლექსების დაძლევას ცდილობენ და მთელი სისასტიკე ქვემოთ მოედინება.**

გვიკვირს ხოლმე, საიდან ასეთი არაადამიანურობა? თავიდან, ყველაფერი თავიდან მოდის. როცა პირველ ხელისუფალზე საუბრისას მოულოდნელობის ეფექტი იკარგება და, რაც უნდა თქვან, ყველაფერი დასაშვებად მიგაჩნია, როცა ფიქრობ, რომ მისთვის არ არსებობს რაიმე წმინდა, ცხადია, ჟურნალისტების ჩოქბჯენიც აღარ გაოცებს. მაგრამ ჩოქბჯენის თავისუფლებას არაფერი აქვს საერთო სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან, რომლის დეკლარირებასაც ასე თავგამოდებით ცდილობენ სააკაშვილი და მისი ნაცხელისუფლება.

**ბონდო მძინარაშვილი**

# პრეზიდენტო სააკაშვილო, ნუ მოკლავთ პრესას!

**პრეზიდენტო სააკაშვილო, ნუ მოკლავთ პრესას! — ეს მიმართვა, „ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, ქართულ და ინგლისურ ენებზე თითქმის ყველა გაზეთის დღევანდელი ნომრის პირველ გვერდზე დაიბეჭდა. გაზეთები: „კვირის პალიტრა", „რეზონანსი", „ასავალ-დასავალი", „ვერსია", „ახალი თაობა", „ქრონიკა" („ქრონიკის" მიმართვას ასეთი ფორმულირება აქვს: „პრეზიდენტი სააკაშვილი კლავს პრესას") ამ ფორმით საგაზეთო ჯიხურების აღების კამპანიას აპროტესტებენ და მისი შეჩერების მოთხოვნით პრეზიდენტ სააკაშვილს მიმართავენ.**

გაზეთ „კვირის პალიტრის" ინფორმაციით, თბილისში არსებულ პრესაზე სპეციალიზებული 140-150 ჯიხურიდან დღეისთვის რამდენიმეღაა დარჩენილი და მათაც, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე აიღებენ. **„ჯიხურების აღება ქვეყნის სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც იგეგმება",** — წერს „კვირის პალიტრა".

სტატიის ავტორი ხათუნა პაიჭაძე პრესის ასოციაციის ხელმძღვანელ ლაშა ტუღუშსა და ექსპერტებსაც ესაუბრა, რომლებიც საგაზეთო ჯიხურების აღების კამპანიას ბეჭდურ მედიაზე ზეწოლად აფასებენ.

**„ეს არის აღვირახსნილი ქმედება! ცხადია, ამ ვითარების თავიდათავი ხელისუფლების პოლიტიკური კრიზისია. ასეთი რეაქციული შეტევა დამოუკიდებელ მედიაზე ჯერ არ ყოფილა და ეს პირდაპირ უკავშირდება არჩევნებს",** — აცხადებს გაზეთ „რეზონანსის" რედაქტორი ლაშა ტუღუში.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის შეფასებით კი, ესა თუ ის პოლიტიკური ძალა მედიის გაქრობას ცდილობს.

გაზეთ „რეზონანსის" ინფორმაციით, პრესის გამავრცელებელი კომპანიების ნაწილი გაკოტრების საფრთხეზე საუბრობს.

**„პრესის გამავრცელებელი კომპანიების ნაწილი აცხადებს, რომ, ბოლოდროინდელი ტენდენციის გათვალისწინებით, რომელიც ქალაქში პრესის ჯიხურების აღებას უკავშირდება, ისინი გაკოტრების პირას არიან,"** — წერს „რეზონანსი".

გაზეთ „ვერსიის" ცნობით კი, ძველი საგაზეთო ჯიხურების აღების პარალელურად, მერიის მიერ გამოცხადებულ აუქციონებზე 22 ჯიხური შპს „პოულტრი ჯორჯიამ" (ყოფილი „კოდა") შეიძინა, თუმცა მათ შორის პრესის ჯიხური არც ერთი არ არის. **დედაქალაქში პრესის გავრცელებას, უკვე რამდენიმე კვირაა, პრობლემები შეექმნა. სადისტრიბუციო კომპანია „მაცნეს" ქსელი კი შაბათს პრაქტიკულად პარალიზებული იყო, რისი მიზეზიც სწორედ თბილისში პრესის გავრცელების ჯიხურების აღება გახდა. შაბათს „მაცნეს" სარეალიზაციოდ არც ერთი გაზეთი არ გაუტანია.**

პრესის გამავრცელებელი ჯიხურების აღება მერიის პროექტ „1000 ჯიხურის" გამო ხდება, რომლის ფარგლებშიც თბილისში ახალი სავაჭრო ჯიხურები ჩაიდგმება. **როგორც მერიაში აცხადებენ, პროექტი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას ისახავს მიზნად, აქამდე ჩატარებულ აუქციონებში კი, არსებული ინფორმაციით, ძირითადად გაიმარჯვეს კომპანიებმა: „პოულტრი ჯორჯიამ" (ყოფილი „კოდა"), „კუმისი", „ნუგეში", „იოლი".**

პროექტ „1000 ჯიხურის" ფარგლებში მორიგი აუქციონები 28 დეკემბერს და 4 იანვარს გაიმართება.



ჩეაქსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ რამე გავაკეთეთ, შევიძინეთ და ეს ბიზნესსაც ეხება, ყველაფერი გაკეთდა ჩემი ფულით. გიას არ ჰქონდა ფული, ჩემი ფულით შევიძინეთ კახეთში მიწები, ვენახები გავაშენეთ და წლების მანძილზე იქ 150 კაცს ვუხდიდით ხელფასს. ეს ხალხი დასაქმებული იყო. თუ რამე შემიძენია საქართველოში, თუ რამე გამიკეთებია, ყველაფერი ეს ხდებოდა მანამდე, ვიდრე მიხეილ სააკაშვილის ნათესავი გავხდებოდი და მას შვილს მოვუნათლავდი.**

# მინისტრის ცოლის პირუეტი, ანუ ვისია, ვისი სახლი ლამაზი?

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში (14-20 დეკემბერი, №45), გამოქვეყნდა წერილი „დავით სააკაშვილმა და გრიგოლ ვაშაძემ „ქართული ოცნება“ წყნეთში აისრულეს“. სტატიაში კონფიდენციალურ წყაროებზე დაყრდნობით მოთხრობილი იყო იმის შესახებ, რომ წყნეთში, ე.წ. კაკლების დასახლების ყველაზე პრესტიჟულ ადგილას, შენდება ორი, ერთმანეთისგან ნაწილობრივ დამოუკიდებელი ფეშენებელური სახლი, რომელთაგანაც ერთი პრეზიდენტის ძმას — დავით სააკაშვილს ეკუთვნის, ხოლო მეორე — პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილსა და მის მეუღლეს, საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წყაროს ინფორმაცია რეალობასთან ახლოს იყო, ჩვენ მაინც დავიცავით ჟურნალისტური ეთიკის თუ თამაშის წესები და ინფორმაცია ვაშაძე-ანანიაშვილის მშენებარე სახლთან დაკავშირებით შევამოწმეთ. ვესაუბრეთ ნინო ანანიაშვილის პრესმდივანს — თამარ მოდებაძეს, ქალბატონ ნინოს ძმას — გიორგი ანანიაშვილს და დიდგორის რაიონის გამგებლის მოადგილეს — კახა შაგულაშვილს.**



**ნინო ანანიაშვილი:**

## ეს ნაკვეთი ჩემს ძმას, გიორგის ვაჩუქე და მან გაყიდა, ვის მიყიდა, არ ვიცი...

**თამარ მოდებაძემ და გიორგი ანანიაშვილმა უარყვეს, რომ მშენებარე სახლი ნინო ანანიაშვილს ეკუთვნოდა. მათი თქმით, სიმართლეს არც ის ინფორმაცია შეესაბამებოდა, რომ ანანიაშვილს 8000 კვ.მ მიწის ნაკვეთი ხელისუფლებამ აჩუქა „კაკლებში“. გიორგი ანანიაშვილმა გვითხრა, რომ ქალბატონ ნინოს 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ედუარდ შევარდნაძემ აჩუქა, რომელიც დამ მას — ძმას აჩუქა, ბატონმა გიორგიმ კი, როგორც თავად იხსენებს, სავარაუდოდ, კომპანია „ვისოლს“ მიჰყიდა.**

**სტატიის დაბეჭდვისთანავე დამიკავშირდა ქალბატონი თამარ მოდებაძე და მითხრა, რომ ნინო ანანიაშვილს ჩემთან შეხვედრა და აღნიშნულ პუბლიკაციასთან დაკავშირებით საუბარი სურდა. ცხადია, შეხვედრაზე უარი არ მითქვამს და ნინო ანანიაშვილს საბალეტო სკოლაში ვესტუმრე.**

**— ქალბატონო ნინო, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია და ეს გაზეთშიც დავწერეთ, რომ „კაკლებში“ მშენებარე სახლის ნახევარი თქვენ და თქვენს მეუღლეს გეკუთვნით.**

— ვაიმე, ძალიან გამიხარდება, ვინმემ რომ მაჩუქოს რამე, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იქნება!.. შეიძლება მართალია და არ ვიცი, ჩამაყენეთ საქმის კურსში, მომიტანეთ დოკუმენტები, რომ მჩუქნიან, ძალიან გამიხარდება!

**— ანუ უარყოფთ, რომ „კაკლებში“ მშენებარე სახლის ნახევარი თქვენია?**

— კი არ უარვყოფ, საერთოდ გაუგებარია ჩემთვის ეს თემა.

**— ქალბატონო ნინო, ჩემი სტატიის გამოქვეყნებამდე რამდენიმე თვის წინ ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ე.წ. კაკლებში, სადაც ახლა მშენებლობა მიმდინარეობს, გამართა ბრიფინგი და თქვა, რომ ნინო ანანიაშვილი და გრიგოლ ვაშაძე სახელმწიფოსგან ნაჩუქარ მიწის ნაკვეთზე სახლს იშენებენო. რატომ არ უარყავით მაშინ ნათელაშვილის ეს განცხადება? ისიც ნათქვამია, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდებაო...**

— სერიოზულად ამ თემაზე, ამ სახლზე ლაპარაკიც კი არ შემიძლია. პოლიტიკოსი იმისაა, რომ ილაპარაკოს, მაგრამ საფუძვლიანად. გამიგეთ, ეს სახლი არ არის ჩემი, არც ჩემი მეუღლის. არც კი ვიცი, სად და რა შენდება. **შალვა ნათელაშვილს ვჩუქნი იმ სახლს, თუ მოიტანს რაიმე დოკუმენტს არა იმის შესახებ, რომ სახლი ჩემი ან ჩემი მეუღლისაა, არამედ რაღაც დოკუმენტს, რომელიც ჩვენს კავშირს დაადასტურებს ამ სახლთან.** ეს ხმაურიც იმითაა გამოწვეული, რომ ჩემი მეუღლე პოლიტიკური ფიგურაა, მაღალი თანამდებობა უჭირავს მთავრობაში და ვიღაცამ ცუდი ხომ უნდა ილაპარაკოს მასზე? უამრავ სიკეთეს ვაკეთებ და ამაზე რატომ არ წერთ ჟურნალისტები?

**— ფაქტია, რომ თქვენ გქონდათ მიწის ნაკვეთი „კაკლებში“.**

— მერე და ამას ვინ უარყოფს? ედუარდ შევარდნაძემ, ზუსტად არც მახსოვს, 90-იანი წლების ბოლოს, თუ არ ვცდები, დაახლოებით 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მაჩუქა, ანუ სახელმწიფომ მომცა ეს ნაკვეთი. რამდენიმე წლის მანძილზე ეს ნაკვეთი იყო ხელუხლებელი. კი ვაპირებდი იქ სახლის აშენებას, მაგრამ მერე ავლაბარში ვიყიდე მიწის ნაკვეთი და იქ ავიშენე სახლი. ეს ნაკვეთი ჩემს ძმას, გიორგის ვაჩუქე და მან გაყიდა. ვის მიყიდა, არ ვიცი და არც დავინტერესებულვარ. ახლა არ მითხრათ, უფლება არ გქონდა, ძმისთვის მიწის ნაკვეთი გეჩუქებინაო. დავაზუსტებ, რომ, როცა ეს მიწის ნაკვეთი ჩემს ძმას ვაჩუქე, მე მოსკოვში ვიყავი, იქ ვმუშაობდი; მოსკოვში ვიყავი იმ დროსაც, როცა ავლაბარში დავიწყე სახლის მშენებლობა. მერწმუნეთ, მართლა არ ვიცი, ვინ, სად, რას აშენებს და ამ სახლთან მე და გიას არაფერი გვაკავშირებს. თუ ვინმე საჩუქარს მიმზადებს, ააშენებს და მაჩუქებს, ხომ გითხარით, მადლობელი დავრჩები. ერთადერთი, ჩემი გვარი იმ სახლებთან დაკავშირებით იმიტომ ფიგურირებს, რომ ერთ დროს იმ კაკლებში 1000 კვ.მ ნაკვეთი მეკუთვნოდა.

**— და მეორე მიზეზიც არის: თქვენი მეუღლე ამ ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრია.**

— სწორედ ამის გამო ლაპარაკობენ ასეთ აბსურდებს. მე არაფერი მაქვს დასამალი, ხომ ავაშენე სახლი ავლაბარში? ის სახლი ჩემია. ჩემი შრომით, ოფლით, წვალებით მოპოვებული სახსრებით აშენდა და, რაც არ არის ჩემი და გიასი, იმაზე არასდროს ვიტყვი, რომ ჩემია.

**— კარგი, ბატონო, თქვენი არ არის ეს სახლი, მაგრამ ვისიც არის, იმან ხომ თქვენი სახელი გამოიყენა საკუთარი ვინაობის გადასაფარად? და მეორეც: სახლის მშენებლებმა და მუშებმა იციან, რომ ისინი ნინო ანანიაშვილისა და დავით სააკაშვილის სახლებს აშენებენ.**

— ჰკითხეთ ერთი იმ მუშებს, როგორ გამოიყურება ანანიაშვილი? შეიძლება სახლს აშენებდე და ერთხელ მაინც არ მიხვიდე, არ დაინტერესდე, რას გიშენებენ? არც გია მისულა იქ და არც მე. ხომ გითხარით, რაკი ერთ დროს იქ ნაკვეთი მეკუთვნოდა, ამას მოჰყვა ჭორები. უამრავი ჭორი გამიგია ჩემ შესახებ და არ მცალია საიმისოდ, ყველას ვუპასუხო, გავაბათილო. უამრავი საქმე მაქვს საკეთებელი. სიმართლე გითხრათ, არც ის ვიცი, ჩემი ნაკვეთი იქ მდებარეობს თუ არა, სადაც მშენებლობა მიმდინარეობს. შესაძლოა, არც არის იქ ჩემი ნაკვეთი, სახლები შეიძლება სხვაგან შენდება. თუ ვინმე იყენებს ჩემს სახელს საკუთარის გადასაფარად, მე რა შუაში ვარ?

**— იმასაც ამბობენ, იმ სახლის გვერდით, თქვენად რომ მოიაზრება, დავით სააკაშვილი იშენებს სახლსო.**

— საერთოდ არ ვიცნობ დავით სააკაშვილს...

**— ნათესავია, ნათლულის, მიხეილ სააკაშვილის ვაჟის, ნიკოლოზის ბიძა და არ იცნობთ? ნათლობაში მაინც არ იყო?**

— არ ვიცნობ, რა ვქნა? ვიცნობ სანდრას, ვიცნობ მიხეილ სააკაშვილს, ქალბატონ გიულის, ქალბატონ მზიას... დათო სააკაშვილს არ ვიცნობ. შესაძლოა, ვიცი, რომელია, ნანახი მყავს, მაგრამ ვერ ვიხსენებ ნამდვილად.

**— ქალბატონო ნინო, თავად ხელისუფლების წარმომადგენლები პირად საუბარში არ უარყოფენ, რომ ქვეყანაში ელიტური სახელისუფლო კორუფციაა. ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი არსებობს და მათ ჩამოთვლას დიდხანს მოვუნდები. თქვენი მეუღლეც ამ ხელისუფლების წარმომადგენელია. გამოდის, გრიგოლ ვაშაძე „თეთრი ყვავია“ ხელისუფლებაში?**

— დიახ, ასეა. გიას ვინც იცნობს, ყველამ იცის, ის პატიოსანი კაცია, წესიერი ადამიანი და ჩინოვნიკია. როცა საქართველოში ჩამოვედით, აქ სახლი არ გვქონდა, 1500 დოლარს ვიხდიდი ქირას 1 წელი, ვიდრე ავლაბრის სახლი დასრულდებოდა. **თუ რამე გავაკეთეთ, შევიძინეთ და ეს ბიზნესსაც ეხება, ყველაფერი გაკეთდა ჩემი ფულით. გიას არ ჰქონდა ფული, ჩემი ფულით შევიძინეთ კახეთში მიწები, ვენახები გავაშენეთ და წლების მანძილზე იქ 150 კაცს ვუხდიდით ხელფასს. ეს ხალხი დასაქმებული იყო. თუ რამე შემიძენია საქართველოში, თუ რამე გამიკეთებია, ყველაფერი ეს ხდებოდა მანამდე, ვიდრე მიხეილ სააკაშვილის ნათესავი გავხდებოდი და მას შვილს მოვუნათლავდი.**

**მეტიც, უფრო ადრე — ვიდრე მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი გახდებოდა.**

საერთოდ არ იყო ეს ხელისუფლება, ომი და უბედურება იყო საქართველოში, მაგრამ ჩამოვდიოდი, ვცეკვავდი, რომ დასი შეგვენარჩუნებინა. და ცხადია, ყოველგვარი ჰონორარის გარეშე, იქით მეხარჯებოდა ფული და ამაზე არც ღირს ლაპარაკი. ახლაც, მე ოპერისა და ბალეტის თეატრში გამოსვლისას ჰონორარს არ ვიღებ, ისე, კეთილი ნებისთვის ვცეკვავ; ყოველწლიურად ვცეკვავ, რომ პატარა ბავშვს ოპერაცია გავუკეთო, ვინმეს სახლი ვუყიდო... არაერთი საქველმოქმედო კონცერტი გამიმართავს ან სხვის ორგანიზებულ კონცერტზე მიცეკვია. ახლა მაქვს ფონდი, რომელიც ჯერჯერობით მცირე საქველმოქმედო საქმიანობითაა დაკავებული. ამაზე არასდროს არსად არ მითქვამს. ახლაც იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ვინმემ თქვას, ნინო რა კარგი გოგოაო. უბრალოდ, მინდა გთხოვოთ თქვენც, თქვენს კოლეგებსაც, რომ დაუსაბუთებლად ნუ შეურაცხყოფთ ადამიანებს.

**— ქალბატონო ნინო, ჩვენ გვქონდა ინფორმაცია სანდო წყაროზე დაყრდნობით და მოვალენიც ვიყავით, გაგვევრცელებინა. თან შევამოწმეთ ეს ინფორმაცია თქვენს პრესმდივანთან, თქვენს ძმასთან და დიდგორის რაიონის გამგებლის მოადგილესთან.**

— გამგებლის მოადგილემ უარყო ინფორმაცია და განაცხადა, რომ ნინო ანანიაშვილის მშენებარე სახლის შესახებ არაფერი მსმენიაო. ჩემმა პრესმდივანმა და ჩემმა ძმამაც უარყო იმ სახლთან ჩემი კავშირი. თქვენ კი მაინც დაწერეთ, რომ ის სახლი ჩემია.

**— დავწერეთ წყაროზე დაყრდნობით და თან არა მტკიცებულების ფორმით, რისი უფლებაც კანონით გვქონდა.**

— იცით, მესმის თქვენიც, მე დემოკრატიის, სიტყვის თავისუფლების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს; პირიქით, მომხრე ვარ დემოკრატიისა, მაგრამ ეს პროცესი ცალმხრივი არ უნდა იყოს. მეც უნდა შემეძლოს თავის დაცვა, როცა ცილს მწამებენ.

**— თუ თვლით, რომ ცილი დაგწამეთ, მიმართეთ სასამართლოს.**

— ასეც მოვიქცეოდი, მაგრამ სად მაქვს სასამართლოში სირბილის დრო! ამასთან, მე ძალიან კარგად ვიცნობ კანონს. არასწორია, სასამართლოში მე ვამტკიცო, რომ ეს სახლი ჩემი არ არის. პირიქით — რასაც მაბრალებენ, აქეთ უნდა დამიმტკიცონ კიდეც.

**— ანუ კანონი არ მოგწონთ?**

— მოდით, ამით დავასრულოთ. ისე, **სიმართლე გითხრათ, რაც ამ ბოლო დროს ცილისმწამებლური ინფორმაცია გავრცელდა მედიით ჩემ წინააღმდეგ, უცხოურ გამოცემებში რომ დაბეჭდილიყო, მართლა მივმართავდი სასამართლოს და კომპენსაციის სახით გამომცემლებისგან სოლიდურ თანხებსაც მივიღებდი.**

ესაუბრა
**ლევან ჯავახიშვილი**

„პენიტენციალურ სისტემაში ჯანდაცვა არის ის მიმართულება, რომელიც დღემდე რჩება გადაუჭრელ პრობლემად და მეტიც, ეს ის სფეროა, რომლის გაუმართაობისა და მოუწესრიგებლობის გამოც უამრავი ადამიანის სიცოცხლეა საფრთხეში. ამას ადასტურებს ოფიციალური სტატისტიკაც, ვინაიდან გარდაცვლილ მსჯავრდებულთა აბსოლუტური უმეტესობის სიკვდილის მიზეზი იყო სწორედ ის, რომ მათ საჭირო დროს არ ან ვერ ალმოუჩინეს სათანადო სამედიცინო დახმარება...“



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსჯავრდებული კახა ბარათაშვილი ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს

**ციხეებში არსებულ მდგომარეობასა და ზოგადად ადამიანის უფლებების დარღვევის ბოლოდროინდელ ფაქტებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი, იურისტი ნინო გობრონიძე.**

**— ქალბატონო ნინო, გასულ კვირას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მსჯავრდებულ კახა ბარათაშვილის მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზე ინფორმაცია გაავრცელა. მასში ნათქვამი იყო, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. კონკრეტულად რა ფორმით განხორციელდა მასზე ძალადობა?**

— კახა ბარათაშვილი სასჯელს №17 დაწესებულებაში იხდიდა, სადაც, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, გაურთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა და, ვინაიდან თავის დროზე არ ალმოუჩინეს სათანადო სამედიცინო დახმარება, მსჯავრდებული, ფაქტობრივად, სიკვდილის პირამდე იყო. როგორც ჩვენთვის ცნობილია, მას საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა გაუსაძლისი ტკივილები და შემდეგ, როცა ციხის ადმინისტრაცია დარწმუნდა, რომ პატიმარს სჭირდებოდა სასწრაფო ოპერაცია თირკმელებზე, გადაიყვანეს №18 დაწესებულებაში, რომელიც არის სამკურნალო დაწესებულება.

ჩვენ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, მოგვმართა მისმა ადვოკატმა კახა მუმლაძემ, რომელმაც თქვა, რომ, როგორც მას პატიმარმა განუცხადა, ბარათაშვილის მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ და ფსიქიკურ ძალადობას. ეს ძალადობა გამოიხატებოდა იმაში, რომ, როცა მას ჰქონდა გაუსაძლისი ტკივილები და ითხოვდა ექიმს, იგი ჩაიყვანეს პროზექტურაში, სცემეს, გააშიშვლეს, მიასხეს ცივი წყალი და დაემუქრნენ, თუ კიდევ მოითხოვდა სამედიცინო დახმარებას, ფიზიკური ზემოქმედება მასზე ისევ გაგრძელდებოდა. ასევე, როგორც კახა მუმლაძემ განაცხადა, იყო მუქარა სექსუალური ძალადობის კუთხითაც, რასაც თვითონ მსჯავრდებული ადასტურებს.

...ამის შემდეგ უკვე ბარათაშვილი გადაყვანილ იქნა ფსიქიატრიულ პალატაში, სადაც მას გაუკეთდა ოპერაცია. ოპერაციიდან რამდენიმე დღეში კი ისევ გაგრძელდა მუქარა, ოღონდ ამჯერად არა მხოლოდ პატიმრის, არამედ უკვე მისი ოჯახის წევრების მიმართაც...

**— ოჯახის წევრების მიმართ კონკრეტულად რა ფორმით იყო მუქარა?**

— **მუქარა ხორციელდება ხოლმე სატელეფონო ზარების მეშვეობით, ანუ ურეკავენ პატიმრის ოჯახის წევრებს — ცოლს, შვილებს, დედას და ეუბნებიან, თუ თქვენ ისაუბრებთ თქვენი ოჯახის წევრის მდგომარეობის შესახებ და შეეცდებით, გაახმაუროთ ეს ამბავი, ამით ის შეიძლება ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდეს.** როგორც კახა მუმლაძემ განაცხადა, ასეთი მუქარის ზარები უკვე რამდენიმეჯერ იყო ბარათაშვილის ოჯახის მიმართაც, ამიტომ დღესდღეობით ეს ადამიანები, ფაქტობრივად, ხმის ამოღებას ვერ ბედავენ და ვერ საუბრობენ იმ ძალადობის ფაქტებზე, რაც ხორციელდებოდა და, სავარაუდოდ, დღესაც ხორციელდება კახა ბარათაშვილის მიმართ საპყრობილეში.

**— პირადად თქვენ ან იურისტთა ასოციაციის სხვა რომელიმე თანამშრომელმა თუ ნახა კახა ბარათაშვილი?**

— როგორც კი მოგვმართა მისმა ადვოკატმა კახა მუმლაძემ, ჩვენ, რა თქმა უნდა, მაშინვე ვცადეთ პატიმართან შესვლა, მაგრამ ციხის ადმინისტრაციისგან უარი მივიღეთ, გვითხრეს, რომ მსჯავრდებულთან ადვოკატი იმყოფებოდა და ვერ შეგვახვედრებდნენ. შემდეგ ოპერაცია მოიმიზეზეს და ასევე უარი გვითხრეს შეხვედრაზე, ხოლო მეორე დღეს კი განგვიმარტეს, რომ მსჯავრდებული იმყოფებოდა რეანიმაციის განყოფილებაში და შესაბამისად მასთან გასაუბრება ვერ მოხერხდებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, ბუნებრივია, ისევ ვცადეთ პატიმართან შესვლა, მაგრამ ისევ უარი მივიღეთ და მეტიც, ამჯერად საერთოდ არც კი განგვიმარტეს მიზეზი, თუ რატომ არ გვიშვებდნენ მსჯავრდებულთან. მხოლოდ 5 დეკემბერს, ანუ დაახლოებით ერთკვირიანი მცდელობის შემდეგ მოახერხა ჩვენმა ადვოკატმა მასთან შეხვედრა და სწორედ ჩვენი წარმომადგენლის თანდასწრებით დაადასტურა მან ის ყველაფერი, ფიზიკურ ზემოქმედებას ვგულისხმობ, რაც მისმა ადვოკატმა კახა მუმლაძემ მოგვიყვა.

**— მსჯავრდებულის მიერ ძალადობის ფაქტების გახმაურების შემდეგ თუ გაგრძელდა მასზე ზემოქმედება?**

— როგორც მან ჩვენს ადვოკატს განუცხადა, ოპერაციიდან გამოსვლის შემდეგ მუქარა და სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიური ზემოქმედება მის მიმართ ისევ გრძელდებოდა, მანამდე კი ხელი მოაწერინეს დოკუმენტზე, რომელშიც წერია, რომ დაზიანებები მან საკუთარ თავს თვითონ მიაყენა, რაც იმას ადასტურებს, რომ დაზიანებები მას ნამდვილად ჰქონდა...

**— და თქვენ გამორიცხავთ, რომ ეს დაზიანებები მას მართლა თვითონ მიეყენებინა საკუთარი თავისთვის?**

— ჯერ ერთი, თვითონ პატიმარი ამბობს, რომ ამ დოკუმენტზე ძალით მოაწერინეს ხელი, მაგრამ ასეც რომ არ იყოს და მართლა თვითონ მიეყენებინა დაზიანებები საკუთარი თავისთვის, მაინც საქმე გვაქვს არაადამიანური მოპყრობისა და წამების ფაქტთან, ვინაიდან არ შეიძლება, ადამიანი, მსჯავრდებული მიიყვანო იმ მდგომარეობამდე, რომ იგი საკუთარი თავისთვის რამე საფრთხეს წარმოადგენდეს.

**— შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად პენიტენციალურ სისტემაში პროცესები უარყოფითად ვითარდება?**

— გააჩნია რომელ სფეროში და რა კუთხით. მაგალითად, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამ სისტემაში ჯანდაცვა არის ის მიმართულება, რომელიც დღემდე რჩება გადაუჭრელ პრობლემად და მეტიც, ეს ის სფეროა, რომლის გაუმართაობისა და მოუწესრიგებლობის გამოც უამრავი ადამიანის სიცოცხლეა საფრთხეში. ამას ადასტურებს ოფიციალური სტატისტიკაც, ვინაიდან გარდაცვლილ მსჯავრდებულთა აბსოლუტური უმეტესობის სიკვდილის მიზეზი იყო სწორედ ის, რომ მათ საჭირო დროს არ ან ვერ ალმოუჩინეს სათანადო სამედიცინო დახმარება...

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

# მიხეილ სააკაშვილმა ბიძინა ივანიშვილის ნაჩუქარი «ციცინათელა» სომხებს მიჰყიდა

**ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ხელისუფლების მთავარი სპონსორი იყო, უამრავი სახელისუფლო პროექტი მისი ფულითაა დაფინანსებული. ცხადია, მათ შორის მრავლადაა ისეთიც, „ნაცმოძრაობა“ დღემდე თავს რომ იწონებს. პრეზიდენტი თუ მასზე დაბალი რანგის ჩინოსნები ამ ობიექტების გახსნის ცერემონიალზე წითელ ლენტებს დიდი მაკრატლებით რომ ჭრიდნენ, მათი ამშენებლის სახელს არც კი ახსენებდნენ. ცხადია, მოვა დრო (და ეს, ალბათ, წინასაარჩევნო პიკზე იქნება), როცა ივანიშვილის შტაბი მედიით გაახმაურებს, თუ როდის, რაში შეეხიდა ხელისუფლებას და არც ამ პროექტების ღირებულება დარჩება საიდუმლოდ.**



თუმცა „ნაცმოძრაობის“ ლიდერების უმეტესობას შუბლის ძარღვი, დიდი ხანია, გაწყვეტილი აქვს და უხერხულობას მაინც ვერ იგრძნობს. „ნაცმოძრაობა“ მალე მოჭამს თავის დროს და, როცა მისი ლიდერები ქართული პოლიტიკური სცენიდან წავლენ, ზურგზე ნამდვილად ვერ მოიკიდებენ იმ უამრავ შენობა-ნაგებობას, რომლებიც ივანიშვილმა ააშენა. ხალხი გაიგებს სიმართლეს: როცა ესენი ბიუჯეტიდან მილიონებს იპარავდნენ, ივანიშვილი აშენებდა...

ახლა კი ერთ „ნაციონალურ“ ვირეშმაკობას მინდა ავხადო ფარდა. მიხეილ სააკაშვილს რომ ახლობელი ადამიანის გაწირვა, აბუჩად აგდება შეუძლია, ეს არაერთხელ დაამტკიცა. ქართულ პოლიტიკაში „მოსულა“, — ადამიანი ლიმონივით გამოწურო, მილიონები დაახარჯვინო და მერე მოისროლო (ასეთი ბიზნესმენები მრავლად არიან ჩვენში, ზოგი ციხეშიც ზის), სანაცვლოდ რომ არაფერი გთხოვოს. სააკაშვილი იმასაც ფიქრობს, რომ, მისი ჭკუით, ბიძინა ივანიშვილი მაშინ მოატყუა, როცა მასთან ჯერაც ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა და ქართველი მილიარდერი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ფინანსური ბურჯი იყო.

**ყველას ეხსომება — „აჭარის რევოლუციის“ წლისთავზე, 2005 წლის 6 მაისს მიხეილ სააკაშვილმა ჩოლოქის ხიდამდე, ურეკის ტერიტორიაზე, ბავშვთა გასართობი კომპლექსი „ციცინათელა“ გახსნა.** მაშინ სააკაშვილმა, ჩვეულებისამებრ, ბევრი ილაპარაკა, თუმცა მისი მთავარი გზავნილი ის იყო, რომ ასლან აბაშიძე ბავშვებისთვის არაფერს აკეთებდა, მე კი ერთ წელიწადში ამხელა საბავშვო კომპლექსი ავაშენეო. აჭარისა და გურიის რაიონებიდან ავტობუსებით უამრავი ბავშვი და მოზარდი ჩამოიყვანეს და იმ დღეს ატრაქციონიც და ნაყინიც უფასო იყო მათთვის. **ეს კომპლექსი ბიძინა ივანიშვილმა ააშენა და იმ დროს, როცა სააკაშვილმა გახსნა, ჯერაც ივანიშვილის „ქართუ ჯგუფის“ ბალანსზე იყო.** რამდენიმე თვეში ბიძინა ივანიშვილმა „ციცინათელა“ სახელმწიფოს აჩუქა და ის ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის სააგენტოს ბალანსზე გადავიდა.

**სააკაშვილმა 2 წელი შეინარჩუნა „ციცინათელა“. მერე ჩვეულმა ხუშტურმა მოუარა და 2007 წლის გაზაფხულზე ეს საბავშვო-გასართობი კომპლექსი სომეხ ბიზნესმენებს მიჰყიდა, თანაც ისე, რომ ივანიშვილი, ზრდილობის გულისთვის მაინც, არ ჩაუყენებია საქმის კურსში. როცა ბიძინა ივანიშვილს გაუგია, სააკაშვილმა „ციცინათელა“ სომხებს მიჰყიდაო, დაურეკავს და უსაყვედურია — არავის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ ცენტრში მინიმალური ფასები იქნებოდა შენარჩუნებული, მცირე მოგებაზე იმუშავებდა და ყველას, მათ შორის, შეჭირვებული ოჯახის შვილებსაც მიუწვდებოდათ ხელი. ახლა, სად არის გარანტია, რომ უცხოელი ბიზნესმენი არ გააძვირებს მომსახურებას? თუ მაინცდამაინც გაყიდვა გინდოდა, ისევ ჩემთვის მოგეყიდა ჩემივე აშენებული ან, თუ ფული გჭირდებოდა, დაგერეკათ შენ ან ვანო მერაბიშვილს და იმ რამდენიმე მილიონს მოგცემდით, რა ფასადაც „ციცინათელა“ გაყიდეთ. ჯერ არ გითხოვიათ თუ არ მომიციაო?!**

ივანიშვილს ამ სიტყვებზე მიშას ენა ჩავარდნია და ენის ბორძიკით ისლა უთქვამს, საჩქაროდ დამჭირდა ფულიო; მერე უთქვამს, მომერიდაო, მაგრამ აქაც გაჭედილა, რადგან ივანიშვილს გაუგია, რომ **ქონების მართვის სამინისტრო 4 თვე აწარმოებდა მოლაპარაკებას სომეხ ბიზნესმენებთან, ამ ხნის მანძილზე კი ივანიშვილს, ხელისუფლების თხოვნით, 50 მილიონ დოლარამდე 7-8 პროექტი დაუფინანსებია, რისთვისაც სააკაშვილს ორჯერ პირადად შეხვედრია.** მოკლედ, **ბიძინამ მიშა ტყუილში და უსინდისობაში დაიჭირა. ივანიშვილთან დაახლოებული ადამიანები ირწმუნებიან, რომ ეს ფაქტი იყო ერთ-ერთი პირველი, რამაც ნელ-ნელა ხელისუფლებაზე ბიზნესმენს გული აუცრუა.**

ისტორია კი უცნაურად, მაგრამ ჰეფი-ენდით დასრულდა. ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლების გვერდის ავლით დაუკავშირდა სომეხ ბიზნესმენებს, მათ 2 მილიონი დოლარით მეტი გადაუხადა, ვიდრე სომხებს ჰქონდათ გადახდილი სახელმწიფოსთვის და უკან დაიბრუნა „ციცინათელა“. მოკლედ, **ივანიშვილმა ორჯერ გადაიხადა — ჯერ ააშენა და აჩუქა უმადურ ხელისუფლებას „ციცინათელა“, შემდეგ კი ძალზე ძვირად გამოისყიდა ხელისუფლების მიერ გაყიდული კომპლექსი.** ჩვენთვის უცნობია, რა დაუჯდა მისი აშენება ივანიშვილს, რა ფასად მიჰყიდა სააკაშვილმა სომეხ ბიზნესმენებს და რამდენად გამოისყიდა ბიძინა ივანიშვილმა, მაგრამ ხალხის თვალში რომ მოგებული მაინც ბიძინა ივანიშვილი დარჩა, ფაქტია.

სომეხმა ბიზნესმენებმა სულ რაღაც ერთ თვეში 2 მილიონი დოლარის მოგება ნახეს, თანაც — არაფერში: სახელმწიფოსგან იყიდეს და ძველ პატრონს, ივანიშვილს მიჰყიდეს.

ის, რაც სააკაშვილმა იკადრა, ხელიდან წასული თაღლითი არ იზამდა.

**ლევან ჯავახიშვილი**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი მოსახლეობის 57 პროცენტი ცხოვრობს სოფლად და მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 8 პროცენტს აწარმოებს, იქმნება სასურსათო დეფიციტი, რომლის დასაფარად გამოიყენება იმპორტი, რომელიც, მსოფლიოში გაძვირების ტენდენციიდან გამომდინარე, გაძვირებული შემოდის. გაძვირებას ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებაც, რომელიც ჩვენთან არსებულ კრიზისს კიდევ უფრო ამძაფრებს: იზრდება მოთხოვნა საკვებ პროდუქტებზე, იძულებული ხდები, გაზარდო ამ პროდუქტების იმპორტი. ეს კი ქვეყნის მოსახლეობას უმძიმეს მდგომარეობაში აყენებს.“**

# ხალხის კეთილდღეობა 5-წლიანი და 5-დღიანი ომების შემდეგ





**გაიაფდა:**

პური, ფქვილი და პურფუნთუშეული, ბურღული, ხორცი და ძეხვეული, თევზი და თევზის პროდუქტები, კარაქი და ზეთი, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, ბეწვეული, რკინის სამეურნეო ნაწარმი და ელექტროსაქონელი, ფოტოაპარატები და სხვა საქონელი — 10 პროცენტით; კაბები, პერანგები, ქალის ბლუზები და აბრეშუმის ქსოვილის სხვა სამკერვალო ნაწარმი, ფეხსაცმელი, ქუდები — 15 პროცენტით; ტელევიზორები, არაყი — 25 პროცენტით; მარილი, ცემენტი, პატეფონები, საათები, თივა — 30 პროცენტით;

**გაძვირდა:**

ზეთი: 3,30 ლარიდან — 4,50 ლარამდე; ყველი: 5,80 ლარიდან 8,50 ლარამდე; შაქარი: 1,40 — 2,25; მაკარონი: 1,20 — 1,75; ფქვილი: 0,60 — 1,10; პური: 0,40 ლ — 0,80; წიწიბურა: 1,20 — 5; კარაქი 1 კგ: 7 — 15; კვერცხი 1 ც. 0,15 — 0,35; ნიორი 1 კგ: 4 — 9; ხორცი საქონლის ერთი კილოგრამი 6 ლარიდან — 12 ლარამდე. ლობიო: ერთი კილოგრამი 2 ლარიდან — 5 ლარამდე. თუ 2008 წელს ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების შესაძენად საცალო ფასებით ადამიანს ჯამურად უნდა გადაეხადა 44 ლარი, 2010 წლის ფასებით, იმავე პროდუქტებში და იმავე რაოდენობით უნდა გადაეხადა 23 ლარით მეტი, ანუ 67 ლარი.

**შედარება იმისა, რის შედარებასაც შემოგთავაზებთ, ეკონომიკური მეცნიერების პოზიციიდან არაკორექტულია, ასე იტყვის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვლადიმერ პაპავა. მაგრამ არის შეკითხვა, რომელიც ცნობის წადილით კი არ არის გამოწვეული, არამედ უმწვავესი ვითარებით, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი და მაჯლაჯუნასავით აწევს საქართველოს მოსახლეობას. 1941-1945 წლების გამანადგურებელი სამამულო ომის შემდგომ წლებში, 1947 წლიდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად იაფდებოდა მასობრივი მოხმარების საქონელი. 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის შემდეგ საქართველოში მასობრივი მოხმარების საქონელზე ფასები ზღაპრული ამირანივით ყოველწლიურად კი არა, ლამის ყოველდღიურად იზრდებოდა. კატასტროფულად ძვირდებოდა პროდუქტიც, საქონელიც, მომსახურებაც.**

## სტალინური გაიაფების პოლიტიკა

1947 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირში განხორციელდა ფულის რეფორმა, გაუქმდა საბარათო სისტემა სასურსათო და სამრეწველო საქონელზე, შემოღებული იქნა ერთიანი გაიაფებული სახელმწიფო საცალო ფასები მასობრივი მოხმარების საქონელზე.

ფასების შემცირებით ბიუჯეტმა 86 მილიარდი რუბლი დაკარგა. ეს ზარალი დაიფარა შრომისნაყოფიერების, მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების გაზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ხარჯზე.

1949 წლის 1 მარტს დამთავრდა ფასების გაიაფების მეორე ეტაპი. შედეგად, როგორც იმ პერიოდის დოკუმენტებშია აღნიშნული, „კვლავ მნიშვნელოვნად გაიზრდება მანეთის მსყიდველობითი უნარი და გაუმჯობესდება მანეთის კურსი უცხოურ ვალუტასთან შედარებით, კვლავ გაიზრდება მუშათა და ინტელიგენციის რეალური ხელფასი და კვლავ მნიშვნელოვნად შემცირდება სამრეწველო საქონლის საყიდლად გლეხების მიერ გაწეული ხარჯები“.

1949 წლის 1 მარტს პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა ფასების შემცირების შემდეგი ნუსხა.

**გაიაფდა:**

**პური, ფქვილი და პურფუნთუშეული, ბურღული, ხორცი და ძეხვეული, თევზი და თევზის პროდუქტები, კარაქი და ზეთი, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, ბეწვეული, რკინის სამეურნეო ნაწარმი და ელექტროსაქონელი, ფოტოაპარატები და სხვა საქონელი — 10 პროცენტით;**

**პალტოები, კოსტიუმები, კაბები და შალის ქსოვილის სხვა სამკერვალო ნაწარმი — 12 პროცენტით;**

**კაბები, პერანგები, ქალის ბლუზები და აბრეშუმის ქსოვილის სხვა სამკერვალო ნაწარმი, ფეხსაცმელი, ქუდები — 15 პროცენტით;**

**ყველი და ბრინზა, პარფიუმერიის ნაწარმი, კავეული, ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა, ჭურჭელი და პლასტმასის საყოფაცხოვრებო მოწყობილობა, მოტოციკლები და ველოსიპედები, რადიომიმღებები, პიანინოები, აკორდეონები, ბაიანები, პატეფონის ფირფიტები, საიუველირო ნაწარმი, საბეჭდი მანქანები — 20 პროცენტით;**

**ტელევიზორები, არაყი — 25 პროცენტით;**

**მარილი, ცემენტი, პატეფონები, საათები, თივა — 30 პროცენტით;**

**შემცირდა ფასები სასადილოებში, რესტორნებში, საჩაიეებსა და საზოგადოებრივი კვების სხვა ობიექტებში.**

ასე მეორდებოდა ყოველ წელიწადს.

ასევე ყოველ წელიწადს მოსამსახურეთა ყველა კატეგორიას ეზრდებოდა ხელფასები, იზრდებოდა პენსიები და სტიპენდიები.

**ექსპერტების ერთი ნაწილის შეფასებით, ამგვარი ყოველწლიური გაიაფება და ხელფასების ზრდა სხვა არაფერია, თუ არა მუშებისა და მოსამსახურეების, პენსიონერებისა და სტუდენტების ინვესტიციების ზრდა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში: მოქალაქეს აქვს საშუალება და ყიდულობს უფრო მეტს, ხარჯავს უფრო მეტს.**

მარტივად ასეა.

აი, ამ ციფრებისა და დასკვნების მიღმა კი იყო ხალხის სიხარული და უკეთესობის დარწმუნებული მოლოდინი. ამ სტრიქონების ავტორი გიდასტურებთ ამას საკუთარი ოჯახის გამოცდილებიდან გამომდინარე.

## სააკაშვილის „ქამრების მოჭერის“ პოლიტიკა

**2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის შემდეგ ცხოვრება კატასტროფულად გაძვირდა, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მა და თანამეგობრობის სხვა ქვეყნებმა 4,5 მილიარდი დოლარი დახმარების სახით გამოგვიყვეს და, დღეის მონაცემებით, მისი მხოლოდ ნახევარია ათვისებული.**

ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის მონაცემებით, 2008 წლიდან 2010 წლამდე ფიქსირდება ფასების გაძვირების მყარი ტენდენცია სამომხმარებლო კალათაში შემავალ ძირითად პროდუქტებზე.

მაგალითად, ზეთი: 3,30 ლარიდან — 4,50 ლარამდე; ყველი: 5,80 ლარიდან 8,50 ლარამდე; შაქარი: 1,40 — 2,25; მაკარონი: 1,20 — 1,75; ფქვილი: 0,60 — 1,10; პური: 0,40 ლ — 0,80; წიწიბურა: 1,20 — 5; კარაქი 1 კგ: 7 — 15; კვერცხი 1 ც. 0,15 — 0,35; ნიორი 1 კგ: 4 — 9; ხორცი საქონლის ერთი კილოგრამი 6 ლარიდან — 12 ლარამდე; ლობიო: ერთი კილოგრამი 2 ლარიდან — 5 ლარამდე. **თუ 2008 წელს ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების შესაძენად საცალო ფასებით ადამიანს ჯამურად უნდა გადაეხადა 44 ლარი, 2010 წლის ფასებით, იმავე პროდუქტებში და იმავე რაოდენობით უნდა გადაეხადა 23 ლარით მეტი, ანუ 67 ლარი.**

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2011 წლის სექტემბრისთვის პროდუქტები კიდევ უფრო გაძვირდა.

| | საქართველოში | თბილისში |
|---|---|---|
| პური 1 კგ | 1,53 ლარი | 1,55 ლარი |
| ყველი 1 კგ მოხდილი | 7,21 ლარი | 7,33 ლარი |
| სულუგუნი | 10,75 ლარი | 10,63 ლარი |
| მაკარონი 1 კგ. | 2,97 ლარი | 3,01 ლარი |
| ფქვილი 1 კგ. | 1,71 ლარი | 1,72 ლარი |
| კვერცხი 10 ც. | 3,06 ლარი | 3,18 ლარი |
| ნიორი 1 კგ | 6,45 ლარი | 6,75 ლარი |
| ხორცი 1 კგ საქონლის | 11,64 ლარი | 13,21 ლარი |
| ღორის | 12,47 ლარი | 13,30 ლარი |

და ასე შემდეგ. ამ მონაცემებსა და ბაზრის ფასებს შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა. მაგალითად, სულუგუნს 12 ლარად ჰყიდიან, ხორცის ფასი 15 ლარია და ა.შ.

ბაზარი თვითრეგულირებადია, მაგრამ რატომღაც მომხმარებლის საზიანოდ რეგულირდება.

## ექსპერტის კომენტარი

**ბატონმა ლადო პაპავამ, როგორც ვთქვით, ამ ორი ტენდენციის შედარება ბოლომდე კონსტრუქციულად არ ჩათვალა, რადგან ეკონომიკური მოდელი სტალინის ეპოქაში და ეკონომიკური მოდელი დღევანდელი საქართველოსი თვისობრივად განსხვავებულია.**

— მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, — **თქვან მან**, — საბჭოთა კავშირის ეკონომიკა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ მოახერხა, რომ ქვეყნის პრაქტიკულად მთელი პოტენციალი გადაეტანა ურალში და ურალს გადაღმა — ციმბირში, შეინარჩუნა. ეს განხორციელდა ძალიან დიდი ძალისხმევისა და ადამიანური რესურსის ფართომასშტაბიანი გამოყენების ხარჯზე.

ომის შედეგად უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფლის მეურნეობაც, რადგან უკრაინა, ყუბანი, ანუ ქვეყნის ბეღლებად წოდებული რეგიონები მიწასთან იყო გასწორებული. ომის დასრულების შემდეგ, მკაცრი დისციპლინის პირობებში პირველივე მოსავალმა სერიოზული ზრდა აჩვენა. საბჭოთა იდეოლოგიის მიხედვით, კვების პროდუქტები იაფი უნდა ყოფილიყო. ბაზარი, როგორც ასეთი, არ არსებობდა, მოთხოვნა-მიწოდება არ არსებობდა. ამან კომუნისტურ მთავრობას მისცა შესაძლებლობა, დირექტიულ რეჟიმში თანდათანობით გაეიაფებინა კვების პროდუქტები, რისი საფუძველიც იყო: პირველი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება, მეორე, დატვირთვის ეკონომიკის სხვა დარგებზე გადატანა. ანუ იყო დოტაციური დარგები, რომლებიც ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, რათა ფასი დაბალი ყოფილიყო. სხვა დარგებში კი მაღალი ფასები წესდებოდა.

**ინფორმაცია, თუ რომელი დარგები ინახავდა დოტაციურ დარგებს, საჯარო მხოლოდ „პერესტროიკის“ დროს გახდა. შემოსავლების სერიოზული წყარო იყო ფასნამატი ალკოჰოლურ პროდუქციაზე. სავალუტო რეზერვებს კი, ძირითადად, ავსებდა ოქრო, ბეწვეული, ალმასები და ნავთობი.**

მაშასადამე, სახელმწიფო პოლიტიკა იმ პერიოდში იყო ქვეყანაში კვების პროდუქტების სიიაფე, რისთვისაც გამოიყენებოდა დოტაციური სისტემა, დირექტიული ფასწარმოქმნა. აქედან გამომდინარე, იქმნებოდა შესაძლებლობა, სხვა პროდუქციის შედარებით გაძვირების ხარჯზე შედარებით გაიაფებულიყო კვების პროდუქტები.

**რა ხდება დღეს საქართველოში?**

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში არის მოქცეული. აქედან გამომდინარე, სურსათის გაძვირება საქართველოში მარტო ჩვენი პრობლემა არ არის, რადგან სურსათი მთელ მსოფლიოში ძვირდება.

გაძვირების უმარტივესი მიზეზია დედამიწაზე ადამიანების რაოდენობის ზრდა, ასევე — ტექნოლოგიური ცვლილებები, როცა სასურსათო პროდუქტები გამოიყენება არა მარტო კვებისთვის, არამედ — სხვადასხვა რთულ ტექნოლოგიურ პროცესებში. არის სხვა მიზეზებიც.

იზრდება მოთხოვნილება, იზრდება ფასები.

ამ გლობალურ ტენდენციას ემატება საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული აბსოლუტურად მცდარი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა. 2011 წლის მარტში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დროს მიხეილ სააკაშვილმა აღიარა საკუთარი უვიცობა, აქამდე ეგონა, რომ სოფლის მეურნეობას არ სჭირდებოდა სახელმწიფოს დახმარება, თავისითაც განვითარდებოდაო, და შვიდი წელიწადი დასჭირდა იმისთვის, რომ შეეგნო სოფლის მეურნეობისთვის დახმარების აუცილებლობა.

საუბარია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სუბსიდირებაზე. მთელ მსოფლიოში ეს დარგი ამ პრინციპით არსებობს. ჩვენ ასე რომ არ ვიქცეოდით, მივიღეთ ის შედეგი, რომელიც გვაქვს.

სურათი კატასტროფულია. **ჩვენი მოსახლეობის 57 პროცენტი ცხოვრობს სოფლად და მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 8 პროცენტს აწარმოებს, იქმნება სასურსათო დეფიციტი, რომლის დასაფარად გამოიყენება იმპორტი, რომელიც, მსოფლიოში გაძვირების ტენდენციიდან გამომდინარე, გაძვირებული შემოდის.** გაძვირებას ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებაც, რომელიც ჩვენთან არსებულ კრიზისს კიდევ უფრო ამძაფრებს: იზრდება მოთხოვნა საკვებ პროდუქტებზე, იძულებული ხდები, გაზარდო ამ პროდუქტების იმპორტი. ეს კი ქვეყნის მოსახლეობას უმძიმეს მდგომარეობაში აყენებს.

**— ესე იგი, ხუთდღიანი ომის შემდეგ ფასების კატასტროფული ზრდა, გლობალური ტენდენციის გარდა, ჩვენი ხელისუფლების უთავო, არაპროფესიული დამოკიდებულების ბრალია?**

— ჩვენი ხელისუფლება არ არის სოციალურად ორიენტირებული. გვაქვს რაღაც მოწოდებები, ლოზუნგები თუ სლოგანები (სამივე სიტყვა ერთსა და იმავეს ნიშნავს), მაგრამ არ გაგვაჩნია სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა.

**ბოლოთქმის ნაცვლად**

**აგვისტოს ომმა ჩვენი თავქარიანი მთავრობა კიდევ უფრო ააფორიაქა და დააბნია. ცხოვრება კი ყოველდღიურად ძვირდება. ფასები კატასტროფულად მატულობს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა.**

**არმაზ სანებლიძე**

ნაც-ტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაფანტული სკლეროზით დაავადებულთა არსებობას სახელმწიფო რატომღაც ვერ ამჩნევს, მათ არ ეხმარება არც ერთი კერძო ბიზნესორგანიზაცია. არადა, დახმარების გარეშე ეს ადამიანები, ფაქტობრივად, განწირულნი არიან... 2010 წლის მონაცემებით, ნერვული სისტემის სხვა დეგენერაციული და დემიელინიზაციით მიმდინარე ავადმყოფობებით — 2740, ხოლო ექსტრაპირამიდული და მოძრაობის სხვა მოშლილობებით 8764 ავადმყოფია რეგისტრირებული.**

# სახელმწიფომ გაფანტული სკლეროზით დაავადებულები გაწირა

**გაფანტული სკლეროზი ცენტრალური ნერვული სისტემის ქრონიკული, არაპროგნოზირებადი დაავადებაა, რომელიც უმეტესწილად ახალგაზრდა ასაკში ვითარდება და სრულ ინვალიდობას იწვევს. მიუხედავად დაავადების სირთულისა, გაფანტული სკლეროზით დაავადებულებს საქართველოში არავინ ეხმარება. მეტიც, ოფიციალური სტატისტიკაც კი ვერ მოვიძიეთ, თუ რამდენი ადამიანია საქართველოში გაფანტული სკლეროზით დაავადებული. მონაცემებს არ ფლობენ არც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. მართალია, ჩვენს ქვეყანაში არსებობს კერძო ორგანიზაცია „მს საქართველოს ფონდი“, რომელიც გაფანტული სკლეროზით 35-მდე დაავადებულს აერთიანებს, მაგრამ (მათი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად) მათ არც ერთი სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაცია არ ეხმარება. როგორც ჩანს, ქვეყანაში ამ ადამიანების ბედი არავის ანაღვლებს.**



## გიორგი ჩიქვანაია: მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრს მივმართე, არავინ დაგვხმარებია

გაფანტული სკლეროზით დაავადებული ორგანიზმის იმუნური სისტემა საკუთარი ნერვული ბოჭკოების — მიელინის გარსს ანადგურებს, რის შედეგადაც ზიანდება: თავის ტვინი, ზურგის ტვინი, მხედველობის ნერვები — ეს ყველაფერი კი, ფაქტობრივად, მთელი ორგანიზმის ფუნქციების მოშლას იწვევს. ადამიანს უჭირს გადაადგილება, იშლება მგრძნობელობა, კოორდინაცია, შარდის შეკავების კონტროლი, სუსტდება მხედველობა, ავადმყოფი უჩივის საერთო სისუსტეს უუნარო ხდება და დროთა განმავლობაში დამოუკიდებლად გადაადგილებაც უჭირს. ამას გარდა, დაავადებულები დაბალი იმუნიტეტითაც იტანჯებიან და არაერთი დაავადებით ავადდებიან. რთულია, დაავადების დიაგნოსტიკაც, ვინაიდან სპეციფიკური, კლინიკური ნიშნები გაფანტულ სკლეროზს ადრეულ სტადიაში არ ახასიათებს.

„მს საქართველოს ფონდის“ ხელმძღვანელი გიორგი ჩიქვანაია თავადაც გაფანტული სკლეროზის დიაგნოზით იტანჯება. როცა მიხვდა, რომ გაფანტული სკლეროზით დაავადებულების ბედი ქვეყანაში არავის აინტერესებდა, 2009 წელს თავად ჩამოაყალიბა „მს საქართველოს ფონდი“. დახმარებისთვის კი მიმართა დედაქალაქის მერს, პრეზიდენტს, ჯანდაცვის მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, მაგრამ არანაირი რეაგირება მის მცდელობას არ მოჰყოლია. **„პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილი წერილი გადაამისამართეს ჯანდაცვის მინისტრთან, რომელმაც, თავის მხრივ, შესაბამის სპეციალისტთან, ქალბატონ მარინა ჯანელიძესთან გადაგვამისამართა. გვითხრეს, ამ ქალბატონმა დაწეროს ყველაფერი და წარმოგვიდგინოსო. ქალბატონი მარინა ასეც მოიქცა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს არ ჰქონდა თანხა, რომ დავეფინანსებინეთ. საინფორმაციო ბანკი რომ შეიქმნას, ამის საშუალებაც არ არსებობსო, გვიპასუხეს სამინისტროდან,“** — ამბობს გიორგი ჩიქვანაია.

კონკრეტულად გაფანტული სკლეროზით დაავადებულთა მონაცემებს არ ფლობს არც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, თუმცა მათ ვებგვერდზე მითითებულია ინფორმაცია, ცენტრალური ნერვული სისტემის დარღვევების მქონე რამდენი ავადმყოფია რეგისტრირებული საქართველოში. აღმოჩნდა, რომ, **2010 წლის მონაცემებით, ნერვული სისტემის სხვა დეგენერაციული და დემიელინიზაციით მიმდინარე ავადმყოფობებით — 2740, ხოლო ექსტრაპირამიდული და მოძრაობის სხვა მოშლილობებით — 8764 ავადმყოფია რეგისტრირებული.**

გიორგი ჩიქვანაია, უკვე ექვსი წელიწადია, ინვალიდის ეტლს არის მიჯაჭვული. ჩვენს კითხვაზე, როგორ ახერხებს თავის გატანას, არ წუწუნებს, ამბობს, რომ ისე ცხოვრობს, როგორც ყველა. ადრე კომპიუტერზე ტექსტებს კრეფდა, რათა შემოსავალი ჰქონოდა, მაგრამ ახლა ამასაც ველარ ახერხებს, ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობა კომპიუტერთან დიდხანს მუშაობის საშუალებას აღარ აძლევს.

**„რამდენიმე ძალიან ცნობილი ადამიანი ვიცი, რომელთაც გაფანტული სკლეროზი აქვთ, მაგრამ მალავენ, რადგან რცხვენიათ. რა უნდა ელაპარაკო ასეთ ხალხს, ეს ისეთი უკურნებელი დაავადებაა და ისეთი სიმპტომები ახასიათებს, ვერ დამალავ, ადრე თუ გვიან მაინც გამოჩნდება, რაც გჭირს,“** — ამბობს გიორგი ჩიქვანაია.

**ფონდს ოფისიც არ გააჩნია და ის ჩიქვანაიას საცხოვრებელ სახლშია განთავსებული, თუმცა ფონდის ხელმძღვანელს ეს ყველაზე ნაკლებ პრობლემად მიაჩნია.**

— კარგი იქნებოდა, გვქონოდა ადგილი, სადაც შეიკრიბებოდნენ გაფანტული სკლეროზით დაავადებული ადამიანები, ერთმანეთს აზრს გაუზიარებდნენ. ისინი მაინც მივიდოდნენ, ვისაც ახალი დაწყებული აქვს დაავადება და ჯერ კიდევ შეუძლია გადაადგილება. ამას გარდა, გაფანტული სკლეროზით დაავადებულებისთვის აუცილებელია ფსიქოლოგის, ნევროპათოლოგის დახმარება, კომპლექსური მკურნალობა. ფონდში ნევროპათოლოგიც გვყავს და ფსიქოლოგიც, მაგრამ ისინი უსასყიდლოდ გვეხმარებიან და ამიტომ ვერ ვახერხებთ ყველა ავადმყოფთან გავაგზავნოთ. ოფისი რომ არ გვაქვს, ეს ყველაზე ნაკლებად მაწუხებს. მირჩევნია, თუ თანხა გამოჩნდება, ისევ ფონდის წევრების მკურნალობისთვის დაიხარჯოს, ვიდრე ოფისისთვის. ამ თანხით ტომოგრაფიას ან ანალიზს მაინც გაიკეთებს რომელიმე დაავადებული.

**— დახმარების თხოვნით ბიზნესმენებისთვის მაინც თუ მიგიმართავთ?**

— მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრს მივმართე, არავინ დაგვხმარებია. მხოლოდ ორჯერ — ახალ წელს და სააღდგომოდ, არჩილ გეგენავამ გამოგვიგზავნა პროდუქტები და ერთხელ „ავერსმა“ 300 ლარის მედიკამენტები მოგვცა, რაც ფონდის წევრებზე გადავანაწილეთ. მართალია, ეს ერთჯერადი დახმარება იყო და ჩვენს პრობლემებს ვერ წყვეტს, მაგრამ ამისთვისაც მადლობელი ვართ, რადგან სხვები საერთოდ არ დაგვხმარებიან.

**— რა სახის მკურნალობა ან თანხა გჭირდებათ?**

— გაფანტულ სკლეროზს გამუდმებული მკურნალობა სჭირდება, ხოლო მკურნალობის თანხა ყველა პაციენტისთვის ინდივიდუალურია. დაავადების მკურნალობა მიმართულია გაფანტული სკლეროზის პროგრესირების შეჩერებისა და გამწვავების სიმძიმისა და სიხშირის შეჩერებისკენ. დღეისთვის არსებობს იმუნურ სისტემაზე მოქმედი მედიკამენტები, რომლებიც დაავადების პროგრესირებას აჩერებს. **„ავონექსი“ და „ბეტაფერონი“ დღესდღეობით ყველაზე ეფექტურ სამკურნალო საშუალებად მიიჩნევა, მაგრამ ძალიან ძვირია. თვეში დაახლეობით 1500 ლარის მედიკამენტებია საჭირო, რაც ჩვენთვის მიუწვდომელია.**

**— მედიცინაში დაინერგა ახალი მეთოდი, გაფანტული სკლეროზის დროს ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციას ახდენენ, რითაც თავისა და ზურგის ტვინის დაზიანებული აუტოიმუნური ლიმფოციტების ლიკვიდაცია ხდება და ადრეულ ეტაპზე განხორციელებული ოპერაცია პათოლოგიური პროცესების პროგრესირებას აჩერებს. თუ კეთდება მსგავსი ოპერაცია საქართველოში?**

— ამ მეთოდით ოპერაცია ასპროცენტიანი განკურნების გარანტიას ვერ იძლევა, ჯერ მაინც ექსპერიმენტის დონეზეა. საქართველოშიც აპირებენ ოპერაციის ჩატარებას და ჩვენმა ერთმა წევრმა გამოთქვა სურვილი, ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღოს.

**— თქვენს ფონდში 35-მდე წევრია, როგორ ეხმარება ფონდი ამ ადამიანებს?**

— როცა მივხვდი, რომ საქართველოში გაფანტული სკლეროზით დაავადებულებს არავინ ეხმარებოდა, გადავწყვიტე ფონდის ჩამოყალიბება, რათა ავადმყოფებს ანალიზი დაჭირდებოდათ თუ ტომოგრაფია, ამაში მაინც დავხმარებოდით, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, საერთოდ არავინ გვეხმარება.

დაავადებულთა დასახმარებლად ჩვენამდე ვითომდა არსებობდა კერძო ორგანიზაცია, მაგრამ, როგორც გაირკვა, ის არავის დახმარებია. ვინც ამ ორგანიზაციას კურირებდა, იმ ქალბატონს (რომლის ვინაობას შეგნებულად არ დავასახელებ) დავურეკე და ვთხოვე მათი ორგანიზაციის წევრების ვინაობა და კოორდინატები ეცნობებინა, მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დამიმალა...

ორიოდე წლის წინ გერმანიაში „გაფანტული სკლეროზის საერთაშორისო ორგანზიაციას“ დავუკავშირდი. საკუთარი ქვეყნისგან განსხვავებით, გერმანელებმა გულისხმიერება გამოიჩინეს. **„თუ სადმე ასეთი რამ ხდებოდა, არ მეგონა, ასეთ გულისხმიერებას არ ველოდი. თავიდან ბოლომდე დაგაფინანსებთ, ინვალიდის ეტლსაც გამოგიგზავნით და ყველა პირობას შეგიქმნით, ოღონდ კონფერენციაზე ჩამოდითო,“** — მომწერეს. ვერ წავედი, ეტლში ვზივარ, ძალიან მიჭირს დაუხმარებლად გადაადგილება და ვერ გავრისკე.

წელიწადში 7 ათასი ევროა საჭირო ამ ორგანიზაციაში გასაერთიანებლად, მაგრამ ჩვენ, როგორც ასოცირებული წევრი, უფასოდ მიგვიღეს. ყოველთვიურად უსასყიდლოდ მიგზავნიან წერილებსა და ჟურნალებს.

**თუმცა, გერმანიისგან განსხვავებით, საქართველოში გაფანტული სკლეროზით დაავადებულთა შესახებ ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებსაც არ ფლობენ. ზედმეტია საუბარი დაავადებულთა რაიმე სახის დახმარებაზე. ეს ადამიანები საერთოდ არავის ახსოვს და მათზე არავინ ზრუნავს. ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია, არსებობს თუ არა სახელმწიფო პროგრამა გაფანტული სკლეროზით დაავადებულთა დასახმარებლად ან თუ იგეგმება მსგავსი რამ უახლოეს მომავალში. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ გაფანტული სკლეროზი იმდენად იშვიათ დაავადებებს მიეკუთვნება, რომ არც ერთი სახელმწიფო პროგრამა არ აფინანსებსო, თუმცა უცნაურია სახელმწიფო უწყების ლოგიკა, თუ გაფანტული სკლეროზი იშვიათი დაავადებაა და დაავადებულიც ცოტა გვყავს (საბედნიეროდ), სახელმწიფოსთვის მათი მოვლა-პატრონობა ხომ მით უფრო ადვილი უნდა იყოს?! ინფორმაციას რაიმე სახელმწიფო პროგრამის თაობაზე არც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ფლობენ.**

როგორც ჩანს, გაფანტული სკლეროზით დაავადებულთა არსებობას სახელმწიფო რატომღაც ვერ ამჩნევს, მათ არ ეხმარება არც ერთი კერძო ბიზნესორგანიზაცია. არადა, დახმარების გარეშე ეს ადამიანები, ფაქტობრივად, განწირულნი არიან.

**შორენა ციცქარაშვილი**

მოკლედ

## ევროპაში ქართული თხილი გაძვირდა

**ევროპულ ბაზარზე ქართული თხილის ფასმა წინა წელთან შედარებით მოიმატა და კილოგრამზე 6, 40 დოლარიდან 7 დოლარამდე გაიზარდა.** ქართულ თხილზე მოთხოვნა ძირითადად ევროპის ქვეყნებიდანაა. თხილის მსოფლიო ბაზარზე ლიდერად თურქეთი მიიჩნევა, თურქული თხილი კი ქართულთან შედარებით 15 ცენტით ძვირია. მიუხედავად ფასის ზრდისა, ქართულ თხილზე მოთხოვნა არ შემცირებულა. მოსახლეობისგან თხილის შესყიდვის ფასი, ბოლო მონაცემებით, 4 ლარი და 10 თეთრია.



## მაკკეინი საქართველოსთვის იარაღის მიყიდვას მოითხოვს

**ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ დამტკიცებულ თავდაცვის კანონში, რესპუბლიკელი სენატორის — ჯონ მაკკეინის ინიციატივით, ერთ-ერთ პუნქტად საქართველოს შეიარაღების საკითხიც შევიდა.** კანონის 1242-ე პუნქტის მიხედვით, თავდაცვის სამინისტრომ და ამერიკის მთავრობამ 90 დღის განმავლობაში უნდა ჩამოაყალიბონ გეგმა, რომელიც შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შორის ურთიერთობის განვითარებას და სამომავლოდ იარაღის მიყიდვასაც ითვალისწინებს.

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტრანსნაციონალური კორპორაციები, მედია-კარტელები და ყოვლისშემძლე ბიუროკრატიული სტრუქტურები პოლიტიკურ პარტიებს აქცევენ ორგანიზაციებად, რომელთა ამოცანა ახლა უკვე საზოგადოების სამსახური კი არაა, არამედ კონკრეტული კლიენტურისა და გარკვეული ინტერესების დაცვა. პოლიტიკა ლობისტთა ბრძოლის ველად გადაიქცა; მასმედია სერიოზულ პრობლემებს უხამსობად აქცევს; დემოკრატია ხშირად მომხმარებლისთვის განკუთვნილ ვირტუალურ თამაშს ემსგავსება და არა სერიოზულ საქმეს სერიოზული ადამიანებისთვის.**

**75 წლის ასაკში გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი და ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი, რომლის სახელი „ხავერდოვან რევოლუციასთან" არის გაიგივებული. დისიდენტობიდან პრეზიდენტობამდე გავლილი გზა ყოფილი ჩეხოსლოვაკიის ორ ქვეყნად გაყოფით დაგვირგვინდა. ჰაველს ეკუთვნის ტერმინი „აბსურდისტანი", — ისეთი ქვეყნის ირონიული სახელი, რომელშიც აბსურდი ნორმად იქცა, განსაკუთრებით, პოლიტიკაში. გთავაზობთ ჰაველის 1994 წელს დაწერილ სტატიას, რომელიც ნათლად აჩვენებს, რამდენად არასრულყოფილი აღმოჩნდა სამყარო, რომლისთვისაც დისიდენტი იბრძოდა.**



# ვაცლავ ჰაველი: გაკვეთილები, რომელთაც დღემდე გვიტარებს კომუნიზმი

15 წლისთავი 1989 წლის 17 ნოემბრის ხავერდოვანი რევოლუციისა, რომელმაც ბოლო მოუღო ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური დიქტატურის 41-წლიან ბატონობას, იმაზე დაფიქრების საბაბს იძლევა, თუ რა არის ზნეობრივი საქციელი და მოქმედების თავისუფლება. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაგრამ ბევრნი — არა მარტო ჩეხეთში — დღემდე მიიჩნევენ, რომ საკუთარი ბედის ნამდვილ პატრონებს არ წარმოადგენენ. მათ დაკარგეს რწმენა, რომ მართლაც შეუძლიათ პოლიტიკურ ცვლილებებზე და, მით უმეტეს, ჩვენი ცივილიზაციის განვითარების მიმართულებაზე ზემოქმედება.

კომუნისტურ ეპოქაში ადამიანების უმრავლესობას მიაჩნდა, რომ რაიმეს შეცვლის ინდივიდუალურ მცდელობებს აზრი არ ჰქონდა. კომუნისტური ბელადები ამტკიცებდნენ, რომ სისტემა წარმოადგენდა ისტორიის ობიექტური კანონების მოქმედების შედეგს, რის ეჭვქვეშაც დაყენება შეუძლებელი იყო, ხოლო მას ვინც ამ ლოგიკას არ იზიარებდა, სჯიდნენ, — ისე, ყოველი შემთხვევისთვის.

**სამწუხაროდ, ამგვარი აზროვნების წესი, რაზეც კომუნისტური დიქტატურები იდგა, საბოლოოდ არ გამქრალა. ზოგიერთი პოლიტიკოსი და ექსპერტი ამტკიცებს, რომ კომუნიზმი საკუთარი სიმძიმის ქვეშ დაიმარხა — ისევ და ისევ, ისტორიის „ობიექტური კანონების" მოქმედების შედეგად. პიროვნული პასუხისმგებლობისა და პიროვნების მოქმედების როლს კვლავაც ამცირებენ. ჩვენ გვეუბნებიან, რომ კომუნიზმი დასავლური რაციონალიზმის მხოლოდ ერთ-ერთი ჩიხია, ამიტომ საკმარისი იყო პასიური ლოდინი, ვიდრე იგი თავად განიცდიდა კრახს.**

იმავე ადამიანებს ხშირად სწამთ გარდაუვალობის სხვა გამოვლინებანიც, როგორიცაა თითქოსდა არსებული ბაზრის კანონები და ესა თუ ის „უჩინარი ხელი", რომელიც წარმართავს ჩვენს ცხოვრებას. ვინაიდან ამგვარი აზროვნება თითქმის არ ტოვებს ადგილს პიროვნული ზნეობრივი საქციელისთვის, მათ, ვინც სოციალური კრიტიკით გამოდის, ხშირად იგდებენ სასაცილოდ, როგორც მიამიტ მორალისტებს ან ელიტარიზმის მიმდევრებს.

შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის, რომ **კომუნიზმის დაცემიდან 15 წლის შემდეგ ჩვენ კვლავაც პოლიტიკური აპათიის მოწმენი ვართ. დემოკრატიას სულ უფრო ხშირად აღიქვამენ, უბრალოდ, როგორც რიტუალს. მთლიანობაში იქმნება შთაბეჭდილება, რომ დასავლური საზოგადოებანი დემოკრატიული ტრადიციისა და მოქალაქეობრივი აქტივობის ერთგვარ კრიზისს განიცდიან.**

შესაძლოა, ის, რაც ჩვენს თვალწინ ხდება, პარადიგმის უბრალო ცვლაა, რომელიც ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ გამოიწვია და სადარდებელიც არაფერია. მაგრამ შესაძლებელია, პრობლემა უფრო ღრმა არის: **ტრანსნაციონალური კორპორაციები, მედია-კარტელები და ყოვლისშემძლე ბიუროკრატიული სტრუქტურები პოლიტიკურ პარტიებს აქცევენ ორგანიზაციებად, რომელთა ამოცანა ახლა უკვე საზოგადოების სამსახური კი არაა, არამედ კონკრეტული კლიენტურისა და გარკვეული ინტერესების დაცვა. პოლიტიკა ლობისტთა ბრძოლის ველად გადაიქცა; მასმედია სერიოზულ პრობლემებს უხამსობად აქცევს; დემოკრატია ხშირად მომხმარებლისთვის განკუთვნილ ვირტუალურ თამაშს ემსგავსება და არა სერიოზულ საქმეს სერიოზული ადამიანებისთვის.**

დემოკრატიულ მომავალზე ოცნებისას ჩვენ, დისიდენტები ნამდვილად ვიყავით ერთგვარი ილუზიების ტყვეობაში, რასაც დღეს სრულად ვაცნობიერებთ. მაგრამ ჩვენ არ ვცდებოდით, როცა ვამტკიცებდით, რომ კომუნიზმი დასავლური რაციონალიზმის უბრალო ჩიხი არ არის. ბიუროკრატიზაცია, ანონიმური მანიპულირება და მასობრივი კონფორმიზმისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება — ყოველივე ეს „სრულყოფილებამდე" იყო მიყვანილი კომუნისტურ სისტემაში, მაგრამ ზოგიერთი ამ საფრთხეთაგან დღესაც ჩვენ გვერდით არის.

ჩვენ უკვე მაშინ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ფასეულობებს მოკლებული და პოლიტიკურ პარტიათა (ყველა სიტუაციისთვის რომ „გარანტირებული" გადაწყვეტილება აქვთ) კონკურენციამდე დაყვანილი დემოკრატია შეიძლება სრულიად არადემოკრატიული აღმოჩნდეს. აი, რატომ ვანიჭებდით ასეთ მნიშვნელობას პოლიტიკის მორალურ ასპექტებს და აქტიურ სამოქალაქო საზოგადოებას, როგორც პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფო დაწესებულებების საპირწონეს.

**ჩვენ ასევე ვოცნებობდით უფრო სამართლიან მსოფლიო წესრიგზე. ორ ბანაკად გაყოფილი მსოფლიოს დასასრულის შემდეგ გაჩნდა შესაძლებლობა იმისა, რომ საერთაშორისო წესრიგი უფრო ჰუმანური გამხდარიყო. ამის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესს, რომელიც გამოვიდა პოლიტიკური კონტროლიდან და მისი დღევანდელი სახით იწვევს ეკონომიკურ გაღატაკებას და ეკოლოგიურ კატასტროფას სამყაროს სხვადასხვა კუთხეში.**

კომუნიზმის დაცემამ მოგვცა შანსი, შეგვექმნა უფრო ეფექტური გლობალური პოლიტიკური დაწესებულებანი, რომლებიც დემოკრატიულ პრინციპებს დაეყრდნობოდა. დაწესებულებანი, რომლებიც შეძლებდნენ შეეჩერებინათ ის, რაც დღევანდელი ფორმით ჩვენი ინდუსტრიული სამყაროს თვითგანადგურების ტენდენციას ჰგავს. თუ ჩვენ არ გვინდა, რომ უსახელო ძალებმა დაგვამარცხონ, მაშინ თავისუფლების, თანასწორობის და სოლიდარობის პრინციპები — დასავლური დემოკრატიული სახელმწიფოების სტაბილურობისა და კეთილდღეობის საფუძველი — გლობალური მასშტაბით უნდა ამოქმედდეს.

მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ისევე, როგორც კომუნისტურ ეპოქაში, არ უნდა დავკარგოთ რწმენა, რომ სამოქალაქო აზრის ალტერნატიული ცენტრების არსებობა და სამოქალაქო აქტივობა მეტად მნიშვნელოვანია. **მოდით, არ დავუშვათ, რომ მოტყუებით დაგვარწმუნონ, თითქოს „დამყარებული" წესრიგისა და „ობიექტური" კანონების შეცვლა უაზრობა იყოს. მოდით, შევეცადოთ, ავაშენოთ გლობალური სამოქალაქო საზოგადოება და მტკიცედ ვიდგეთ იმ პოზიციაზე, რომ პოლიტიკა მხოლოდ ძალაუფლების ტექნოლოგია როდია; მას მორალური ასპექტიც უნდა გააჩნდეს.**

ამავე დროს დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკოსები სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ საერთაშორისო დაწესებულებათა რეფორმაზე, ვინაიდან უკიდურესად გვჭირდება ისეთი დაწესებულებანი, რომლებიც შეძლებენ რეალურ გლობალურ მართვას. შეიძლება გაეროთი დავიწყოთ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილი სიტუაციის გადმონაშთს წარმოადგენს. იგი არ ასახავს ზოგიერთი სახელმწიფოს გავლენას, რომელიც რეგიონალურ დონეზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ამავე დროს, **ქვეყნები, რომელთა ხელმძღვანელობაც დემოკრატიულად არის არჩეული, გაიგივებული არიან იმ ქვეყნებთან, რომლის წარმომადგენლები საკუთარი თავისა და მათი ხუნტის სახელით ლაპარაკობენ, რაც თავისთავად ამორალურია.**

ჩვენ, ევროპელებს, ერთი კონკრეტული ამოცანა გვაქვს. ინდუსტრიული ცივილიზაცია, რომელმაც მთელ მსოფლიოში მოიკიდა ფეხი, ევროპაში დაიბადა. ყველა მისი საწაული, ისევე როგორც მისი შემაძრწუნებელი წინააღმდეგობანი, შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც შედეგი წმინდა ევროპული სულის გამოვლინებისა. მაშასადამე, ევროგაერთიანებამ უნდა მისცეს მაგალითი დანარჩენ მსოფლიოს, თუ როგორ გავუსწოროთ თვალი სხვადასხვა საფრთხესა და საშინელებას, დღეს რომ მოგვეძალა.

მართლაც, ამ ამოცანის დაძლევა, რომელიც მჭიდრო კავშირშია ევროინტეგრაციის წარმატებასთან, იქცეოდა გლობალური პასუხისმგებლობის ევროპული გრძნობის სრულფასოვან რეალიზაციად. და ეს იქნებოდა ბევრად უკეთესი სტრატეგია, ვიდრე იაფფასიანი ბრალდებები ამერიკის მიმართ თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა პრობლემის გამო.

# რუსულმა სპეცრაზმმა ამერიკელებს კუდით ქვა ასროლინა

**ამერიკის შეერთებულ შტატებში, შტატ ფლორიდის ქალაქ ორლანდოში 29–ედ ჩატარდა Super SWAT International Round-Up – 2011. ეს მსოფლიოს სპეცრაზმთა ყოველწლიური ღია ჩემპიონატია. წელს მის სენსაციად რუსულ სპეცრაზმ „ალფას" გამარჯვება იქცა. „ალფა" რუსეთის უშიშროების — ფსბ–ს დაქვემდებარებაშია. ჩემპიონატზე მის შემადგენლობაში თერთმეტი მებრძოლი წარსდგა, მათგან ორი – სნაიპერი.**

გუნდმა უმაღლესი შედეგები აჩვენა და, თუ მანამდე ამერიკელები მათ აგრძნობინებდნენ, რომ ამ პრესტიჟულ ჩემპიონატში უბრალო მონაწილეობასაც კი უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ, საბოლოოდ Super SWAT–ის პირველი და მეორე ადგილი, აგრეთვე, Remington super sniper-ის ვერცხლი გადასცეს.

სტარტზე 72 გუნდი გავიდა, ფინიშამდე მხოლოდ 59–მა მიაღწია. რამდენიმემ დისკვალიფიკაცია მიიღო, ზოგიერთმა კი თავად მიატოვა ასპარეზობა. ამერიკელთა მსაჯობის მიმართ სერიოზული პრეტენზიები იყო. მაგალითად, როცა ერთ–ერთი შეჯიბრის შედეგები გამოცხადდა, რუსული სპეცრაზმის დრო ნაჩვენები იყო, როგორც 7 წუთი და 40 წამი. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სპეცრაზმის ოფიცერმა მთელი შეჯიბრი ვიდეოკამერაზე გადაიღო, რომელზეც მკაფიოდ ჩანდა, რომ დავალება 3 წუთსა და 40 წამში შესრულდა.

პროტესტი არ დაკმაყოფილდა საოცარი მოტივით: ვიდეო და ფოტო მასალა არ ითვლება მტკიცებულებად, მხოლოდ მსაჯის შეხედულებას აქვს მნიშვნელობა! ამ უსინდისობით აღშფოთებულმა რუსებმა შემდეგ შეჯიბრზე ისეთი ტემპი აკრიფეს, რომ ფინიშზე მისვლის შემდეგ დაბანაც მოასწრეს, გამოცვლაც და ფოტოების გადაღებაც, ვიდრე დანარჩენი მონაწილეები დაასრულებდნენ შეჯიბრს.

ამის შემდეგ ვაჭრობა გაჩაღდა: რუსებს სთხოვდნენ, პირველობა ამერიკელისთვის დაეთმო, რომელმაც გარდა დროში წაგებისა, უამრავ მიზანს ააცილა. როცა არაფერი გამოვიდა, მერე ორი ასაკობრივი ჯგუფის უკანა რიცხვით დაწესება მოინდომეს, რომ სანუკვარი პირველი ადგილი შეენარჩუნებინათ. საბოლოოდ, პირველი ადგილი მაინც რუსებს დარჩათ. თუმცა ამერიკელებმა მეორე ადგილი მაინც არ დათმეს და ბრაზილიელი, რომელსაც ჩათვლების მიხედვით მეორე ადგილი ეკუთვნოდა, მესამეზე აღმოჩნდა. მან დაიფიცა, რომ ჩემპიონატზე აღარ ჩავიდოდა. უნგრელთა მეთაურმა კი, რომელიც ათი წელია, ფლორიდაში ჩადის, გამწარებულმა წამოიძახა: „მაინც რა ძაღლიშვილები არიან ეს ამერიკელები"!

ამერიკელებს პირველი ადგილი რომ სათავისოდ ეგულებოდათ, იქიდანაც ჩანს, რომ დაჯილდოების ცერემონიალზე Super SWAT–ის მსოფლიო ჩემპიონს, რუს სპეცრაზმელს „გლოკის" ნებისმიერი მოდელის უფასოდ შეძენის სერტიფიკატი გადასცეს. ირონია კი იმაშია, რომ ამერიკაში უცხოელზე იარაღის მიყიდვა და, მით უმეტეს, ქვეყნიდან გატანა აკრძალულია! ცხადია, ჩემპიონმა სერტიფიკატით ვერ ისარგებლა.

**ავლაბრის რეზიდენციაში რუსების „ჟანგიან" ტანკებზე ლაპარაკით იმშვიდებენ თავს, ხოლო ამერიკას ჭეშმარიტების ქომაგად ნათლავენ. ქართული სპეცრაზმის „მასწავლებლები", ყალთაბანდობის მიუხედავად, რუსული სპეცრაზმის დამარცხებას მაინც ვერ ახერხებენ, ხოლო ქართული სპეცრაზმი მსოფლიო ჩემპიონატში არც მონაწილეობს. კიდევაც რომ მიიღოს მონაწილეობა, ძნელად სავარაუდოა, რომ საკუთარ მასწავლებლებზე უკეთესი შედეგი აჩვენოს. იგი მხოლოდ შინ, მშვიდობიან მოსახლეობასთან და დევნილებთან არის მაგარი.**

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსმა იუმორისტმა მიხაილ ზადორნოვმა კონცერტზე თქვა: „სააკაშვილმა დახმარება მეგობარ ფრანგებსა და გერმანელებს სთხოვა, მაგრამ მათ თავაზიანი უარით უპასუხეს. ეს იმიტომ, რომ მათ უკვე იომეს რუსეთთან"!

სააკაშვილმა არც ის იცის, რომ საფრანგეთმაც და გერმანიამაც წააგეს ომი რუსეთთან და არც ის, რომ ამერიკული, ჰოლივუდის ნაქები სპეცრაზმი საკუთარ ტერიტორიაზე გამართულ ჩემპიონატში რუსებთან დამარცხდა. იგი კვლავაც მაკკეინის იდეებს ახმოვანებს და ჰგონია, რომ მოგებული დარჩება. ეჰ, არც მიშაა ჯონ კენედი და არც სოფო ნიჟარაძე — მერილინ მონრო, რუსები კი ისევ რუსები არიან!

საქართველო ჰიბრიდული რეჟიმის მქონე 37 სახელმწიფოთა შორის მოხვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ კვლევის ავტორების დასკვნის მიხედვით, საქართველოში არსებობს როგორც დემოკრატიის, ასევე ავტორიტარიზმის ელემენტები.



# ECONOMIST: საქართველოში ავტორიტარიზმის ელემენტებია

**მსოფლიოს ქვეყნების 2011 წლის დემოკრატიის ინდექსში — Democracy Index 2011 — საქართველო 167 ქვეყანას შორის 102-ე ადგილზეა. ინფორმაციას ამის შესახებ „ჯი-ეიჩ-ენი“ აქვეყნებს.**



ბრიტანული გამოცემა Economist-ის ანალიტიკურმა განყოფილებამ the Economist Intelligence Unit თავის კვლევაში აღნიშნა, რომ 2011 წელი ხასიათდებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობით, დრამატული ცვლილებებითა და სოციალური მღელვარების ზრდით მსოფლიოს უმეტეს ნაწილში. ყველა ამ პროცესმა გარკვეული გავლენა იქონია დემოკრატიაზე, მეტწილად ნეგატიური. კვლევის ავტორები აცხადებენ, რომ დემოკრატია „სტრესს განიცდის“ და მსოფლიოს უმეტეს ნაწილში ძლიერი ზეწოლის ქვეშ იმყოფება.

**2011 წელს ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნად ნორვეგია დასახელდა, ათეულში შევიდნენ ისლანდია, დანია, შვედეთი, ახალი ზელანდია, ავსტრალია, შვეიცარია, კანადა, ფინეთი და ნიდერლანდები. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ მე-19 ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო სრული დემოკრატიის ქვეყნების ჯგუფის ბოლო, 25-ე ადგილზე ესპანეთია. სრული დემოკრატიის 25 ქვეყანაში მსოფლიოს მოსახლეობის 12 % ცხოვრობს.**

ინდექსში 53 ქვეყანა შეფასებულია, როგორც არასაკმარისი დემოკრატიის ქვეყნები. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ჰიბრიდული რეჟიმის მქონე 37 სახელმწიფოთა შორის მოხვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ **კვლევის ავტორების დასკვნის მიხედვით, საქართველოში არსებობს როგორც დემოკრატიის, ასევე ავტორიტარიზმის ელემენტები.**

რეიტინგში მყოფი დანარჩენი 52 სახელმწიფო ავტორიტარული რეჟიმების კატეგორიაში მოექცა. აღნიშნულის მიხედვით მსოფლიოს მოსახლეობის 1/3 (2,5 მლრდ. ადამიანი) ავტორიტარული მმართველობის პირობებში ცხოვრობს.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან რეიტინგში ყველაზე მაღალ საფეხურზე — 34-ე ადგილზე ესტონეთია, შემდეგ მოდიან ლიტვა (41-ე ადგილი), ლატვია (48-ე ადგილი), უკრაინა (79-ე ადგილი), საქართველო (102-ე ადგილი), ყირგიზეთი (107-ე ადგილი).

**რეგიონის ქვეყნებს შორის რეიტინგში საქართველოს შემდეგ მოდიან სომხეთი (111-ე ადგილი), რუსეთი (117-ე ადგილი) და აზერბაიჯანი (140-ე ადგილი). რაც შეეხება საქართველოს მეზობელ თურქეთს, ის რეიტინგში 88-ე ადგილზეა.**

Democracy Index 2011-ის ბოლო ხუთეული კი ასე გამოიყურება: მიანმა, უზბეკეთი, თურქმენეთი, ჩადი და ჩრდილოეთ კორეა.



# ივანიშვილისთვის გაგზავნილი წერილები უკან ბრუნდება

**„გურია ნიუსის“ ინფორმაცით, „საქართველოს ფოსტის“ ჩოხატაურის ფილიალი ბიძინა ივანიშვილთან წერილებს არ აგზავნის. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა გამოცემასთან საუბარში აღნიშნა, ფოსტაში მას განუმარტეს, რომ წერილის გაგზავნას აზრი არ აქვს, რადგან მაინც უკან ბრუნდება.**

ფოსტის თანამშრომლის, ლია კობიძის განმარტებით, წერილის გაგზავნაზე უარი არავისთვის უთქვამთ. მისივე თქმით, ორჯერ გაგზავნილი წერილი ადრესატებს უკან დაუბრუნდათ:

**„წერილის გაგზავნაზე უარი არავისთვის გვითქვამს, რადგან ეს ჩვენი შემოსავალია. თუმცა იყო ფაქტები, როდესაც ივანიშვილთან გაგზავნილი წერილები უკან დაბრუნდა. ერთ-ერთმა ადამიანმა სამადლობელი წერილი გააგზავნა, კონვერტს ასე ეწერა და ისიც კი უკან დააბრუნეს,“** — აცხადებს კობიძე.

წერილის უკან დაბრუნების ფაქტს სხვა რესპონდენტიც ადასტურებს. მისი თქმით, გაგზავნიდან რამდენიმე დღეში ფოსტიდან დაურეკეს და უთხრეს, რომ ბიძინა ივანიშვილთან გაგზავნილი წერილი უკან იყო დაბრუნებული და მოეკითხა.

წერილების უკან დაბრუნებას ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოს ხელმძღვანელი ნონა ყანდიაშვილი პოლიტიკას უკავშირებს: **„ძალიან ბევრი წერილი შემოდის ჩვენთან ფოსტიდან და ისეც მოაქვს ხალხს. აქ სხვა პრობლემა და სხვა მომენტია,“** — აცხადებს იგი.

# «გამგებელთცვენა» კახეთში



**სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის შემდეგ თანამდებობიდან გურჯაანის გამგებელი შოთა უტიაშვილიც გაათავისუფლეს. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, სამართალდამცავი ორგანოები რამდენიმე გამგებლის მიერ ქრთამის, კერძოდ კი ოქროს საათების აღების ფაქტებსაც იკვლევენ.**

შოთა უტიაშვილი განმარტავს, რომ თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე 16 დეკემბერს დატოვა. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ზაქარია იაგანაშვილის თქმით, შოთა უტიაშვილი სხვა სამსახურში გადადის სამუშაოდ, თუმცა სად, არ აკონკრეტებს.

შეგახსენებთ, რომ კახეთის საინფორმაციო ცენტრმა 10 ნოემბერს გამოაქვეყნა სტატია „გურჯაანის გამგებლის „ფაზენდა“ და დაქირავებული ბავშვები“. სტატიის მიხედვით, შოთა უტიაშვილი გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლად 2010 წლის 17 ივნისს დაინიშნა. გამგებლად დანიშვნის შემდეგ მან ქონებრივი დეკლარაცია ორჯერ შეავსო. კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ აღმოჩენილი ქონება გამგებელს არც ერთ დეკლარაციაში არ აქვს შეტანილი.

**14 დეკემბერს, პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გაათავისუფლეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნოდარ კოჭლამაზაშვილიც, რომელიც თანამდებობიდან წასვლის შესახებ კომენტარს ამ დრომდე არ აკეთებს.** კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილის — გიორგი სიბაშვილის განცხადებით, კოჭლამაზაშვილმა სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო დაწერა. „წნევები აწუხებს“, — განაცხადა სიბაშვილმა.

**საყურადღებოა, რომ იმავე დღეს კახეთის საოლქო პროკურატურამ სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი კახი ღვინიაშვილი დააკავა.** პროკურატურის ინფორმაციით, მას ბრალად ედება დიდი ოდენობით ქრთამის აღება. დანაშაული შვიდიდან თერთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, სიღნაღის გამგებლის მოხსნაც კახი ღვინიაშვილის საქმეს უკავშირდება. დაუდასტურებელი ცნობით, გამგებელი მასთან კორუფციულ გარიგებაში იმყოფებოდა. ასევე, არაოფიციალური ინფორმაციით, სამართალდამცავებს გადაწყვეტილი ჰქონდათ სიღნაღის გამგებლის დაკავება, თუმცა **გამგებელი დაპატიმრებას მისი შვილის, ავთანდილ კოჭლამაზაშვილის და კახეთის გუბერნატორის გიორგი ღვინიაშვილის დახმარებით გადაურჩა. ავთანდილ კოჭლამაზაშვილი საქართველოს მთავარ პროკურატურაში პროკურორად მუშაობს, კახეთის გუბერნატორი კი ნოდარ კოჭლამაზაშვილის ნათესავია.**

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, უახლოეს დღეებში კახეთში საკადრო ცვლილებები კიდევ განხორციელდება. არაოფიციალური ინფორმაციით, გამოძიება დედოფლისწყაროს და ახმეტის გამგებლების საქმიანობას სწავლობს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს. **„პირველად თქვენგან მესმის. არანაირი ურთიერთობა სამართალდამცავებთან არ მქონია“,** — აღნიშნა ნიკოლოზ შანშიაშვილმა.

**„ახლა სამსახურში ვარ და ვმუშაობ. მთელი გეგმები გვაქვს საახალწლოდ და ახალი წლის შემდეგ. საკრებულოს თუ არ მოეწონება ჩემი მუშაობა, შეუძლია ნებისმიერ დროს გამათავისუფლოს. ეგ არ არის პრობლემა. რაც შეეხება ოქროს საათების საკითხს, ეგ ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება“,** — განაცხადა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა მაისურაძემ.

# ქუთაისის ბაზარს ცეცხლი უკიდია

**სულ რამდენიმე დღეში ახალი, 2012 წელი დადგება. მიუხედავად იმისა, რომ ახალი წლის დადგომას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სიხარულით და საახალწლო განწყობით ელიან, ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით — ქუთაისში, მოსახლეობის უმეტესობისთვის ასე ნამდვილად არ არის.**



გაზეთმა „P.S.“-მა გადაწყვიტა, გაეგო, თუ რა მდგომარეობაა ფასების მხრივ ბაზრებში და ემზადებიან თუ არა საახალწლოდ ქუთაისელები.

**„რომელ საახალწლო განწყობაზეა საუბარი! როცა ახალი წლისთვის ემზადები, სუფრაც კარგი გინდა რომ გქონდეს, მაგრამ ვერავინ ვერაფერს ყიდულობს, ფასები ისეა გაზრდილი. ფაქტობრივად, 90% შიმშილობს, დანარჩენი 10% ბიზნესმენები და პოლიტიკოსები არიან, მაგათ რა ენაღვლებათ. 2-3 საათი ისე გაივლის, მყიდველი არ შემოვა ბაზარში, მაშინ, როცა წინა წლებში ამ დროს ბაზარში გავლა გაგიჭირდებოდა, იმდენი მყიდველი იყო. ხვალინდელი დღის მეშინია, რა ვაჭამო ბავშვებს, იმაზე ვფიქრობ მუდამ. ხალხს ხელფასი არ აქვს, ფასები კიდევ ყოველ წამს იზრდება და როგორ იყიდიან რაიმეს. საშუალო ფენა, ფაქტობრივად, უპატრონოდ ვართ დარჩენილი. კილო ხახვი ახლა რომ ხუთი ლარი ეღირება, ვინ შეძლებს და იყიდის, გეკითხებით მე თქვენ?!“** — აღნიშნა ბოსტნეულის გამყიდველმა ელიკო ენდელაძემ.

**„რამდენიმე დღეში ახალი წელი დადგება და თქვენც ხედავთ, რომ ბაზარი თითქმის ცარიელია, არავინ არ მოდის, არა აქვთ საშუალება და რა ქნან. წინა წლებთან შედარებით, ფასები ხომ ყველაფერზე იმატებს და იმატებს, მყიდველთა რაოდენობა კი შესაბამისად იკლებს, თან მეორე პრობლემაც დგას: ქალაქი ნელ-ნელა იცლება, საზღვარგარეთ მიდის ხალხის უმეტესობა“,** — განაცხადა გამყიდველმა ეკა სვანაძემ.

საინტერესოა, რას ფიქრობს საზოგადოება, როგორ ხვდებიან ისინი ახალ წელს და რა „მენიუ“ იქნება მათ სუფრაზე. **„ცეცხლი უკიდია ბაზარს, ცეცხლი, ვერაფერს ვერ გაეკარები, ისეთი ფასებია. დღეს გამოვედი, ახლა ვიყიდი საახალწლოდ რაღაცებს-მეთქი, მაგრამ თანხა რაც წამოვიღე, ის ყველაფერი დავხარჯე და სახლში, ფაქტობრივად, არაფერი მიმაქვს. შარშანაც ვწუწუნებდით — იზრდება ფასებიო, თუმცა წელს უკვე მართლაც რომ კატასტროფაა. რა გვეშველება ამ ხალხს, არ ვიცი, ყველა ხომ არ წავალთ საზღვარგარეთ?! აქ დარჩები და მშიერი მოკვდები ადამიანი!“** — აღნიშნა საუბარში დოდო ნოსელიძემ.

**„პენსია საკმარისი არ გვაქვს, ფასები კიდევ იმატებს და იმატებს, შესაძლებლობა არ გვაქვს, რომ ვიცხოვროთ. ვცდილობ, სუფრაზე ყველაფერი მქონდეს, მაგრამ თუ შევძლებ, ეგ მეორე თემაა,“** — განაცხადა ნელი დარსაველიძემ.

ახალი წელი სულ რამდენიმე დღეში შემოაბიჯებს, ბაზრის სურათი კი, ნაკლებ სავარაუდოა, რომ შეიცვალოს.

# კასპში სიცივისგან 58 წლის მამაკაცი დაიღუპა

**კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალაში 58 წლის იოსებ გორჯოლაძე ტრაგიკულად დაიღუპა. სიცივისაგან გაყინული მამაკაცი მეზობლებმა საკუთარ ბინაში იპოვეს.**

თანასოფლელები აცხადებენ რომ, იოსებ გორჯოლაძე ერთ პატარა ფიცრულ ქოხში მარტო ცხოვრობდა. გარდა ამისა, პირველი ჯგუფის ინვალიდს ეკონომიურად ძალიან უჭირდა, — იუწყება შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი.

2011 წლის სექტემბრიდან იოსებ გორჯოლაძეს სოციალური დახმარება შეუწყდა. მიზეზი ფაქტობრივი საცხოვრებელი სახლის დროებით შეცვლა გახდა. კასპის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს თანამშრომლები სწორედ საცხოვრებელი სახლის შეცვლას ასახელებენ სოციალური დაზღვევის შეწყვეტის სავარაუდო მიზეზად. გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯები მეზობლებმა გაიღეს.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ფინალში ვითამაშე ჩეხ იან კოდეშის წინააღმდეგ. მანამდე რამდენჯერაც შევხვდი, იმდენჯერ მოვუგე, მაგრამ, ეტყობა, ამ შეხვედრის დროს ზომაზე მეტად ვიყავი დაძაბული, იანი კი თავისუფლად თამაშობდა, რაც მისი დიდი გამოცდილებიდან მოდიოდა და მომიგო.“

ალექსანდრე მეტრეველი:

# ვგრძნობდი, რომ კრახით დამთავრდებოდა ყველაფერი

**ალექსანდრე მეტრეველი, ჩვენი თაობისთვის — ალიკ მეტრეველი, მსოფლიო ჩოგბურთის ვარსკვლავი გახლდათ, კაშკაშა ვარსკვლავი, რომელსაც იმ პერიოდის საბჭოთა კავშირის უმაღლესი სპორტული წოდება ჰქონდა მინიჭებული — სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.**
**ამ წოდებას ჰაიჰარად არ არიგებდნენ — ჭეშმარიტად გამორჩეული სპორტსმენი უნდა ყოფილიყავი, მსოფლიო მასშტაბის ტურნირებში გამარჯვებული. მეტრეველმა ჩოგბურთში სკანდინავიის ღია ჩემპიონატი მოიგო 1966 წელს და მოსკოვში საბჭოთა სპორტის უმაღლესი ელიტის წევრად დაბრუნდა. ნიკოლაი ოზეროვის, ლეგენდარული სპორტული კომენტატორისა და უფროსი თაობის ბრწყინვალე ჩოგბურთელის შემდეგ ალიკ მეტრეველი ახალი ფორმაციის პირველი ჩოგბურთელი იყო, ვინც ამ წოდებას ღირსეულად ატარებდა.**


ალექსანდრე მეტრეველი

**ნიკოლაი ოზეროვი, ხუმრობდნენ მაშინ, რომელსაც ყველა მნიშვნელოვანი სპორტული პაექრობის გაძღოლას ავალებდნენ, რადგან მისი კომენტარები განსაკუთრებით მოსწონდა გენსეკ ბრეჟნევს, თავის რეპორტაჟებს ასე იწყებსო: გამარჯობათ, ძვირფასო ლეონიდ ილიჩ!..**
**ოზეროვი მთავრობაში მიღებული კაცი იყო.**
**ალექსანდრე მეტრეველს ოზეროვის გზით არ უვლია, თუმცა არც პატივისცემა აკლდა, თუნდაც უმაღლეს დონეებზე, არც პოპულარობა, მაგრამ ბოლოს ისიც კომენტატორი გახდა: რუსეთის პოპულარული ტელეკომპანიის ნტვ-ს სპორტული კომენტატორი.**
**კოლეგამ შინ მიმიწვია.**
**ვსაუბრობთ.**
**არა მგონია, რომ ამ საუბრის ფრაგმენტული ამონარიდები უინტერესო იყოს ჩვენი მკითხველებისთვის. სხვა თუ არაფერი, მეტრეველისთანა ჩოგბურთელი ქართულ სპორტს არც მანამდე ჰყოლია და არც მას შემდეგ.**
**დღემდე.**
**— ვინ გამოგიყვანა „დიდი ჩოგბურთის გზაზე“, ალიკ?**
— ჩემი პირველი მწვრთნელი არამ ხანგულიანი იყო, საბჭოთა კავშირის ნაკრებში — სერგეი ანდრეევი და შამილ ტარპიშჩევი.
**— მოდი, უფროს თაობას გავახსენოთ, ახალ თაობას გავაცნოთ შენი სპორტული მიღწევები.**
— აღარც მახსოვს. ერთეულების თანრიგში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი 13-ჯერ თუ 14-ჯერ მოვიგე, დანარჩენი — წყვილებში. სულ, თუ არ ვცდები, 33-ჯერ გავხდი ქვეყნის ჩემპიონი.
**— მეტრეველი ევროპის მრავალგზის ჩემპიონი იყო, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში არაერთგზის გამარჯვებული. შენ დროს ოზეროვი თამაშობდა?**
— უკვე აღარ თამაშობდა. სხვათა შორის, ოზეროვს თბილისში ვუყურე, ჩოგბურთის კორტებზე, რომლებიც აღარ არსებობს. უკვე ამთავრებდა სპორტულ კარიერას...
**— კორტები ახსენე, რომლებიც აღარ არის. იქაურობა გადათხრილი რომ ნახე, რა იგრძენი?**
— იცი რა, მე ვგრძნობდი, რომ კრახით დამთავრდებოდა ყველაფერი. თავის დროზე კორტებზე შექმნეს შპს, 60 პროცენტი მიჰყიდეს ჩოგბურთის მოყვარულებს, მათ შორის, ყოფილ მინისტრებს, 40 პროცენტი დაიტოვა „დინამოს“ საზოგადოებამ. შემდეგ გაყიდეს თავთავიანთი წილები. ვისთან არ ვიყავი, ეს კორტები რომ შეგვენარჩუნებინა, არაფერი გამოვიდა.
მართალია, იმ კორტებზე იდეალური პირობები არ იყო, მაგრამ მაინც და მაინც ჩვენთან სავარჯიშოდ ჩამოდიოდნენ ბავშვები რუსეთიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, იმიტომ, რომ ქართულ ჩოგბურთის სკოლას სახელი ჰქონდა გავარდნილი. მე პირველი არ ვიყავი: რიაზანოვა იყო, უნივერსიადა მოიგო, საბჭოთა კავშირში რეიტინგით მესამე-მეოთხე იყო, ძმები მძინარიშვილები, მთელი პლეადა იყო.

**«პრეზიდენტი რომ გამოდის, ყველა სიტყვა უნდა იყოს აწონილი, არაფერი ზედმეტი. რომ ამბობს, პლეხანოვისნაირი უბანი მსოფლიოში არ არის და არც ბათუმის სასტუმროსნაირიო, ვის ატყუებს? ვისზეა გათვლილი, ვერ ვიგებ! ყველა კარი გახსნილია, ხალხი საზღვარგარეთ თავისუფლად დადის. ტელევიზორში ხომ ხედავს, ბოლოს და ბოლოს? რატომ ჰგონია, რომ იმდენად უბირია ქართველი ერი, ვერ გაარჩევს, რა არის მართალი და რა — ტყუილი?»**

**— თეიმურაზ კაკულია?**
— მე და კაკულია გამოვდიოდით საბჭოთა კავშირის ნაკრების სახელით. მაშინ საქართველო მსოფლიო სამეულში თუ არა, ხუთეულში მაინც შედიოდა. ახლა სად ვართ...
**— სად ვართ?**
— ასეულის ბოლოს. ჩვენზე უკან თურქმენეთი თუ იქნება. გახსენი ინტერნეტი და ნახავ, — გინდა ინდივიდუალურ, გინდა გუნდურ რეიტინგში ბოლოში მივჩანჩალებთ.
**— ყალბი თავმდაბლობა გვერდზე გადავდოთ და პირდაპირ ვთქვათ: ამის მიზეზი ისიც ხომ არის, რომ მეტრეველი არ ჰყავთ მისაბაძ მაგალითად, „მიზიდვის ცენტრად“?**
— ჯაჭვურ რეაქციასავითაა. რატომ უხდიან სპორტის ვარსკვლავებს ზღაპრულ ჰონორარებს? ყველა პირობას უქმნიან, რეკლამა ხომ არნახულია, რატომ? იმიტომ, რომ მომავალმა თაობამ გააკეთოს არჩევანი. თავზე კი არ ახვევენ, გინდა თუ არა, ჩოგბურთი ითამაშეო, არა. მაგრამ ეგებ შენში არის ეს ნიჭი დამალული და გაამჟღავნე, ივარჯიშეო. სერიოზულად არის სტიმულირებული... ჩვენთან ვარსკვლავები არ არიან, ბავშვებით არ მოდიან. რაც დარჩა, ის კორტებიც ცარიელია. უწინ ვარჩევდით საუკეთესო მონაცემების მქონე ბავშვებს.
**— და „ბლატიანებს“?**
— ძალიან იშვიათად, რადგან ორივე მხარისთვის მიუღებელი და უხერხული იყო თხოვნაც და შესრულებაც.
**— დღეს არც მთხოვნელია, არც მსურველი?**
— ასე გამოდის. მსურველი ცოტაა იმიტომ, რომ სწავლება და ვარჯიში ძალიან ძვირია. ძვირია საქართველოში, მაგრამ ისე არა, როგორც რუსეთში, იქ სასწაული ფასებია! ყველა უცხოეთში გარბის... ყველას უნდა, რომ მისი გოგო შარაპოვა გამოვიდეს, ან კუზნეცოვა.
**— საზღვარგარეთ უფრო ძვირი არ ღირს?**
— არა. ბევრად უფრო იაფია და ბევრად უკეთესი პირობებია.
**— და მაინც, რუსეთში დაოსტატდნენ საფინი, იუჟნი, კურნიკოვა, შარაპოვა...**
— ნუღარ გააგრძელებ, მივხვდი, რასაც მეკითხები. მაგრამ, მოდი, მე გკითხავ: სად გაიზარდნენ შენს მიერ დასახელებული ვარსკვლავები?
**— ალბათ, რუსეთში, არა?**
— საზღვარგარეთ. საფინი ბავშვობიდან ესპანეთში ცხოვრობდა, შარაპოვა — ამერიკაში, კუზნეცოვა — ესპანეთში. გამონაკლისი, ალბათ, იუჟნია, რომელიც მოსკოვშიც ვარჯიშობდა და დემენტიევა, რომელიც აღარ თამაშობს.
მოსკოვში კარგ დროს დარბაზის დაქირავება ასი დოლარი ღირს, ბავშვს ან პროფესიონალს ყოველ დღე სავარჯიშოდ სჭირდება 4 საათი მაინც. კვირაში რამდენი ასეთი 4 საათია? თვეში? პლიუს ამას ბურთები, ჩოგანი, ეკიპირება... ესპანეთში 12 თვე ღია კორტებზე ვარჯიშობენ. რუსეთში, მოგეხსენება, ეს შეუძლებელია, ამიტომაა საოცარი სიძვირე.
**— უნდა მეკითხა, ალიკ, რა პერსპექტივა გესახება საქართველოში, მაგრამ შენი პასუხების შემდეგ სურვილიც კი გამიქრა ასეთი შეკითხვის დასმის.**
— როგორ გითხრა? საქართველოს პირველობაზე ძლივს შეგროვდა ექვსი ბავშვი. 14 წლამდე კიდევ თამაშობენ, მერე პროფესიული ვარჯიშისთვის უკვე სხვა პირობებია საჭირო. ჩვენთან 3-4 დარბაზია მხოლოდ, თანაც ისეთები, რომ შიგ უფრო ცივა, ვიდრე გარეთ.
დავკარგეთ კადრები. აღარავინ დარჩა. ბოლო მაგალითი: ლაბაძე, ჩოგბურთელი, რომელიც საერთაშორისო შეჯიბრებებზე თამაშობდა. ახლა რუსეთში აპირებს გადასვლას, ეძებს, სად სჯობია. დამირეკა, რჩევა მკითხა.
**— ამ პესიმისტური განწყობილებიდან რომ გამოვიდეთ, მოდი, კარგი დრო გავიხსენოთ, თუნდაც უიმბლდონის ფინალში შენი გასვლა.**
— უიმბლდონი არაოფიციალური მსოფლიო პირველობაა. ერთეულების ფინალში ერთხელ გავედი, ორჯერ წყვილში. ახლა მსოფლიოში პროფესიონალთა 64 უმაღლესი დონის ტურნირი ტარდება. ასეთი ხანგრძლივი სეზონი სპორტის არც ერთ სახეობაში არ არის. ძალიან დიდი დატვირთვაა.
საბჭოთა კავშირში ჩოგბურთის დასაუფლებლად ბავშვებისთვის შესანიშნავი სისტემა მუშაობდა. პროფესიონალებისთვის — არ ვარგოდა. ხომ დავდიოდით საზღვარგარეთ, ვთამაშობდით, მაგრამ პოლიტიკა ისე ერეოდა სპორტულ საქმიანობაში, რომ ყველაფერს აფუჭებდა. მაგალითად, თავის დროზე მე და კაკულიას შეგვეძლო დევისის თასი მოგვეგო, მაგრამ არ გაგვიშვეს, აგვიკრძალეს თამაში ჩილეში კონტრრევოლუციური გადატრიალების გამო პროტესტის ნიშნად. ასეთივე ამბავი გამეორდა სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ ბოიკოტის გამო.
წმინდა ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებებიც ბევრი იყო. მაგალითად, საფრანგეთში ტურნირის დამთავრების შემდეგ აუცილებლად ვბრუნდებოდით მოსკოვში, ვიღებდით ახალ პასპორტებს და ინგლისში მივდიოდით. აქეთ-იქით ასეთი უაზრო მგზავრობით ძალიან ვიღლებოდით, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენს სპორტულ ფორმაზე უარყოფითად მოქმედებდა.
დღიური სამივლინებო ფული კაპიკები გვქონ- ▶

**«საბჭოთა კავშირში ჩოგბურთის დასაუფლებლად ბავშვებისთვის შესანიშნავი სისტემა მუშაობდა. პროფესიონალებისთვის — არ ვარგოდა. პოლიტიკა ისე ერეოდა სპორტულ საქმიანობაში, რომ ყველაფერს აფუჭებდა»**

## პუტინი საარჩევნო უბნებზე ვებკამერების დაყენებას ითხოვს

**რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს საპრეზიდენტო არჩევნებისას საარჩევნო უბნებზე ვებკამერების დაყენება სურს.** შესაბამისი თხოვნით რუსეთის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მან ტელეპროექტ „საუბარი ვლადიმერ პუტინთან“ მსვლელობისას მიმართა. მისი თქმით, ეს საჭიროა, რადგან საპრეზიდენტო არჩევნების დროს პროცესის სამართლიანობის შესახებ ყოველგვარი ეჭვი გამოირიცხოს. „ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ვთავაზობ და ვთხოვ, ყველა საარჩევნო უბანზე დამონტაჟდეს ვებკამერები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში იმუშავებენ — დღეც და ღამეც. შემდეგ ეს ყველაფერი დავდოთ ინტერნეტში, რათა ქვეყანამ დაინახოს, რა ხდება კონკრეტულ ყუთთან, რათა მორჩეს ფალსიფიკაციაზე საუბარი“, — აღნიშნა პუტინმა.

## ევროპარლამენტის რეზოლუცია არაფერს ნიშნავს

**რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევისთვის რუსეთის არჩევნებთან დაკავშირებით ევროპარლამენტის შეფასება არაფერს ნიშნავს.** „ეს ჩვენი არჩევნებია და ევროპარლამენტს მასთან საერთო არაფერი აქვს. მათ შეუძლიათ, კომენტარი გააკეთონ ყველაფერზე, რაც უნდათ, მე კი მათ კომენტირებას არ ვაპირებ, ჩემთვის ეს არაფერს ნიშნავს“, — განაცხადა მედვედევმა რუსეთ-ევროკავშირის სამიტის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

„სააკაშვილის შტაბ-ბინაში წამიყვანა ერთმა ამხანაგმა — შენთან შეხვედრა უნდაო. მივედი. ვუცადეთ. არ მოვიდა. წამოვედი. გვიან საღამოს თვითონ დამირეკა, ბოდიში მომიხადა და ხვალ შევხვდეთო. ხვალ პირველივე რეისით მივფრინავ-მეთქი. ეს იყო და ეს.“

ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ და. რასაც ვიგებდი საპრიზო ფონდიდან, ვაბარებდი. ორი-სამი დღით თუ მიდიოდი საზღვარგარეთ, წაიღებდი რაღაც საჭმელს და იოლად გახვიდოდი ფონს, მაგრამ, როცა ტურნირი 40 დღეს გრძელდებოდა, რა უნდა გექნა?

**— ლეგენდასავით დადის ასეთი ამბავი: უიმბლდონზე მოგებული თანხა რომ არ წაერთმიათ სპორტულ ჩინოვნიკებს, ალიკამ ლონდონში ავტომობილი იყიდა და თბილისში ჩამოიყვანაო. მართალია?**

— ტყუილია, თუმცა სიმართლის რაღაც ელემენტები არის. უიმბლდონზე იმ დროს კარგი საპრიზო ფონდი იყო, მაგრამ დღევანდელთან რა შედარებაა! მანქანა კი ამერიკიდან ჩამოვიყვანე. ისე წაეწყო ტურნირები, რომ ძალიან დავიღალე და დასვენება მჭირდებოდა. ამერიკელებს კი ძალიან უნდოდათ, რომ ჩავსულიყავი. ჩავიდოდი, ვითამაშებდი, კიდევ უფრო დავიღლებოდი, თან — ჯიბეცარიელი ჩავიდოდი და ასეთივე დავბრუნდებოდი... არც მორალური, არც ფიზიკური, არც მატერიალური სტიმული! უარი ვუთხარი. ძალიან მთხოვეს ამერიკელებმაც, ჩვენმა ფედერაციამაც და ჩავედი. მაშინ მითხრა ამერიკელმა, რახან ამ თამაშიდან არავითარი ხეირი არ გექნება — ფულს მაინც ვერ იღებო, მანქანას გაჩუქებთო... და მაჩუქეს. უპრობლემოდ.

პრობლემები ჩამოტანის შემდეგ გაჩნდა. ლენინგრადში გემით ჩამოიტანეს. ჩავედი, უქმე დღე იყო.

საბაჟოში განძრევა გაუჭირდათ, საწყობის გამგე, სადაც ტვირთი იყო, ავად აღმოჩნდა. მაგრამ ქრთამმა აქაც გაანათა ბიუროკრატიული ჯოჯოხეთი, რაც 25 მანეთი, ერთი ბოთლი კონიაკი და კანფეტების ერთი კოლოფი დამიჯდა. ორივე მხარე კმაყოფილი დავრჩით.

**— ამასობაში კარგა გვარიანად გავცდით უიმბლდონის ტურნირს. რომ დავუბრუნდეთ?**

— დავუბრუნდეთ. ფინალში ვითამაშე ჩეხ იან კობეშის წინააღმდეგ. მანამდე რამდენჯერაც შევხვდი, იმდენჯერ მოვუგე, მაგრამ, ეტყობა, ამ შეხვედრის დროს ზომაზე მეტად ვიყავი დაძაბული, იანი კი თავისუფლად თამაშობდა, რაც მისი დიდი გამოცდილებიდან მოდიოდა და მომიგო. სხვათა შორის, კობეშმა საფრანგეთის ღია პირველობაც მოიგო.

წყვილებში ოლგა მოროზოვასთან ერთად გავედით ფინალში. სამწუხაროდ, არც აქ გაგვიმართლა.

**— ხდება ასე, ამითაცაა სპორტი საინტერესო... შენ, როგორც სპორტული მოღვაწე, როდის წახვედი საქართველოდან?**

— არასოდეს წავსულვარ. უამრავი შემოთავაზება მქონდა, არც მიფიქრია წასვლა. ის კი არა, „დინამოს“ საზოგადოებიდან სხვაგან არსად გადავსულვარ. თავდაცვის სამინისტრო ძალიან მექაჩებოდა ცესკაში, მინისტრ გრეჩკოსთან ვთამაშობდი ჩოგბურთს, საკმაოდ თბილი ურთიერთობა გვქონდა. ბევრი კარგი საქმის გაკეთებაც მოვახერხე მისი კეთილგანწყობით — ბინის მიცემა იყო ჩოგბურთელ მოროზოვასთვის თუ სხვა ასეთი.

ერთ დილას ცესკადან მირეკავენ და მთხოვენ სასწრაფოდ მოდითო. მივედი. ვხედავ, კორტებიდან გამოდის გრეჩკო თავისი მოადგილეებისა და ცესკას ხელმძღვანელების თანხლებით. მომესალმა და თავის ხალხს ეუბნება:

— Он скажет правду.



მეტრეველი — ევროპის ჩემპიონი

**«რუსებს რაღაც ეჭვიანობის გრძნობა გაუჩნდათ, ასე კარგად ვიყავით ერთმანეთთან, თქვენ კი შეგვიძულეთო. უნდა აუხსნა, რომ ეს ხალხს არ ეხება, მთავრობა და ხალხი განსხვავებულია, როგორც თქვენთან, ისე ჩვენთანაც, რომ არავითარი რუსოფობია საქართველოში არ არის»**

საქმე ის იყო, რომ იმ დროს საბჭოთა კავშირში ჩავარდა ცურვა. კომკავშირმა აიღო ამ სახეობაზე შეფობა და ახალგაზრდულ მშენებლობად გამოაცხადა აუზების მშენებლობა. პირველი ცესკას აუზი იყო, რომლის ქვაბული უკვე ამოღებული იყო, კედლებში — ბეტონი ჩასხმული. გრეჩკოს კი ჩოგბურთი უყვარდა და სულაც არ აინტერესებდა, ცურვა განვითარდებოდა თუ არა. მკითხა, გამართლებული არის თუ არა კორტების დანგრევა აუზების სასარგებლოდ. ცხადია, ვუპასუხე, რომ გამართლებული არ იქნებოდა.

— აი, ხომ ხედავთ, რას ამბობსო, — თქვა მან, უბრძანა, შეეწყვიტათ მშენებლობა და აღედგინათ კორტები... ორ კვირაში ყველაფერი მოსწორებული იყო.

**— მეტრეველის სახელი და ავტორიტეტი გამოიყენა საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგო?**

— რა გითხრათ? საბჭოთა კავშირი რომ ინგრეოდა, იმ დროს წამოვედი საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან. მთხოვეს, მიხედე ჩოგბურთსო. დავიწყე რაღაცის კეთება. „მხედრიონის“ დროს მოვიდნენ ჩემთან და ნაკრებში ერთი სპორტსმენის შეყვანა მთხოვეს, რომელიც იმ დროისთვის ამას არ იმსახურებდა. ცხადია, უარი ვუთხარი. მაინც შეიყვანეს. ასეთ ვითარებაში აქ ვერ გავჩერდებოდი. ამასობაში შამილ ტარპიშჩევმა, რომელიც მაშინ რუსეთის სპორტს ედგა სათავეში, დამირეკა მოსკოვში ჩასვლა და დახმარება მთხოვა. ცოტა ხანს იქ ვიმუშავე. შემდეგ საერთაშორისო ფედერაციაში, სახელმძღვანელო კომიტეტში, რვა კაცი ვიყავით იმ კომიტეტში და ყველაფერს ჩვენ ვწყვეტდით.

ამ დროს ანია დიმიტრიევამ ერთი-ორჯერ მატჩების წაყვანა შემომთავაზა, შემდეგ გაიხსნა სპორტული არხი „ენტევე პლიუსი“, იქ მიმიწვიეს, დღეს ენტევეს შტატიანი კომენტატორი ვარ.

**— ამას სჭირდებოდა რუსეთის მოქალაქეობა?**

— არა. რუსეთის მოქალაქეობა ელცინმა მომცა თავისი ბრძანებულებით.

**— საქართველოს მოქალაქეობა?**

— არ იყო რთული პროცესი, დავწერე განცხადება. მომცეს. ორმაგი მოქალაქეობა მაქვს.

**— მოსკოვში იგრძნობა „გრუზინოფობია“?**

— ერთი პერიოდი იყო, ისტერიკა დაემართათ. მაგრამ სპორტულ სამყაროში მსგავსი არაფერი მომხდარა. ჩვენთან, ენტევეში მუშაობდნენ დარახველიძე, კიკნაძეები, ჭიაურელი. არავის არაფერი უგრძვნია. რუსებს რაღაც ეჭვიანობის გრძნობა გაუჩნდათ, ასე კარგად ვიყავით ერთმანეთთან, თქვენ კი შეგვიძულეთო. უნდა აუხსნა, რომ ეს ხალხს არ ეხება, მთავრობა და ხალხი განსხვავებულია, როგორც თქვენთან, ისე ჩვენთანაც, რომ არავითარი რუსოფობია საქართველოში არ არის. აგვისტოს ომის დროს რუსი ბავშვები ვარჯიშობდნენ თბილისში და არსად არ გაქცეულან, დარჩნენ. რუსები ძალიან განიცდიან, რომ მათ ქვეყანას დაეკარგა ავტორიტეტი, ისეთი აღარ არის, როგორიც საბჭოთა კავშირის დროს იყო.

**— საზოგადოებრივი გამოკითხვების შედეგებით, რუსეთში №1 მტრად ამერიკას ასახელებენ, №2 მტრად — საქართველოს.**

— პროპაგანდაა ეს. ვინც ცოტას აზროვნებს, იმათში არ გადის. სპორტს საერთოდ არ ეხება. სხვა თუ არაფერი, ხომ ხედავთ, რამდენი ქართველი თამაშობს რუსეთის ფეხბურთის გუნდებში. მოჭიდავეები წავიდნენ რუსეთში, უკრაინაში. იქ დასახლდნენ.

**— ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას პოლიტიკურ ასპარეზზე როგორ შეხვდი?**

— ყოველთვის ველოდი, რომ უნდა გამოჩენილიყო ბიძინა ივანიშვილისნაირი კაცი. აუცილებლად უნდა გამოჩენილიყო. ერთი და იგივე სახეები ხალხს ბეზრდება. ყველას თავისი დრო აქვს. რაღაც უნდა შეიცვალოს.

არ მესმის, ვისზეა გათვლილი ის, რაც ბოლო დროს საქართველოში ხდება. პრეზიდენტი რომ გამოდის, ყველა სიტყვა უნდა იყოს აწონილი, არაფერი ზედმეტი. რომ ამბობს, პლეხანოვისნაირი უბანი მსოფლიოში არ არის და არც ბათუმის სასტუმროსნაირიო, ვის ატყუებს? ვისზეა გათვლილი, ვერ ვიგებ! ყველა კარი გახსნილია, ხალხი საზღვარგარეთ თავისუფლად დადის. ტელევიზორში ხომ ხედავს, ბოლოს და ბოლოს? რატომ ჰგონია, რომ იმდენად უბირია ქართველი ერი, ვერ გაარჩევს, რა არის მართალი და რა — ტყუილი?

**— ბატონ ბიძინა ივანიშვილისგან ხომ არ გქონიათ დანიშნული დახმარება?**

— არა. ბიძინა ივანიშვილს არასოდეს შევხვედრივარ. მაგრამ ვიცი, როგორი ქველმოქმედი და კეთილშობილი ადამიანია, ამიტომ ყოველთვის პატივისცემით ვიყავი მისდამი განწყობილი. გაგონილი მაქვს, რომ რაღაც კონფლიქტი იყო მასსა და ლეილა მესხს შორის, მაგრამ კერძოდ რის გამო, ვერაფერს გეტყვით.

**— სააკაშვილთან გქონდა შეხების წერტილი?**

— სააკაშვილის შტაბ-ბინაში წამიყვანა ერთმა ამხანაგმა — შენთან შეხვედრა უნდაო. მივედი. ვუცადეთ. არ მოვიდა. წამოვედი. გვიან საღამოს თვითონ დამირეკა, ბოდიში მომიხადა და ხვალ შევხვდეთო. ხვალ პირველივე რეისით მივფრინავ-მეთქი. ეს იყო და ეს.

**— მოსკოვში ვისთან მეგობრობ?**

— ვისთანაც ადრე ვმეგობრობდი — ქართველებიც არიან და რუსებიც — ვიკა გელოვანთან, ნოდარ მეძმარიაშვილთან, რა ჩამოთვლის! ნოდარი საქართველოს მშენებლობის მინისტრი რომ იყო და ჩოგბურთის ფედერაციას თავმჯდომარეობდა, მაშინ სპორტკომიტეტში ვმუშაობდი, მისი ხელმძღვანელობით აშენდა თელავის კორტები, თბილისში — მარჯანიშვილზე, ასევე — ქუთაისში, სოხუმში...

2 ნოემბერს დაბადების დღე მქონდა. ქართველებიც და რუსებიც მოვიდნენ, ნოდარიც, რა თქმა უნდა, მოვიდა და, იცი, ვინ მოიყვანა?

**— არ ვიცი.**

— თენგიზ მენთეშაშვილი. თქვენს მკითხველებს შევახსენებ, რომ თენგიზ მენთეშაშვილი წლების განმავლობაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო. შემდეგ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად გადაიყვანეს.

**— ძალიან მოტეხილია?**

— არა, ნორმალურად გამოიყურება.

**— რუსეთის ახლანდელი მთავრობის წევრები ისევე არიან გატაცებული ჩოგბურთით, როგორც ელცინის დროს იყვნენ? თუ ძიუდოზე გადავიდა ყველა?**

— ვინც მაშინ თამაშობდა, ახლაც თამაშობს. გრუ-ს უფროსი თამაშობს, დაზვერვის ხელმძღვანელი, მხვდებიან, უხარიათ, რადგან საქმე არ მაქვს პოლიტიკასთან...

**— არის რუსეთში ისეთივე ანტიქართული პროპაგანდა, როგორც ჩვენს მასმედიაშია ანტირუსული?**

— არა. პატარაა საქართველო რუსეთისათვის, რომელსაც თავისი პრობლემები აქვს გადასაწყვეტი.

**— სააკაშვილზე ლაპარაკობენ?**

— ყველა ერთსა და იმავეს ამბობს — ეს კაცი ნორმალური არ არისო. „რთული პიროვნებაა“, რა თქმა უნდა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



უიმბლდონის ფინალი, 1973 წელი

მოკლედ

## რუსეთი ახალ სტრატეგიულ რაკეტას ქმნის

**რუსეთი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის დასაძლევად ახალ სტრატეგიულ რაკეტას ქმნის.** რუსეთის სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების სარდლის, გენერალ-ლეიტენანტ სერგეი კარაკაევის განცხადებით, „ამერიკული სტრატეგიული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის დასაძლევად რუსეთში ახალი 100-ტონიანი რაკეტის შექმნა იგეგმება. ახალი სარაკეტო კომპლექსის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. მას ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის დასაძლევად ამაღლებული შესაძლებლობები ექნება და მაღალი ეფექტურობით იქნება გამორჩეული“.

## ერაყი უკანასკნელმა ამერიკულმა კოლონამ დატოვა

**ერაყი უკანასკნელმა ამერიკულმა სამხედრო კოლონამ დატოვა. ერაყი-კუვეითის საზღვარი 100 ამერიკულმა ჯავშანმანქანამ და 500 ჯარისკაცმა გადაკვეთეს.** ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩა მხოლოდ 157 ამერიკელი ჯარისკაცი, რომლებიც ადგილობრივ სამხედროებს გაწვრთნიან და ასევე საზღვაო ქვეითების მცირე რაოდენობა, რომლებიც ბაღდადში აშშ-ის საელჩოს უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. ერაყში აშშ-ის სამხედრო ოპერაციის ოფიციალურად დასრულება 15 დეკემბერს ბაღდადში ამერიკული დროშის დაშვებით აღნიშნეს.

საქართველო და მსოფლიო
დეფოლტის ზღვარზე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა უნდა წარიმართოს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის — დაბეგვრის თანასწორობის, სამართლიანობის, ეფექტიანობის, ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დაწესების საფუძველზე.



# ლიკბეზი ეკონომიკის მინისტრისთვის

**რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ქვეყნის მიერ საგარეო დავალიანების გადახდაზე უარის თქმას, ე.წ. დეფოლტს**




**ექსპორტით იმპორტის დაფარვის ასეთი დაბალი დონე მეტად საგანგაშოა, რადგანაც იგი ქვეყანას უმზადებს საგარეო ვალების ზრდის დიდ საშიშროებას**

**დღევანდელი პუბლიკაციით ვამთავრებთ „ლიკბეზის“ პირველ ციკლს. პროფესორი ამირან ჯიბუტი გვპირდება, რომ მომდევნო ციკლი საქართველოში განხორციელებული პრივატიზაციის უმწვავეს საკითხებს შეეხება. ბომბივით აფეთქდებაო, დაგვპირდა. დაველოდოთ.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №42-45

ამირან ჯიბუტი



## დეფოლტი, რომელიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია

მკითხველების ყურადღებას მივაქცევ პრობლემას, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ქვეყნის მიერ საგარეო დავალიანების გადახდაზე უარის თქმას, ე. წ. დეფოლტს.

როცა ქვეყანას უზარმაზარი შიდა და საგარეო ვალი უგროვდება და არ აქვს ვალების ძირითადი თანხისა და მომსახურების საპროცენტო თანხების გადახდის მოქმედება, იგი იღებს გადაწყვეტილებას ვალის არგადახდის შესახებ, რასაც ეწოდება „დეფოლტი“. ასეთი ქვეყნის მიმართ განვითარებული ქვეყნები და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები ახორციელებენ მთელ რიგ შეზღუდვებს და აწესებენ სანქციებს.

**1. მოვალე ქვეყნები აყადაღებენ ამ ქვეყნის საკუთრებაში არსებულ საზღვარგარეთულ აქტივებს, აგრეთვე, საქონელს, რომელიც შეტანილია კრედიტორი ქვეყნის ტერიტორიაზე;**

**2. ხორციელდება მოვალე ქვეყნის კაპიტალის საერთაშორისო ბაზრიდან განდევნა — იზოლირება;**

**3. უწესდება საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლება; კრედიტორი ქვეყნები ყადაღას ადებენ მოვალე ქვეყნის საქონელს საზღვრის გადალახვის დროს, აგრეთვე, უზღუდავენ საგარეო-სავაჭრო კრედიტების მიღების შესაძლებლობას. ამასთან, აკონტროლებენ საზღვარგარეთის ბანკებში საანგარიშსწორებო ოპერაციებს და ართმევენ სავალუტო ანგარიშსწორების წარმოების უფლებას.**

**4. მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს, აგრეთვე, მევალე ქვეყნის მიერ ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით გაცილებით დაბალ ფასებში მოვალე ქვეყნის საგარეო ვალდებულებების (ე.წ. რუხ ბაზარზე) გაყიდვის ფაქტები. ასეთი სანქცია გატარებული იქნა ბოლივიის მიმართ.**

**თუ საქართველოში იმპორტული პროდუქციის ნუსხას გადავხედავთ, ჩანს, რომ მათგან ბევრის წარმოება ადგილობრივადაც შეიძლება და თანაც — უკეთესი ხარისხისა**

დეფოლტის ისტორია დაიწყო XX საუკუნის 80-იანი წლებიდან. ამ პერიოდში ვალების გადახდაზე უარი განაცხადა მექსიკამ, ბრაზილიამ, პერუმ, არგენტინამ, კუბამ, ჩილემ და ვენესუელამ. მათ მძიმე ეკონომიკური პრობლემები შეექმნათ და იძულებული გახდნენ, ამ არცთუ სასიამოვნო მეთოდისთვის მიემართათ. ზოგიერთმა ქვეყანამ „დეფოლტს“ ეკონომიკური სიძნელეების გამო მიმართა, სხვები ამ გზას პოლიტიკური მოსაზრებით დაადგნენ.

## რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ბიუჯეტის დეფიციტის აღმოსაფხვრელად?

დღეს საქართველოში ბიუჯეტის დეფიციტი და მზარდი სახელმწიფო ვალი ეკონომიკურ პრობლემათა ცენტრში მოექცა. **ყოველწლიური დეფიციტის აბსოლუტური სიდიდე (ისევე, როგორც სახელმწიფოებრივი ვალისა) 1996-2011 წლებში გიგანტურად გაიზარდა.**

ბიუჯეტის დეფიციტთან ერთად იზრდება სახელმწიფო ვალის ძირითადი თანხა და სარგებლის გადასახდელები.

დეფიციტის თავიდან ასაცილებლად საჭირო იქნება დაქვეითების ფაზაში მკვეთრად გამოხატული შემზღუდავი ფისკალური პოლიტიკის გამოყენება.

უნდა გაიზარდოს ბიუჯეტში გადასახადების მობილიზების მაჩვენებელი მთლიანი შიგა პროდუქტის ღირებულებიდან.

საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა უნდა წარიმართოს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის — დაბეგვრის თანასწორობის, სამართლიანობის, ეფექტიანობის, ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დაწესების საფუძველზე.

საგადასახადო სისტემაში არსებული ნაკლოვანებებისა და მისი სრულყოფის მიზნით, აუცილებელია საგადასახადო სისტემის გამარტივება და რაციონალიზაცია გადასახადების რაოდენობის შემცირებისა და საგადასახადო კანონმდებლობის კონსოლიდაციის გზით.

## საგარეო ვაჭრობის ბალანსი უარყოფითია

მონაცემები მოწმობს, რომ საქართველოს საექსპორტო კვოტა (ქვეყნის იმპორტის შეფარდება მთლიან შიგა პროდუქტთან) ჯერ კიდევ დაბალია და მიუთითებს მსოფლიო ბაზართან ეროვნული ეკონომიკის კავშირურთიერთობის ვიწრო მასშტაბზე.

**საექსპორტო კვოტა, 1995 წლის მაჩვენებელთან შედარებით, 2011 წელს გაიზარდა მხოლოდ 14,7 პროცენტით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მსოფლიო ბაზარზე ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტის მცირე ნაწილი გაიტანება.**

**დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი უარყოფითია და ზრდის ტენდენციით ხასიათდება.**

ექსპორტით იმპორტის დაფარვის ასეთი დაბალი დონე მეტად საგანგაშოა, რადგანაც იგი ქვეყანას უმზადებს საგარეო ვალების ზრდის დიდ საშიშროებას.

დეფიციტის ზრდა იმდენად შემაშფოთებელია, რომ დღის წესრიგში დგას საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობა.

საჭიროა, გატარდეს ექსპორტის ზრდისთვის მიზანმიმართული ღონისძიებები, უპირველეს ყოვლისა, გადაისინჯოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმი, როგორც ერთ-ერთი საშუალება ექსპორტის გაფართოებისთვის.

საიმპორტო საქონლის სტრუქტურაში უნდა მოხდეს ისეთი სახეობების თანდათანობითი შემცირება, რომელთა შეცვლა შესაძლებელია ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით — „იმპორტშეცვლით“.

თუ საქართველოში იმპორტული პროდუქციის ნუსხას გადავხედავთ, ჩანს, რომ მათგან ბევრის წარმოება ადგილობრივადაც შეიძლება და თანაც — უკეთესი ხარისხისა.

## საბანკო სისტემის სრულყოფისთვის

წარმოების განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საბანკო სისტემამ. საწესდებო კაპიტალის სიმცირის გამო, ბანკები სრულყოფილად ვერ ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს. ამას ემატება უნდობლობა მოსახლეობის მხრიდან (რაც მეანაბრეთა მოტყუებამ გამოიწვია), რის გამოც დიდია ბანკების გარეთ მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის რაოდენობა. მწირი საკრედიტო რესურსების პირობებში ბუნებრივია, რომ **ბანკებს ორიენტაცია აღებული აქვთ მოკლევადიან დაკრედიტებაზე, მაშინ, როცა მხოლოდ გრძელვადიან დაკრედიტებას შეუძლია შექმნას ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღებისა და განვითარების საფუძველი**, რაც აუცილებელია ტრანსფორმაციის მთე- ▶

**ბიუჯეტის დეფიციტთან ერთად იზრდება სახელმწიფო ვალის ძირითადი თანხა და სარგებლის გადასახდელები. დეფიციტის თავიდან ასაცილებლად საჭირო იქნება დაქვეითების ფაზაში მკვეთრად გამოხატული შემზღუდავი ფისკალური პოლიტიკის გამოყენება**

მოკლედ

## ბორის გრიზლოვმა მანდატზე უარი თქვა

**რუსეთის დუმის თავმჯდომარემ ბორის გრიზლოვმა დეპუტატის მანდატზე უარი თქვა.** „მივიღე გადაწყვეტილება, დეპუტატის მანდატზე უარი მეთქვა“, — განაცხადა გრიზლოვმა და აღნიშნა, რომ იგი დუმაში, უკვე რვა წელია მუშაობს და შეძლო განეხორციელებინა იმ ყველაფრის დიდი ნაწილი, რაც ჩაფიქრებული იყო. „მიუხედავად იმისა, რომ კანონში არავითარი შეზღუდვა არ არის, ამჟამად მე არ წავალ სახელმწიფო დუმაში, ვინაიდან არასწორად მიმაჩნია პალატის თავმჯდომარის თანამდებობა ზედიზედ ორ წელზე მეტხანს მეკავოს“, — განაცხადა გრიზლოვმა.



## ფუკუსიმაზე ავარიული რეაქტორები შეაჩერეს

**იაპონიის კუნძულ ფუკუსიმაზე ატომური რეაქტორი „ფუკუსიმა 1“ შეაჩერეს.** ამის შესახებ იაპონიის პრემიერ-მინისტრის ესიზიკო ნოდუს პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია. შემდეგი სამუშაოები რეაქტორის მიმდებარე ტერიტორიის გასუფთავება და თავად რეაქტორის ლიკვიდაციაა. ოპერაცია, სავარაუდოდ, 2012-2015 წლებში დაიწყება. მთლიანი სამუშაოების დასრულებას, რომელიც რეაქტორის ლიკვიდაციას და დემონტაჟს მოიცავს, 40 წელი სჭირდება.

დღეს მევალე ქვეყნები, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიაღწიეს, თავს ნეოკოლონიალიზმის ზეგავლენის ქვეშ გრძნობენ. როგორც ამტკიცებენ, ინვესტიციური დაბანდებებიცა და სახელმწიფო დახმარებებიც ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ექსპლუატაციის, მდიდარი ქვეყნებისადმი მათი დამოკიდებულების გახანგრძლივებას ემსახურება.

დემოკრატის ფლაგმანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გადაუხდელი საგარეო ვალების მოცულობა განვითარებად, განვითარებულ და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ერთად აღებული შეადგენს 8 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტს

◀ ლი პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის.

საწარმოთა გრძელვადიანი საბანკო დაკრედიტების გაფართოების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

ა) **აუცილებელია, დაწესდეს ყველა საწარმოსათვის ბანკებში ნაღდი ფულის სავალდებულო ინკასაცია**, ხოლო საკასო დისციპლინის ნებისმიერი დამრღვევის მიმართ გატარდეს მკაცრი ღონისძიებები;

ბ) **კომერციულ ბანკებს უნდა მიეცეთ სრული დამოუკიდებლობა, თავად შეარჩიონ დაკრედიტების ობიექტები,** თავადვე განსაზღვრონ, რომელ საწარმოს აქვს საიმედო პერსპექტივები და რომელი ვერ შეძლებს კრედიტის დაბრუნებას. პერსპექტიულ და მომგებიან სტრუქტურაზე სახსრების გაცემით კომერციული ბანკები უზრუნველყოფენ არა მარტო საკუთარ მოგებას, არამედ ხელს შეუწყობენ წარმოების განვითარებას და, შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდას საქართველოში;

გ) **უზრუნველყოფილი უნდა იქნას ეროვნული ვალუტის სტაბილიზაცია.** ეროვნულმა ბანკმა მკაცრად უნდა გააკონტროლოს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოსვლა და გადინება, რაც დაეხმარება მას „დოლარიზაციის“ პრობლემის გადაწყვეტაში.

მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი და საბოლოოდ აღმოფხვრილი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ეროვნული ბანკის მიერ პირდაპირი კრედიტებითა და საგარეო სესხებით დაფინანსების მავნე პრაქტიკა. უნდა გამოინახოს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ეფექტიანი გზები.

ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა მხოლოდ შეღავათიან კრედიტებსა და არაემისიურ შიგა წყაროებზე უნდა იქნას დაფუძნებული. პირველ რიგში, საჭიროა სახელმწიფოს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვება.

სახაზინო ვალდებულებების, როგორც დეფიციტის შევსების არაინფლაციური წყაროს, წილი სახელმწიფო ბიუჯეტის დისბალანსის დასაფინანსებლად გამოყენებულ რესურსებში თანდათანობით უნდა გაიზარდოს. სახაზინო ვალდებულებები უზრუნველყოფს ქვეყანაში მყარ ფულად-საკრედიტო მდგომარეობას და წარმოადგენს ეკონომიკის სტაბილიზაციისა და სწრაფი ტემპით განვითარების ერთ-ერთ მთავარ პირობას.

ფასიანი ქაღალდების მეშვეობით დეფიციტის შევსების უზრუნველსაყოფად საჭიროა ფინანსური ბაზრის სრულყოფა, კერძოდ, **აუცილებელია შეიქმნას ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი.**

## საგარეო დავალიანების „ცუნამი“

**საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების მონაცემებით, დღეისათვის მსოფლიო დავალიანება, ანუ გადაუხდელი საგარეო ვალების მოცულობა განვითარებად, განვითარებულ და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ერთად აღებული შეადგენს 8 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტს.** ამასთან, რაც უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ფინანსური გლობალიზაციის პროცესი, მით უფრო მეტად იზრდება საგარეო ვალების მოცულობაც. შეიძლება ითქვას, რომ საგარეო ვალების აღება და საგარეო დავალიანება თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელი ელემენტი გახდა. ცნობილია, რომ საგადასახადო ბალანსის ქრონიკულ დეფიციტებს ადგილი აქვს ისეთ განვითარებულ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, გერმანია, თურქეთი, საფრანგეთი, ნიდერლანდები, იტალია, ესპანეთი, რუსეთი, შვედეთი, საბერძნეთი და სხვ.

XX საუკუნის 90-იან წლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს **განვითარებადი ქვეყნების გიგანტური საგარეო ვალი, რამაც 4 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა.** იგი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა, როგორც მსესხებელი, ისე გამსესხებელი ქვეყნებისათვის, რომლის შედეგები განუჭვრეტელი და საკმაოდ საშიშია. დღეს იგი გადაიქცა არსებითი მნიშვნელობის მრავალი წინააღმდეგობის წარმომშობ პოლიტიკურ პრობლემად და ამიტომ გადაუდებელ ყურადღებას მოითხოვს.

დღეს მევალე ქვეყნები, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიაღწიეს, თავს ნეოკოლონიალიზმის ზეგავლენის ქვეშ გრძნობენ. როგორც ამტკიცებენ, **ინვესტიციური დაბანდებებიცა და სახელმწიფო დახმარებებიც ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ექსპლუატაციის, მდიდარი ქვეყნებისადმი მათი დამოკიდებულების გახანგრძლივებას ემსახურება.**

სუსტად განვითარებული ქვეყნები თვლიან, რომ მათი ახლანდელი დავალიანება მისი მასშტაბების გამო სერიოზული დაბრკოლებაა ეკონომიკური ზრდის გზაზე. ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები, მიუხედავად მათ ეკონომიკაში უცხოური კაპიტალური დაბანდებების (და სხვა დახმარებების) გამოყენებისა, კმაყოფილი არ არიან განვითარებულ ქვეყნებთან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობით.

ისინი მიიჩნევენ, რომ უცხოური დახმარება არასაკმარისი და არაეფექტიანია, რამდენადაც განვითარებული ქვეყნების მიერ მომსახურების სახით ყოველწლიურად „წართმეული“ სახსრების მოცულობა მათი მეპ-ის საერთო რაოდენობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, ე.ი. საპროცენტო განაკვეთები მაღალია.

განვითარებადი ქვეყნები განსაკუთრებით არ ემადლიერებიან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდს:

1. **საერთაშორისო სავალუტო ფონდი კრედიტს აძლევს არა კერძო ფირმებსა და კორპორაციებს, არამედ — მხოლოდ სახელმწიფოს.** კერძო ფირმებს შეუძლია მიიღონ სსფ კრედიტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სახელმწიფო დაუდგება გარანტად (ისიც გამონაკლის შემთხვევაში);

2. **სახელმწიფოს, რომელიც სსფ-დან იღებს სესხებს, უფლება არ აქვს, იგი გამოიყენოს კაპიტალური დაბანდებებისთვის, ანუ უშუალოდ ეკონომიკის განვითარებისთვის.** ძირითადად, სსფ სესხს იძლევა ეროვნული ვალუტის კურსის გასამყარებლად, ენერგოშემცველებისა და სამომხმარებლო საქონლის შესაძენად. ამით იგი ხელს არ უწყობს ამ ქვეყანაში ეროვნული ეკონომიკის განვითარებას;

3. **სსფ პირდაპირ მოითხოვს (კარნახობს), შემცირდეს ხარჯები მეცნიერებაზე, განათლებაზე, ჯანდაცვაზე და ა.შ. და ამ გზით ცდილობს განსაკუთრებით პოსტსაბჭოური ქვეყნების მესამე სამყაროს ქვეყნების რიგში გადაყვანას;**

4. **ასევე არაეფექტიანია დონორი ქვეყნების დახმარება, რადგან მათი ყველა სახის დახმარება დონორ ქვეყნებზეა მიბმული. მაგალითად, ამერიკული დახმარება უნდა დაიხარჯოს მხოლოდ ამერიკული საქონლისა და მომსახურების შესაძენად და ა.შ.**

5. ხშირ შემთხვევაში **დონორ ქვეყნებში განვიარებული ინფლაციური პროცესები მნიშვნელოვნად აფერმკრთალებს და ამცირებს ვალის მიმდინარე ქვეყნებისთვის გადაცემული დახმარებების ღირებულებას.**

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ჯეფერი საქსის აზრით, ბოლო უნდა მოეღოს იმ მავნე პრაქტიკას, როდესაც ფონდი კარნახობს ქვეყნებს და მთავრობებს, რა არის მათთვის კარგი და რა — ცუდი. დღეს მსოფლიოს ბევრი ცნობილი ეკონომისტი და პოლიტიკოსი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს სსფ-ის საქმიანობას და მოუწოდებს მას, უარი თქვას გლობალურ უნიფიცირებულ მიდგომებზე ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიკასთან მიმართებაში და გაითვალისწინოს მათი სპეციფიკა.

**ექსპერტთა და მეწარმეთა ერთი ნაწილის აზრით, სსფ არანაირად არაა „საერთაშორისო დახმარების სალარო“, არამედ გიგანტური საერთაშორისო მანქანაა, რომელიც სხვადასხვა ხერხით შეაღწევს გაჭირვებულ ქვეყნებში, შეაჩვევს მათ მცირე ზომის კრედიტების აღებას და ისეთნაირად „აუწყობს“ ეკონომიკას, რომ ვერ შეძლონ კრედიტების გარეშე არსებობა. ქვეყანა, რომელსაც არ ძალუძს საკუთარი ეკონომიკის განვითარება, ვერასოდეს გადაიხდის ვალებს და ვერ გახდება კონკურენტუნარიანი, ანუ სამუდამოდ დარჩება სუსტად განვითარებულ სსფ-ის შესანახ და მორჩილ ობიექტად.**

აშკარაა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს მართლაც აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. ხშირ შემთხვევაში იგი ვერ ითვალისწინებს ქვეყნების ისტორიას, კულტურულ და ეროვნულ თავისებურებებს და, აქედან გამომდინარე, თავს ახვევს არასწორ რეკომენდაციებს და ა.შ. მაგრამ შეცდომა იქნებოდა მისი დამსახურების უგულებელყოფაც.



**ექსპერტთა და მეწარმეთა ერთი ნაწილის აზრით, სსფ არანაირად არაა «საერთაშორისო დახმარების სალარო», არამედ გიგანტური საერთაშორისო მანქანაა, რომელიც სხვადასხვა ხერხით შეაღწევს გაჭირვებულ ქვეყნებში, შეაჩვევს მათ მცირე ზომის კრედიტების აღებას და ისეთნაირად «აუწყობს» ეკონომიკას, რომ ვერ შეძლონ კრედიტების გარეშე არსებობა**



## სისხლიანი მაკკეინი

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ამერიკელი სენატორის — ჯონ მაკკეინის მუქარის შემცველი გამონათქვამები მიმართულია არა პირადად მის, არამედ რუსეთის წინააღმდეგ. **„მავანთ რუსეთის გვერდზე გაწევა უნდა ისე, რომ მან მსოფლიო ბატონობაში მათ ხელი არ შეუშალოს. ბატონი მაკკეინი, როგორც ცნობილია, ვიეტნამში ომობდა. მიმაჩნია, რომ მისი ხელები საკმარისი რაოდენობით მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლშია გასვრილი. მას ძალიან მოსწონს და, ალბათ, უკვე ცხოვრებაც არ შეუძლია ამ შემზარავი სცენების გარეშე, როდესაც მთელ მსოფლიოში იქნა ნაჩვენები, თუ როგორ კლავდნენ გასისხლიანებულ მუამარ კადაფს. ეს არის დემოკრატია? ბატონი მაკკეინი, როგორც ცნობილია, ვიეტნამში ტყვედაა ნამყოფი და იგი არა ციხეში, არამედ ორმოში იჯდა. იქ მან რამდენიმე წელი გაატარა. ამ სიტუაციაში ნებისმიერი ადამიანი შეირყევა ჭკუიდან“**, — განაცხადა პუტინმა.

## პუტინი: არჩევნების შედეგები ობიექტურია

**რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგები ზუსტად ასახავს პოლიტიკურ ძალთა გადანაწილებას ქვეყანაში.** „საპარლამენტო არჩევნები ქვეყანაში ობიექტურად და სამართლიანად ჩატარდა, რის შესახებაც მე უკვე საჯაროდ განვაცხადე. ეს შედეგები გამოხატავს, თუ ვის უფრო ენდობა მოსახლეობა — ხელისუფლებას თუ ოპოზიციას. მიუხედავად იმისა, რომ „ედინაია როსია“-მ დათმო თავისი პოზიციები, ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ“, — განაცხადა პუტინმა პირდაპირ ეთერში.

მოკლედ

## კუჩმას წინააღმდეგ საქმე დაიხურა

უკრაინის სასამართლომ გააუქმა დადგენილება, რომელიც უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის — ლეონიდ კუჩმას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას უკავშირდებოდა. კიევის პეჩორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სისხლის სამართლის საქმე უსაფუძვლოდ იყო აღძრული, რადგან პრეზიდენტის დაცვის ყოფილი თანამშრომლის ნიკოლაი მელნიჩენკოს ჩანაწერები უკანონო გზით იყო მოპოვებული და ისინი კუჩმას წინააღმდეგ მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება. თავად კუჩმა ღონღაძის მკვლელობაში მის მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს.



## მედვედევს ახალი მოდელი სურს

**„ჩვენ, ალბათ, პოლიტიკური სისტემის განვითარების ახალი სტადია გვექნება. იგი უკვე დაიწყო და დაიწყო არა რომელიღაც მიტინგების გამო.** ეს მხოლოდ გარე ქაფია და ადამიანური უკმაყოფილების გამოვლინებაა. დაიწყო იგი იმიტომ, რომ ძველმა მოდელმა, რომელიც ჩვენს სახელმწიფოს ბოლო წლების განმავლობაში ემსახურებოდა, თავისი თავი ამოწურა“. ეს განცხადება რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა პარტია „ედინაია როსიას“ პარტიულ აქტივთან შეხვედრაზე გააკეთა და აღნიშნა, რომ „ედინაია როსიამ“, როგორც სახელისუფლო პარტიამ, ამის შესახებ განცხადება პირველმა უნდა გააკეთოს.

მედიცინა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენიმე თვის წინათ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს ეს საკითხი. აკადემიკოსმა ფრიდონ თოდუამ წამოაყენა წინადადება, რომ შეიქმნას ქართველ და შვედ მეცნიერთა ერთობლივი კომისია, რომელიც შეისწავლის, თუ რა უნდა გაკეთდეს საქართველოში ამ მიმართულების გასავითარებლად.**

# ღეროვანი უჯრედები — წამალთ-წამალი, მაგრამ — როდის?



ზაზა კოკაია

**ზაზა კოკაიამ 1984 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. იმ დროს ბიოლოგიას ბატონი არჩილ ჯანაშვილი ასწავლიდა — შესანიშნავი მეცნიერი და არაორდინალური პიროვნება, სტუდენტების მიმართ თავისებური დამოკიდებულებით გამორჩეული, რომლის შესახებ ისტორიები საუნივერსიტეტო ფოლკლორმა დღემდე შემოინახა. მაგალითად, ეს: გამოცდაა. ბატონი არჩილი სტუდენტს ეკითხება: — ამ სახეობის თევზი სად ბინადრობს? სტუდენტი: — წყალში. გამომცდელის რეაქცია მყისიერია: — წყალი რადიატორშიცაა. წადი — ორიანი!**

**სიცილით იხსენებს სტუდენტურ ამბებს ზაზა კოკაია, შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორი, რომლის სამეცნიერო მოღვაწეობა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის უმნიშვნელოვანეს პრობლემას ეხება, ამ მეთოდის დღეს არა და პერსპექტივაში აუცილებლად დანერგვის საკითხის გადაწყვეტაზე მუშაობს.**

**ქართული საზოგადოებრიობა მის ბიოგრაფიას პრესის პუბლიკაციებით იცნობს, ამიტომ დღევანდელი საუბრის მთავარ თემას პირდაპირ მივადგებით, თუმცა იმის თქმა, ეტყობა, მაინც საჭიროა, რომ ჩემი რესპონდენტი პირველი ქართველი მეცნიერია, ვინც საზღვარგარეთ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. დაიცვა საქართველოშიც. ჯამში სამჯერ მოუწია სამეცნიერო ხარისხის მოპოვება, და ესეც უნიკალური შემთხვევაა.**

— 1996 წლიდან შვედეთში, ლუნდის უნივერსიტეტის მეცნიერების ცენტრში ვმუშაობ, სადაც შევისწავლით თავის ტვინის პათოლოგიების, კერძოდ, ეპილეფსიის, ტვინის ინსულტის, ანუ იშემიის დაავადების პათოფიზიოლოგიურ მექანიზმებს, მათი განვითარების პროცესს და ვადგენთ ექსპერიმენტულ პირობებში ამ დაავადებათა მკურნალობის ახალი ტიპის გზებს, რომლებიც საბოლოო ჯამში კლინიკაში დაინერგება.

ლუნდის ღეროვანი უჯრედების ცენტრი 2003 წელს შვედეთის სტრატეგიული დაფინანსების ფონდმა შექმნა.

**(ჩვენს მკითხველებს ვთხოვ, ალიჭურვონ მოთმინებით, რადგან ამ უჯრედების გამოწვლილვით ახსნის გარეშე, გაგვიძნელდება გავიგოთ, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ ისინი, „უკვდავების წყაროდ“ თუ არა, დაავადებათა დაძლევის გზით სიცოცხლის გახანგრძლივების „სასწაულებრივ საშუალებად“).**

**სწორედ ამას ცდილობენ მეცნიერები.**

**ღეროვან უჯრედებს ჩანასახის განვითარების ადრეული სტადიებიდანვე დაკისრებული აქვთ თვითგანახლების და, გარკვეულ პირობებში, შესწევთ სპეციალიზაციის უნარი — შეუძლიათ ადამიანის ორგანიზმში არსებული ნებისმიერი უჯრედის დასაბამად იქცნენ — იქნება ეს გულის კუნთის, ტვინის, ძვლის და ა.შ. უჯრედები. მრავალი პოტენციის მქონეა.**

**არის უფრო სპეციალიზებული ღეროვანი უჯრედები, რომლებიც გარკვეულ სისტემაშია მოქცეული, მაგალითად, ნერვულ სისტემაში — ნერვული ღეროვანი უჯრედები, რომლებსაც ასევე შესწევთ თვითგანახლების უნარი, მულტიპოტენციურია, რაც ნიშნავს, რომ შეუძლია ნერვული სისტემის შიგნით არსებული უჯრედების წარმოქმნა, მაგრამ — არა გულის კუნთისა და სხვ.**

**ეს ყველაფერი ბატონ ზაზას მონათხრობიდან გავიგე. მაგრამ, მოდით, რესპონდენტს მოვუსმინოთ, შუამავლის გარეშე).**

**— ღეროვანი უჯრედები, რომლებიც ზრდასრულ ორგანიზმშიც არის, იგივე „სასწაულებრივი“ თვისებებითაა აღჭურვილი?**

— დიახ. მათ შესწევს გამრავლების და ახალი ნეირონების წარმოქმნის უნარი.

2002 წელს ჩვენმა ჯგუფმა გამოიკვლია, რომ ტვინის ინსულტის დროს, როცა ტვინის რომელიმე უბანს არ მიეწოდება სისხლი და ამის გამო ის უბანი იღუპება, ღეროვანი უჯრედები დაზიანებულ უბანში იწყებს მიგრირებას და წარმოქმნის ინსულტის დროს დაღუპულ ნეირონებს.

**— ეს თქვენ აღმოაჩინეთ?**

— ეს იყო ახალი, სერიოზული აღმოჩენა, რომელიც სპეციალურ პერიოდიკაში დაფიქსირდა — გამოქვეყნდა „მედისონში“.

ამ აღმოჩენის კვალზე დავიწყეთ იმის კვლევა, თუ როგორ შეიძლება ზეგავლენა მოვახდინოთ ტვინში არსებულ ღეროვან უჯრედებზე იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს, ანუ უფრო ინტენსიურად მოხდეს დაავადების შემდეგ ორგანიზმის ფუნქციების აღდგენა.

ეს ღეროვანი უჯრედების გამოყენების ერთი გზაა.

მეორე გზა არის ამ ღეროვანი უჯრედების გამოყოფა, ვთქვათ, ემბიონის ან ჩანასახის ღეროვანი უჯრედებიდან და ლაბორატორიის პირობებში მათი გარკვეული დამუშავების შემდეგ მივცეთ გეზი, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს და შემდეგ გადაინერგოს უშუალოდ ტვინის დაზიანებულ უბნებში.

**— ხალხურ მედიცინასთან აქვს ამას რაიმე კავშირი? ჭიპლარით მკურნალობის ხერხს ვგულისხმობ.**

— ჭიპლარის სისხლი გამდიდრებულია ღეროვანი უჯრედებით და მათ მიერ წარმოქმნილი ცილებით, პროტეინებით. ამდენად, გამორიცხული არ არის, რომ ამ გზით მიღებული „პრეპარატი“ შეიძლება შეიცავდეს აქტიურ ნივთიერებებს, მაშასადამე, გამორიცხული არ არის, რომ გარკვეული თერაპიული ეფექტი ჰქონდეს, მიჭირს ამაზე დაბეჯითებით ლაპარაკი, რადგან არავითარი მეცნიერული მონაცემი არ გამაჩნია, თუმცა თეორიულად სავსებით შესაძლებელია.

საქართველოში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ინდივიდუალურად შეიძლება ჭიპლარის სისხლის შენახვა იმ ვარაუდით, რომ ახალშობილს ან მის და-ძმას შეიძლება გამოადგეს ამ ჭიპლარის სისხლში არსებული ღეროვანი უჯრედები.

ინდივიდუალური მოხმარებისთვის ამ უჯრედების გამოყენება მრავალ ფაქტორთანაა დაკავშირებული. მაგალითად, მათი რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია და გარკვეული წონის ზევით, ვთქვათ, ადამიანის ორგანიზმი 50 კილოგრამზე მეტი თუა, ტრანსპლანტაციისთვის ერთი ჭიპლარის უჯრედები საკმარისი აღარ არის, რამდენიმე იქნება საჭირო.

თეორიულად მათი შენახვის ვადა განუსაზღვრელია, მაგრამ, მაგალითად, შვედეთში, საზოგადოებრივ ბანკში ჭიპლარის უჯრედებს მხოლოდ ოც წელიწადს ინახავენ, რადგან არავითარი მონაცემი არ გვაქვს, ამ ვადის გასვლის შემდეგ დარჩება თუ არა მას ისეთივე უნარი, რაც უფრო ახალს ჰქონდა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჭიპლარს ძირითადად ჰემატოლოგიური და მეტაბოლიტური დაავადებების დროს იყენებენ.

არის სხვა სპეციფიკური შეზღუდვებიც, რომელთა საფუძველზე **ინდივიდუალური მოხმარებისთვის** ჭიპლარის შენახვა გამართლებულად არ არის მიჩნეული.

სხვა საქმეა **საზოგადოებრივი ბანკი**. შვედეთში, იქ, სადაც მე ვმუშაობ, ერთადერთი საზოგადოებრივი ბანკია, სადაც მთელი ქვეყნიდან აგროვებენ ჭიპლარის სისხლს და, თავსებადობის შემოწმების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენებენ.

**— ესე იგი, საზღვარგარეთ ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციით მკურნალობენ შესაბამის დაავადებებს? სწორად გაგიგეთ?**

— დიახ, ასეა. მაგრამ ვთქვათ ისიც, რომ მარტო საზოგადოებრივი ბანკის არსებობა საკმარისი არ არის, უნდა განვითარდეს მთელი ინფრასტრუქტურა და ტრანსპლანტალოგიის მთელი მიმართულება. თუ არ გვაქვს გამოყენების მექანიზმი, ლოგისტიკა, კლინიკური პრაქტიკა, არ გვყავს გამოცდილი ექიმები, მარტო ბანკის არსებობა საკმარისი, ცხადია, არ იქნება.

**— როგორ გესახებათ ამ ყველაფრის პერსპექტივა საქართველოში? სურვილის გარდა, არსებობს წინაპირობები?**

— რამდენიმე თვის წინათ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს ეს საკითხი. აკადემიკოსმა ფრიდონ თოდუამ წამოაყენა წინადადება, რომ შეიქმნას ქართველ და შვედ მეცნიერთა ერთობლივი კომისია, რომელიც შეისწავლის, თუ რა უნდა გაკეთდეს საქართველოში ამ მიმართულების გასავითარებლად.

ეს მისასალმებელია და — აუცილებელიც, რადგან რეპუტაციის დაკარგვა ძალიან ადვილია, მოპოვება — ძალიან ძნელი. ჩვენ ახლა იმ სტადიაზე ვართ, როცა დაგვიანება, გაჭიანურება დამღუპველი იქნება.

**— ბატონ ფრიდონის წინადადება, ეტყობა, დროულია, მაგრამ გადაწყდება ამით პრობლემა?**

— უნდა გადაწყდეს.

მსოფლიო თანამეგობრობის ბევრი ქვეყნის კლინიკები გვთავაზობენ ავტოლოგიურ ტრანსპლანტაციას, ანუ საკუთარი ძვლის ტვინიდან ღეროვანი უჯრედების მიღებას, შემდეგ დაბრუნებას იმავე ორგანიზმისთვის, და ამ მეთოდით ნებისმიერი დაავადების განკურნებას.

მაგრამ ასეთ მიდგომას არ აქვს არანაირი დასაბუთებული მეცნიერული საფუძველი და არც კლინიკური გამოცდა გაუვლია. სამწუხაროდ, საქართველოში, და არა მარტო ჩვენთან, ძალიან იოლია ნებისმიერი პრეპარატის დარეგისტრირება და გაყიდვა, რასაც დიდი ზიანი მოაქვს ტრადიციული ჯანდაცვისთვის და, უწინარეს ყოვლისა, პაციენტის ჯანმრთელობისთვის.

უეჭველია, რომ ფარმაკოლოგია უნდა განვითარდეს, შეიქმნას ახალი წამლები, მაგრამ აუცილებლად იმ სქემის დაცვით, იმ ფაზების გავლით, რაც წლების მანძილზეა შემუშავებული და აპრობირებული.

**— დიდ პროპაგანდას უწევს ე. წ. ობივატელური რეკლამა. ასეთ საეჭვო „პრეპარატებს“, მაგალითად, კიბოს განკურნების უებარ საშუალებად აცხადებენ...**

— „დომენტოლს“.

**— თქვენც იცით?!**

— ვიცი. მაგ ტელეგადაცემას ვუყურე და ძალიან...

**— იხალისეთ?**

— ვიხალისე კი არა, ძალიან შევშფოთდი, როცა დავინახე, თუ რა დონეზე ხდება პაციენტების გაბითურება.

აქ ერთი მომენტია საინტერესო, კერძოდ, ახალი პრეპარატი, როგორც წესი, არსებულზე უფრო ეფექტიანი უნდა იყოს. ისე, არავითარი აზრი არ აქვს ახლის შესაქმნელად დახარჯულ ძალისხმევას, ცდებს, სახსრებს. ახალს რომ ქმნი, უნდა მეცნიერულად დაასაბუთო, რატომაა ეს ახალი უკეთესი: ნაკლები გვერდითი ქმედება აქვს, უფრო სწრაფად მოქმედებს, უფრო იაფია და ა.შ. ბევრი ჩამოყალიბებული კრიტერიუმია, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს ახალმა პრეპარატმა.

**— ის მეთოდი, რომელზეც ახლა მუშაობთ, იქნება იმაზე უფრო ეფექტიანი, რომელიც დღეს არსებობს?**

— მოდით, დავაზუსტოთ. მაშინ, როცა, ვთქვათ, ლეიკემიის სამკურნალოდ ღეროვანი უჯრედების გადანერგვა, 50 წელიწადზე მეტია, ხორციელდება, ინსულტის შემდგომ აღდგენითი პროცესებისთვის პრეპარატი, პრაქტიკულად, დღემდე არ არსებობს. ეს ერთი.

მეორე. პარკინსონის დაავადების სამკურნალოდ ათობით სხვადასხვა პრეპარატს გამოიყენებენ, მაგრამ გამოიკვეთა სიმპტომები იმისა, რომ გარკვეული დროის შემდეგ, მიჩვევის გამო, პრეპარატის ეფექტიანობა კლებულობს, ჩნდება გვერდითი ქმედება და ა.შ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ დაავადებების უმეტესობა ასაკობრივია, ხანდაზმულებს უვითარდება, სხვა დაავადებათა ფონზე მიმდინარეობს, რაც უფრო ამძიმებს და ართულებს მათ მკურნალობას.

ამიტომ, თუ გვინდა, რომ ჩვენი მეთოდი გადატანილი იქნას სამკურნალო ცენტრებში, კლინიკის მოთხოვნამ და მისმა პირობებმა უნდა განსაზღვროს ჩვენი გასაკეთებელი საქმე. აქ მთავარია ორმხრივი მოძრაობა: კლინიკა უნდა მოდიოდეს საბაზისო კვლევასთან და ეს უკანასკნელი მიიწევდეს კლინიკისკენ. შუა გზაზე უნდა შევხვდეთ ერთმანეთს და უნდა შევთანხმდეთ, რა იქნება უკეთესი ჩვენი პაციენტისთვის, რადგან იგია ჩვენი უმთავრესი და საბოლოო მიზანი.

**— რა ეტაპზეა ამჟამად ღეროვან უჯრედებზე დაფუძნებული თერაპია, მისი გზა კვლევებიდან კლინიკამდე?**

— სისხლის დაავადებების მკურნალობის გარდა, სხვა ყველაფერი ექსპერიმენტულია. არც ერთ სხვა სისტემაზე, იქნება ეს გულსისხლძარღვთა სისტემა, დიაბეტი თუ ნევროლოგიური დაავადებები, სამეცნიერო მონაცემებზე დაფუძნებული, კლინიკური გამოცდებით განმტკიცებული მკურნალობის მეთოდი დღეს არ გაგვაჩნია, მაგრამ მივიწევთ ამ მიმართულებით. ბევრი კლინიკური გამოცდა ტარდება სხვადასხვა დაავადებასთან დაკავშირებით, ბევრი საინტერესო შედეგი გვაქვს და, ალბათ, მომავალ ათწლეულში უკეთესად გვეცოდინება, რა დონეს მივაღწევთ.

**— რამდენად შესაძლებელია, რომ ამ გზაზე თქვენ, ანუ ლუნდის უნივერსიტეტმა და, ვთქვათ, ფრიდონ თოდუას კლინიკამ ერთად იაროთ?**

— სავსებით რეალურია. ამისთვის კი პირობები სათანადო უნდა შეიქმნას, უნდა ჩამოვყალიბდეთ, თუ რა მიმართულებით იქნება საჭირო მუშაობის წარმართვა, მარტივი და უპერსპექტივოდ გაწეული ძალისხმევა რომ არ შეგვრჩეს ხელში.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის მეთოდის კვლევა კიდევ ერთი სიახლეა, რის ათვისებასაც თავს იდებს აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა და რაც კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება ურთულეს დაავადებათა მკურნალობისკენ გადადგმული.**

**დღეს არა — ხვალისთვის.**




**ხელისუფლებამ, აშშ-ის მიბაძვით, ყველა რელიგია თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა, რატომ არ შეიძლება ენების შესწავლისადმი თავისუფალი მიდგომა დაკანონდეს? ან რატომ უნდა ისწავლებოდეს ინგლისური მშობლიურ ენასთან ერთად პირველი კლასიდან და რუსული მხოლოდ მეშვიდე კლასიდან? სად არის აქ სამართლიანობა და დემოკრატიულობა დაცული? სკოლა ბინძური პოლიტიკის ნაწილად არ უნდა ვაქციოთ.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველო მეზობლების მოძულე ქვეყნად ვერ იქცევა

**პოლიტიკა ბინძური საქმეა. როცა ეს სიბინძურე გავლენას ახდენს ხალხთა კულტურაზე, ხელოვნებასა და ენაზე, შეცდომაზე მეტია. საყვარელმა კომპოზიტორმა ვ აზარაშვილმა რუსული კლასიკური მუსიკის მიმართ საქართველოში დამოკიდებულებაზე გულისტკივილით ისაუბრა. მე კი საქართველოში რუსული ენის პრობლემებზე, მის მიმართ დაწესებულ შეზღუდვებზე მინდა გამოვხატო აღშფოთება.**



ენა სამყაროს თავისებური მოდელია და მისი ხელყოფა დანაშაულზე მეტია. ეს აქსიომა ყველამ იცის და მაინც უახლოესი მეზობელი ხალხის ენის სწავლება შეიზღუდა სკოლებში, რაც ენობრივ აგრესიად მიმაჩნია. საქმე ისაა, რომ რუსული ენა არჩევით საგნად გამოცხადდა. მაგრამ მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ სასწავლო „ბადეში“, ანუ სასწავლო პროგრამაში, რაც სკოლებისთვის სავალდებულოა, მხოლოდ მე-7 კლასიდან დაუშვა. ადრე სკოლებში რუსული ენა მე-4 კლასიდან ისწავლებოდა.

**პოლიტიკური კარტების ხელოვნებასა და ენის შესწავლის საქმეში ბოროტად გამოყენება მიუღებელია. მე-7 კლასიდან რომ დაუწყებ მოსწავლეს ანბანის სწავლებას, იქიდან რაც გამოვა, დღესავით ცხადია. ეს მაშინ, როცა ინგლისური ენის სწავლება პირველი კლასიდან მშობლიური ენის პარალელურად დაკანონდა.**

**მშობლებზე უფრო იჭვნეული მოსწავლეები კითხულობენ: რატომ მოხდა, რომ ხელისუფლებამ შეზღუდა რუსული ენის სწავლება? თუ იგი არჩევითია, რად დაუწესეს განსაზღვრული ჩარჩოები?**

ყველამ იცის, ყოვლადგაუმართლებელი ეს ქმედება ხელისუფლების დაკვეთით ხორციელდება. **პოლიტიკური ელიტა ცდილობს, მენტალური რევოლუცია განახორციელოს. ეს სიძულვილის აშკარა გამოვლინებაა იმ ენისადმი, რომელსაც ევროპის ყველა ქვეყანაში საფუძვლიანად სწავლობენ**, რადგან ამ ზესახელმწიფოს აქვს ულევი ენერგორესურსი, გასაღების დიდი ბაზარი, ევრაზიაში მომგებიანი გეოპოლიტიკური მდებარეობა, სამხედრო თვალსაზრისით, ითვლება ატომურ სახელმწიფოდ. ამ ფონზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადება „საქართველოში მომხდარ ლინგვინისტურ რევოლუციასა და ამის შედეგად რუსული გავლენის შემცირებაზე“ საუბარი საკითხის ზედმეტად პოლიტიზირებაა. მათი განზრახვა ნათელია: მოსახლეობაზე მოახდინონ ენობრივი ფსიქოლოგიური ზეწოლა.

**როცა კულტურის მინისტრი იტყვის: „დღეს საქართველოში რუსული ენის სწავლების არანაირი საჭიროება არ არსებობსო“, მინდა შევახსენო პატივცემულ მინისტრს, რომ სწორედ კულტურას, ენასა და ლიტერატურას შეუძლია ყველაზე დაძაბულ მომენტში სასარგებლო დესპანის როლი ითამაშოს ქვეყნებს შორის.**

რუსეთი, მისი ენა და კულტურა არ არის ხელწამოსაკრავი. **თუ ჩვენს ხელისუფალს სძულს პუტინი, ეს არ ნიშნავს, ქართველმა ხალხმა გაწყვიტოს სულიერი და კულტურული ურთიერთობა დიდი შესაძლებლობის მქონე მეზობელთან.** და საერთოდ, რა შუაშია ენის სწავლების შეზღუდვა? თავად ხელისუფლების ჩინოვნიკებმა ხომ იციან რუსული? თითქმის ყოველდღე ურთიერთობენ ამ ენაზე შუააზიელ ყაზახებთან, უზბეკებთან, ყირგიზებთან, ტაჯიკებთან, ევროპელ უკრაინელებთან თუ ბელარუსებთან... მეზობელ სომხებთან და აზერბაიჯანელებთან. **ვერ გამიგია მომავალმა თაობამ რატომ არ უნდა ისწავლოს რუსული ენა ჯეროვნად და რატომ უნდა შეეწიროს პუტინისა და სააკაშვილის დამოკიდებულებას?**

**გასულ წელს ეროვნულ გამოცდაზე უცხო ენის სტატუსით რუსული ენა ბევრმა აბიტურიენტმა ჩააბარა, ამან დიდი ხელისუფალი გააცოფა და, ეტყობა, გასცა განკარგულება რუსული ენის სწავლების შეზღუდვა-შემცირებისა. ამ გაუმართლებელ გადაწყვეტილებას მოჰყვა მეორე, ასევე არასასურველი შედეგი, შემცირდა საათობრივი განაკვეთი სკოლებში და, შესაბამისად, — პედაგოგთა გათავისუფლება სამსახურიდან. სკოლებიდან უშვებენ პედაგოგთა დიდ არმიას, მათ შორის სერთიფიცირებულ რუსულენოვან მასწავლებლებს, რადგან, თუ საათობრივი განაკვეთი არ იარსებებს, არც პედაგოგი დასაქმდება, გინდ აკადემიკოსი იყოს იგი.**

**დანაშაულად მიმაჩნია კლასიკოსების: პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, დოსტოევსკისა და სხვათა ბიოგრაფიებისა და შედევრების ამოღება სასწავლო პროგრამიდან,** თანამედროვე მწერლების: პასტერნაკის, ევტუშენკოს, ბლოკის, ახმადულინას ნაღვაწთა დამალვა და მათ სანაცვლოდ, შედარებით ნაკლებპოპულარულ შემოქმედთა ნაწარმოებების შეთავაზება. ეს ქართველი მოსწავლეების უფლებების უხეში შელახვაა, რადგან ნებისმიერი კულტურული ერისთვის რუსული მწერლობის მონაპოვარი შეუცვლელი განძია.

სკოლებში რუსული ენის სწავლების შეზღუდვამ გამოიწვია რეპეტიტორებთან ახალგაზრდების მოზღვავება. უფრო გაძლიერდა სწრაფვა და ინტერესი ხელოვნურად გაჩენილი ბარიერის დასაძლევად. ხალხი ბრძენია, მან იცის, რომ პოლიტიკოსების პირად დამოკიდებულებაზე აგებულ უმსგავსობას დაედება ზღვარი. ვიღაცების ამბიციებზე არ იქნება დამოკიდებული ორი მეზობელი ხალხის ბედი. ეს ის პროცესია, რომელიც დროებითია და დაღმართს მუდამ აღმართი მოსდევს.

ერი მუდამ იმისთვის უნდა ემზადებოდეს, აღმართს შეუდგეს, რადგან აღმართს მივყავართ მწვერვალისაკენ, ზეცისკენ, მზისკენ, ესაა მიზანი და ამოცანა.

მჯერა, ჭეშმარიტება იპოვის თავის გზა-სავალს, ხალხი მოეჭიდება იმ ჯაჭვს, რომელიც ორი ერის კულტურულ მემკვიდრეობას გადაარჩენს. არ მოკვდება ურთიერთლტოლვა, კულტურისა და მეცნიერებისადმი, როგორც ერთიანი მსოფლიოს ცივილიზაციის საინტერესო ნაწილისადმი. ამის მოტივაცია იყო, არის და კვლავაც უფრო გაიზრდება. ქართველი ერის გონებრივი მიხვედრილობა და შესაძლებლობა ამაღლდება გარდაუვალ რეალობამდე და დროებით ხელშემშლელ ფაქტორებს სამართლიანობის ქარიშხალი დალეწავს.

ხშირად ვფიქრობ: ის, რაც მოხდა, იქნებ ჩვენი ბრალია, იქნებ ჩვენ დავუშვით უხეში შეცდომა, ვერ შევძელით ისე მოქმედება, როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნებმა მოახერხეს, ნაკლები მსხვერპლის გაღებით.

**დაძაბული ურთიერთობა მუშტის პოლიტიკით არ გამოსწორდება. ხომ უნდა ვიცოდეთ, სად და რაში უნდა ვიყოთ პრინციპულები? ხალხი და მათი ენა რა შუაშია? შევეცადოთ, მდგომარეობის უკიდურესი გამწვავებით ჩიხში არ მოვექცეთ. ჩვენს კულტურულ ურთიერთობაში რესურსი არსებობს და ამ საქმეში აჩქარება დაუშვებელია.**

ამ პუბლიკაციის მომზადებისას გამახსენდა ერთი ანეგდოტი: „ციყვმა ტყეში ნახა დაგდებული არღანი. იცის, არღანი სასიამოვნო ხმას გამოსცემს, მიახტა და სახელურს დაუწყო ტრიალი, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! საშინელი ხრიალი გადმოიფრქვა, ყურის წამღები და დამთრგუნველი. ციყვი არ ეშვება და სახელურს ატრიალებს და ატრიალებს. ხმაურით შეწუხებული მტრედი მიფრინდა ციყვთან და ურჩია: თავი დაანებე, რასაც აკეთებ, უმეცრებააო. არ დაუჯერა ციყვმა, სახელური ატრიალა და ატრიალა, იმ იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს სასურველ მელოდიას გავიგონებო... მაშინ მტრედმა შესძახა: შეჩერდი, ბრიყვო, ვერ ამჩნევ, სახელურს უკუღმა ატრიალებო?!“.

**მახსოვს, ნაომარი უფროსი თაობის წარმომადგენლები მიყვებოდნენ, გერმანიასთან სისხლისმღვრელი ომის მიუხედავად, თავში არავის მოსვლია სისულელე, რომ სკოლებში შეეზღუდათ გერმანული ენის სწავლებაო.**

არ ვარ პოლიტიკოსი და ამ საქმეში დილეტანტი გახლავარ. არც რუსეთში მიცხოვრია და არც არავინ მყავს ახლობელთაგან იქ, მაგრამ როგორც მოქალაქეს, მაწვალებს ფიქრი: საზოგადოებისთვის მეტად საჭირო რუსული ენა რად უნდა შეიზღუდოს?

ხალხნო, ჩვენ რა ეშმაკი გვეცა? **ერთი კაცის, თუნდაც ერთი პარტიის ახირების გამო, მართლმადიდებელი ქვეყნის ენას ტაბუ უნდა დაუწესდეს? გონიერმა ერმა არ უნდა დაუშვას სიბრიყვე, რადგან წინ, გვერდი-გვერდ ცხოვრების საუკუნოვანი გზა გვიძევს.**

ხელისუფლებამ ერის სახელით ნარის გლეჯა უნდა შეწყვიტოს. თვალი არ უნდა დახუჭოს იმაზე, რომ ქართველთა დიდი არმია ცხოვრობს და მუშაობს რუსეთში. იქიდან შემოსული ფულები ამსუბუქებს ჩვენს დუხჭირ ყოფას. იქ, ქართველ ხელოვნების მოღვაწეებს ვარსკვლავებს უხსნიან, უმაღლეს პრემიებს ანიჭებენ, თანამდებობებს უთმობენ. ქართული დიასპორა ელოდება ჟამს, როცა დათბება ურთიერთობა უახლოეს მეზობელთან. მათ იციან, სულიერი და კულტურული თანამშრომლობის კრიზისი ახალი დროის მსხვერპლია.

**მჯერა, ქართველთა გონიერება გადასწონის და სკოლებში რეფორმის სახელით გაუგებარი და მიუღებელი ქმედებები გამოსწორდება. პოლიტიკა არ ითამაშებს გადამწყვეტ როლს ორი ქვეყნის ეროვნულ ღირებულებებში. ისტორიული კანონზომიერება არ შეეწირება ხელოვნურად დაგებულ ხაფანგს.**

ინგლისური ენის საჭიროებაზე არავინ დავობს, მაგრამ იმით გამართლება, რომ ის საერთაშორისო საურთიერთო ენაა და ქედი მოვიხაროთ, მიზანშეუწონელია.

ესაა ოკეანისგაღმელთა მზაკვრული ხერხი და საშუალება, ამით განახორციელოს მსოფლიო გლობალიზება-გაერთიანების დოქტრინა, მიზნის მისაღწევად ენობრივ აგრესიას არ ერიდება.

დედაენასთან ერთად პირველი კლასიდან ინგლისურის სწავლების შემოღება მომავალში გვიქადის იმას, რაც 60 ქვეყანაში მოხდა. იმ საშინელების გააზრებაც მზარავს. მისი გაფიქრებაც კი არ მინდა, რომ დედაენა შეილახება. დახეთ, რა ცბიერება მოიფიქრა ხელისუფლებამ: მასწავლებლებს, რომლებიც ინგლისურს ისწავლიან, ხელფასზე დანამატი ექნებათ, უცხოეთიდან ინგლისურენოვანი პედაგოგები ჩამოჰყავთ... ერთი სიტყვით, ყოველი მხრიდან უტევენ დედაენას, სარეკლამო წარწერებიდან, ტელეგადაცემებიდან, პრესის ფურცლებიდან. ეს ყოველივე კი ქმნის რეალურ საფრთხეს.

**ხელისუფლებამ, აშშ-ის მიბაძვით, ყველა რელიგია თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა, რატომ არ შეიძლება ენების შესწავლისადმი თავისუფალი მიდგომა დაკანონდეს? ან რატომ უნდა ისწავლებოდეს ინგლისური მშობლიურ ენასთან ერთად პირველი კლასიდან და რუსული მხოლოდ მე-7 კლასიდან? სად არის აქ სამართლიანობა და დემოკრატიულობა დაცული? სკოლა ბინძური პოლიტიკის ნაწილად არ უნდა ვაქციოთ.**

**ბორის დავითაია,**
მწერალი,
აკ. წერეთლის სახელობის
პრემიის ლაურეატი

**რუსეთი, მისი ენა და კულტურა არ არის ხელწამოსაკრავი. თუ ჩვენს ხელისუფალს სძულს პუტინი, ეს არ ნიშნავს, ქართველმა ხალხმა გაწყვიტოს სულიერი და კულტურული ურთიერთობა დიდი შესაძლებლობის მქონე მეზობელთან**

მსოფლიო

## მაკფოლის კანდიდატურა დაამტკიცეს



**აშშ-ის სენატმა რუსეთში აშშ-ის ელჩის თანამდებობაზე მაიკლ მაკფოლი დაამტკიცა. აქამდე მაკფოლის კანდიდატურის დამტკიცება ორჯერ გადაიდო.** გავრცელებული ინფორმაციით, „რესპუბლიკელები“ მისი კანდიდატურის დაბლოკვით რუსეთში ადამიანის უფლებების დაცვისა და ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის საკითხებში თეთრი სახლისგან უფრო მკაცრი პოზიციის მიღწევას ცდილობდნენ. გარდა ამისა, გამოთქმული იყო შიში იმის შესახებ, რომ მაკფოლს, შესაძლოა, რუსეთისთვის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შესახებ საიდუმლო მასალები მიეწოდებინა. მაკფოლი, რომელიც აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოში რუსეთისა და ევრაზიის რეგიონის საქმეთა დირექტორის თანამდებობას იკავებდა, ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის „გადატვირთვის“ ერთ-ერთი არქიტექტორია.

## თალიბებმა ყარზაის მეგობარი მოკლეს

**ავღანეთში თალიბებმა პრეზიდენტ ხამიდ ყარზაის მეგობარი აბდულ ბაკი როგბატი მოკლეს.** როგბატი პროვინცია ყანდაგარის ტყვეებისა და საზღვრების საქმეთა დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. ყარზაის მეგობრის მკვლელობაზე პასუხისმგებლობა მოძრაობა „თალიბანმა“ აიღო.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელისუფლება რიგიანად შეირყა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან დაკავშირებით პრეზიდენტ მედვედევის განცხადების შემდეგ. როგორც ცნობილია, ევროპაში ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო გეგმების საპასუხოდ მოსკოვმა „ისკანდერების" განლაგება გადაწყვიტა, მათ შორის კალინინგრადშიც. ბალტიისპირეთს რუსეთის მიმართ უამისოდაც „ცივი ომის" კატეგორიებით ჰქონდა დამოკიდებულება, ახლა კი, უბრალოდ, ცივი ოფლი ასხამს. ამიტომაც ელოდნენ კლინტონისგან მკვახე განცხადებებს და, რადგან ბუში-უმცროსის დროიდან მოყოლებული დემოკრატიულ ღირებულებებზე უფრო ხმამაღალი ვერაფერი მოიფიქრეს, ძირითადი აქცენტის გაკეთება სწორედ ამაზე იგეგმებოდა.**

# თეთრი სახლის ნარინჯისფერი ოცნება

**ვილნიუსში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საგარო საქმეთა მინისტრების სამიტი ჯერ გახსნილი არ იყო, რომ მოახლოებული სკანდალი უკვე იგრძნობოდა. როგორც გაირკვა, მიმღები მხარე და შეთავსებით ორგანიზაციის ამჟამინდელი თავმჯდომარე ლიტვა ამ ფორუმისგან პოსტსაბჭოთა დემოკრატიისთვის საჩვენებელ ნოტაციას ამზადებდა. სწორედ ამიტომ, მართალია, სამიტზე 40-მდე მინისტრს ელოდნენ, მაგრამ წინასწარ განსაკუთრებულად განეწყვნენ ჰილარი კლინტონის ვიზიტისადმი.**

ქალბატონი სახელმწიფო მდივანი ვილნიუსში ჩასული არ იყო, რომ უკვე რევერანსებით იხრებოდნენ წელში. „იგი ჩამოდის, როგორც ღონისძიების სტუმარი, მაგრამ ეს მშვენიერი ადგილია იმისათვის, რომ იგრძნო დემოკრატიული ლიდერების და ლიტვის სამხრეთ-აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით ორგანიზაციების მხარდასაჭერი ძლიერი სიგნალი," — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა აჟუბალისმა და დასძინა, რომ „ეს დემოკრატიულ ძალებს გამბედაობას შეჰმატებს".

მათთვის, ვინც ცუდად ერკვევა პოლიტიკურ გეოგრაფიაში, დააზუსტა, რომ საუბარი იქნებოდა პოსტსაბჭოთა სივრცეზე. აჟუბაისის აზრით, სწორედ მისთვის უნდა გაეგზავნა კლინტონს სიგნალი და არა მხოლოდ ცეცხლოვანი მისალმების სახით, არამედ სავსებით კონკრეტული ილუსტრაციებით.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ვილნიუსში დიდი ყურადღება დაეთმობოდა ეგრეთ წოდებულ არაბულ გაზაფხულს, მაგრამ კლინტონი იმაზე მეტს ვერაფერს იტყოდა, რაც ისედაც ყველასათვის კარგადაა ცნობილი. ერთადერთი სიახლე შეიძლებოდა ყოფილიყო ანალოგია, რომელიც შეეძლო პოსტსაბჭოთა სივრცესთან გაევლო და მიენიშნებინა, რომ მშვიდად ძილის უფლება არც მას აქვს.

**ვილნიუსში შემთხვევით არ მიანიშნებდნენ განსაკუთრებულად იმაზე, რომ ეუთოს სამიტზე მიწვეულნი იყვნენ არა მხოლოდ რუსეთისა და ბელარუსის ოფიციალური დელეგაციები, არამედ არასამთავრობო და უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.**

**საერთოდ, ბოლო დროს ლიტვამ საკმაოდ სერიოზულად მოჰკიდა ხელი ლოკალურ პოლიტიკას. ამ საქმეში მას საკუთარი ინტერესები აქვს. პირველ რიგში, იქ ვერაფრით მშვიდდებიან, რომ რუსეთი კალინინგრადსა და ბელარუსში ატომური ელექტროსადგურების მშენებლობას აპირებს. ვერ მშვიდდებიან არა იმიტომ, რომ ვილნიუსი ეკოლოგიაზე წუხს, არამედ იმიტომ, რომ საკუთარი ენერგეტიკის პრობლემები ვერ მოუგვარებია. ლიტვას ევროკავშირმა უბრძანა, იგნალინსკის ატომური ელექტროსადგური უსაფრთხოების მიზნით დაეხურა, რაიმე უკეთესის შემოთავაზება კი მას ჯერჯერობით არ შეუძლია.**



**იმაზე მნიშვნელოვანი, თუ რას იტყოდა იქ, ჰილარი კლინტონის ლიტვაში ჩასვლა იყო და რომ ეს პოსტსაბჭოთა სივრცისადმი განსაკუთრებულ, დაჟინებულ ინტერესზე მიანიშნებდა**

გარდა ამისა, ამ ქვეყნის ხელისუფლება რიგიანად შეირყა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან დაკავშირებით პრეზიდენტ მედვედევის განცხადების შემდეგ. როგორც ცნობილია, ევროპაში ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო გეგმების საპასუხოდ მოსკოვმა „ისკანდერების" განლაგება გადაწყვიტა, მათ შორის კალინინგრადშიც. ბალტიისპირეთს რუსეთის მიმართ უამისოდაც „ცივი ომის" კატეგორიებით ჰქონდა დამოკიდებულება, ახლა კი, უბრალოდ, ცივი ოფლი ასხამს. ამიტომაც ელოდნენ კლინტონისგან მკვახე განცხადებებს და, რადგან ბუში-უმცროსის დროიდან მოყოლებული დემოკრატიულ ღირებულებებზე უფრო ხმამაღალი ვერაფერი მოიფიქრეს, ძირითადი აქცენტის გაკეთება სწორედ ამაზე იგეგმებოდა.

ასე უკვე იყო ხუთი წლის წინ. სწორედ ვილნიუსიდან დაიწყო მაშინ იმდროინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინმა დემოკრატიული შეტევა აღმოსავლეთზე. ეს საქართველოსა და უკრაინის ფერადი რევოლუციების შემდეგ იყო. მაშინ ჩეინიმ საერთაშორისო კონფერენციაზე დასავლეთის რუსეთისადმი დამოკიდებულებაზე საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა. მან გააკრიტიკა რუსეთის შიდა პოლიტიკა, მოსკოვი დაშინებაში, შანტაჟში, მეზობელი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის დარღვევასა და დემოკრატიულ პროცესებში ჩარევაში დაადანაშაულა.

ჩეინიმ უკმაყოფილება გამოთქვა რუსეთისა და ბელარუსის მჭიდრო კავშირის გამოც. ახლა კლინტონი ინტონაციის ოდნავი კორექტირებით ამ ყველაფერს სიტყვასიტყვით იმეორებს. ვილნიუსში ახლაც ჩეინის ელოდნენ, ოღონდ კაბიან ჩეინის, კლინტონის სახით.

პოლიტოლოგები აცხადებდნენ, რომ იმაზე მნიშვნელოვანი, თუ რას იტყოდა იქ, ლიტვაში ჰილარი კლინტონის ჩასვლა იყო და რომ ეს პოსტსაბჭოთა სივრცისადმი განსაკუთრებულ, დაჟინებულ ინტერესზე მიანიშნებდა. **შესაძლოა, ახლო აღმოსავლეთში ნარინჯისფერი რევოლუციების მაპროვოცირებელი მექანიზმები ამოქმედდეს, პოსტსაბჭოთა სივრცეშიც, უპირველესად, ბელარუსში და შესაძლოა, თავად რუსეთშიც.**

**ცხადია, ეს გამოწვეულია იმით, რომ ვლადიმერ პუტინი პრეზიდენტობის კანდიდატია და რომ რუსეთი საკმაოდ წარმატებულად ახდენს საკუთარი ენერგეტიკული პოლიტიკის დივერსიფიცირებას. უკვე ამოქმედდა „ჩრდილოეთ ნაკადი", მაგრამ პოლიტოლოგთა აზრით, ამერიკელი „შევარდნაძის" მთავარი სამიზნე რუსეთის დასავლეთ ფორპოსტები, უპირველეს ყოვლისა კი, ბელარუსია.**

ლიტველი მინისტრის მიერ არაბულ გაზაფხულთან პარალელების გავლება იმ აისბერგის უხილავი ნაწილია, რომელიც ლიტვაში ჩასვლით კლინტონმა წარმოაჩინა. ასე რომ, ახლა რუსეთში მოსალოდნელია მთელი რიგი ორგანიზაციებისა და ფონდების ეგრეთ წოდებული რბილი ძალის გააქტიურება და ყველაფერი ის, რასაც ამერიკელი პოლიტიკოსები და სპეცსამსახურები საკმაოდ წარმატებულად ართმევდნენ თავს 50-იანი წლებიდან.

rus.ruvr.ru

# გაბერბიჭებული ამერიკა

**სულ უფრო მეტი ამერიკელი (ანუ იმ ქვეყნის მკვიდრი, სადაც სულ მალე საზოგადოებაში დომინირებულ პოზიციას დაუქორწინებელი მოზრდილი ადამიანები დაიკავებენ) ქორწინებას ძველმოდურ ინსტიტუტად მიიჩნევს ან მის ხელსაყრელ დრომდე გადადებას ამჯობინებს. ამის გამო მალე ქორწინების ინსტიტუტი ამერიკაში გარკვეულ ზღურბლს მიაღწევს.**

უკანასკნელი მონაცემების თანახმად, ქვეყანაში დაუქორწინებელი მოზრდილი ადამიანების რაოდენობა მალე ქორწინებაში მყოფთა რაოდენობას გადააჭარბებს. სულ რამდენიმე წელიწადში 18 წელს გადაცილებული ამერიკელების უმეტესობა დაუოჯახებელი იქნება.

ამგვარი რამ ისტორიაში პირველად ხდება და მით უფრო შოკის მომგვრელია. არადა, ფრანგი მწერალი ალექსის დე ტოკვილი XIX საუკუნეში ამბობდა: „უდავოა, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ეთაყვანებიან ისე საქორწინო უღელს, როგორც ამერიკაში და არსად ასე არ ფასობს ოჯახური ბედნიერება".

**დღეს ამერიკელების დიდი ნაწილი უყოყმანოდ ამბობს უარს ქორწინების ინსტიტუტზე და ამის მიზეზი სულაც არაა განქორწინებები, რომელთა რაოდენობამ, სხვათა შორის, უკანასკნელ პერიოდში იკლო კიდეც.** კვლევითი ცენტრის — „Pew"-ის მიერ გაანალიზებულმა უკანასკნელი აღწერის მონაცემებმა შემდეგი მნიშვნელოვანი ტენდენციები გამოავლინა:

**ოჯახის შექმნის საშუალო ასაკი ახლა ყველაზე მეტია — სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ამჯობინებს ქორწინების სამომავლოდ გადადებას. გასულ წელს 18-დან 24-წლამდე ამერიკელებს შორის დაქორწინებული მხოლოდ 9 პროცენტი აღმოჩნდა. არადა, ნახევარი საუკუნის წინ ეს მაჩვენებელი 45 პროცენტს უტოლდებოდა.**



ამ ასაკობრივ ჯგუფში კლება სწრაფი ტემპებით მიდის. ცოტა ხნის წინ დაქორწინებულთა რაოდენობა სულ რაღაც ერთ წელიწადში — 13 პროცენტით შემცირდა.

გასაოცარია, მაგრამ კვლევების თანახმად, ამის მიზეზი დიდი რეცესია არ აღმოჩნდა. საუბარია ღირებულებათა სფეროში მიმდინარე რევოლუციაზე, რაც ადამიანებს ართმევს ამგვარი თვითშეწირვის სტიმულს. ახლა ამერიკაში ადამიანები ქორწინებას აღარ აღიქვამენ როგორც სოციალურ კეთილდღეობას, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობას, იმედს, რომ მომავალი თაობა უკეთესად იცხოვრებს.

რევოლუციას შემდეგი სტატისტიკური მონაცემები ასახავს: **30 წელზე ასაკის ყოველი ათი გამოკითხულიდან ოთხი ქორწინებას მოძველებულ და არამოდურ მოვლენად მიიჩნევს.** შედეგად, დაქორწინებული მოზრდილი ადამიანების ხვედრითი წილი უკანასკნელ ათ წელიწადში 57 პროცენტიდან ზღვრულ 51 პროცენტამდე დაეცა.

**უნდა აღინიშნოს, რომ ბერბიჭების უმეტესობა წინააღმდეგი არაა, საქორწინო უღელში შეებას, განსაკუთრებით 36-დან 45-წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, მაგრამ მათ აქვთ უამრავი მიზეზი, რის გამოც ჯერ კიდევ არ აკეთებენ ამას.**

მრავალ შემთხვევაში ქორწინებისა ეშინიათ ბავშვების განქორწინებულ მშობლებს, სხვები პრიორიტეტს კარიერასა თუ განათლებას ანიჭებენ. და ვინაიდან ოჯახის შექმნა დღეს ძალიან მცირე დოზით განიხილება, როგორც საზოგადოებისადმი ვალდებულება, მეორე ნახევრის ძებნა არც თუ ისე არსებით საქმედ ითვლება.

ეს ტენდენციები კიდევ უფრო მწვავედაა გამოხატული ამერიკის ნაკლებად განათლებულ, შავკანიან და ესპანურენოვან მოსახლეობას შორის. შედეგად მრავალ მათგანს არ აქვს საშუალება, ისარგებლოს ოჯახის ეკონომიკური უპირატესობებით. ამასთან, უმაღლესი განათლების თეთრკანიანი ამერიკელები, როგორც წესი, ამართლებენ და იწონებენ ქორწინების ინსტიტუტს, რომელიც მათ უმეტესობას საშუალებას აძლევს, ამერიკული ოცნებისაკენ გაიკვალოს გზა.

ცხადია, ქორწინება ყველასათვის არაა, მაგრამ მისი რაოდენობის ესოდენ შემცირება ადასტურებს იმ მრავალსაუკუნოვანი სულიერი ღირებულებებისგან დაშორებას, რომლის უმაღლესი გამოხატულებაც ქორწინება და შთამომავლობის აღზრდაა.

როდესაც ადამიანი ხელიდან უშვებს შესაძლებლობას, ისწავლოს საკუთარი ბედნიერების პოვნა სხვათა ბედნიერებაში, ამისაგან მთელი საზოგადოება ზარალდება.

The Christian Science Monitor



**ჩინეთი არის ერთადერთი, ვისაც რეალურად შეუძლია სავალე ორმოდან ევროპის ამოთრევა, მაგრამ ის თანამშრომლობას ბრიუსელის გვერდის ავლით მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებს სთავაზობს, თანაც ისეთებს, რომელთაც ჩინეთის დახმარების გარეშეც ეკონომიკა ასე თუ ისე წესრიგში აქვთ. და თუ დიად სახელმწიფოებს ვერ წარმოუდგენიათ მომავალი ერთიან ევროპულ სახლში, რაღა უნდა ითქვას რიგით ადამიანებზე, რომლებიც მთელი არსებით ევროკავშირის წინააღმდეგ აძლევენ ხმას?!**

დაიჯესტი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ, რატომ და საით გარბის ევროპიდან

**ახლა მოდური გახდა ევროზონისადმი ნდობის კრიზისზე საუბარი. როგორც ჩანს, ჩვენ რეალურ დროში ვადევნებთ თვალყურს ძველი მსოფლიოს ნამდვილ დაისს. დასავლური მასმედიის აზრით, „დიდი ევროპული ოცნების“ კრახი ისე ახლოა, როგორც არასდროს და უკვე გამოცხადებულიც კია, რომ ევრომ, შესაძლოა, ქრისტეშობამდეც ველარ გაძლოს. ევროპული ხელისუფლებები ერთიანი ევროპული ვალუტის გადასარჩენი გეგმის შემუშავებას უახლოესი თვე-ნახევრის მანძილზე აპირებენ, მაგრამ ამ გეგმისაც და ევროს გადარჩენისაც თითქმის არავის სჯერა.**

მართლა ამდენად სერიოზულადაა საქმე? სად მთავრდება ევროპის სიღრმისეული პრობლემები და სად იწყება მისი „კონკურენტების“ დახმარება? რა დონემდე აპირებენ ეს კონკურენტები ევროპისა და ევროს კურსის ჩაძირვას?

ამერიკელებმა გახსნილად გაბერეს ევროპის სავალე კრიზისის მნიშვნელობა. პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, ოღონდ კი ამომრჩევლის ყურადღება შიდა პრობლემებიდან რაიმე სხვაზე გადაეტანა, მთელი მოხსენება წაიკითხა ევროზონის პრობლემებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ევროპული პარალიჩი მასში ჩადებული საფრთხით მთელ მსოფლიოს აშინებს.

აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა ტიმოთი გაიტნერმა ევროკავშირი „მსოფლიო ეკონომიკისათვის უმნიშვნელოვანესი რისკის“ შექმნაში დაადანაშაულა. რიგითი ამერიკელების უმეტესობა, მათ შორის უამრავი საქმიანი ადამიანი, ისტორიის მანძილზე პირველად აღარ ამჟღავნებენ ევროპისადმი ინტერესს და აზიას გაცილებით უფრო მიმზიდველად მიიჩნევენ (მათ შორის, ინვესტირებისთვისაც). ნეგატიურმა პროპაგანდამ მოულოდნელად სწრაფად მიაღწია დასახულ მიზანს და ახალი მსოფლიოს მცხოვრებთათვის ევროპის არამიმზიდველი სახე შექმნა. ერთადერთი, რამაც შეიძლება მიიზიდოს ამერიკელი მშვიდ და პროვინციულ ევროკავშირში, დიდი რაოდენობით პრესტიჟული უძრავი ქონებაა, რასაც ჯერ კიდევ აქვს სათანადო ფასი. ევროზონისა და მასთან ერთად ევროკავშირის გადარჩენას სერიოზულად არავინ აპირებს. რუსეთი კრედიტის გაცემის პირობას იძლევა, მაგრამ საამისოდ მთელ რიგ პირობებს აყენებს. **ჩინეთი არის ერთადერთი, ვისაც რეალურად შეუძლია ევროპის სავალე ორმოდან ამოთრევა, მაგრამ ის თანამშრომლობას ბრიუსელის გვერდის ავლით მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებს სთავაზობს, თანაც ისეთებს, რომელთაც ჩინეთის დახმარების გარეშეც ეკონომიკა ასე თუ ისე წესრიგში აქვთ. და თუ დიად სახელმწიფოებს ვერ წარმოუდგენიათ მომავალი ერთიან ევროპულ სახლში, რაღა უნდა ითქვას რიგით ადამიანებზე, რომლებიც მთელი არსებით ევროკავშირის წინააღმდეგ აძლევენ ხმას?!**

ამ ყველაფრის შედეგად ევროკავშირს რეალურად იმაზე ბევრად ცოტა მოკავშირე აღმოაჩნდა, ვიდრე თავდაჯერებული ევროპელები ვარაუდობდნენ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ. შედეგად დაიწყო ახალი ემიგრაცია, ამჯერად ევროპიდან. რას ეძებენ ევროპელები ევროკავშირის საზღვრებს გარეთ? როგორც „Forex“-ის აკადემიისა და საბირჟო ვაჭრობის — „Master-forex-V“-ის ფინანსური ბაზრების წამყვანი ექსპერტი ევგენი ოლიხოვსკი აცხადებს, ხანგრძლივი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ნალოლიავები ევროპული კავშირის იდეის ჩავარდნა მყისიერად გვაბრუნებს ბებერ ევროპასთან — ისტორიული ამბიციების, ნაციონალური და ეკონომიკური წინააღმდეგობების, სოციალური განვითარების პოლარული დონის მქონე პატარა და შედარებით დიდი სახელმწიფოების ნაკრებთან. აზიიდან და აფრიკიდან უდიდესი ემიგრაციის ფონზე უკვე ყველას დაავიწყდა, გადასახლებულთა რამხელა ტალღები მიედინებოდა წინათ ძველი მსოფლიოდან. არადა, ახლა სწორედ ამის გახსენების დროა.

ირლანდიელები კვლავაც ტოვებენ მშობლიურ კერას. ევროპის ზანგები, როგორც მათ სიბრალულით უწოდებდნენ XVIII-XIX საუკუნეებში, უმიწობის, სიღატაკის, შიმშილისაგან თავდასაღწევად მწვანე კუნძულიდან მთელ მსოფლიოს მოედნენ უკეთესი ცხოვრების ძიებით. ირლანდიური ფესვები აქვთ ამერიკელების, კანადელების, ავსტრალიელებისა და ახალი ზელანდიების მეოთხედს და ეს მუდამ საინტერესო ეგზოტიკად ითვლებოდა. თავად ირლანდიელებს კი, უკვე დიდი ხანია, დაავიწყდათ იმ პილიგრიმების ბედი, რომლებიც თავიანთ საყვარელ კუნძულზე კომფორტულად ცხოვრობდნენ. ამ კუნძულზე ცხოვრების დონე დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა ევროპაში საუკეთესოდ და ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მაჩვენებლად მთელ მსოფლიოში. მაგრამ 2009 წელს ქვეყანა უძრავი ქონების ბაზარზე წარმოქმნილი უზარმაზარი ბუშტის გასკდომით გამოწვეულმა ფინანსურმა კრიზისმა შეარყია. ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტი ერთბაშად 8%-ით დაეცა. სახელმწიფოში, სადაც ადრე მთელ რთულ სამუშაოს ბალტიისპირელი და პოლონელი ემიგრანტები ასრულებდნენ, დაიწყო უმუშევრობა, რამაც თვალის დახამხამებაში მიაღწია მნიშვნელოვან მაჩვენებლებს. შედეგად, ახლა ირლანდიიდან ემიგრაციის ტემპები მთელ ევროკავშირში ყველაზე მაღალია. 2009 წლის აპრილიდან 2010 წლამდე ქვეყანა 65 300-მა მოქალაქემ დატოვა. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 1989 წლის შემდეგ.



პოლონელები სახლში ბრუნდებიან. პოლონეთიდან უკანასკნელი გადინება, რომელიც ამ ქვეყნის ევროკავშირში მიღებას დაემთხვა, ქვეყნის არც თუ მარტივ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური იყო. ისარგებლეს რა რესპუბლიკის საზღვრების გახსნით, ქვეყანა მილიონობით ადამიანმა დატოვა და შემოსავლის საძიებლად გაემგზავრა. მხოლოდ ბრიტანეთში დაახლოებით 1,5 მილიონი პოლონელი გადასახლდა, საფრანგეთში კი მემარჯვენე პარტიები პოლონელი სანტექნიკოსის შესახებ ლოზუნგსაც კი იყენებდნენ და ამბობდნენ, რომ პოლონელი სანტექნიკოსი ადგილობრივ სპეციალისტსართმევდა სამუშაო ადგილს. და აი, ახლა უკანასკნელი ტალღის ემიგრანტი პოლონელების ნახევარზე მეტი შინ დაბრუნდა.

გერმანიიდან თურქები მიდიან. უკვე ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც გერმანია და თურქეთი სამუშაო ძალის მიზიდვის შესახებ შეთანხმდნენ. შედეგად, ელბას სანაპიროებზე ათი ათასბით თურქი შრომითი მიგრანტი გადავიდა და საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი ახალ სამშობლოში. მაგრამ ახლა სულ უფრო ხშირად დაინახავთ საწინააღმდეგო სურათს: პირველი თაობის გერმანელი თურქების შვილები და შვილიშვილები სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ თავიანთი ისტორიული სამშობლოს მიმართ. ყოველწლიურად საზღვარგარეთიდან ბოსფორის სანაპიროებზე 8-10 ათასი ახალგაზრდა ბრუნდება. ყველა მათგანს თურქული ფესვები აქვს. ახლა გერმანიის უნივერსიტეტის თურქული ეთნიკური წარმომავლობის მქონე კურსდამთავრებულების 38% აცხადებს, რომ სურთ, დაბრუნდნენ იმ ქვეყანაში, საიდანაც მათი მშობლები წამოვიდნენ. თურქები გერმანიაში კომფორტულად ველარ გრძნობენ თავს. არადა, გერმანიას ევროპაში საუკეთესო ეკონომიკური მაჩვენებლები აქვს.

სად მიდიან მდიდარი გერმანელები, ინგლისელები და ფრანგები? რაც არ უნდა უცნაური იყოს, მიდიან არა მხოლოდ პრობლემური ევროპული ქვეყნებიდან და არა მხოლოდ შრომითი მიგრანტები ან მათი შთამომავლობა, მიემგზავრებიან საკმაოდ განვითარებული გერმანიის, საფრანგეთისა და ბრიტანეთის რესპექტაბელური მოქალაქეებიც. **უკანასკნელი 27 წლის მანძილზე წელს პირველად გერმანიიდან უფრო მეტი ადამიანი წავიდა სხვაგან საცხოვრებლად, ვიდრე იქ ჩავიდა. ჯერ კიდევ 2007 წელს გერმანიაში 44 ათასი ადამიანით მეტი გადასახლდა, ვიდრე იქიდან გაემგზავრა. ამის შემდეგ მატება მხოლოდ გამგზავრებულთა სასარგებლოდ შეინიშნებოდა. თუ 90-იანი წლების პირველ ნახევარში გერმანიაში ყოველწლიურად მილიონამდე იმიგრანტს ითვლიდნენ, 2008 წელს იქ მუდმივად საცხოვრებლად 682 ათასზე ოდნავ მეტი ადამიანი ჩავიდა, 738 ათასი კი — გაემგზავრა. საოცარია, მაგრამ თურქეთშიც კი ყოველწლიურად 34 ათასი გერმანელი გადადის საცხოვრებლად**. ახლა ძალიან ბევრი ინგლისელი ავსტრალიაში, კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გადადის საცხოვრებლად. დასავლეთ ევროპელების მნიშვნელოვანი ნაწილი მუდმივად ცხოვრობს და მუშაობს რუსეთის დედაქალაქში. ახლა მხოლოდ მოსკოვში 20 ათასამდე ამერიკელი, 40 ათასამდე გერმანელი, 10-10 ათასი ინგლისელი და ფრანგი ცხოვრობს, მაგრამ ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია ჩინეთის ევროპულ კოლონიასთან შედარებით.

რატომ გარბიან ადამიანები ერთ დროს მდიდარი ევროპის ქვეყნებიდან?

იმიტომ, რომ პასუხი გაეცეს კითხვას „რატომ?“. აუცილებელია იმის გარკვევა, თუ ვინ გარბის კონკრეტულად ევროპიდან; მიდიან ქვეყნის ძირძველი მკვიდრნი, შრომითი ემიგრანტები და ემიგრანტთა შთამომავლები.

როგორც მდიდარი, ასევე არც თუ ისე მდიდარი ქვეყნების ძირძველ მოსახლეობაზე უნდა ითქვას, რომ ისინი მიემგზავრებიან უკეთესი ცხოვრებისა და უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაოს საძებნელად. მათ სხვა ქვეყნებში იზიდავთ უძრავი ქონების დაბალი ფასები — ინგლისში ბინის გაყიდვით ავსტრალიაში მდიდრული სახლის ყიდვა შეიძლება. იზიდავთ მზარდი ეკონომიკაც — ავსტრალიასა და კანადაში გაცილებით მეტი სამუშაო ადგილია, სპეციალისტების ანაზღაურება კი თითქმის უახლოვდება ევროპულს, რუსეთში აჭარბებს კიდეც. იზიდავთ ხელფას-გადასახადებ-დანახარჯების ევროპაზე ბევრად უფრო ხელსაყრელი თანაფარდობაც და მრავალ სფეროში კარიერული ზრდის პერსპექტივებიც.

**ყოფილ შრომით მიგრანტებსა და მათ შთამომავლებს, როგორც წესი, ორი ფაქტორი აიძულებს გამგზავრებას: უმუშევრობის ზრდა თავად ევროპაში,** რის შედეგადაც მათი სამუშაო ადგილები ადგილობრივ მოსახლეობას გადაეცემა. მაგალითად, ესპანეთში იმიგრანტებს შორის უმუშევრობა წლის დასაწყისში 27,1%-ს შეადგენდა. ამასთან, ესპანეთის მკვიდრ მოსახლეობას შორის ეს მაჩვენებელი 15,2%-ს არ აღემატებოდა.

**მეორე მიზეზი კი ისტორიული სამშობლოს ეკონომიკური აღმასვლაა.** მაგალითად, იმავე ევროპაში ზრდის ტემპები შარშან უფრო მაღალი იყო, ვიდრე სხვა ნებისმიერ დასავლეთევროპულ ქვეყანაში და 3,8% შეადგინა. ამავე პერიოდში ბრიტანეთში უმუშევრობამ 8%-ს მიაღწია, რის გამოც პოლონელების დიდმა ნაწილმა სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა.

oilru.com

## ხოდორკოვსკი პოლიტპატიმრად არ აღიარეს



**ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ უარი განაცხადა „იუკოსის“ ყოფილი შეფის მიხაილ ხოდორკოვსკის საქმის გადახედვაზე, რომელზეც გადაწყვეტილება მიმდინარე წლის მაისში გამოიტანა.** რუსული მედიის ინფორმაციით, სასამართლომ ძალაში დატოვა მაისში მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც რუსეთის ხელისუფლების ქმედება ხოდორკოვსკის წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებულად არ სცნო. ხოდორკოვსკი ციხეში ცუდ პირობებში პატიმრობაში ყოფნის გამო კომპენსაციას მიიღებს, მაგრამ იგი პოლიტპატიმრად არ აღიარეს.

## დუმას სერგეი ნარიშკინი უხელმძღვანელებს



**რუსეთის მმართველი პოლიტიკური პარტიის „ედინაია რასიას“ გენერალურმა საბჭომ სახელმწიფო სათათბიროს სპიკერის პოსტზე პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სერგეი ნარიშკინის კანდიდატურა დაასახელა.** ამჟამინდელმა სპიკერმა ბორის გრიზლოვმა, რომელიც დუმას 8 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, დეპუტატის მანდატზე უარი განაცხადა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელების უგუნურების ერთადერთი მიზეზი განათლების სისტემის უვარგისობა არაა. ამაში საკუთარი წვლილი შეაქვს ამერიკის კულტურის სპეციფიურ შტრიხებსაც. დემოკრატიის სამშობლოში ცოდნის დანიშნულება ისაა, რომ ემსახურებოდეს პროფესიისათვის მომზადებას და არა ადამიანის სულიერ სიმდიდრესა და მსგავს სისულელეებს. დროთა განმავლობაში ამას დაემატა ზესახელმწიფოებრივი განდიდების მანია, რაც მთელი დანარჩენი სამყაროსადმი მეორეხარისხოვან დამოკიდებულებას აყალიბებს.**



# ოროსნები, ანუ დავეწიოთ და გავუსწროთ იდიოტებს

**შედარებითი საერთაშორისო კვლევები ადასტურებს, რომ აკადემიური ცოდნის სფეროში, მათ შორის ისეთ საგნებში, როგორიც მათემატიკა და სხვა ზუსტი მეცნიერებებია, ამერიკელი მოსწავლეები ჩამორჩებიან თავიანთ ჩრდილოევროპელ და აღმოსავლეთაზიელ თანატოლებს.**



ამერიკელებმა არ იციან უცხო სახელმწიფოთა დედაქალაქები. ხანდახან მათ არ შეუძლიათ რუკაზე საკუთარი ქვეყნის შტატები მოძებნონ. მიუხედავად ამისა, ნობელის პრემიის ლაურეატებისა და ცნობილი მეცნიერების უმეტესობა წარმოშობით სწორედ შტატებიდანაა და არა აზიიდან ან ევროპიდან.

ჰერმან კეინი საკუთარ ნაკლოვანებებს არ მალავს. „თუ მკითხავთ, ვინაა უზბეკ-ბეკ-ბეკ-ბეკ-ეთის-ეთის პრეზიდენტი, გულახდილად გეტყვით, რომ არ ვიცი. თქვენ კი იცით?“ — განაცხადა მან ტელეინტერვიუში. კეინი კონცერნ Godfather's Pizza-ს ყოფილი მეთაურია და იბრძვის იმისათვის, რომ რესპუბლიკურმა პარტიამ პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელოს.

კიდევ ერთ ტელეინტერვიუში მან განაცხადა, რომ ჩინეთმა „შესაძლოა მალე ბირთვული იარაღი შექმნას“, თუმცა ჩინელებს, უკვე 40 წელია, ბირთვული იარაღი აქვთ. უკვე გარკვეულია, რომ მას წარმოდგენა არ აქვს, სადაა ლიბია, ვინ არიან ნეოკონსერვატორები და აშშ-ის კონსტიტუცია დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ერევა.

მაგრამ ეს ყველაფერი აბსოლუტურად არ უშლის ხელს მის მომხრეებს, აღიარონ, რომ, საზოგადოებრივი აზრის კვლევის მონაცემების მიხედვით, პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენის მარათონში იგი ფავორიტად მიჩნეულ მით რომნისა და ნიუტ გინგრიჩს არაფრით ჩამოუვარდება. როდესაც მასმედია კეინის უგუნურებებზე მიანიშნებს, მისი თაყვანისმცემლები თვლიან, რომ ლიბერალური ელიტები, უბრალოდ, ემტერებიან შავკანიან კონსერვატორს.

კეინი უკიდურესი შემთხვევაა, მაგრამ არა ერთადერთი. უმაღლესი თანამდებობის მეორე რესპუბლიკელი პრეტენდენტი, ტეხასის გუბერნატორი რიკ პერი სტუდენტებთან შეხვედრისას იმით ტრაბახობდა, რომ უნივერსიტეტში, ძირითადად, შეფასებას — სამიანი მინუსით იმსახურებდა.

მიშელ ბახმანი, ბოლო დროს მზეჩასვენებული ჩაის პარტიის ფავორიტი, არაერთხელ გამოიჭირეს, რომ მიახლოებითაც არ იცის ამერიკის ისტორია.

2008 წელს ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატმა სარა პეილინმა ვერ შეძლო ეთქვა, თუ რას ნიშნავს „ბუშის დოქტრინა“.

ჯიმი კარტერთან ტელედებატების დროს, 1976 წელს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ჯერალდ ფორდმა გამოაცხადა, რომ „პოლონეთი არ იმყოფება საბჭოთა ოკუპაციაში“ და ამით იქვე დამარხა თავისი ყველა შანსი პრეზიდენტად ხელახალი არჩევისათვის.

2000 წლის კამპანიისას ჯორჯ ბუში დამუნჯდა, როდესაც დაუსვეს კითხვა, თუ ვინ უდგას სათავეში პაკისტანს, აშშ-ის მთავარ მოკავშირეს სამხრეთ აზიაში.

ბუში, ისევე, როგორც პერი, ტეხასის კავბოური სუბკულტურის პროდუქტია. მან იელის უნივერსიტეტის შეფასებით Gentleman's C (დამაკმაყოფილებელი, მაგრამ არა მაღალი) დაამთავრა და სახელი იმით გაითქვა, რომ თეთრ სახლში გადასახლებამდე საერთოდ არ კითხულობდა წიგნებს. ერთადერთი, რაც ჯორჯ ბუშს წაუკითხავს, გაზეთები, უფრო კონკრეტულად კი მათი სპორტული რუბრიკები იყო.

**ამერიკელებმა არ იციან უცხო სახელმწიფოთა დედაქალაქები. ხანდახან მათ არ შეუძლიათ რუკაზე საკუთარი ქვეყნის შტატები მოძებნონ**

თუმცა ისტორიულ-გეოგრაფიულ შეცდომებს ხშირად ბევრად უფრო დახვეწილი, ერუდირებული და ელიტური პოლიტიკოსებიც უშვებენ. მათ საუკეთესო უნივერსიტეტები საუკეთესო შეფასებებით დაამთავრეს, მაგრამ არც ეს გამოდგა საშველი. კონგრესის მრავალი წევრი მიიჩნევს, რომ ჩეხოსლოვაკია ამ დრომდეც არსებობს. თვით ბარაკ ობამამაც კი ავტომობილის გამოგონება ამერიკელებს მიაწერა.

გაზეთ New York Times-ის სახელგანთქმული მეფელეტონე მორინ დაუდი რესპუბლიკელების ცნობილი სახეების გამოსვლების კომენტირებისას მათი უგუნურების გამო სულ თითებს იმტვრევს და აცხადებს, რომ ისინი ვიწრო შუბლის კულტს ამკვიდრებენ. **„დემოკრატიის საფრთხეს, რომელთან შეგუების მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, წარმოადგენენ უცოდინარი ამომრჩევლები, მაგრამ მას არ უნდა ემუქრებოდნენ უცოდინარი კანდიდატები“,** — წერს იგი.

მაგრამ **ამერიკის ანტიინტელექტუალიზმს ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. მისი არსებობის დასაწყისიდანვე აბსტრაქტული და არაპრაქტიკული ცოდნის შეძენა პატივისცემას არ იმსახურებდა. გაღლეტილი ინტელექტუალის, თუნდაც უნივერსიტეტის პროფესორის პრესტიჟი ახლოსაც ვერ მივიდოდა მოქმედების ადამიანის, საუკეთესო შემთხვევაში, მეწარმის პრესტიჟთან.**

სიტუაცია შეიცვალა „ცივი ომის“ წლებში, როდესაც მმართველმა წრეებმა ეკონომიკასა და შეიარაღების, განსაკუთრებით ატომური შეიარაღების, შეჯიბრში მეცნიერების როლი დააფასეს.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკულმა უნივერსიტეტებმა მიიღეს რა დიდი ფინანსური მხარდაჭერა და მოძლიერდნენ ევროპის ყველაზე გამოჩენილი მეცნიერების ემიგრირების ხარჯზე, დაიწყეს ნობელის პრემიის ლაურეატების მასობრივი „წარმოება“. ამერიკელები ზუსტ და საზოგადოებრივ მეცნიერებებში წამყვან პოზიციებზე მოხვდნენ.

**გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 18-დან 24-წლამდე ამერიკელთა 63 პროცენტს რუკაზე ერაყის პოვნა არ შეუძლია, 88 პროცენტს — ავღანეთისა, 70 პროცენტს კი — ჩრდილოეთ კორეის, და ეს მიუხედავად იმისა, რომ, უკვე დიდი ხანია, მასმედია განუწყვეტლივ ამ ქვეყნებზე ლაპარაკობს.**

**მიუხედავად ახლო აღმოსავლეთიდან ახალი ამბების ჭარბი რაოდენობისა, ზემოხსენებული ასაკობრივი ჯგუფის სამმა მეოთხედმა არ იცის, სადაა ისრაელი და ირანი, 63 პროცენტს კი წარმოდგენა არ აქვს, სად უნდა ეძებოს საუდის არაბეთი.**

**დედამიწის პოლიტიკური რუკის არცოდნას თან ახლავს სხვა ქვეყნების შესახებ ელემენტარული წარმოდგენის არქონაც.** მაგალითად, გამოკითხულთა 75 პროცენტს არ გაუგია, რომ ინდონეზიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მუსლიმანია, 50 პროცენტი კი ვარაუდობს, რომ ინდოეთში ისლამი მეფობს.

**პასპორტი ახალგაზრდა ამერიკელების მხოლოდ 22 პროცენტს აქვს. ასე რომ, შესაძლოა, მათ, უბრალოდ, არ აინტერესებთ უცხოეთი. მაგრამ გაირკვა, რომ ამ ლოგიკით მათ არც საკუთარი ქვეყანა აინტერესებთ, იმიტომ, რომ მასზეც არაფერი იციან. 18-დან 24-წლამდე ასაკის ამერიკელთა ნახევარს არ შეუძლია რუკაზე ნიუ იორკის, მისისიპისა და ლუიზიანის შტატების მოძებნა.**

**ამერიკის შეერთებულ შტატებში უკეთესად არც ისტორიის ცოდნის მხრივაა საქმე. 1999 წელს 55 ელიტური უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ 40 პროცენტმა არ იცის, თუ როდის იყო მათ ქვეყანაში სამოქალაქო ომი, 56 პროცენტს კი წარმოდგენ არ აქვს, როდის იყო პრეზიდენტი აბრამ ლინკოლნი.**

12 წლის მანძილზე ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. წლის დასაწყისში ჟურნალმა „Newsweek“-მა ათას შემთხვევით შერჩეულ ამერიკელს რამდენიმე კითხვით მიმართა. ეს ის კითხვები იყო, რომლებზეც პასუხის გაცემა ტრადიციულად მოეთხოვებათ ამერიკის მოქალაქეობის მოპოვების მსურველ იმიგრანტებს. **გამოკითხულთა სამმა მეოთხედმა ვერ გასცა პასუხი კითხვას, თუ რატომ მიმდინარეობდა „ცივი ომი“, 4 პროცენტმა კი ვერ განმარტა ქვეყნის კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილი.**

გასაოცარი არაფერია იმაში, რომ ისტორიული უგუნურება მეფობს ქვეყანაში, რომლის ერთ-ერთმა უდიდესმა ავტორიტეტმა ჰენრი ფორდმა განაცხადა, რომ „ისტორია სისულელეა“. მაგრამ ამერიკელები არც თანამედროვე მსოფლიოში არიან უკეთ ორიენტირებულნი.

სტუდენტების 29 პროცენტმა ამერიკაში არ იცის, რა ჰქვია ახლანდელ ვიცე-პრეზიდენტს. ახალგაზ- ▶

**დედამიწის პოლიტიკური რუკის არცოდნას თან ახლავს სხვა ქვეყნების შესახებ ელემენტარული წარმოდგენის არქონაც. მაგალითად, გამოკითხულთა 75 პროცენტს არ გაუგია, რომ ინდონეზიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მუსლიმანია, 50 პროცენტი კი ვარაუდობს, რომ ინდოეთში ისლამი მეფობს**

ამბები

## რუსეთი მსო-ში მიიღეს

**ჟენევაში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონფერენციაზე 18-წლიანი მოლაპარაკებების შემდეგ ხელი მოეწერა ოქმს რუსეთის მსო-ში გაწევრების შესახებ. რუსეთის მხრიდან ოქმს ხელი ქვეყნის ეკონომიკის მინისტრმა ელვირა ნაბიულინამ მოაწერა, მსო-ს მხრიდან კი — ორგანიზაციის ხელმძღვანელმა პასკალ ლამიმ.** სახელმწიფო დუმის მიერ ოქმის რატიფიცირებიდან 30 დღის შემდეგ რუსეთი ოფიციალურად გახდება ორგანიზაციის წევრი. ბოლო წინააღმდეგობა, რომლის დაძლევაც რუსეთს მოუხდა, საქართველოს პოზიცია იყო. 2011 წლის ნოემბერში მოსკოვმა და თბილისმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს საზღვრების მონიტორინგთან დაკავშირებით, რითაც ბოლო წინააღმდეგობაც დაძლეულ იქნა.

WORLD TRADE ORGANIZATION

## რუსეთი კურილიის კუნძულებზე ორ სამხედრო ქალაქს ააშენებს

**რუსეთი კურილიის კუნძულებზე ორ სამხედრო ქალაქს ააშენებს. მათი ინფორმაციით, „სპეცსტროის“ ხელმძღვანელი გრიგორი ნაგინსკი აცხადებს, რომ ორივე სამხედრო ქალაქი კურილიის კუნძულებზე 2014 წლისთვის უნდა აშენდეს.** „ორი სამხედრო ქალაქი აშენდება კუნძულებზე — იტურუპსა და კუნაშირზე. ახლა ამ ორი სამხედრო ქალაქის დაპროექტება სრულდება“, — განაცხადა ნაგინსკიმ.

**სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 6,4 მილიონი ამერიკელი სწავლობს ან მუშაობს საზღვარგარეთ და ეს ისტორიის მანძილზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია... AMERICA WAVE-ს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით, 25-დან 34-წლამდე ასაკის იმ ამერიკელების რაოდენობა, რომლებიც საზღვარგარეთ აპირებენ საცხოვრებლად გამგზავრებას, ბოლო ორი წლის მანძილზე ხუთჯერ გაიზარდა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მომავალ შეხვედრამდე, ძია სემ

◀რდა ამერიკელთა დიდი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ **აშშ სხვა სახელმწიფოების დასახმარებლად საკუთარი ბიუჯეტის 27 პროცენტს ხარჯავს, სინამდვილეში კი ეს მაჩვენებელი ერთ პროცენტსაც არ შეადგენს.**

ახლახან Pew Research Center-მა ჩაატარა News IQ ტესტირება, რითაც მიმდინარე მოვლენებისა და პრობლემების შესახებ ინფორმირებულობის დონე უნდა შეემოწმებინა. ვინაიდან ახალგაზრდობა ინფორმაციასა და ცოდნას ძირითადად ტელევიზიიდან ან უფრო მეტად ილუსტრირებული ინტერნეტიდან იღებს, ზოგიერთი კითხვა დასურათებული იყო რუკებით, ფოტოებითა და ნახატებით.

გაირკვა, რომ ამერიკელთა მხოლოდ 42 პროცენტმა შეძლო ოთხი გამოსახულებიდან ისლამის სიმბოლოს — ვარსკვლავიანი ნახევარმთვარის ამოცნობა, მხოლოდ 43-მა პროცენტმა იცის, რომ კონგრესში უმრავლესობა რესპუბლიკელებს ეკუთვნით, 47 პროცენტს გაუგია, რომ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ჯინ რობერტსი კონსერვატორია და ამერიკელთა მხოლოდ ნახევრისთვისაა ცნობილი, თუ რამდენი ჯარისკაცი დაიღუპა ავღანეთში.

გაცილებით უკეთ ჩაიარა ტესტირებამ ფოტოებით — ამერიკელთა უმეტესობამ სურათებზე ჰილარი კლინტონი და მოამარ კადაფი ამოიცნო.

ევროპელებმა ამერიკელებთან შედარებით ბევრად მეტი იციან მსოფლიოს შესახებ. European Journal of Communications-ის მიერ 2009 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ავღანეთში მიმდინარე ომის მერვე წლისთავზე ამერიკელთა მხოლოდ 58 პროცენტმა იცოდა, თუ ვინ არიან თალიბები. დიდ ბრიტანეთში, ფინეთსა და დანიაში ჩატარებული ანალოგიური გამოკითხვისას მათი იდენტიფიცირება გაცილებით მეტმა რესპონდენტმა შეძლო — შესაბამისად 75, 76 და 68 პროცენტმა.

როდესაც ასეთი შედარებები მოჰყავთ ხოლმე, ხშირად ჩნდება კითხვა, თუ რატომ უნდა იცოდნენ იანკებმა ფაქტები მცირე ზომის ქვეყნებზე, რომლებიც მასშტაბებით ბევრად ჩამოუვარდებიან მათ სამშობლოს? ხანდახან ამერიკელთა დამცველები იმასაც კითხულობენ, თუ რამდენმა პოლონელმა იცის, ვთქვათ, გაბონის ან თუნდაც ბულგარეთის პრეზიდენტის გვარი და რამდენ მათგანს აქვს წარმოდგენა ეკვადორის ისტორიაზე.

**ამერიკელი პუბლიცისტები, რომლებიც თავიანთი თანამემამულეების გაუნათლებლობაზე წუხან, აცხადებენ, რომ ამერიკა რჩება ზესახელმწიფოდ, რომელიც ნებით თუ უნებლიედ მსოფლიო ლიდერის როლს ასრულებს. და XXI საუკუნეში, გლობალური ეკონომიკის ეპოქაში, ამერიკელებს არ აქვთ უფლება, საკუთარი მიკროსამყაროს პრობლემებით შემოიფარგლონ.**

გეოგრაფიული უგუნურების მიზეზებზე მსჯელობისას კომენტატორები ამერიკული განათლების სისტემის ნაკლოვანებებზე მიანიშნებენ. საერთოდ, ამერიკის საშუალო სკოლების პროგრამები ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ არის შედგენილი, ამიტომ ისინი სხვადასხვა შტატში განსხვავებულია. **ამერიკის საშუალო სკოლების უმეტესობაში გეოგრაფია, როგორც ცალკე საგანი, არ ისწავლება.** გეოგრაფიულ ცოდნას მოსწავლეები საზოგადოებათმცოდნეობის გაკვეთილებზე იღებენ.

**საერთო ისტორიის პროგრამები, როგორც წესი, უვარგისია.**

შედარებითი საერთაშორისო კვლევები ადასტურებს, რომ აკადემიური ცოდნის სფეროში, მათ შორის ისეთ საგნებში, როგორიც მათემატიკა და სხვა ზუსტი მეცნიერებებია, ამერიკელი მოსწავლეები ჩამორჩებიან თავიანთ ჩრდილოევროპელ და აღმოსავლეთაზიელ თანატოლებს.

ამერიკის სახელმწიფო სკოლებში დონეები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ღარიბ რაიონებში, სადაც აფრო და ლათინოამერიკელები ცხოვრობენ, სკოლები თავიანთ საგანმანათლებლო დონეს მნიშვნელოვნად აქვეითებენ. მაგრამ განათლების უკმარისობით ყველაფერი ვერ აიხსნება, უფრო მეტიც, შესაძლოა ამით არც არაფერი აიხსნება.

პოლონელი ემიგრანტების შვილებმა, როლებმაც ცოტა ხნის წინ დაიწყეს სწავლა ამერიკის სკოლებში, თავიანთ ადგილობრივ თანატოლებთან შედარებით ბევრად მეტი რამ იციან. **ამერიკაში სულ სხვა პედაგოგიურ-საგანმანათლებლო ფილოსოფია აქვთ, ვიდრე ევროპასა და მით უმეტეს აზიაში.** სწორედ ამ ფილოსოფიით აიხსნება ის დაბალი მოთხოვნები, რომლებსაც მოსწავლეებს უყენებენ.

ევროპასა და აზიაში საგანმანათლებლო სისტემებში უდიდესი ყურადღება ეთმობა დისციპლინას, წესების მორჩილებას და ფაქტების ენციკლოპედიურ ცოდნას. ამერიკაში ეს ყოველივე ნაკლებად აღელვებთ. იქ სულ პატარაობიდანვე ასწავლიან დამოუკიდებლობას და შემოქმედებით აზროვნებას, ავტორიტეტებში დაეჭვებას. როგორც ამერიკელებისა და საკუთარ ქვეყნებში განათლებამიღებული აზიელების სამეცნიერო მიღწევების შედარებით ირკვევა, ამას არც თუ ცუდი შედეგი მოაქვს.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში სკოლები სრულყოფილებისგან შორს დგას, ისინი განათლების სისტემის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენენ. ამავე განათლების სისტემის ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება პერმანენტული განათლებაა, რაც ხორციელდება აბსოლუტურად ყველგან გახსნილ თვითგანვითარების კურსებზე, პროფესიულ სასწავლებლებში, ინტერნეტკურსებზე ან ათასობით სახელმძღვანელოთი სერიიდან „ესა და ეს იდიოტებისთვის“.

ასე რომ, **ამერიკელების უგუნურების ერთადერთი მიზეზი განათლების სისტემის უვარგისობა არაა. ამაში საკუთარი წვლილი შეაქვს ამერიკის კულტურის სპეციფიკურ შტრიხებსაც. დემოკრატიის სამშობლოში ცოდნის დანიშნულება ისაა, რომ ემსახურებოდეს პროფესიისათვის მომზადებას და არა ადამიანის სულიერ სიმდიდრესა და მსგავს სისულელეებს. დროთა განმავლობაში ამას დაემატა ზესახელმწიფოებრივი განდიდების მანია, რაც მთელი დანარჩენი სამყაროსადმი მეორეხარისხოვან დამოკიდებულებას აყალიბებს.**

ელიტის ბრძენი წარმომადგენლები ამბობენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, შესაძლოა, მწარედ ინანოს ამ ყველაფრის გამო.

**Polityka**

**ამერიკელი პუბლიცისტები, რომლებიც თავიანთი თანამემამულეების გაუნათლებლობაზე წუხან, აცხადებენ, რომ ამერიკა რჩება ზესახელმწიფოდ, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ მსოფლიო ლიდერის როლს ასრულებს**

# მომავალ შეხვედრამდე, ძია სემ



დერეკ კაპო

**დერეკ კაპოს ცხოვრება იოლად აეწყო. ჯერ ოცდახუთი წლისაც არ იყო, ანალიტიკოსად რომ მუშაობდა ფონდ Everest Capital-ში, დაკავებული იყო საერთაშორისო აქციების მონიტორინგით, ტკბებოდა ამინდითა და ღამის ცხოვრებით მშობლიურ მაიამიში. მაგრამ, როგორც ასწავლეს, მომავლისაკენ იმზირებოდა და არ მოსწონდა ის, რასაც იქ ხედავდა. უძრავი ქონების ბაზრებზე ვარდნამ ფლორიდის ეკონომიკის „გაგუდვა“ დაიწყო, საფონდო ბაზარი არამტკიცედ გამოიყურებოდა და მას არ სურდა ბიზნესის ადმინისტრირების ძვირადღირებული ხარისხის მიღება ეკონომიკური კრიზისის პერიოდში. გარდა ამისა, კაპოს საკუთარი მწარმოებლური ჭიაც აწვალებდა და სურდა, საკუთარი ბიზნესი წამოეწყო, იდეალურ შემთხვევაში, ეკონომიკურად ძლიერ რეგიონში, სადაც შესაძლებლობები შეუზღუდავია.**

ამისათვის 2007 წელს კაპო ამერიკიდან გაემგზავრა. ახლა ის პეკინში ცხოვრობს. დაარსა საკუთარი ფირმა Next Step China (nextstepchina.org), რომელიც მომხმარებლებს ჩინური ენის შესწავლას სთავაზობს და უცხოელებს ეხმარება, ასწავლონ, სტაჟირება გაიარონ ან მოხალისეებად იმუშაონ ჩინეთში. „მინდოდა, ჩემს ცხოვრებასა და კარიერაში შემდეგი ნაბიჯი გადამედგა, — ამბობს კაპო, რომელიც ახლა უკვე 29 წლისაა, — მე გამოვიტანე დასკვნები და გადავწყვიტე, რომ უნდა გავმგზავრებულიყავი სადმე და მესწავლა რაღაც ახალი, მაგალითად, ჩინური ენა, რათა საკუთარი თავი გამომეწვია. მე ჩინეთი ავირჩიე, რადგან ის ძალზე სწრაფად ვითარდება“.

საინტერესო ფენომენია, რომელიც ამერიკელებს სამუშაოს საძებნელად საზღვარგარეთ გზავნის. ტრადიციულად, აშშ გონიერ ადამიანებს იზიდავდა და ისინიც სიამოვნებით ჩადიოდნენ იქ ამერიკული ოცნების საძიებლად. კომპანია Gallup-ის მიერ მსოფლიოს 135 ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით აშშ ყველაზე სასურველი ქვეყანაა მათთვის, ვისაც სურს, სამუდამოდ საცხოვრებლად სხვაგან გამგზავრება.

მაგრამ თითქმის 9-პროცენტიანი უმუშევრობის, რეკორდული რაოდენობის სასურსათე ბარათების გამოყენებისა და დიდი რეცესიის პირობებში უამრავი ოჯახის ბიუჯეტს სერიოზული ზიანი ადგება და ამერიკული ეკონომიკაც შესამჩნევად კარგავს მიმზიდველობას. ზოგიერთ ახალ მეწარმეს ბრაზილიის, რუსეთის, ჩინეთისა თუ ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობები გაცილებით უკეთესად ეჩვენება. მართლაც, **სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 6,4 მილიონი ამერიკელი სწავლობს ან მუშაობს საზღვარგარეთ და ეს ისტორიის მანძილზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.**

**America Wave-ს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით, 25-დან 34-წლამდე ასაკის იმ ამერიკელების რაოდენობა, რომლებიც საზღვარგარეთ აპირებენ საცხოვრებლად გამგზავრებას, ბოლო ორი წლის მანძილზე ხუთჯერ გაიზარდა.**

უფრო ახალგაზრდა ამერიკელებს შორის კიდევ უფრო მეტი ისწრაფის საზღვარგარეთისაკენ. 18-დან 24-წლამდე ასაკის ახალგაზრდებში ასეთი უკვე 40 პროცენტია. არადა, ორი წლის წინ მათი რაოდენობა 15 პროცენტს არ აღემატებოდა. „ახალგაზრდა მეწარმეები თვლიან, რომ, თუ რაიმეს მიღწევა ნამდვილად სურთ, ამ ქვეყნიდან და დეპრესიული ატმოსფეროდან რაც შეიძლება შორს უნდა წავიდნენ. — ამბობს პანამაში მცხოვრები ადამსი, — ამერიკაში მიმართულების დაკარგვის შეგრძნებაა, ამიტომ სულ უფრო მეტი ადამიანი ეძებს ადგილს, რომელიც მომავლის მეტ იმედს იძლევა.

უბრალოდ, ჰკითხეთ მეთ ლანდოს, რომელიც ასევე პანამაში ცხოვრობს. იგი 29 წლისაა, ვირჯინიაში რიჩმონდის უნივერსიტეტი დაამთავრა, შემდეგ კი გაემგზავრა, როგორც თავად ამბობს, „სამუშაოს, უკეთესი ეკონომიკისა და უფრო სრულფასოვანი ცხოვრების“ საძიებლად. ვიდრე მისი მრავალი თანაკურსელი ცდილობს, თავი დააღწიოს სამსახურიდან მასობრივ დათხოვნებს, მან მოგზაურობისა და ინვესტიციების ბლოგი (thepanamareport.com) შექმნა და მართავს საკუთარ შექმნილ ბუტიკ-ოტელს (loscuatrotulipanes.com) პანამის ისტორიულ რაიონში.

„ციფრები, უბრალოდ, ავარდა, — ამბობს „America Wave“-ის კვლევათა სერიის დამფუძნებელი ბობ ადამსი, რომელმაც უკანასკნელ წლებში ცხრა ამგვარი კვლევა ჩაატარა, — ეს საოცარია, ამას არ ველოდი. ისინი ეძებენ სამუშაოს ეკონომიკაში უძრაობის გამო. მათ დაკარგეს იმის რწმენა, რომ აშშ საითმე მიემართება“.

**warandpeace.ru**




მოკლედ

## ინდოეთში ალკოჰოლით მოიწამლნენ

**ჩრდილოეთ ინდოეთში ფალსიფიცირებული ალკოჰოლით 167 ადამიანი გარდაიცვალა. კიდევ 340-ზე მეტი მოწამლული საავადმყოფოში მოათავსეს.** ადგილობრივმა მცხოვრებებმა ეს ფაქტი ყველაზე მასიურ მოწამვლად მიიჩნიეს ინდოეთის ისტორიაში. ტრაგედია მას შემდეგ მოხდა, რაც წარმოებაში გავიდა კუსტარულად დამზადებული ტოქსიკური ალკოჰოლი, რომელიც იაფიან ბარებში იყიდებოდა. ადგილობრივი პრესის ინფორმაციით, დაღუპულთა შორის არის 8 წლის ბიჭიც, რომელმაც სიკვდილამდე თქვა, რომ ბარში წყალი ითხოვა. სავარაუდოდ ჭიქა, რომელიც მას მიაწოდეს, კარგად არ იყო გამორეცხილი და ტოქსიკური ალკოჰოლის რაღაც დოზა მის ორგანიზმშიც მოხვდა.



## ჟაკ შირაკი დამნაშავედ სცნეს

**სასამართლომ ჟაკ შირაკი ფიქტიური სამუშაო ადგილების საქმეზე დამნაშავედ გამოაცხადა.** პარიზის სასამართლომ საფრანგეთის ექს-პრეზიდენტი ჟაკ შირაკი დაადანაშაულა ფიქტიური სამუშაო ადგილების შექმნასთან დაკავშირებით, რასაც იგი პარიზის მერიაში მუშაობისას ახორციელებდა. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, შირაკი ასევე დამნაშავედ მიიჩნიეს საჯარო რესურსების გაფლანგვასა და ნდობის ბოროტად გამოყენებისთვის.

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჯუღა: ერთი ბომბდამშენი, რომელსაც ამოსაცნობი ნიშნები არ ექნება, აფრინდება ალბანეთის ტერიტორიიდან და აღარც სასახლე იქნება, აღარც ამერიკა-ინგლისის აგენტის ტიტოს სახსენებელი. არის ადამიანი — არის პრობლემა, არ არის ადამიანი — არ არის პრობლემა.

სტალინი: ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომე: ჩვენ ავანტიურისტები არ ვართ, შენს წინადადებას ერთ ვერსზე „ესეროვშჩინას" სუნი ასდის. არ იქნება ტიტო, მის ადგილზე სხვა აღმოჩნდება. ინდივიდუალური ტერორი გამოსავალი არ არის.

იოსებ სტალინი:

# ომი უნდათ? მიიღებენ ომს,

## ანუ რატომ შეცვალა ბელადმა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება

**1950 წლის აგვისტოს ბოლოს გენერლები: ლავროვი და ჯუღა, რომლებიც სტალინის პირად სტრატეგიულ დაზვერვას ხელმძღვანელობდნენ, ჩადიან გაგრის მახლობლად მდებარე სახელმწიფო აგარაკზე „ხოლოდნაია რეჩკა", სადაც იმ დროს ბელადი ისვენებდა და წარუდგენენ მოხსენებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განსახორციელებელ ფართომასშტაბიან ფარულ გეგმას, რომელიც, ამერიკელების აზრით, გამოიწვევდა სსრკ-ის რღვევას. ეს გეგმა, რომელიც დეტალურად დამუშავებული იყო ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში და დამტკიცებული აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ, ლავროვმა საიდუმლო არხებით ვაშინგტონიდან მიიღო.**



სტალინი: კაცმა რომ ყური გიგდოს, მთელი პოლიტბიურო გადაგვარებულებისა და მოღალატეებისგან შედგება.
ჯუღა: პოტენციური მოღალატეებისგან, ამხანაგო სტალინ.

ამ გეგმის მთავარი მიზანი იყო სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელ თანამდებობებზე ამერიკისა და ინგლისის აგენტებისა და იმ პირების ჩანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კომპარტიებში რევიზიონისტულად განწყობილი მედროვეების, კარიერისტებისა და მომხვეჭელების მიზიდვას, რაც, საბოლოო ჯამში, პარტიებს შიგნიდან ააფეთქებდა. ამის განხორციელებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს უამრავი სპეტაკი კომუნისტი დაიღუპა.

სტალინის საუბარი უშიშროების გენერლებთან ალექსანდრე ლავროვთან და ალექსანდრე ჯუღასთან (ფსევდონიმებია) ასე წარიმართა:

**ლავროვი:** ამერიკისა და ინგლისის აგენტურის მთავარი ამოცანაა, რომ მუშათა და მშრომელი გლეხების კლასობრივი კომუნისტური პარტიების ე. წ. საერთო-სახალხო პარტიებად გარდაქმნის შემდეგ ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლის ყალბი დროშის ქვეშ სოციალისტური ქვეყნების პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოები ეგრეთ წოდებულ საერთო-სახალხო სახელმწიფოებად გადააქციონ. ეს მოახდენს ჩვენი სადამსჯელო ორგანოების საქმიანობის პარალიზებას და ყველა ჯურისა და შეფერილობის ანტისაბჭოელებს ფართო მოქმედების საშუალებას შეუქმნის კაპიტალისტური წყობილების რესტავრაციისთვის ბრძოლის საქმეში. ამ გეგმის მიხედვით, სოციალისტურ ქვეყნებში შეღწეული ამერიკა-ინგლისის აგენტურა თავის კონტრრევოლუციურ საქმიანობაში უნდა დაეყრდნოს შვილებს იმ მშობლებისა, რომლებიც უწინ ექსპლუატატორულ კლასებს წარმოადგენდნენ და ვისაც სოციალისტური რევოლუციის პროცესში ქონება ჩამოართვეს, აგრეთვე, იმ მშობლების შვილებს, რომელთა დედ-მამა რეპრესირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების წლებში; ასევე, — სხვადასხვა ჯურის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ელემენტებს და აშკარა სისხლის სამართლის დამნაშავეებს, რომლებიც ოცნებობენ „ტკბილ" ცხოვრებაზე, იმაზე, რომ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს დასუსტების შემთხვევაში დაუსჯელად გაძარცვავენ საბჭოთა ხალხს.

**დამუშავებულია სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკის სფეროში მავნებლობის პროგრამა, რომელიც მოწოდებულია წარმოების სოციალისტური წესის კომპრომენტაციისთვის. ამ მიზნით ამერიკა-ინგლისის აგენტურას სოციალისტურ ქვეყნებსა და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირში მიზნად აქვს დასახული, ყოველმხრივ შეარყიოს ცენტრალიზებული დაგეგმვა უაზრო ეკონომიკური რეფორმების მეშვეობით, დაფანტოს კაპიტალდაბანდებანი უამრავ დაუმთავრებელ შენობებზე განაწილებით და სხვ., საბჭოთა სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოშლის მიზნით, ეცდებიან მანქანა-ტრაქტორების სადგურების ლიკვიდაციას, რაც დაუყოვნებლივ დააყენებს კოლმეურნეობებს გაკოტრების ზღვარზე.**

**ამერიკისა და ინგლისის მმართველი წრეები დიდ იმედებს ამყარებენ პროვოკაციულ რადიოსადგურებზე — „ამერიკის ხმა", „ბი-ბი-სი", „გერმანული ტალღა", „თავისუფალი ევროპა" და სხვა ანალოგიურ რადიომაუწყებლობებზე. ამერიკა-ინგლისის აგენტურას მიზნად დაუსახეს, მიაღწიოს ამ რადიოსადგურების დახშობის აკრძალვას, ხელთ იგდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ლიტერატურული ჟურნალების რედაქციები, ანტისაბჭოთა ქმედებაზე დაითანხმოს სოციალისტური ქვეყნების კინორეჟისორები და დრამატურგები.**

ეს გეგმა აქტიურად ამოქმედდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც თქვენ, ამხანაგო სტალინ, საქმეს ჩამოსცილდებით და კომუნისტების დიადი თაობის წარმომადგენლები, რომლებმაც ყველა მტერი დაამარცხეს, ცხოვრებიდან ბუნებრივი გზით წავლენ.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გახლეჩის, კომუნისტური პარტიების შიგნიდან შერყევის საქმეში ამერიკისა და ინგლისის დაზვერვები იმედებს ამყარებენ იოსიპ ბროზ ტიტოზე, ტოლიატიზე და მათ მსგავს რენეგატებზე.

**ჯუღა**, **გენერალ-ლეიტენანტი, ლავროვის მოადგილე:** არავითარი რენეგატი არ არის ტიტო, არასოდეს ყოფილა კომუნისტი. ინგლისური დაზვერვის ჩვეულებრივი აგენტია, თავის დროზე შეგზავნილია კომუნისტურ მოძრაობაში ხანგრძლივი დროით დასაბინადრებლად. თანაც ეროვნებით სერბი არ არის. მთელი ომის განმავლობაში მეგობრობდა ბალკანეთში ინგლისური დაზვერვის მთავარ რეზიდენტთან, ჩერჩილის შვილთან — რანდოლფ ჩერჩილთან, ერთ კარავშიც კი ცხოვრობდა მასთან ერთად.

**სტალინი:** გაქვს კონკრეტული წინადადება, როგორ გავანეიტრალოთ ტიტოს მოღვაწეობა?

**ჯუღა:** არ მესმის ამდენ ხანს რატომ ველოლიავებით ამ ნაძირალა ტიტოს, ამ „კომუნისტს". მას ხომ თითები ბრილიანტის ძვირფასი ბეჭდებით აქვს მოოჭვილი და დღის მანძილზე ათობით ძვირადღირებულ კოსტუმს იცვლის. ტიტო ხმელთაშუა ზღვის პატარა კუნძულ ბრიონზე დასახლდა. გაღატაკებული იუგოსლავი ხალხის ფულით მდიდრული სასახლე აიშენა. **ერთი ბომბდამშენი, რომელსაც ამოსაცნობი ნიშნები არ ექნება, აფრინდება ალბანეთის ტერიტორიიდან და აღარც სასახლე იქნება, აღარც ამერიკა-ინგლისის აგენტის ტიტოს სახსენებელი. არის ადამიანი — არის პრობლემა, არ არის ადამიანი — არ არის პრობლემა.**

**სტალინი:** ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომე: **ჩვენ ავანტიურისტები არ ვართ, შენს წინადადებას ერთ ვერსზე „ესეროვშჩინას" სუნი ასდის. არ იქნება ტიტო, მის ადგილზე სხვა აღმოჩნდება. ინდივიდუალური ტერორი გამოსავალი არ არის.**

მაშ ასე, ამერიკელებმა და ინგლისელებმა გამოგვიცხადეს ფართომასშტაბიანი ფარული ომი... თუმცა ოქტომბრის რევოლუციიდან მოყოლებული, არც არასოდეს შეუწყვეტიათ. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს რამდენადმე მიანავლეს მისი ცეცხლი. კეთილი და პატიოსანი, რახან ამერიკელებსა და ინგლისელებს სურთ ფარული

**უცხოეთის აგენტი იგივე ჯარისკაცია — სამხედრო მუნდირი აცვია თუ სამოქალაქო პიჯაკშია გამოწყობილი. მნიშვნელოვანია, რომ ჯარისკაცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ იბრძვის**

---

მსოფლიო

### ყაზახეთში 20-მდე დემონსტრანტი მოკლეს

**ყაზახეთში დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართული აქცია პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა.** რუსული მედიის ინფორმაციით, დაღუპულია 20-მდე, ხოლოდ დაჭრილია ასობით მოქალაქე. სამართალდამცველების გამოჩენამდე დაპირისპირება მოქალაქეებსა და მენავთობეებს შორის მოხდა. დაიწვა ქალაქის ადმინისტრაციისა და ნავთობკომპანიის ოფისები. მოქალაქეებსა და ნავთობკომპანიების ხელმძღვანელებს შორის დაპირისპირება ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ დაიწყო. ისინი სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და ხელფასის მომატებას ითხოვენ.



### აჰმედ დავითოღლუ: ისრაელი დავაჩოქეთ

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, აჰმედ დავითუღლუს განცხადებით, მისმა ქვეყანამ ისრაელს დაჩოქება აიძულა, – იუწყება პორტალი „იზრუსი". პორტალის ცნობით, კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ისრაელის დაჩოქება, დავითოღლუს თავის განცხადებაში არ განუმარტავს, თუმცა აღნიშნა, რომ ოფიციალური ანკარა მეზობლების დემოკრატიული იმპულსების მხარდაჭერას გააგრძელებს.

ჯულა: არ შეიძლება იმ საშიშროების შეუფასებლობა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება ინგლისისა და ამერიკის დაზვერვების მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ მე პირადად, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, არ ვიზიარებ ჩერჩილის მტკიცებას, თითქოს ინგლისის დაზვერვა საუკეთესოა მსოფლიოში. ინგლისის პროფესიონალი მზვერავები უმრავლესად მშიშრები არიან. როცა მათ სიცოცხლეს რეალური საფრთხე დაემუქრება, ისინი იოლად თანხმდებიან გადაბირებაზე და ადვილად ყიდიან დიდი ბრიტანეთის მთავრობას. ამასთან ერთად, ინგლისის დაზვერვის მრავალწლიანი გამოცდილება და ვერაგობა გვაიძულებს, განსაკუთრებული სერიოზულობით მოვეკიდოთ მათ ხრიკებს.

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ომი, ისინი მას მიიღებენ. გაქვთ კონკრეტული წინადადებები, უკეთ როგორ ჩავუშალოთ გეგმები?

**ჯულა:** ორი წინადადება მაქვს: პირველი. ძირფესვიანად გავაუმჯობესოთ სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მუშაობა. აბაკუმოვი აშკარაა, რომ თავს ვერ ართმევს მინისტრის თანამდებობას, „ხმაურიანი“ საქმეებით თუ ვიმსჯელებთ, საშუალება მისცა უცხოურ აგენტურას, რიგ შემთხვევებში გამძვრალიყო მნიშვნელოვან პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე. ამ სამინისტროს ხელმძღვანელობა სერიოზულად უნდა გავაძლიეროთ. საეჭვონი არიან თქვენი თანამებრძოლებიც პოლიტბიუროში — ბერია, მალენკოვი, მიქოიანი და ხრუშჩოვი.

**სტალინი:** კაცმა რომ ყური გიგდოს, მთელი პოლიტბიურო გადაგვარებულებისა და მოღალატეებისგან შედგება.

**ჯულა:** პოტენციური მოღალატეებისგან, ამხანაგო სტალინ.

**სტალინი:** კონკრეტულად რას გვთავაზობ?

**ჯულა**: ყრილობის მოწვევას, რომელიც, ამდენი წელიწადია, არ გამართულა, და პოლიტბიუროს განახლებას. **დადგა დრო, პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელობაში იმ ადამიანების ოფიციალურად დაწინაურების, რომლებმაც თქვენი ხელმძღვანელობით შექმნეს და ყველა მტრის თავდასხმებისგან შეინარჩუნეს ისტორიაში უდიდესი სახელმწიფო.** თუ თქვენი მარიონეტები, მას შემდეგ, რაც თქვენ ჩამოსცილდებით საქმეს, მოვლენ ხელმძღვანელობაში, ჩვენ ყველანი დავიღუპებით.

**სტალინი**: პოლიტბიუროს ძველი წევრების, რომლებმაც ამდენი რამ გააკეთეს დიდ სამამულო ომში გამარჯვებისთვის, როგორც ვხვდები, ლიკვიდაციას გვთავაზობ, რადგან სოციალიზმის პოტენციური მოღალატეები არიან?!

**ჯულა**: რა საჭიროა ლიკვიდაცია, ამხანაგო სტალინ?! წავიდნენ დამსახურებულ დასვენებაზე კარგი პენსიით. განა ბევრი სჭირდება მოხუც ადამიანს? არაფერი სერიოზულის გაკეთება მათ აღარ ხელეწიფებათ და მხოლოდ დაანგრევენ სახელმწიფოს.

**სტალინი (ლავროვს)**: შენც ასეთი აზრის ხარ?

**ლავროვი**: ეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა, ამხანაგო სტალინ.



# ჯულა: იოსიპ ბროზ ტიტო ხმელთაშუა ზღვის პატარა კუნძულ ბრიონზე დასახლდა, გაღატაკებული იუგოსლავი ხალხის ფულით მდიდრული სასახლე აიშენა

**სტალინი**: კარგი. ვიფიქროთ. კიდევ რას მთავაზობ?

**ჯულა**: გთავაზობთ, სერიოზულად მივხედოთ ჩეკისტების თეორიულ მომზადებას. დავინტერესდი, თუ როგორ მიმდინარეობს სემინარული მეცადინეობა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პარტიული განათლების ქსელში. პარტკომის მდივანმა როგოვმა, რომელიც აკვიატებულად იმეორებს, რომ ამხანაგი აბაკუმოვი არის ძერჟინსკი დღეს, მთლიანად ჩააგდო ეს უმნიშვნელოვანესი საქმე... სემინარების ხელმძღვანელები უმეტესწილად გაუნათლებელი ადამიანები არიან.

მაგალითად, ჩვენი პატივცემული ნიკოლაი სიდოროვიჩ ვლასიკი (**ვლასიკი — სტალინის პირადი დაცვის უფროსი**. — ა.ს.), რომელიც სამრევლო სკოლის ოთხი კლასის განათლებითაა, ერთ ასეთ სემინარს ატარებდა.

სემინარის ერთი მონაწილე შეეკითხა ვლასიკს: „ამხანაგო გენერალო, რას ნიშნავს „კოლოსი თიხის ფეხებზე“, რომელზეც ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა?“. ვლასიკმა, რომელმაც თავისი პასუხი ჩვეულებისამებრ დედის გინებით შეაზავა, „აუხსნა“: „აი სულელი, არ იცის, რას ნიშნავს „კოლოსი თიხის ფეხებზე“. იღებ ხორბლის თავთავს (**თავთავი რუსულად არის კოლოსი — колос — ა.ს.**), ჩაარჭობ თიხაში და ესეც შენი კოლოსი თიხის ფეხებზე“.

სემინარის სხვა მონაწილემ, დაცვის ოფიცერმა, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობს (რაც სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომელთა შორის უაღრესად იშვიათი შემთხვევაა), ვლასიკს სთხოვა, ნება მიეცა შეევსო მისი პასუხი. ვლასიკმა კეთილი ინება და დათანხმდა. „გამოთქმაში „კოლოსი თიხის ფეხებზე“, — თქვა ოფიცერმა, — ამხანაგმა სტალინმა იგულისხმა ალექსანდრე მაკედონელისა და სპარსეთის მეფის — კიროსის ძველი იმპერიები, რომლებშიც გაერთიანებულ, მათ მიერ დაპყრობილ მრავალ ქვეყანას არ გააჩნდა ეკონომიკური ერთიანობა და ამიტომ ეს იმპერიები გიგანტებად (კოლოსებად) კი წარმოგვიდგებოდა, მაგრამ უკიდურესად არამყარ თიხის ფეხებზე იდგა და მაკედონელისა და კიროსის სიკვდილის შემდეგ მალევე დანაწევრდა ცალკეულ სახელმწიფოებად. ვლასიკი არ დაიბნა, თანხმობის ნიშნად რაღაც ჩაიბურტყუნა და დაასკვნა: „ახლა გაიგე, სულელო? მე შენ ხატოვნად აგიხსენი“.

**სტალინი**: შენ საიდან იცი, როგორ ტარდება სემინარები დაცვის სამმართველოში? ხომ გთხოვე, თავი დაგენებებია ამ სამმართველოსთვის.

**ჯულა**: დავანებე კიდეც. მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალება. ამ სემინარებს დასცინის სამინისტროს ყველა თანამშრომელი.

**რახან ამერიკელებმა და ინგლისელებმა ომი გამოგვიცხადეს, უთუოდ საჭიროა, რომ სპეციალური ორგანოს შექმნაზე ვიფიქროთ, რომელიც დაგვეხმარება მათი მზაკვრული ხრიკების სწრაფად და საიმედოდ აღკვეთაში, მათი აგენტების ფიზიკურ განადგურებაში, როგორც ეს ნებისმიერ ომში ხდება. რა მნიშვნელობა აქვს, რა აცვია მტრის ჯარისკაცს? უცხოეთის აგენტი იგივე ჯარისკაცია — სამხედრო მუნდირი აცვია თუ სამოქალაქო პიჯაკშია გამოწყობილი. მნიშვნელოვანია, რომ ჯარისკაცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ იბრძვის.** არ შეიძლება იმ საშიშროების შეუფასებლობა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება ინგლისისა და ამერიკის დაზვერვების მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ მე პირადად, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, არ ვიზიარებ ჩერჩილის მტკიცებას, თითქოს ინგლისის დაზვერვა საუკეთესოა მსოფლიოში. ინგლისის პროფესიონალი მზვერავები უმრავლესად მშიშრები არიან. როცა მათ სიცოცხლეს რეალური საფრთხე დაემუქრება, ისინი იოლად თანხმდებიან გადაბირებაზე და ადვილად ყიდიან დიდი ბრიტანეთის მთავრობას.

ამასთან ერთად, ინგლისის დაზვერვის მრავალწლიანი გამოცდილება და ვერაგობა გვაიძულებს, განსაკუთრებული სერიოზულობით მოვეკიდოთ მათ ხრიკებს. ამერიკული და ინგლისური დაზვერვების აგენტების დაუნდობელი განადგურება ჩვენი კონტრსადაზვერვო საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა... აგენტები ფიზიკურად უნდა მოისპონ, უმჯობესია, ფარულად ან უნდა გადავიბიროთ და დავაბრუნოთ აშშ-სა და ინგლისში ჩვენს სასარგებლოდ მუშაობის წარსამართად.

იმის გამო, რომ თქვენი პირადი კონტრდაზვერვა, ამხანაგო სტალინ, დაკავებული არ არის უცხოეთის აგენტების არც დაპატიმრებებით, არც მათი ფიზიკური ლიკვიდაციით, ასრულებს წმინდა ინფორმაციულ ამოცანას. დადგა დრო, რომ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან შეიქმნას სპეციალური ორგანო, რომელიც ჩემი და გენერალ ლავროვის მიერ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე ფიზიკურად გაანადგურებს უცხოეთის აგენტურას.

**სტალინი**: შენ გაქვს კონკრეტული წინადადებები ასეთი ორგანოს შექმნის თაობაზე?

**(ჯულა სტალინს გადასცემს დაბეჭდილ ტექსტს).**

**სტალინი (ლავროვს):** წაკითხული გაქვს ეს წინადადებები?

**(ლავროვი უდასტურებს, რომ წაკითხული აქვს).**

**მეორე დილით ლავროვი და ჯულა ადლერის აეროდრომიდან მოსკოვში გაფრინდნენ.**

* * *

**1950 წლის 9 სექტემბერს საკ. კპ(ბ) ცკ პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება უცხოეთის აგენტურასთან ბრძოლის სპეციალური ორგანოს შექმნის შესახებ, რომელიც სახელმწიფო უშიშროების მინისტრის 1950 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებით სახელდებული იყო სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს №2 ბიუროდ.**

**ბიუროს მთავარ ამოცანად განისაზღვრა, სსრ კავშირის საზღვრებში შეესრულებინა სპეცდავალებები, რომლებიც ცალკეული პირების მიერ მტრული მოქმედების განსაკუთრებული საშუალებებით აღკვეთას ითვალისწინებდა.**

**ბიუროს კონკრეტულად ევალებოდა აუცილებელ შემთხვევებში და სპეციალური ნებართვით მოეხდინა მტრული მოქმედების ჩამდენის კომპრომენტირება, საიდუმლო გაქრობა, ფიზიკური ზემოქმედება და ლიკვიდაცია.**

**მაგრამ სტალინმა გაითვალისწინა, რომ ბირთვული ომის საშიშროების პირობებში ჯულას მიერ დასახულ ღონისძიებებს შეეძლო კიდევ უფრო გაემწვავებინა ისედაც დაძაბული და საშიში საერთაშორისო ვითარება, და შეცვალა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება. სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს №2 ბიუროს მუშაობა პრაქტიკულად არც დაუწყია.**

## სტალინმა გაითვალისწინა, რომ ბირთვული ომის საშიშროების პირობებში ჯულას მიერ დასახულ ღონისძიებებს შეეძლო კიდევ უფრო გაემწვავებინა ისედაც დაძაბული და საშიში საერთაშორისო ვითარება, და შეცვალა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**
იოსებ სტალინის
მე-16 ტომის
პუბლიკაციათა მიხედვით

## რუსეთში ქართული პროდუქცია კვლავ აკრძალული იქნება

**რუსეთის მთავარი სანიტარი გენადი ონიშჩენკო კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ „რუსეთის მსო-ში გაწევრიანება ქართულ პროდუქციაზე აკრძალვას არ ხსნის.** ნებისმიერ შემთხვევაში, პროდუქტის ხარისხისა და უსაფრთხოების მოთხოვნები ძალაში რჩება და არა მარტო საქართველოსთან მიმართებაში“, — განაცხადა ონიშჩენკომ.



## პატრუშევი საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებს

**რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის ნიკოლაი პატრუშევის განცხადებით, თბილისის დღეს არსებულ ხელისუფლებასა და ქართველ ხალხს შორის პარალელის გავლება არ შეიძლება.** მისი თქმით, რუსეთისა და საქართველოს მრავალეროვანი ხალხები ერთმანეთთან განუყოფლად არიან დაკავშირებულები.

**„სააკაშვილი ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც ქართველი ხალხის ინტერესებისგან შორს დგას. სულ უფრო მეტი ქართველი სამხედრო მიდის სხვა ქვეყნებში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად. საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება იმ პირების მომზადება, რომლებიც რუსეთში ტერაქტებს განახორციელებენ. ქვეყნის ეკონომიკაში რეალურად ნეგატიური პროცესები მიმდინარეობს. იზრდება საგარეო ვალის მოცულობა, იზრდება ინფლაცია. ადგილობრივ მოსახლეობას დეზინფორმაციას აწვდიან, მათ შორის 2008 წლის სამხედრო მოქმედებების შესახებ და მათ ამაში დახმარებას რიგი უცხოური მედიასაშუალებებიც უწევენ“**, — აცხადებს იგი.

მოკლედ

## ტიმოშენკო ნობელის პრემიაზე წარადგინეს

**„ბიუტ-ბატკინშინამ“ უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იულია ტომოშენკო ნობელის მშვიდობის პრემიის კანდიდატად წარადგინა.** ამის შესახებ პრესა უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატ ნატალია კოროლევსკაიაზე დაყრდნობით იუწყებოდა. „იულია ტომოშენკო უკრაინაში დემოკრატიის სიმბოლოა. მან გამოიარა მეიდანი, ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესებს დაუდო სათავე და როგორც ოპოზიციის ლიდერი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. ყველაფერი ეს მას ნობელის პრემიის ღირსს ხდის“, — აღნიშნავს რადას დეპუტატი. მისივე თქმით, შესაბამისი დოკუმენტები უკვე მზადაა და ისინი ნობელის კომიტეტში უკვე გადაგზავნილია.

## პუტინმა კანდელაკს გამოცდილება დაუწუნა

**რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი არაა დარწმუნებული, რომ ტელეწამყვან თინა კანდელაკს, რომელიც რუსეთის განათლების სისტემას ხშირად აკრიტიკებს, საკმარისი გამოცდილება აქვს იმისათვის, რომ რუსეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უხელმძღვანელოს.** „თინას ბევრი ტალანტი აქვს. მე, ალბათ, ყველა არც ვიცი. ის ელვარე, საინტერესო ქალია. მაგრამ იმისათვის, რომ სამინისტროს უხელმძღვანელო, მითუმეტეს ასეთ მნიშვნელოვან სამინისტროს, უნდა გქონდეს მართვის და შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ასეთი გამოცდილება თინას აქვს“, — აღნიშნა პრემიერმა.

## ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კავკასიაში ჩვენ უკვე მოვედით საფლავში ჩასაწოლად და სამარეში რყევის მაგიერ, არტახებში დავიწყეთ რწევა... მაგრამ ამ კუბოში სამუდამოდ დაშინდა რასის ხერხემალი და შეიქმნა ფსიხოლოგია გადარჩენის. შემდეგში საქართველოს ერთი პოლიტიკა ჰქონდა — პოლიტიკა გადარჩენის.**

**გიორგი ლეონიძე** (ფრაგმენტები)

# ქართული მესსიანიზმი

**წმ. ბასილი კესარიელი ამბობს: ეხიდნას საშო არა აქვს. იგი გამოშჭრის დედის გვერდებს და იბადება. სად არის ჩვენი საშო.
ჩვენ გამოვფატრეთ ყველა გვერდები და ჩვენი სხეულიც ავკეპეთ, მაგრამ ვერ ვიპოვეთ დათესლილი საშო. საშო — ეხიდნა...**

პირველი დამტკიცება, რომ ჩვენ ვართ უძველეს ღმერთზე — საშოც არ გვახსოვს! აქედან იწყობა მესსიანიზმი მოსხლეტილ ბუდის.

(აპოკალიპსისური ჩვენება დაკარგული ბუდის: წმ. იოანე მთაწმინდელი).

ქალდეა...

იბერია... ამ ძველ მასკებში ჩვენ დავკარგეთ ხორცი და საშო და ჩვენი სული დაეკიდა აფრიალებულ პერანგს (აქედან წმ. კვართის მესსიანიზმი) ჭანგიანმა კავკასიამ აღარ გაგვიშვა და მიგვლურსმა ჩახეთქილ ქედებს, მაშინ ჩვენ დავირქვით ამირანი და რევანშისთვის შევქმენით ტიტანური რელიგია.

კავკასიაში ჩვენ უკვე მოვედით საფლავში ჩასაწოლად და სამარეში რყევის მაგიერ, არტახებში დავიწყეთ რწევა, რადგან ჩვენ კიდევ მოვიგონეთ ჩვენი დემონიური ორბის სიჭაბუკე; აქედან ჩვენი მეტაფიზიკური გენეალოგია...

მაგრამ ამ კუბოში სამუდამოდ დაშინდა რასის ხერხემალი და შეიქმნა ფსიხოლოგია გადარჩენის. შემდეგში საქართველოს ერთი პოლიტიკა ჰქონდა — პოლიტიკა გადარჩენის.

ბუდეს ათამაშებს ქალის მოღვედილი ჩვენება. ამ სუსტი თითებით მოდის რასის ხსნა და გადარჩენა — ღვთიშობელი: მტრედისფერი კალთებით დამდგარი საქართველოზე. მისმა ლურჯმა მზერამ რასის მაგარი სიმტკიცე მოღვედა. ეს ქალური გახედვა ბოლომდე მოსდევს საქართველოს ისტორიას.

ვიდრე მარიამ დედოფლამდე, რომელმაც თავის ხანჯლით დაასრულა ძველი საქართველო.

**ნინო:** სუმბულის თმებით. ამ თმებმა დაადნო საქართველოს დუღაბი. მისი მოსვლა სამუდამო ირონიაა ქართულ სიმტკიცის. შემდეგში მისი ვაზის განედლებული ჯვარი საფუძვლად დაედო ქართულ სკიპტრას.



გიორგი ლეონიძე

**თამარში** კვლავ იღვიძებს ბებერი თესლი: „უფალმა აღმილო და მცხო ზეთითა ცხებულისა მისისათა“ — „მე თამარ, მიწა შენი და მიერვე ცხებულებასა ღირს მყავ და თვისობასა“. თამარის ფულზე: „თამარ, ასული გიორგისა, შემწე მესსიისა“.

თამარში საქართველო ცხადდება როგორც განწმენდილი ტიტანი, რომელშიც ღმერთი ამჟღავნებს თავის სახეს.

გიორგი ლაშას დაბადებაზე მატიანე სწერს: „ტაბახმელისა, ბეთლემ მყოფელმან, მუნ შვა ძე სწორი ხვთისა“. ეს უმაღლესი დამტკიცებაა ქართული მესსიანიზმის.

თამარის მეორე სახეა, ის ზორტებდაჭიმული „გორგასლიან-დავითიანი“ დროშა, რომელიც ატარებდა საქართველოს გარუჯულ სახეს სარაცინებისა და სელჩუკთა ატეხილ ურდოებში.

მარტო ეს დროშა ტრიალებდა თამამად ყველა ცეცხლებში და იერუსალიმის მკაცრი ალაყაფიც გადარღვეული იყო ქართული დროშის შრიალით. („არა არს წესი ჩვენი ქართველთა, რათა ვიხილოთ მტერი ჩვენკენ მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, გინდ იყოს სიკვდილი“). ცნობილია, რომ პირველად იერიშზე მუდამ ქართველები დადიოდნენ. ამ დროშას არ ატარებდა ანგარება — ეროვნლი ეგოიზმი, — ეს ძველი აღთქმის იუდეანობა. აქ იყო სხვა დანიშნულება, მაშინ, როცა ჩვენი მეზობლების თვითშეგნება ხშირად პირად გაღმერთებაში გადადიოდა. ეკლესია...

რა იყო, რომ საქართველომ ქრისტიანობა დააბერა? ქრისტიანობას მან შეუტია მაგარი ეროვნული ენერგიით. ამ ძალით ქრისტიანობამ ჩვენში თავის სოციალურს და უნივერსალურ მნიშვნელობას მიაღწია. ამიტომ ქრისტიანობამ მოაშურა საქართველოს, როგორც კულტურულ ისტორიულ მემკვიდრეს. შემდეგში ქრისტიანობა საქართველომ ეროვნული ფაქტებით გააღრმავა.

ჩვენ ყველაზე მეტად გვესმოდა ქრისტიანობა, როგორც ხსნა ახლობლის, მეზობლის, ამგვარი გაგება არ ჰქონია არც ბიზანტიას და არც იმპერიალისტურ რუსეთს. მესსიანისტურ პოლონეთმაც კი პრინციპად ჯერ თანამემამულეთა ხსნა მიიღო.

თუ შელლინგის დოქტრინით ახლა დგება ეკლესია იოანესი, — სამყარო სიყვარულის და ენტუზიაზმის, — (I — სინტეტიურის — პეტრესი, II პავლესი — ეპოქა დოქტრინების) ჩვენმა ეკლესიამ არ იცის ერესები, არც ცხარე დოქტრინები, იგი თავიდანვე იყო ეკლესია „იოანესი“.

მოგზაურ მარკოპოლოს ოქროს ურდოში ყოფნის დროს გადასცეს, რომ ქართველ ბაგრატიონებს ცალი ბეჭი დაბადებით აქვთ არწივდარტყმული.

კაპრიზები ჩვენი კარის ეტიკეტების, თავბრუდამსხმელი ცერემონიალები და უფრო უჩვეულო პერსონაჟები ქართულ ისტორიის, დამაბრმავებელი პორფირები — სისხლით, ღალატით და შეთქმულებით.

დედოფალი ამორძალები, თვალდათხრილი მეფეები, სასახლის ქსელი როგორც ობობის, სისხლით დაწურული გულები, ინტრიგები მტარვალების და ბრძოლის გაგიჟებული პათოსი — ჰხდის საქართველოს როგორც გაფრენილ კარნავალს.

მოიგონე ის ქართველი თავადი, რომელიც ფლორენციის კრებას აკვირვებდა არა მარტო დარბაისლობით და მეფურობით, არამედ კოსტიუმითაც. ეს განსაკუთრებული ყურადღებით აღნიშნულია კათოლიკური ქრონიკებით.

ეს არ იყო გაგიჟება, როცა თეიმურაზ მეფემ შვიდას ცხენოსანს ოქროს ნალებად დააკრა მთელი ხაზინა და ისე შევიდა კონსტანტინოპოლში.

ეს ის მეფეა, რომლის ნათესაობას ეძებდა ფი- ▶

# ჩაბნელებული არმაზი

**საქართველოს ხალხი ოდითგანვე ადიდებდა მზეს... ერი მზის მსახური და ნათელშემოქმედი არ იცნობდა ღმერთს გარეშე მზისა.
ცხელ ქალდეაში მან ადიდა ასტარტა და სარკინეთის მხიარულ მწვერვალზედ მან შეამკო არმაზი ოქროთი, ზურმუხტით და ბივრიტით.
ერი თანა არსი და თანამოდგამი უკვდავი ცეცხლისა საღვთო როკვით ჰპატიჟობდა დილის მზეს — „მზევ, შინ შემოდიო!“
და ისიც მოებაზმა მას და გაასხივა ოქროიან სხივებით. ქართველმა ხალხმა იწამა ქრისტე როგორც ნათელი სოფლის. არმაზიც მზეს ემაგიერებოდა და როგორც მზის მოციქული, თვისი ულირსობის მიუხედავად, იგიც პატივსაცემ საფეხურად ითვლება ქრისტემდე...**

საქართველოს სულიერმა მომწიფებამ გასტეხა კერპი, და მზის მოციქულის ნაცვლად, რაკი ამაღლებულ კულტურას აღარ მოუხდებოდა არმაზი, იწამა ნათლის მთავარი, შროშანებზედ მოუბარი ახალგაზრდა ღმერთი. ჩვენ გვიყვარს მზე და ქრისტეც, რადგანაც სული ჩვენი ნაზია ველის ყვავილივით. ჩვენ სიმღერისას გვეცვა მეფისქალთა ვარსკვლავედები და მარად ვახსენებდით მზეს. ჩვენ გვიყვარდა ჩვენთან ერთად ჩვენი ორეული. ჩვენ ვაფასებდით ერანს მუდამ მთვრალს და ყვავილიანს — თუმცა ჩვენ იგიც შევანელეთ ელინიზმივით და გავანათეთ ქართულად. სამაგიეროდ ჩვენ არ გვიყვარდა აღმოსავლეთის მისტიციზმი და მის ბუნდოვანობას ნათელ სიმღერებით ვეგებებოდით. სული ჩვენი ჩაბნელებულია კიდეც და მისი მიზეზები ამოიკითხება ქართლის დარბაისლურ მატიანეში.

ბედისწერით ივნო საქართველო და დღეს მზევდება თავისუფლებით, უსათუოდ სულიც დაუბრუნდება საკუთარ სხეულს, როგორც ნაზამთრი მერცხალი გაზაფხულიან სამშობლოს.

აინთება არმაზი...

აინთება ქართული სული...

**ქართული სულის თავისთავადობა შოთასთან გათავდა. რუსთაველის ღვთიურ აგზნების შემდგომ მთელი ოთხასი წელიწადი მხოლოდ ბიზანტიურ-სქოლასტიკურ წიგნების და ერანის ეპოსის გადმოქართულებას მოვანდომეთ. ამ ხანობად საქართველოში არ განცხადებულა ქართული სულით შემოსილი მუსიკის მეფე;** „...თეიმურაზ I... მოშორებულია საქართველოს, როგორუ მისი სამეფო თავი ქართულ გვირგვინს. ამ დროს საქართველოს მგოსნები ეთაყვანებოდნენ ერანს და თეიმურაზსაც აკლია ქართული გრძნობიარობა, ქართული ფორმები და საქართველოს კულტურის სახე.

თეიმურაზის კვალად სამფერ ზამბახივით გაივლიან: გურამიშვილი, ბესიკი და სავათნოვა... მაშინდელ საზნეო ლიტერატურის ზეგავლენით დაიჭორფლა გურამიშვილის მწყაზარსახეც... სავათნავა... ვერ გაერიდებოდა სპარსულ ლირიზმს, რაიც მჭრელია ალმასის შუშასებრ და ფერადი ბეზირგნის ფარჩასავით... ბესიკიც გერია თვისი საუკუნისა. მან კეთილშობილურად დაათავა სკოლა თეიმურაზისა საყვარელი და სატკბო სპარსულ ოქრონექტარით.

ქართული ლექსი მან ათალა სპარსულად და ლექსიც მუსიკასთან გაათანასწორა. მისი შაირი ხალიფას დროშისთვის მიგვიმსგავსებია მჭრელი ფერებით და სიძვირფასით...

საქართველოს მთაწმინდელმა ღმერთებმა თვისი ღვთიურობა მოანდომეს არა ჩირაღდნის აგიზგიზებას, არამედ მისი სუსტი ნათელის დაფარვას ქარიშხლის შიშველ ხელთაგან... გულაგზნებული ხელოვანი ითრებოდა ედგარ პოეს ლეტარგიით. სულიერ მონონბით ჩვენმა ფანტაზიამ დაჰკარგა მთვარის ქვის სინაზე, ხოლო შარლ ბოდლერის არ იყოს: „გული თუ ვნებას ინახავს, ფანტაზია — პოეზიასო“. ჩაგვიჭკნა გულიც და მისი საუნჯეთ და „სადაც არს საუნჯენი თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი“. ამის მიზეზებით ჩვენი მწერლებიც კი სწერდნენ მარცხენა ხელით და მხატვრული ნაწარმოების ნაცვლად მათი შემოქმედება ხშირად უშნო პამფლეტად გადმოდის... რჩეულთა შორის, უმეტესად რჩეულობდა გრიგოლ ორბელიანი... მაგრამ მისი სულიც ორეულდება — ერთი ვერ გასცილებია ჩამჩიმელქოს და სავათნავას მუხამბაზებს, მეორე კი ნათლად ემონება პუშკინ-ლერმონტოვის ვარსკვლავებს.

ამას ვერ ასცდა ეთერბრწყინვალე ვაჟაც. ეს განთიადისებური წმინდა სახელი. უპირველესად, მის გონს შემოესარა ლერმონტოვის სიტყვა. ლერმონტოვის ილეთი მოსჩანს მის პირველ ლექსებში და „მოხუცის ნაამბობში“. **...მაგრამ ვაჟა უდისციპლინო სულია, ეს კი ადიდებს მის გენიოსობას — ის აღვირწახსნილია... მან არ უწყის ნავთსაყუდელი; ამაყი სული არ ემორჩილება კანონებს და პირადად ჩემთვის საგულისხმოა მისი ზავთი და თავისთავადობა...**

ქართული მოლექსენი — დღეს, ვერ იჩენენ ორიგინალობას... მათ არ აბადიათ „საკუთარი სიმღერა“... მათთვის უცხოა ძიება: სახისა, ცეცხლისა თუ უხილავისა...

ჩვენში დღეს შაბლონი თავადობს... იტყვიან რომ შაბლონი აუცილებელია იმ ერთათვის, ძილიდან რომ ერკვევიანო... — ეს კი ჩვენზედ არის გამოთქმული...

ქართული პესიმიზმიც არ არის საკაცობრიო სევდით ამომწვარი, პესიმიზმი ჩვენს ლიტერატურაში დაჰბადა საქართველოს პოლიტიკურმა დაცემამ.

...რაღა ვსთქვათ სიხარულის პოეზიაზედ? ჩვენ გვყავნან მწვანე ბაღდადებით თავაღებული თავადები, რომელთა სიტყვაც დაუჭკნობელია და წკრიალა, როგორც ხარჯალი პირველ ამოღებისას. იცით, ბესიკი, სანდრო ჭავჭავაძე, მათი ანთებული რიტუალი?

— ღიმილმან კარი ლალისა
განაღო გამჭვირვალისა:
დღეს ეგ მეყოფა სიმდიდრედ,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა!

...დიდებული პოეტ-შემოქმედები ფეხს იტეხენ, როდესაც ჰსურთ, შექმნან სილამაზე მხიარულ სამოსლით. ...ჰეტე მოსაწყენია თავის იდილიებში. შექსპირის დრამების ზოგიერთი კეთილდაბოლოებანი ბრაზს ჰგვრიან ადამიანს, დანტეს შარავანდედი უხუნდება სამოთხეში. რა შეედრება ქართველ მოქეიფეებს, რომელთა ტუჩებზედ ღიმი მხოლოდ სიცოცხლისთვის წკრიალებს! წარსულ საუკუნის მემუხამბაზეებმა ტკბილ სიმღერებში მალე გარიეს შხამი და სამსალა...

...ჩვენში დაჩუმდა სხეულის ამღერებაც. შოთას შემდგომ არავის უქია უოლტ უიტმანის საყვარელი სხეული ნაზი, თუნდაც მძლავრძარღვებიანი. ტარიელმა გაუსწრო დორიან გრეის და შოთამ უალდზე უწინარეს წარსთქვა მშვენიერების სიტყვა ღვთისმსახურებაში.

**ქართულ ხელოვნების ტაძარში კარგახანია არც თქმულა ლოცვა სხეულისა, შესხმა სულის და მატერიის მისტიურ ქორწილისა!**

ვამბობ: ჯერ მზე არ ამოგვსვლია. ბრწყინვალე გვირგვინიანი თავადი ოქროს ხელნაგრით — არ გამოჩენილა თეთრ ტაიჭზე ჩვენსკენ მომავალი.

არ ამღერებულა ჩვენში ოქროფეროვანი გულიანიმოსევადებული საქორწილო შროშნებით.

...მზე დილა გორსა მავალი ისევ შეუსხმელი რჩება და არც ერთი ჩვენგანი არ აყვავებულა შვიდადშლილ ცისარტყელად.

თვითეული ჩვენგანი აღივსო საღვთო წყურვილით და წყურვილნი ვეძებთ სულის დამალულ ოთახებს! მაგრამ სად არის გრძნეული, — დააჩქეფოს თვითნათენი, და ბროლის ქაფში ააყვავილოს მოთვალმარგალიტული სიტყვა?..

სად არის თაგდირი — თავისი ფერით შეგვღებოს ჩვენ?

მხოლოდ სიცივის ზმორება... ჰამლეტის მამასავით მოხეტიალე ლანდები... უხელმწიფო მზე და შემოდგომიანი მთვარე!..

**გაზ. „საქართველო“, 1917, №217.**

ეპოქის სიდიადე მარტო რიცხვით და რაოდენობით როდი განიზომება. დიდი ისტორიული ეპოქა მით განირჩევა ჩვეულებრივისაგან, რომ ის უხვად შობს ახალს ფორმებსა და იდეებს, მსოფლიოს ახალს გარეგნობას და შემეცნებას იძლევა და მომავალ საუკუნეთა მიმდინარეობას საზღვრავს; ამასთან ერთად ის სცვლის კაცობრიობის მატერიულ კეთილდღეობასაც.

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლიპ II, როგორც ამბობს პაპა კლიმენტი VIII...

**ცნობილია, რომ აზიელები ეძახდნენ ქართველებს „ყველა ნათესავთა უმეტეს რჩეულს“. ხოლო ქართველ მეფეებს „მესსიის ნათესავებს“. აქ ნაგულისხმევია ბაგრატიონების თესლი — გენეალოგიით ქრისტეს ნათესავი.**

ბაგრატიონები შემოვიდნენ, როგორც მესსიანიზმის კონკვისტადორები, მათ სისხლში შემოჰყვათ გახურებული სახელი მესსიის და ისინი აცხადებენ საქართველოს, მესსის მემკვიდრეთ. ყოველ მანიფესტში გამოაქვთ თავისი მესსიანისტური საშო — იესეს ძირი.

გრძელი იყო გზა გეთსიმანიის... მესსიას უცდის ჯვარი... თურანიდან დაშვებული მონგოლების ცხენის თქარუნი აზიაში დაბურდული ჩინგის ოქროს ურდო. მონგოლის კნუტი, სისხლში დასოლებული თემურლანგ, რომელიც სთხრის საქართველოს სულს. ჯალალედდინი გუმბათზე. მარაბდა... თავდაჭრილი მეფეები, როგორც ნათლისმცემლები. პილიგრიმის დასიცხული გზები: მცირე აზია, ერანი, სინდეთი, ავღანისტანი, ყანდაარ... კრწანისის მწუხრი...

დაე დარეკოს პლატონ იოსელიანის ლათინურ სულმა: „ქართველთა მრავალ საუკუნებითა, გამოცდილთა და ცეცხლში ვითარცა პური გამომცხვართა, ვერა ერეოდა ვერცა შინაგანი და ვერცა გარეგანი მწუხარება. გაღელებული თავისუფლებითა და გალაღებული მთებით; ეცინებოდა ბედსაცა და უბედობას. ქართველთა შეჭამეს იმპერია რომისა, ვითარცა იტყვის პლინიოს, გამოსწოვეს ტვინი სპარსთა და თვით დარჩენ შეუჭმელად მათთვის, რომელნიც ჰგონებდენ მათსა შეჭმასა...“

...ჩვენ უარვყავით უსულო ქვები და ჩვენი საკუთარი სისხლი და ხორცი ხორცთაგანი ვიწამეთ — ბავშვი მესსია, რომელშიც შედედებულია ორი სული: სული რუსთაველის და სააკაძის.

ამიტომ უყვარს ქართველ ერს ქართული მადონნა ქართულ ლექსში:

*ხომალდში ჩავჯექ ზღვას გაველ,*
*ფრანგის ქვეყნები ვნახეო.*
*ანთებულ სანთელს გამსგავსე,*
*ცისკრის ლოცვაზე გნახეო,*
*ხელში გეჭირა ყმაწვილი,*
*ფარსაგ ვერ დაგინახეო.*

**გაზ. „ბახტრიონი“, 1922, №2.**

## გერონტი ქიქოძე

# ახალი ეპოქის დასაწყისი

**დიდს ისტორიულს ეპოქაში ვცხოვრობთ. ამ გარემოების მნიშვნელობა ჯერ კიდევ სავსებით ვერ შეგვიგნია. სიდიადეს გადაჩვეულნი ვართ და ვერ წარმოგვიდგენია, რომ შესაძლებელია ისტორია ჰფარავდეს ჩვენს ყოველ-დღიურს ცხოვრებას. დიდს საგნებს ყოველთვის წარსულში ვეძებთ. პერიკლეს, ალექსანდრე მაკედონელის ან ოქტავ ავგუსტის დრო დიდს ისტორიულს ეპოქას წარმოადგენს. ეს უეჭველია. აგრეთვე, ჩვენი მეთორმეტე საუკუნე ან კიდევ ევროპიელთა რენესანსის, რეფორმაციის და რევოლუციის ხანა.**



გერონტი ქიქოძე

ჩვენი უახლოესი აწმყო არაფრით ჩამოუვარდება ამ დიდ წარსულ ეპოქებს: არც შემოქმედებითი ნაყოფიერებით, არც განმანადგურებელი ძლიერებით, არც გმირული აღფრთოვანებით. ყველა ამის დანახვა და გაზომვა დღეს როდი ძალგვიძს. მაგრამ მომავალი თაობა ადვილად გაარჩევს ჩვენი დროის დიდს საგნებს, დიდს ადამიანებს.

ადამიანური ფანტაზიის ყოველს ზომას სჭარბობენ ეს მოვლენები; ზოგიერთი მხრით იმასაც, რაც ოდესმე წარსულში მომხდარა. კლასიკურ ქვეყანას არასოდეს უნახავს იმოდენა ჯარი, რაოდენიც სპარსეთის მეფემ ქსერქსესმა შეადგინა საბერძნეთის წინააღმდეგ. ეს ჯარი კი მხოლოდ მილიონ ნახევარი კაცისაგან შესდგებოდა; მეომარი ნახევარზე ნაკლები იყო, უმრავლესობას მოსამსახურეები, მონები და ქალები წარმოადგენდნენ. როგორც ჰეროდოტი ამბობს: „მასში ბევრი ადამიანი იყო და ცოტა ჯარის კაცი“. ამიტომ ის ადვილად გაანადგურა რამდენმამე ათასმა კარგად შეიარაღებულმა სპარტანელმა და ათინელმა. ალექსანდრე მაკედონელმა მთელი ქვეყანა დაიპყრო ოცდაათი ათასი ქვეითი და ოთხი ათასი ცხენოსანი ჯარის-კაცით. რომმა უდიდესი და უძლიერესი სამფლობელო შეჰქმნა. მაგრამ მისი ჯარი იშვიათად გასცილებია ოთხს ლეგიონს. ე.ი. თექვსმეტ ათას კაცს. მეორე პუნიურს ომში კართაგენის წინააღმდეგ სამოცდაათი ათასი რომაელი იბრძოდა. ეს ძლიერი დიდი არმია იყო რომაული საზომის მიხედვით.

საშუალო საუკუნოების სარწმუნოებრივი და დინასტიური ომები ძლიერ სასტიკი და სიხსლისმღვრელი იყო, ისევე, როგორც ახალი დროის საახალშენო ან ეროვნული ომები. მაგრამ მონაწილეთა რიცხვი უმეტეს ნაწილად რამდენიმე ათი ათასით განისაზღვრებოდა. მეცხრამეტე საუკუნეში უდიდესი ჯარი ნაპოლეონმა წამოაყენა რუსეთში შესასევად: ის ექვსასი ათასი მეომრისაგან შესდგებოდა.

ბავშური თამაშობაა ყველაფერი ეს იმასთან შედარებით, რაც დღეს ხდება. ამბობენ, რომ გერმანიამ კიდეც შვიდიდან რვა მილიონამდე ჯარისკაცი გაიყვანა ბრძოლის ველზე, რადგან სხვა ერების მონაწილეობაც არა ნაკლებ ინტენსიურია, ვარაუდით შეიძლება ითქვას, რომ ომის დაწყებიდან ბრძოლის სხვა და სხვა ასპარეზზე ოცდაათ მილიონამდე კაცი გამოსულა ე.ი. თითქმის იმდენი, რამდენიც იტალიაში სცხოვრობს.

**მაგრამ ეპოქის სიდიადე მარტო რიცხვით და რაოდენობით როდი განიზომება. დიდი ისტორიული ეპოქა მით განირჩევა ჩვეულებრივისაგან, რომ ის უხვად შობს ახალს ფორმებსა და იდეებს, მსოფლიოს ახალს გარეგნობას და შემეცნებას იძლევა და მომავალ საუკუნეთა მიმდინარეობას საზღვრავს; ამასთან ერთად ის სცვლის კაცობრიობის მატერიულ კეთილდღეობასაც.**

ალექსანდრე მაკედონელის, ჯვაროსნების ან ნაპოლეონის ომების შემდეგ ადამიანებს აღარ შეეძლოთ ისე ეგრძნოთ, ეაზროვნათ და ემოქმედათ, როგორც მანამდის გრძნობდნენ, აზროვნებდნენ და მოქმედებდნენ. ამ ომებმა სრულიად შესცვალეს როგორც ცხოვრების გარეგნული სტილი, ისე მისი იდეური და ემოციური შინაარსი. მაკედონელმა ფალანგებმა, ჯვაროსანმა რაინდებმა და ფრანგმა გრენადერებმა შუამავალთა როლი შეასრულეს კულტურულ ღირებულებათა აღებ-მიცემობაში. მათ გაიტანეს და შემოიტანეს გრძნობები, ცნებები და იდეები, რომელნიც არა ნაკლებ მნიშვნელოვანნი იყვნენ კულტურისათვის, ვიდრე უცხო და შორეულ ქვეყნებიდან მოტანილი მუშკი და ამბარი, ნარინჯი და ზაფრანი, ან მუსლინი, ვაზი და ხავერდი.

**ჩვენც აღარ შეგვიძლიან ისე გრძნობა და აზროვნება, როგორც წინა თაობა გრძნობდა და აზროვნობდა. ეს კიდევ არაფერია: ჩვენ ხვალ აღარ შეგვეძლება ისე ვიგრძნოთ და ვიფიქროთ, როგორც გუშინ ვგრძნობდით და ვფიქრობდით. ჩვენი სულის სიღრმეში ძლიერი მეტამორფოზები მოხდა: კიდევ ბევრი ცვლილებაა მოსალოდნელი.**

ჩვენი სული შეიცვალა, რადგან ის შეეხო საგანთა და მოვლენათა ახალსა და იდუმალს მხარეს, რომელიც უწინ სრულიად დაჩრდილული იყო მისთვის. მან დაინახა ამ ქვეყნის ახალი სახე, ახალი ასპექტი, რომელიც დღემდე არასოდეს უნახავს. მთარე რომ თავის ღერძის გარშემო მობრუნდეს, მის მეორე ჰემისფეროსაც ვიხილავთ. იმ ჰემისფეროზე უცნობ ნაოჭებსა, სიმაღლეებსა და დაბლობებს აღმოვაჩენთ. თანამედროვე ომმა სწორედ თავის ღერძის გარშემო შემოატრიალა მთელი კულტუროსანი ქვეყანა. ამით მან გამოაშკარავა ახალი, უცხო, შეუცნობელი რამ, რომლისთვისაც ჩვენს ენაში ჯერჯერობით სათანადო სიტყვები და ტერმინები როდი მოიპოვება.

ეს ახალი და უცნობი არ ეკუთვნის მატერიულ კულტურის სფეროს. თანამედროვე ჯარები სამშობლოში ვერ მოიტანენ ვერც შაქრის ლერწმისებურ, ვერც ყავის ბუჩქისებურ მცენარეებს, ვერც უცხო ლარს, ვერც უცხო ქსოვილს; ვერც ახალს ქვეყნებს აღმოაჩენენ.

ესაა ამ ომის თავისებურება: მან გაგვალარიბა მატერიალურათ და გაგვამდიდრა სულიერათ. ან უკეთ ვსთქვათ: მან შეარყია ჩვენი ნივთიერი კეთილდღეობა, ჩვენი სული კი შესცვალა და გადაახალისა.

ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ სახელდობრ რაში და როგორ გამოიხატება ეს ცვლილება. მაგრამ ეხლავე შეგვიძლიან რავდენიმე ზოგადი ტენდენცია აღვნიშნოთ.

**გუშინ კიდევ ჩვენი ფილოსოფია პრაგმატიული იყო, ჩვენი ზნეობა ინდივიდუალისტური და ეგოისტური. ჩვენი მგრძნობიარობა ეროტიული, ცალმხრივი უტილიტარისტები ვიყავით და სარგებლიანობის თვალსაზრისით ვზომავდით ჭეშმარიტებასაც, სიკეთესაც და მშვენიერებასაც. ჩვენი თვალები, ყურები და ხელები ხარბად ეძებდა სიამოვნებას, ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იყო მისი პოვნა, სიამოვნებას ხელოვნურს, ექსცესიურს, პილპილნარევს, რომელიც მადას უღიტინებს, მაგრამ არ აკმაყოფილებს.**

მძაფრად მგრძნობიარენი ვიყავით ეროტიულად და სიყვარულში მხოლოდ ფხიზელ მხარეს ვამჩნევდით; უდიდეს ბედნიერებას ინდივიდუალურ კეთილდღეობაში ვხედავდით და ფუფუნება არსებობს უალრეს პირობად მიგვაჩნდა.

ომის დაწყებამდე ერთი ნიჭიერი ფრანგი მწერალი სწერდა: „შეიძლება მოვიდეს დღე, როცა ჩვენ გაგვგზავნიან საზღვრების დასაცავად. ჩვენ წავალთ უენტუზიაზმოთ: ეს იქნება ჩვენი რიგი სიკვდილისა, სიკვდილი სამშობლოსათვის! ჩვენ სხვაგვარ რომანსებს ვმღერით, სხვაგვარ პოეზიას ვასაზრდოებთ. თუ საჭიროა ერთი სიტყვით ნათლად გამოვსთქვათ საქმის ვითარება, ძალიან კარგი: ჩვენ არა ვართ პატრიოტები!“

რამდენად უცხო და გაუგებარია ეს სიტყვები ჩვენთვის დღეს, როცა ცხოვრების სტილი ასე სწრაფად და საფუძვლიანად შეიცვალა. თუ ამ სტილს გუშინ გულცივი ესთეტი და ეპიკურიელი ჰქმნიდა. ხვალ ალბად სტოიკოსი და იდეალისტი შეჰქმნის. პირველნი არ გაჰქრებიან, რასაკვირველია, მაგრამ ისინი დაექვემდებარებიან მოვლენათა ახალს წესრიგს და ცხოვრების ახალს შემეცნებას, უფრო სერიოზულს, უფრო ფართოს, უფრო ტრაგიკულს, შმაგი და უკან-დაუხედავი სრბოლა სიამოვნებისაკენ არ მოისპობა; მაგრამ ის განელდება. შესუსტდება ველური ჟირითიც აღვირ-ახსნილ ეგოიზმისა.

**ომი საუკეთესო საშუალებაა სოციალური შერჩევისა, თანასწორ პირობებში ის ხალხი იმარჯვებს, რომლის წევრები ნაკლებ ეგოიზმს იჩენენ და მეტს თავგანწირულებას დიდ ეროვნულ მიზნების მიღწევაში, ნაკლებ პარტიკულარიზმს და მეტს დისციპლინას მოქმედებასა და ბრძოლაში.**

ომი დიდი აღმზრდელიც არის. ის გვასწავლის, რომ უდიდესი ისტორიული მოვლენა და უდიდესი ადამიანური მოქმედება სრულიად უაზრობაა სარგებლობის თვალსაზრისით. ის გვასწავლის, რომ გადაჭარბებული ინდივიდუალიზმი ასუსტებს ეროვნების ენერგიას, მის ძალას არსებობისთვის ბრძოლაში.

და ბოლოს, ის იმასაც გვასწავლის, რომ პიროვნება არ არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი ღირებულება: რომ მისი ცხოვრება, სიყვარული და სიკვდილი ნაწილია დიდი კოსმიური რითმისა, რომელიც საუკუნიდან საუკუნეში სცვლის და აახლებს არსებობას.

**ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“**





გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული მემკვიდრეობა»
ოცდამეხუთე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## გიგანტური სოკო

**ბრიტანეთში, ერთ-ერთ სკვერში, 70 სმ-ის დიამეტრის სოკო აღმოაჩინეს. ექსპერტების განცხადებით, მისი ზრდა თბილმა შემოდგომამ განაპირობა.** „ჩვენ სკვერთან ახლოს მივსეირნობდით, როდესაც თეთრი პლასტმასის პარკი შევამჩნიე. მივუახლოვდი, რათა ამელო და ნაგვის ურნაში გადამეგდო, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ეს პარკი კი არა, გიგანტური სოკო იყო," — განაცხადა სკვერის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა სტივენ ჰოლმა. როგორც ეკოლოგიური მეცნიერების პროფესორმა პოლ ლანტმა აღნიშნა, ასეთ მცენარეებს ბევრად უფრო დიდ ზომებამდე გაზრდის შანსი აქვთ. ამასთან, საკვირველია, რომ ეს სოკო საკვებად ვარგისი აღმოჩნდა. მოგვიანებით გიგანტური სოკო ადგილობრივებმა დაჭრეს, კარაქში შეწვეს და მიირთვეს.



# ყველაზე პოპულარული ადგილები თვითმკვლელობისთვის

**დედამიწაზე არსებობს ადგილები, სადაც ადამიანები ყველაზე ხშირად ატარებენ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს და თვითმკვლელობით ასრულებენ ცხოვრებას. ამგვარი ადგილების ათეული შემდეგნაირად გამოიყურება:**



## Aokigahara (ფუჯის მთა, იაპონია)

**სტატისტიკა: ჯამში არაა დათვლილი (70 თვითმკვლელობა ყოველ წლიურად).**

Aokigahara ცნობილია, როგორც ხეების ზღვა. ესაა ტყე, სადაც ხშირად შეხვდებით მღვიმეებს, რომლებიც ზამთარშიც კი ყინულითაა დაფარული. ძველი ტყე სახელგანთქმულია ლეგენდებით. ისინი უკავშირდება მოჩვენებებსა და გობლინებს, რომლებიც უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ აქ (ზოგი თვითმკვლელობებს სწორედ ამ ზებუნებრივ მოვლენებს აბრალებს). გვამები გადააქვთ სპეციალურ ოთახში, სადაც ორი საწოლია — ერთი მიცვალებულისთვის და მეორე ვინმესთვის, ვინც პირველ ღამეს დარჩება გარდაცვლილთან. 1970 წლიდან შექმნილია მოხალისეების გუნდი, ტყეში მსგავსი თვითმკვლელების აღსაკვეთად.



## Prince Edward Viaduct (ტორონტო, კანადა)

**სტატისტიკა: 400 თვითმკვლელობა**

2003 წელს ის აღიარეს რიგით მეორე ხიდად მსოფლიოში, სადაც ყველაზე ბევრი თვითმკვლელობები ხდება. როგორც გამოთვალეს, აქ ყოველ 22 დღეში ერთი ადამიანი იკლავს თავს, ამიტომაც საჭირო გახდა, ხიდზე აღემართათ მაღალი ბარიერები, რაც წარმატებული ნაბიჯი გამოდგა — ამის შემდეგ არც ერთი თვითმკვლელობა აღარ დაფიქსირებულა.



## აურორას ხიდი (სიეტლი, ვაშინგტონი)

**სტატისტიკა: 230 თვითმკვლელობა**

ხიდი გაიხსნა 1932 წელს და პირველი თვითმკვლელობა იმავე წლის იანვარში მოხდა. ფეხსაცმლის გამყიდველმა კი ჯერ კიდევ მანამდე მოიკლა თავი ხიდიდან გადახტომით, სანამ მას ოფიციალურად გახსნიდნენ.



## Golden Gate Bridge (სან ფრანცისკო, კალიფორნია)

**სტატისტიკა: ჯამში 1500 (30 თვითმკვლელობა ყოველწლიურად)**

ეს ხიდი აშენდა 1937 წელს და გახდა სან ფრანცისკოს სიმბოლო. ის იმიტომაცაა თვითმკვლელების საყვარელი ადგილი, რომ აქ არაა დამცავი ბარიერები. ამ ხიდს სტუმრობენ ისინი, ვისაც ლამაზი და რომანტიული სიკვდილი სურს.



## Beachy Head (ინგლისი)

**სტატისტიკა: 500 თვითმკვლელობა (20 ყოველწლიურად)**

Beachy Head-ი არის ყველაზე მაღალი კლდე ინგლისის სანაპიროზე (162მეტრი). აქ თვითმკვლელობები უმეტესად ორშაბათობით ხდება. გაძლიერებული მაშველთა ჯგუფი მაინც ვერ ახერხება მკვლელობების თავიდან აცილებას.



## Coronado Bridge (სან დიეგო, კალიფორნია)

**სტატისტიკა: 1976 წლიდან 2000 წლამდე — 200-ზე მეტი თვითმკვლელობა**

ხიდი მდებარეობს სან დიეგოში. შესულია ხიდების სამეულში, რომლებზეც ხშირად ხდება თვითმკვლელობა.

## Jacques Cartier Bridge (კანადა)

**სტატისტიკა: 143 თვითმკვლელობა**

ეს ხიდი 1930 წელს გაიხსნა და ის რიგით მეორეა ქვეყანაში დატვირთვის თვალსაზრისით. 2004 წელს გადაწყდა, რომ ხშირი თვითმკვლელობების თავიდან ასაცილებლად ბარიერი აეშენებინათ. ამის შედეგად თვითმკვლელობათა რაოდენობა წელიწადში 10-მდე შემცირდა.



## ნიაგარას ჩანჩქერი (ონტარიო კანადა/აშშ)

**სტატისტიკა: ჯამში 2 780 (23 თვითმკვლელობა ყოველწლიურად)**

ნიაგარას ჩანჩქერი მდებარეობს კანადისა და აშშ-ის საზღვარზე და ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში. უფრო ხშირად აქ თავს ქალები იკლავენ.



## Clifton Bridge (რივერ ეივონი, ინგლისი)

**სტატისტიკა: 1000 კაცზე მეტი**

ეს ხიდი 1864 წელს აშენდა. თვითმკვლელობათა ამ რაოდენობის გამო, აშენდა ბარიერები, შედეგად წელიწადში მხოლოდ 4 ადამიანი ხტება ამ ხიდიდან. ცნობილია, რომ 1885 წელს აქედან 22 წლის სარა ჰენლი გადახტა, მაგრამ მისი მოსაცმელი პარაშუტივით გაიბერა და ის გადარჩა. სარა ჰენლიმ 80 წელი იცოცხლა.

## ეიფელის კოშკი (პარიზი, საფრანგეთი)



**სტატისტიკა: 350-400 თვითმკვლელობა**

325 მეტრი სიმაღლის კოშკი, რომელიც თავისი ამშენებლის სახელს ატარებს, ყველაზე მაღალი შენობაა პარიზში. ის 1889 წელს აშენდა და ამ დროიდან მოყოლებული დაახლოებით ორასი მილიონი ადამიანი ესტუმრა. პირველი თვითმკვლელობა აქ კაცმა ჩაიდინა — თავი ჩამოიხრჩო. ამას კიდევ 369 შემთხვევა მოჰყვა. ყველაზე უცნაური მათ შორის იმ ქალის ისტორია იყო, რომელიც ეიფელის კოშკიდან გადმოხტომის შემდეგ მანქანის სახურავზე დავარდა და ცოცხალი გადარჩა, მოგვიანებით კი ამ მანქანის მძღოლზე დაქორწინდა.





## ზარმაცი მაღალჩინოსნები

**ხუთი ჩინელი მაღალჩინოსანი თანამდებობიდან იმის გამო დაითხოვეს, რომ მათ სამსახურში სიზარმაცის პრობლემისადმი მიძღვნილ ვიდეოკონფერენციაზე ჩაეძინათ.** ჩინეთის სახელმწიფო აპარატის მუშაკებს ხშირად უწევთ ხანგრძლივ და მოსაწყენ სხდომებზე დასწრება და კომუნიზმის თეორიისა და მსგავსი პოლიტიკური საკითხების შესახებ დაუსრულებელი მოხსენებების მოსმენა. თუმცა ზარმაცი და კორუმპირებული ბიუროკრატების შესახებ მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი საჩივრების მიღების შემდეგ, ჩინეთის ხელისუფლება ცდილობს, სახელმწიფო მოხელეთა პასუხისმგებლობის გრძნობა და პროფესიული თვითშეგნება აამაღლოს.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სენეტი

**სენეტი არის ყველაზე ძველი სადაფო თამაში დღემდე აღმოჩენილ თამაშებს შორის. ის არის ძველი ეგვიპტური თამაში და ნაპოვნია როგორც წინარედინასტიურ, ასევე პირველი დინასტიური ხანის სამარხებში. შესაბამისად, მისი შექმნის თარიღი დაახლოებით 3500-დან 3100-წლამდე უნდა იყოს მოქცეული ძველი წელთაღრიცხვით. ის იყო ყველაზე პოპულარული თამაში ძველ ეგვიპტეში. თამაში რამდენიმეჯერ არის ასახული მარკნერას სასაფლაოზე (ძვ. წ. 3300-2700 წლები). ასევე ის ასახულია მესამე დინასტიის დროინდელ ჰესის სასაფლაოზე (2686-2613 წლები) და რეშაპეს სასაფლაოზე (2500 წელი).**



ეგვიპტის ახალი სამეფოს პერიოდში ის გახდა ერთგვარი თილისმა იმქვეყნიურ ცხოვრებაში მოგზაურობის დროს. მათ სჯეროდათ, რომ თამაშში გამარჯვებულ მხარეს მფარველობდნენ და იცავდნენ მთავარი ღმერთები: რა, თოტი და ზოგჯერ ოსირისიც. შესაბამისად, სენეტის დაფებს დებდნენ საფლავის გასწვრივ აკლდამაში, როგორც სასარგებლო ნივთს იმქვეყნიურ მოგზაურობაში, ამიტომ მის შესახებ წერია „მიცვალებულთა წიგნის“ მე-17 თავში.

სენეტის ნამდვილი წესები ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილი არაა, თუმცა აკლდამების კედლებზე გამოსახული მისი ილუსტრაციებით ნელ-ნელა დაახლოებით აღადგინეს მისი თამაშის წესები.

**სენეტი ითამაშება მართკუთხედის ფორმის დაფაზე, რომელიც შეიცავს 3 რიგს. თითო რიგში არის 10 უჯრა, რომელთაც სახლები ეწოდებოდათ. დაფა შეიძლება ყოფილიყო გლუვ ზედაპირზე დამაგრებული პატარა ბადე ან ხის თუ სხვა მასალებით ოსტატურად დამზადებული ყუთი.**

**თამაშის დასაწყისში ორივე მოთამაშის 7-7, ანუ ერთად 14 პაიკი განლაგდებოდა პირველ 14 სახლზე, ანუ უჯრაზე. ყველა პაიკს ერთნაირი ფორმა, მაგრამ განსხვავებული — ყველაზე ხშირად თეთრი (სპილოსძვლისფერი) და წითელი შეფრილობა ჰქონდათ. პაიკები საგულდაგულოდ და ოსტატურად დამზადებულ ფიგურებს წარმოადგენდნენ.**

დამწყები უჯრა იყო მე-15 სახლი. უძველეს თამაშში ეს







უჯრა ეკუთვნოდა „ანხს“ — სიცოცხლის სიმბოლოს. პაიკები მოძრაობენ 4 პატარა ჯოხის ან ერთი (ან ორი) კამათლის გაგორების მიხედვით. როცა ჯოხებს იყენებდნენ, შეგეძლო მოგეპოვებინა 1-5 ქულა. მოთამაშე 1 ქულას მოიპოვებდა იმ შემთხვევაში, თუ ოთხივე ჯოხის დაუნიშნავი მხარე განლაგდებოდა ერთი მიმართულებით, ხოლო 5 ქულას მოიპოვებდა იმ შემთხვევაში, თუ ჯოხების ოთხივე დანიშნული მხარე ერთი მიმართულებით მოხვდებოდა.

მოთამაშეს იმდენი სვლის უფლება ჰქონდა, რამდენ ქულასაც აიღებდა. სენეტის დაფა დანომრილია და ზოგიერთი უჯრა, ანუ „სახლი“ ახდენდა გარკვეულ ეფექტს მოთამაშეზე, თუ იქ მოუწევდა დადგომა მის რომელიმე პაიკს. მაგალითად, მე-15 უჯრა — ახლიდან დაბადების სახლი. მას რომელიმე მკვდარი პაიკის გაცოცხლება შეეძლო, 26-ე უჯრას ბედნიერების სახლი ერქვა და უფლებას იძლეოდა, საკუთარი ან მოწინააღმდეგის ნებისმიერი პაიკისათვის მდებარეობის შეცვლისა. 27-ე უჯრა წყლის სახლი იყო და მასზე მოხვედრილი პაიკი საწყის — მე-15 უჯრაზე ბრუნდებოდა. 28-ე უჯრა სამი სიმართლის სახლი იყო. თუ სამი გაგორებით პაიკი ამ უჯრაზე დაჯდებოდა, მაშინ ის დატოვებდა თამაშს. 29-ე უჯრა რას თვალის სახლი იყო. თუ ორი გაგორებით პაიკი ამ უჯრაზე დაჯდებოდა, მაშინ ის დატოვებდა თამაშს. თამაშში მოგებულად ის მოთამაშე ითვლებოდა, ვინც პირველი გაიყვანდა თავის ყველა პაიკს სათამაშო დაფიდან.

# ცნობილი ადამიანების უცნაურობები



**იმპერატორი ნერონი** აბაზანას განსაკუთრებულ თევზებთან ერთად იღებდა. თევზები იმით იყვნენ განსაკუთრებულნი, რომ გამოჰყოფდნენ ელექტრონულ მუხტს, რის დახმარებითაც იმპერატორი რევმატიზმს მკურნალობდა.



**ეგვიპტის ფარაონი მენაფტა,** რომელიც მეფობდა ძველი წელთაღრიცხვით მეცამეტე საუკუნეში, ბრძოლაში დაღუპული მტრების მუმიებს აგროვებდა. გადმოცემის თანახმად, იმისათვის, რომ ფარაონის ყველა მტრის მუმია დაებალზამირებინათ, ასობით კილოგრამი სხვადასხვა ბალახეულობა და ინგრედიენტი იხარჯებოდა.



**პეტრე I**-მა გააოგნა ევროპელი მონარქები, როდესაც მათ მიმართა თხოვნით, რომ მისი კუნცკამერისათვის (მუზეუმი რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში) გამოეგზავნათ მახინჯი ადამიანების, დეფექტიანი ჩვილებისა და ცხოველების სხეულები. ყველაზე მეტი გერმანიიდან გაუგზავნეს. მაგალითად, ორთავიანი ჩვილი, ხუთფეხა ცხვარი და ა.შ.



**პრუსიის მეფე ფრიდერიკ ვილჰელმ I** მთელი ცხოვრების განმავლობაში ადგენდა რეესტრს მსოფლიოში ყველაზე მაღალ ხალხზე. ის ყველა მათგანს თავისთან იწვევდა ჯარში სამსახურისთვის და ასე შეაგროვა ერთი პოლკი, რომელიც პოცდამის გოლიათთა გვარდიის სახელით გახდა ცნობილი.



**ბრიტანეთის მეფე გეორგ IV**-ს ქალებთან ურთიერთობის ძალზედ საინტერესო ხერხი ჰქონდა. საქმე ისაა, რომ მეფე იმ ქალებისაგან, ვისთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა, სამახსოვროდ იტოვებდა ნაწნავებს. მათ სათითაოდ ათავსებდა კოლოფში, ხოლო კოლოფზე აკრავდა ეტიკეტს. მეფის გარდაცვალების შემდგომ, მისმა ძმამ გეორგის სამალავში აღმოაჩინა შვიდი ათასამდე ასეთი კოლოფი (სავარაუდოდ, მან უკან ჩამოიტოვა ცნობილი კაზანოვა).

# სასტუმრო-კვერცხი

**გერმანიაში, ქალაქ ვინტერბერგში, კვერცხის ფორმის სასტუმროს აშენებენ. მორიგი არქიტექტურული საოცრება „Oversum Vitalresort“ 4-ვარსკვლავიანი იქნება და 77 ნომერს გააერთიანებს. მათ შორის — რამდენიმე ლუქსს.** სასტუმრო-კვერცხში 2 რესტორანი, ფიტნეს-ცენტრი, სილამაზის სალონი და სამედიცინო ცენტრიც განთავსდება. სტუმრების განკარგულებაში იქნება ღია და დახურული აუზები, საუნა, თურქული აბანო, მასა-



ჟის კაბინეტი. გათვალისწინებულია 500-კაციანი საკონფერენციო დარბაზი და საინფორმაციო ცენტრი. მშენებლობა რამდენიმე თვეში დასრულდება.




**55 წლის ჩინელ ქალს — ნი ლიმნეის 14 წელი თმა არ შეუჭრია და შედეგად რამდენიმე დღის წინ გინესის რეკორდების წიგნში შევიდა. მისი თმის სიგრძე 2.5 მეტრია.** ნი ორი შვილის დედაა, წარმოშობით ტაიუანიდან არის და ძალიან ამაყობს თავისი თმით, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოვლა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. ამასთან, ქალი არც კი ფიქრობს თმის შეჭრაზე, უარსა ამბობს მისგან პარიკის გაკეთებასა თუ სხვა შემოთავაზებებზე. იმისათვის, რომ თმა დაივარცხნოს, ნი ლიმნეის რამდენიმე საათი სჭირდება, ხოლო რა დროს ანდომებს მის დაბანას, არ ამხელს. ის ასევე არ საუბრობს იმაზე, თუ რა თანხა ეხარჯება შამპუნებსა და თმის მოვლის საშუალებებში. გინესის რეკორდების წარმომადგენლებმა ნის უკვე შესთავაზეს მის თმებზე წიგნის დაწერა.

# ამომავალი ვარსკვლავი

## ხატია ბუნიათიშვილის კონცერტი დაუვიწყარი იქნება!

2012 წლის 10 იანვარს, 19 საათზე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი კონსერვატორიის დიდ დარბაზში კიდევ ერთ შესანიშნავ საღამოზე გიწვევთ. თეატრის ორკესტრთან დაუკრავს მსოფლიო აღიარების მქონე, საუკეთესო სცენათა სასურველი შემოქმედებითი სტუმარი, ამომავალი ვარსკვლავი, ახალგაზრდა ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი, რომელიც შეასრულებს მორის რაველის საფორტეპიანო კონცერტს G dur. მსმენელი ასევე მოისმენს ჰექტორ ბერლიოზის „ფანტასტიკურ" სიმფონიას. კონცერტს წარუძღვება თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი, დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო. თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მუსიკოსი მარტა არგერიხი ასე ახასიათებს ხატია ბუნიათიშვილს: „ხატია ექსტრაორდინალური ტალანტის მქონე პიანისტია. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა განსაკუთრებულმა პიანისტურმა ნიჭმა, ბუნებრივმა მუსიკალურობამ, წარმოსახვის უნარმა და ბრწყინვალე ვირტუოზულობამ".

## არ გაუშვათ ხელიდან შანსი, არ გამოტოვოთ კონცერტი, ის ნამდვილად დაუვიწყარი იქნება!

**გთავაზობთ ხატია ბუნიათიშვილისა და ჯანლუკა მარჩიანოს შემოქმედებით ბიოგრაფიებს:**

ხატია ბუნიათიშვილი დაიბადა 1987 წელს თბილისში. მისმა ნიჭიერებამ იმთავითვე იჩინა თავი და 6 წლის ასაკში შედგა ხატიას დებიუტი სიმფონიური მუსიკის კონცერტზე. ადრეულ ასაკში დაიწყო ხატიას საერთაშორისო კარიერაც. მას გამართული აქვს კონცერტები შვეიცარიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, იტალიაში, ავსტრიაში, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, საბერძნეთში, ჩეხეთში, ლატვიაში, რუსეთში, ისრაელში, აშშ-ში, ავსტრალიაში, იაპონიასა და ჩინეთში.

2003 წელს ხატია ბუნიათიშვილმა ელისაბედ ლეონსკაიას სტიპენდიის მოსაპოვებლად გამართულ კონკურსზე დაიმსახურა პირველი პრემია. იმავე წელს თბილისის საფორტეპიანო კონკურსზე, სადაც მეორე პრემია და სპეციალური პრიზები მოიპოვა, ხატია მოისმინა ოლეგ მეისენბერგმა, რომლის რჩევითაც მან სწავლა გააგრძელა ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების აკადემიაში. **2008 წელს, არტურ რუბინშტეინის სახელობის XII კონკურსზე მან მოიპოვა მესამე პრემია და დასახელდა შოპენის ნაწარმოების საუკეთესო შემსრულებლად და მსმენელის სიმპათიად.**

მას შემდეგ ხატია ბუნიათიშვილი მრავალი პრესტიჟული ფესტივალის ხშირი შემოქმედებითი სტუმარია, მათ შორისაა: ვერბიეს, მარტა არგერიხის, გსტაადის, ლა როკ დ'ანთერონის, რურის, ლუცერნის, სარატოგას ფესტივალები, გიდონ კრემერის სახელობის კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი ლოკენჰაუსში.

იგი თანამშრომლობს ისეთ ორკესტრებთან, როგორებიცაა ისრაელის ფილარმონიული, პარიზის ორკესტრი, სანკტ-პეტერბურგის ფილარმონიული, ფილადელფიის სიმფონიური, BBC სიმფონიური, NDR (ჩრდილოეთ-გერმანიის რადიომაუწყებლობის) ჰამბურგის სიმფონიური, როტერდამის ფილარმონიული, ბრემენის დოიჩე-კამერფილარმონიული, ფრანკფურტის რადიოს, ვერბიეს სიმფონიური ორკესტრები.

2008 წელს შედგა პიანისტის დებიუტი კარნეგი ჰოლში (ზანკელის დარბაზი) შოპენის მეორე საფორტეპიანო კონცერტით. 2009 წელს ხატიამ დაუკრა მენდელსონის ორმაგი კონცერტი გიდონ კრემერთან ერთად ვენის მუსიკალურ ასოციაციაში, მალე გიდონ კრემერთან და მის "კრემერატა ბალტიკასთან" ერთად გასტროლები გამართა მილანში (ლა სკალა), რომში, პავიასა და სტამბულში. 2011 წელს ხატიამ გამართა კონცერტები ფრანკფურტის რადიოს ორკესტრთან (გასტროლებით გერმანიასა და ავსტრიაში), მიუნხენის ფილარმონიულ ორკესტრთან, ვერბიეს საფესტივალო ორკესტრთან ნეემე იერვის დირიჟორობით, პარიზის ორკესტრთან პაავო იერვის დირიჟორობით.

ხატია ბუნიათიშვილს დაგეგმილი აქვს გამოსვლები სან-ფრანცისკოს სიმფონიურ ორკესტრთან ჯააპ ვან ზვედენის დირიჟორობით, ვენის სიმფონიურ და რადიოს სიმფონიურ ორკესტრებთან, შანხაის სიმფონიურ ორკესტრთან საახალწლო კონცერტები მიხეილ პლეტნიოვის დირიჟორობით (რომლებიც პირდაპირ ეთერში გადაიცემა ჩინეთის წამყვან ტელეარხებზე), მიუნხენის ფილარმონიულ და ფრანკფურტის რადიოს სიმფონიურ ორკესტრებთან პაავო იარვის დირიჟორობით, ევროპის ახალგაზრდულ ორკესტრთან ვლადიმერ აშკენაზის დირიჟორობით და სხვა. **ხატიას სოლო და კამერული კონცერტები გამართული სხვადასხვა პრესტიჟულ დარბაზებში, მათ შორის, ლონდონის უიგმორ-ჰოლში, ბერლინის ფილარმონიაში, ამსტერდამის კონცერტგებაუში, ვენის მუსიკალური ასოციაციისა და კონცერტჰაუზის, პარიზის პლეიელის დარბაზში, მუსიკალური აუდიტორიისა და კრიტიკის დიდ ინტერესს და აღფრთოვანებას იმსახურებს.**

**ხატია ბუნიათიშვილში მრავალი მუსიკოსი ხედავს მომავლის ერთ-ერთ უდიდეს პიანისტს. BBC-ის მიერ ხატია დასახელებულია ახალი თაობის არტისტად.** პიანისტი რეგულარულად თანამშრომლობს BBC-ის ორკესტრებთან. 2010 წელს მან მიიღო ბორლეტი-ბუიტონის ნდობის ჯილდო და იმავე წელს მოაწერა ხელი ექსკლუზიურ კონტრაქტს „სონისთან", სადაც მისი შესრულებით ჩაიწერა ფერენც ლისტის თხზულებები. აღსანიშნავია, რომ ამ დისკმა გაიმარჯვა ნომინაციაში და გახდა 2011 წლის „Choc Classica". ღირსშესანიშნავი ფაქტია, რომ **ECHO-ს ნომინაციაში ვენის კონცერტჰაუსმა ხატია ბუნიათიშვილი ამომავალ ვარსკვლავად დაასახელა.**

**ჯანლუკა მარჩიანო** დაიბადა იტალიაში, ლა სპეზიაში. სწავლობდა საფორტეპიანო ფაკულტეტზე ფლორენციის მუსიკალურ აკადემიაში, დაამთავრა პიზას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტი. მისი პედაგოგები იყვნენ ჯოაკინ აშუკარო, პაოლო რესტანი, თანამედროვე მუსიკას სწავლობდა მასიმილიანო დამერინის ხელმძღვანელობით. მარჩიანო ეროვნული და საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსების ლაურეატია, მისი საკონცერტო დებიუტი 10 წლის ასაკში შედგა.




**მუსიკალური დირექტორის ამპლუაში იგი ხშირად ხელმძღვანელობდა სხვადასხვა ღონისძიებებს, მათ შორის, პარმის თეატრში ვერდის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ ღონისძიებას 2001 წელს და საერთაშორისო კონკურსს Beato Pio IX რომში. მას ხშირად იწვევენ ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსებზე ჟიურის წევრად.**

2002 წელს იგი მიიწვიეს ლიუბლიანას ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც მუშაობდა ლორის ვოლტოლინის ასისტენტად, ხოლო დიტერ როსბერგის ასისტენტად გუნოს „ფაუსტისა" და ოფენბახის "რაინის ალების" მსოფლიო პრემიერის მზადებისას. 2006-2007 წლების სეზონზე ჯანლუკა მარჩიანომ ზაგრების თეატრში იდირიჟორა „ნაბუქო" და „სევილიელი დალაქი" რეპეტიციის გარეშე, რისE შემდეგ იგი დაინიშნა სამხატვრო ხელმძღვანელად და 2008-09 წლებში თეატრის მთავარი დირიჟორიც გახდა.

მიწვეული დირიჟორის ამპლუაში იგი თანამშრომლობს სლოვაკელი სოლისტების კამერულ ორკესტრთან KOS, რუმინეთის ჯორჯ ენესკუს ფილარმონიულ ორკესტრთან, ინგლისის კამერულ ორკესტრთან, ლიბანის ფილარმონიულ ორკესტრთან, Orchestra Sinfonica di Grosseto, პეკინის სიმფონიურ ორკესტრთან, სარაევოს ფილარმონიულ და ბანჯალუკას ფილარმონიულ ორკესტრებთან და სხვ.

**ჯანლუკა მარჩიანო თანამშრომლობს ისეთ ცნობილ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან: პაოლეტა მაროკუ, დონატა დანუნციო ლომბარდი, ნინო სურგულაძე, ალექსანდრ აგაჩე, ზორან ტოდოროვიჩი, ეგლისე გუტიერესი, თამარ ივერი, ინვა მულა, ირინა ლუნგუ, ელისაბეტა ფიორილო, ერმონელა იაჰო, დარიო შმუნკი, ზელჩკო ლუჩიკ და სხვები.**

2007 წელს სარდინიის ქალაქ სასარის ვერდის თეატრში მაესტროს ხელმძღვანელობით გაიმართა დებიუსის ადრეული კანტატის "რჩეული ქალწულისა" და პულენკის ოპერა-ბუფას "ტირეზიას მკერდის" იტალიური პრემიერები. 2007-08 წლებში ზაგრებში იდირიჟორა „ნაბუქო", 2008 წელს კი მარჩიანოს დირიჟორობით პეკინის ფინანსურ ცენტრში ადგილობრივ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად საზეიმო გალა-კონცერტი გამართა საქვეყნოდ აღიარებულმა მომღერალმა ანდრეა ბოჩელიმ.

**მარჩიანომ ინგლისში ლონგბოროს ფესტივალზე იდირიჟორა „ტრავიატა", შემდეგ „ტურნდოტი", „კარმენი", „კონკია" ზაგრებში, „სასინჯი ქვა" — ვერდის თეატრში სასარიში, „ტოსკა" გრანჯ პარკ ოპერისთვის, "ფავორიტი ქალი" და „ტრავიატა" კი იდირიჟორა ჩელსის საოპერო ჯგუფთან ერთად ლონდონში. მისი დირიჟორობით "ფიგაროს ქორწინება" და "დონ ჯოვანი" მოისმინეს ლონგბოროს ფესტივალზე (სადაც იგი დაბრუნდა 2011 წელს ლიბრეტისტ და პონტეს ციკლის ბოლო ოპერის — "ასე იქცევა ყველა ქალის" სადირიჟოროდ). ამავე წელს იდირიჟორა „ტრავიატა" და „სევილიელი დალაქი" მინსკში.**

**მაესტროს უახლოესი გეგმები უკავშირდება კვლავ ლონგბოროს ფესტივალს, სადაც იდირიჟორებს „ჯადოსნურ ფლეიტას", გრეინჯ პარკის ფესტივალზე იდირიჟორებს „მადამ ბატერფლაის", „პურიტანებს", აგრეთვე, „ტოსკას" 2012 წლის ივნისში, ხოლო „ტურანდოტს" იდირიჟორებს ოვიედოს თეატრში 2012 წლის ნოემბერში.**

ჯანლუკა მარჩიანო ამჟამად არის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, ასევე ბეირუთის ალ ბუსტანის ფესტივალის მუსიკალური ხელმძღვანელი.

ორიგინალური პროგრამა და კონცერტში მონაწილე მუსიკოსების უმაღლესი საშემსრულებლო დონე ნამდვილად ქმნის 10 იანვარს კონსერვატორიის დიდ დარბაზში შეკრებილი მსმენელებისთვის დაუვიწყარი სიამოვნების მინიჭების საფუძველს.

## მოისმინეთ და ისიამოვნეთ!

### «მრგვალი მაგიდისა» და «წმინდა ილია მართლის საზოგადოების» წევრის, ეთერ მგალობლიშვილის მიმართვა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, სრულიად საქართველოს მოსახლეობას

მიმდინარე წლის 22 დეკემბერს სრულდება 20 წელი, რაც უცხო ქვეყნების იმპერიალისტურმა ძალებმა შეიარაღებულ დაჯგუფებებზე დაყრდნობით, ქართველი ნეობოლშევიკებისა და წითელი ინტელიგენციის მხარდაჭერით იარაღის ძალით დაამხეს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, კანონიერი უზენაესი საბჭო და მთავრობა.

გთხოვთ, 22 დეკემბერს, 13 საათზე მობრძანდეთ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ მშვიდობიან მიტინგზე, რათა გარეშე თუ შინაურ მტრებს დავანახოთ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ქართველ ხალხს კვლავაც ძალუძს ერთად დგომა, სამართლიანობისთვის ბრძოლა და გამარჯვება.

გფარავდეთ ღმერთი!

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge

**მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა**
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net